ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე
თამარ ჯაყელი სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

X კლასი

მასწავლებლის წიგნი

ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე

თამარ ჯაყელი სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

X კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს

თბილისი - 2022

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

X კლასი

მასწავლებლის წიგნი

© 2021. გამომცემლობა „კლიო“
© 2021. ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი
ყველა უფლება დაცულია
ISBN 978-9941-496-27-1
პირველი გამოცემა - 2022

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. #181, თბილისი, 0102
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.gewww.klio.ge

სარჩევი

1. შესავალი 4

2. ხელოვნების სავალდებულო პროექტების შესახებ 5

3. მასწავლებლის წიგნი და მისი სტრუქტურა 6

4. პროექტის დროის მენეჯმენტი 8

5. საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი 9

6. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტები 14

პროექტი 1. საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია 50

პროექტი 2. საქართველოს რომელიმე მხარეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა 56

პროექტი 3. დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები: შემოქმედება და წარმატებული კარიერა 79

პროექტი 4. არატრადიციული მასალები და ტექნოლოგიები თანამედროვე ხელოვნებაში 106

პროექტი 5. ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო მიღწევები, აღმოჩენები და ხელოვნება 130

პროექტი 6. ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება / ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში 152

7. საგანმანათლებლო რესურსები 186

8. შეფასება 187

9. ინტეგრაცია და ცოდნის ტრანსფერი 189

10. პროექტის შეფასება და თვითშეფასება 192

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე 193

12. თანასწორობა 195

13. ბულინგი 196

14. შეფასების რუბრიკები 197

1. შესავალი

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს განათლების ძირითად მიზნებს, იმ ღირებულებებს, ცოდნას და უნარებს, რომელიც ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ უნდა გააჩნდეს მოსწავლეს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური სფერო; გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრული ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში.

ეროვნული სასწავლო გეგმით საშუალო საფეხურზე X-XI კლასების სტანდარტით ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგანში „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ განსაზღვრულია ორი სავალდებულო პროექტის შესრულება. შეთავაზებული პროექტებიდან კლასი ირჩევს თითოეულ სემესტრში განსახორციელებელ თითო–თითო პროექტს.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა საგანს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან ნაკლებად არის დაკავშირებული. ჩვენი მიზანია, თითოეული საგნის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და, მათ შორის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტების განხორციელებისას დაგროვილი გამოცდილება, დავუკავშიროთ ერთმანეთს.

მასწავლებლის წიგნი გთვაზობთ პროექტების სავარაუდო სცენარებს და მიზნად ისახავს, გაგიწიოთ დახმარება სასწავლო პროცესის ეფექტურად წარსამართად.

2. ხელოვნების სავალდებულო პროექტების შესახებ

პროექტები მოიცავს ჩვენი ცხოვრების მრავალ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება კულტურას და ხელოვნებას. პროექტების ხასიათი გამომდინარეობს საერთო მიზნიდან, რომ ყველა საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნა მოსწავლისთვის არ წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ფრაგმენტებს, არამედ გაერთიანდეს და შეუქმნას მას მთლიანობითი წარმოდგენა სამყაროზე. როგორ დავგეგმოთ ისეთი სახის სწავლება, რომელიც ამგვარი მიზნების მიღწევაში დაგვეხმარება, ვასწავლოთ სრულყოფილად რომელიმე დისციპლინა თუ მივცეთ მოსწავლეებს ისეთი ცოდნა სამყაროს შესახებ, რომლის ფორმირებაში თითოეული დისციპლინა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს? ბოლო პერიოდში, სულ უფრო აქტუალური ხდება ინტეგრირებული გაკვეთილებისა თუ სასწავლო პროექტების დაგეგმვა-წარმართვა. ასეთი ტიპის გაკვეთილებისა თუ პროექტების ჩატარება, მოითხოვს გარკვეული პრინციპების დაცვას. ასეთი მოდულით მუშაობის პროცესში მასწავლებელს შეუძლია დაანახოს მოსწავლეს, რომ ცალკეული სასწავლო საგნები სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებული თვალსაზრისები რეალურად არსებულ შესასწავლ ობიექტებზე.

3. მასწავლებლის წიგნი და მისი სტრუქტურა

მასწავლებლის წიგნი შემუშავებულია განსახორციელებელი პროექტების დეტალური აღწერის გასაცნობად და მუშაობის დროს მასწავლებლისათვის მეთოდოლოგიური მხარდაჭერის გასახორციელებლად. წიგნი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ისარგებლოს ავტორების მიერ შეთავაზებული პროექტებით და, ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს, შემოქმედებითად წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ამდენად, წიგნში შემოთავაზებული პროექტების სცენარები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს მუშაობის წარმართვის საერთო სურათის ჩვენებას დასაწყისიდან პროექტის დასრულებამდე.

პროექტის აღწერა და მიმდინარეობა მოიცავს: პროექტის სათაურს, პროექტის ტიპს, პროექტის თემას, შესრულების ვადებს, პროექტის მიზანს, პროექტის შედეგებს, პროექტთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, პრიორიტეტულ თემებსა და გამჭოლ თემებს, პროექტის საკითხს, საკვანძო კითხვებს და იმ საგნების ჩამონათვალს, რომლებთანაც პროექტი არის ინტეგრირებული, პროექტის აღწერას. პროექტის მიმდინარეობაში გამოყოფილია ცაკეული აქტივობები და შესასრულებელი სამუშაო აღწერილია თანმიმდევრულად დალაგებული ნაბიჯების სახით. თითოეულ პროექტში მოცემულია აუცილებელი რესურსების ბმულები. ტექსტში ჩართულია რუბრიკა "დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის" (შემოკლებით **დ. ი. მ.)** და „ინტერაქტივის კითხვები" (შემოკლებით **ი. კ**.).

პროექტის დასასრულს მოცემულია ნამუშევრების შეფასების რუბრიკები, რომლებიც სოლო ტაქსონომიის პრინციპითაა შემუშავებული.

წიგნი მოიცავს რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს, რაც აადვილებს საჭირო შინაარსის პუნქტის მოძებნას და ასახულია წიგნის სარჩევში.

უშუალოდ პროექტებთან დაკავშირებული მასალა განაწილებულია შემდეგი სახით:

- ხელოვნების სავალდებულო პროექტების შესახებ
- მასწავლებლის წიგნი და მისი სტრუქტურა
- პროექტის დროის მენეჯმენტი
- საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი (X-XI კლასი)
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტები
- საგანმანათლებლო რესურსები
- შეფასება

- ინტეგრაცია და ცოდნის ტრანსფერი
- პროექტის შეფასება და თვითშეფასება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე
- თანასწორობა
- ბულინგი
- შეფასების რუბრიკები

4. პროექტის დროის მენეჯმენტი

დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს პროექტის დროის მენეჯმენტს და ვადებს. პროექტის ხანგრძლივობა ერთი სემესტრია (სავარაუდოდ, 16/20 კვირა). საკონტაქტო საათების რაოდენობა 14/18 საათია. მოსწავლეების დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა კი – 25/30 საათი. საკონტაქტო საათები გულისხმობს მასწავლებლის და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს (მაგ., საუბარს, დისკუსიას, მასწავლებელთან კონსულტაციებს, სამუშაო ვიზიტს, ექსპედიციას და სხვ.), ხოლო დამოუკიდებელ საათებში მოიაზრება ის დრო, რომელსაც მოსწავლე თავად ხარჯავს სხვადასხვა სახის აქტივობისას (მაგ., ლიტერატურის მოძიება და დამუშავება, ნამუშევრის შექმნა, ესსეს დაწერა და ა. შ.).

პროექტის ეფექტურად განხორციელების წინაპირობაა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი დროის/საათების გონივრულად განაწილება შესასრულებელი აქტივობების ხასიათის, წელიწადის დროის (ღია ცის ქვეშ შესასრულებელი სამუშაოს შემთხვევაში) და სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

5. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - სავალდებულო პროექტის სტანდარტი

შესავალი

საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლება **სავალდებულო პროექტების** სახით X და/ან XI კლასში. თითოეულ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს 1 სემესტრის განმავლობაში. საშუალო საფეხურის ფარგლებში საგანში უნდა განხორციელდეს 2 პროექტი.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს. გ. საშ. 1. :**

„ს. გ. “ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება’’;
„საშ. “ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;
„**1“ –** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტების სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსები	**შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/**
ს. გ. საშ. 1.	დასახული ამოცანის შესაბამისად განსა-ზღვროს იდეა, შეარჩიოს შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მიზნობრივად და შემოქმედებითად გამოიყენოს საკუთარი ცოდნა (ხელოვნების ენა, მასალა, ტექნიკა, დარგი, ჟანრი, კონკრეტული ხელოვნების ნიმუშის, სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების ანალიზი, ინტერპრეტაცია, შეფასება და სხვ.) საზოგადოების თუ პირად ცხოვრებში ხელოვნების მნიშვნელობის წარმოსაჩენად.	

		მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:

ქვემოთ მოცემულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის სხვადასხვა ტიპი. რომელი ტიპის პროექტს აირჩევს მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი/სკოლა და რა თანმიმდევრობით, თავად სკოლის გადასაწყვეტია. პროექტები შესაძლოა განხორციელდეს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად.

პროექტების ტიპები			
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	**ინტეგრაციის შესაძლებლობა**
კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზა-ცია, მაგ: **საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზა-ცია**	• გავრცელებული დარგი/დარგები (დარგის ნიმუშების მოძიება, ძეგლების კვლევა, ანალიზი, ისტორიული წყარო-ების, ამ დარგის შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომე-ბის გაცნობა, ადგი-ლობრივი მოსახ-ლეობის, უხუცესების გამოკითხვა და სხვ.); • ხელოვნების ნიმუ-შების დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა (არის თუ არა შენარჩუნებული); • დარგებში მომუშავე ოსტატები წარსულში და დღეს (გრძელდება თუ არა ტრადიცია დღესაც, თუ არის ოსტატი, როგორ შეიძ-ლება მისი ნამუშევ-რების პოპულარიზა-ცია, ნაწარმის რეკლა-	კვლევის შედეგე-ბის პრეზენტაცია ან მოხსენება; ბუკლეტის, ვებ-გვერდის, ფლა-ერების შექმნა; გამოფენა.	**საზ. მეცნიერებები (ისტორია)** ხელოვნების ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ ფაქტებთან და მოვლენებთან, მათი ანალიზი და ინტერპრეტაცია. **საზ. მეცნიერებები (სამოქალაქო განათლება)** საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებსა და მოვლენებზე საკუთარი აქტიური სამოქალაქო

	მირებისთვის, პოპუ-ლარიზაციისთვის ბუკ-ლეტის, ვებგვერდის, ფლაერების დამზა-დება. კვლევა, თუ რომელი ორგანიზაცი-ებია ამით დაკავებული უკვე და ამ ორგანიზა-ციებთან დაკავშირება, თანამშრომლობის შე-თავაზება, ერთობლი-ვი საქმიანობის დაგეგ-მვა, რითი შეუძლიათ მოსწავლეებს ხელი შეუწყონ მათ საქმია-ნობაში); • ადგილობრივი მუზეუ-მი, საგამოფენო სივრცე.		პოზიციის გამო-ხატვა ხელოვნე-ბის საშუალებით. **სამოქალაქო განათლება (მეწარმეობა)** მეწარმეობის (იდეების განვი-თარება, დაგეგ-მვა, ინიციატივა, თანამშრომლობა და სხვ.) დაკავ-შირება სახელოვ-ნებო პროფესი-ებში არსებულ გამოწვევებთან. **ქართული ენა და ლიტერატურა** სხვადასხვა ეპო-ქის/მიმდინარეო ბის/სტილის გა-აზრება ხელოვ-ნებასა და ლიტე-რატურაში პარა-ლელების გავ-ლების გზით. საქართველოს კუთხეების ხე-ლოვნების ან კონკრეტული ნიმუშების, ძეგ-ლების დაკავ-შირება ზეპირ გადმოცემებთან, თქმულებებთან ფოლკლორთან, ლეგენდებთან და სხვ. ანალიზი და ინტერპრეტაცია.
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	
კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და დაცვა, მაგ: **საქართველოს რომელიმე მხარის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა**	• ანალოგიები; • გავლენები; • ანალიზი.	კვლევის შედე-გების პრეზენტა-ცია ან მოხსენება; ბუკლეტის შექმნა; მაკეტი.	
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	
სამეწარმეო პროექტი, მაგ: **დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები და მათი**	• შემოსავლის წყარო; • დასაქმება; • მოთხოვნადია თუ არა; • პროდუქციის რეალიზაცია, გასაღების ბაზარი; • ხელის შემწყობი ან	კვლევის შედეგების შესახებ პრეზენტაცია ან მოხსენება.	

საქმიანობის არეალი	შემშლელი ფაქტორები; • საზოგადოების დამოკიდებულება; • ამ თვალსაზრისით შედარება სხვა ქვეყნებთან.		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ტექნიკური პროგრესის, ტექნოლოგიების განვითარების კავშირი ხელოვნებასთან (ხელოვნების ახალი ფორმები, არატრადიციული მასალა და სხვ.). **მუსიკა** სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის გააზრება ხელოვნებასა და მუსიკაში პარალელების გავლების გზით.
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	
კვლევა, მაგ: **ტექნიკური პროგრესის, სამეცნიერო მიღწევების გავლენა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე**	• ახალი მიმდინარეობებისა და სტილების წარმოშობა (ამ თვალსაზრისით გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების ანალიზი); • ახალი დარგების, ჟანრების სახეობები; • ხელოვნების ახალი ფორმები; • ახალი მასალა და ტექნიკა; • საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა.	კვლევის შედეგების პრეზენტაცია ან მოხსენება.	
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	
შემოქმედებითი / კვლევა, მაგ: **არატრადიციული მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში**	• არატრადიციული მასალები და ტექნოლოგიები თანამედროვე ხელოვნებაში; • მასალებისა და ტექნოლოგიების უსაფრთხოება, გამძლეობა; • მასალებისა და ტექნოლოგიების კავშირი თანამედროვე ხელოვნების დარგებთან და ფორმებთან; • ცნობილი თანამედროვე ხელოვანების შემოქმედების კვლევა	კვლევის შედეგების პრეზენტაცია ან მოხსენება; არატრადიციული მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით თანამედროვე ხელოვნების რომელიმე დარგის ან ფორმის ნამუშევრის შექმნა და	

	ამ კუთხით.	წარდგენა.	
ტიპი	**აღწერილობა/შინაარსი**	**დავალების ფორმა**	
შემოქმედებითი / სამოქალაქო, მაგ: **სამყაროში მიმდინარე და პირადად მოსწავლეების თვის მნიშვნელოვან მოვლენებზე (კულტურული, პოლიტიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვ.) ხელოვნების გზით რეაგირება**	• სასკოლო-ინფრასტ-რუქტურული პროექტი; • სათემო-ინფრასტრუქ-ტურული პროექტი; • სასკოლო-საგანმანათ-ლებლო პროექტი (მაგ., დაწყებითი/ საბაზო საფეხურის მოსწავლეების მენტო-რინგი, მათი ჩართვა სხვადასხვა პროექტში, აქტივობაში, დახმა-რება სპექტაკლების გაფორმებაში, საქველმოქმედო აქციებში და სხვ.; • სამოქალაქო ცნობიე-რების ამაღლება (ადა-მიანის უფლებები, ხე-ლისუფლების სტრუქ-ტურებთან თანამშ-რომლობა, საჯარო ინფორმაციის ხელმი-საწვდომობა, ნარკოპრევენცია); • ძალადობის/ჩაგვრის (ბულინგის) საწინა-აღმდეგო კამპანია; • ცხოველთა უფლებების დაცვა.	ბანერი, პოსტერი, ფლაერი; მაკეტი; პერფორმანსი, ინსტალაცია და სხვ.	

6. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტები

პროექტი 1

პროექტის ტიპი: კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია

პროექტის თემა: ჩემი ქალაქის, რეგიონის, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა/კვლევა და პოპულარიზაცია
პროექტის მიზანი მოსწავლემ შეძლოს მშობლიური ქალაქის, სოფლის, რეგიონის როგორც ქართული, ასევე, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა, რაც გულისხმობს არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური რეწვის სხვადასხვა დარგის ნიმუშების შესწავლას, აღწერას, ფიქსაციას, სათანადო ინფორმაციის მოძიებას, ნაწარმოების ძირითადი სტილისტური მახასიათებლების ანალიზს შესაბამისი ეპოქის ფონზე. მოძიებული მასალის და ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე მოსწავლემ შეძლოს მშობლიური რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სხვადასხვა ფორმით (მაგ.: ესსე, ბუკლეტი, ფლაერი და სხვ.) წარმოჩენა/წარდგენა და მათი პოპულარიზაცია ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით.
პროექტის შედეგი: მოსწავლე გაეცნო მშობლიური რეგიონის მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მოიცავს როგორც ქართული, ასევე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ხელოვნების ნაწარმოებებს; გააცნობიერა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მნიშვნელობა; სხვადასხვა წყაროს გამოყენებით შეძლო ინფორმაციის მოპოვება და სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების ნაწარმოებების და მათი მხატვრული თავისებურებების კვლევა, ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება. მოძიებულ ინფორმაციასა და კვლევის შედეგებზე, ასევე, სხვა საგნებში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, შეძლო კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საინტერესო ფორმების მოფიქრება, სარეკლამო ხასიათის ბუკლეტის/ფლაერის, პლაკატის, საფოსტო ბარათის თუ სხვა ამდაგვარი პროდუქციის შექმნა, შეავსო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ცოდნა ახალი ინფორმაციით და საკუთარი წვლილი შეიტანა მშობლიური რეგიონის ცნობადობის ამაღლების საქმეში

მკვიდრი წარმოდგენები:

- ნებისმიერი ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მათგან განსაკუთრებული მხატვრული თუ ისტორიული ღირებულების მქონე ნიმუშებს ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კვლევა მრავალკომპონენტიანი პროცესია.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევის შედეგების საშუალებით შესაძლებელია გაიგო ინფორმაცია სხვადასხვა ეპოქაში საზოგადოების ცხოვრების წესის, იმ ეპოქაში არებული მსოფლმხედველობის, განსხვავებული მხატვრული ტრადიციის და ესთეტიკის შესახებ.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს როგორც ქართული, ასევე, საქართველოში მცხოვრები მრავალი სხვა ეთნოსის კულტურასაც. სწორედ ეს ერთობლიობა განაპირობებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სიმდიდრეს და მრვალფეროვნებას.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია ხელს უწყობს საზოგადოებას საკუთარი იდენტობის გააზრებაში.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის გავითარებას

სამიზნე ცნებები:
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ელემენტები: ხაზი, ფორმა, ფერი

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, ფორმატზე მთავარის გამოყოფა სხვადასხვა ხერხით, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, რიტმი, კოლორიტი.

არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები:
არქიტექტურა, ქანდაკება (რელიეფი), ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა, დეკორატიული ქსოვილები. ხალხური რეწვის დარგები(მაგ, თექა, ხალიჩა, ფარდაგი და სხვ.).

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები:
ძველი და თანამედროვე ქართული ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, კომპიუტერული გრაფიკა.

პრიორიტეტული თემები:
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა — ხელოვნების და ხალხური რეწვის ტრადიციული დარგები და ტექნოლოგიები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. მათი დაცვა და განვითარებაზე ზრუნვა სახელმწიფოს და საზოგადოების მოვალეობაა.

კულტურული მრავალფეროვნება — პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული

მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა და აქ მცხოვრები ნებისმიერი ეთნოსის მიერ შექმნილი კულტურა ჩვენი სახელმწიფოს და მისი თითოეული მოქალაქის მიერ უნდა იყოს დაცული.

განსხვავებული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდებს შორის კულტურათშორისი დიალოგი ქვეყნის მრავალფეროვანი კულტურული სიმდიდრის საფუძველია.

გამჭოლი თემები
პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს უვითარდება შემდეგი გამჭოლი უნარები და უყალიბდება შემდეგი ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება — ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; არგუმენტირებულად მსჯელობა ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;

შემოქმედებითად აზროვნება — ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;

თანამშრომლობა — სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; კომუნიკაცია-ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით;

კვლევა — კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე, დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;

სწავლის სწავლა, დამოუკიდებელი საქმიანობა — აქტივობის/დავალების დაგეგმვა — მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა;

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება — ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში

თემა:
კულტურული მემკვიდრეობა

საკითხი:
ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა,

საკვანძო შეკითხვები:

- რას ნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი?
- რა ნიშნებით შეიძლება განვსაზღვროთ, რომ ესა თუ ის ნიმუში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია?

- რას ნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პოპულარიზაცია და როგორ უნდა განხორციელდეს ეს?
- რა პროცესებს უწყობს ხელს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია?
- როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ წარსულის, წინაპრების გამოცდილება და გარდავქმნათ ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად?
- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შენი რეგიონისს/ქალაქი/სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები თუ კულტურული მემკვიდრეობა იყოს მიმზიდველი საქართველოს სხვა რეგიონების/ქალაქების, სოფლების მაცხოვრებლებისა თუ უცხოელი ტურისტებისთვის?

ინტეგრაცია: ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, უცხო ენა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების, უცხო ენების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეები იკვლევენ, აკავშირებენ სხვადასხვა საგანში შესწავლილ თემებს, რაც ხელს უწყობს მთლიანობითი წარმოდგენის ფორმირებას, მოვლენების, პროცესების არსებით ურთიერთკავშირს, ცოდნის გამთლიანებასა და ტრანსფერს. ინტეგრირებული პროექტის „ჩემი ქალაქის, რეგიონის, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა/კვლევა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში დისციპლინები ერთიანდება როგორც თემის, ისე უნარებისა და დამოკიდებულებების გარშემო. სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში, თუმცა თითოეული გაკვეთილი ქმნის ერთგვარ ჯაჭვს და ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას და განავითარებენ პრაქტიკულ უნარებს, კერძოდ:

- ისტორიის მასწავლებელთან კონსულტაციის ფარგლებში მოსწავლეები იხსენებენ იმ ეპოქის/ პერიოდის ისტორიას, რომელსაც მიეკუთვნება მათ მიერ შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ძეგლები. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს იმ სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მოძიებაში, სადაც მოთხრობილია მათთვის საინტერესო ეპოქის ან კონკრეტული ძეგლის შესახებ. ისტორიული მასალების მოძიება შესაძლებელია როგორც საკუთრივ საისტორიო, ასევე ეთნოგრაფიულ ლიტერატურასა და ალბომებში. ისტორიის მასწავლებელმა შიძლება მოსწავლეებს ურჩიოს საქართველოში მოგზაური უცხოელების მიერ შექმნილი წყაროები. დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს ძეგლის ეპიგრაფიკული მასალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან არქივებში დაცული მასალის მოძიება და აქაც ისტორიის მასწავლებლის დახმარებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პროექტის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით. ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების ერთობლივი დახმარებით ნაყოფიერი იქნება

მშობლიურ რეგიონში მცხოვრები უფროსი თაობის ადამიანების გამოკითხვაც. ზეპირსიტყვიერად შემორჩენილი ლეგენდები, თქმულებები საინტერესო ინფორმაციას ინახავს ძეგლების შესახებ (მაგალითად, მათი სახელის და მისი ეტიმოლოგიის, ქტიტორების, კონკრეტული ოსტატების შესახებ). ამ ინფორმაციის გამოყენება კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კვლევის და მისი პოპულარიზაციის ეფექტური საშუალებაა.

- მნიშვნელოვანი იქნება ინტეგრაცია სამოქალაქო განათლების დისციპლინას-თან, რადგან მოსწავლეებმა ღრმად უნდა გააცნობიერონ საზოგადოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობა, სახელმწიფოსა და მოქალაქეების მხრიდან მისი დაცვის აუცილებლობა. სამოქალაქო განათლების მასწავლებელთან კონსულტაციის ფარგლებში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული კულტურისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობის კულტურის ჰარმონიული თანაარსებობის საფუძველზე. თავად ის ფაქტი, რომ თანაცხოვრების მანძილზე ეთნიკური უმცირესობები ქმნიდნენ არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნამუშევრებს, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად არის ქცეული დღეს, მიუთითებს თანაცხოვრების მაღალ კულტურასა და ტოლერენტობის განცდაზე. ამგვარი ტრადიცია ყოველმხრივ ხელშესაწყობი და გასავითარებელია. პროექტის მთავარ თემასაც, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევას, დაცვას და პოპულარიზაციას ამგვარი მიდგომა განსაკუთრებულ აქტუალურობას და სიღრმეს შესძენს.
- უცხო ენის კომპეტენცია მოსწავლეებს დაეხმარება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით ორენოვანი ფლაერების, ბუკლეტების, სარეკლამო ვიდეორგოლის (არჩევანი პროექტის მონაწილე მოსწავლეებს და მათ მასწავლებელს ეკუთვნის) შექმნაში. ტურისტული გზამკვლევის ტექსტიც, რომელიც მოსწავლეებმა მშობლიური რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით უნდა შექმნან, ასევე ორენოვანი უნდა იყოს. გარდა ამისა, კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დოკუმენტების გასაცნობად (წიგნში მითითებულია რამდენიმე ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ბმული) და სხვა სასრგებლო რესურსის მოსაძებნად, მოსწავლეებს ასევე დასჭირდებათ უცხო ენის მასწავლებლის კონსულტაცია.
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელთან ერთად მოსწავლეები იმუშავებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფლაერების, ბუკლეტების, ვიდეორგოლის შექმნაზე. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დისციპლინის ფარგლებში, მოსწავლეები შექმნიან კითხვარებს შესაბამის პროგრამაში(მასწავლებლის რეკომენდაციით Excel ან სხვა პროგრამა), რომელსაც გამოიყენებენ ხელოვანთან ინტერვიუს ასაღებად. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში ასევე გადაიღებენ მათ მიერ შექმნილ ნამუშევარს, ფოტოს ან ვიდეოს და დაამუშავებენ შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, განათავსებენ ინტერნეტ-სივრცეში მისი რეალიზების მიზნით (შესაბამის პლათფორმაზე). ასევე შექმნიან პრეზენტაციებს პროექტის სხვადასხვა ეტაპზე

შესრულებული სამუშაოს შესახებ (ციფრული ტექნოლოგიების მასწავლებელთან შეთანხმებით, მაგ.: Photoshop, Padlet ან სხვა პროგრამაში).
პროექტის აღწერა: პროექტი ემსახურება მოსწავლეთა მშობლიური რეგიონის / ქალაქის / სოფლის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მისი აწმყოსა თუ წარსულის შესწავლას/კვლევას და მომავალი პერსპექტივების წარმოჩენას, მისი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მუშაობის პროცესში მოსწავლეები გაეცნობიან მათი ქალაქის/სოფლის/ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, შეარჩევენ კონკრეტულ ნიმუშებს, მოიძიებენ ინფორმაციას მათ შესახებ. მოიძიებენ მშობლიურ გარემოში მცხოვრებ ხელოვანებს ან/და ხალხური რეწვის ოსტატებს, შეხვდებიან მათ, გაიცნობენ მათ შემოქმედებას. მოძიებულ ინფორმაციას, მიღებულ ცოდნას და ვიზუალურ მასალას მოუყრიან თავს და გამოიყენებენ კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და დაცვის, ასევე, პოპულარიზაციის საქმეში. პროექტის განხორციელების ეტაპების დაგეგმვისას მონაწილეები (მოსწავლეები და მასწავლებლები) ერთობლივად წყვეტენ შესასრულებელი აქტივობების თანმიმდევრობას დასახული მიზნის მისაღწევად. გეგმავენ პროექტის მიმდინარეობისას თითოეული აქტივობისთვის დროის ოპტიმალურ მოცულობას და კონკრეტულ რესურსებს, რომლებიც სჭირდებათ აქტივობის წარმატებით განხორციელებისათვის. წიგნში მითითებული ელექტრონული რესურსების გამოყენება და ახალი საინტერესო წყაროების მოძებნაც წინასწარ იგეგმება პროექტის საწყის ეტაპზე. კონკრეტული თემის არჩევის შემდეგ თითოეული ჯგუფის წევრები განსაზღვრავენ, რა წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ მოსწავლეს პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. მაშასადამე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დამუშავდეს, ვინ, როგორ, რას და რა ხნის განმავლობაში აკეთებს. თითოეული ეტაპისა და მასში შემავალი აქტივობების დასრულებისთანავე გაიმართება შეხვედრები, რომელშიც ჩართული იქნება ინტეგრირებული პროექტის ყველა მონაწილე (მოსწავლეები და მასწავლებელები) და დეტალურად განიხილება მიღებული შედეგები. **შენიშვნა:** მიზანშეწონილია, პროექტის ყველა ეტაპზე (პირველი ეტაპიდან შემაჯამებელი ეტაპის ჩათვლით) თვითშეფასების მუდმივი წარმოება, რაც პროექტის მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზები თუ შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება. **(წიგნს თან ახლავს** მოსწავლის თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა.) **პროექტი მოიცავს რამდენიმე თემას:** ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა

რეგიონში/ქალაქში/სოფელში მოღვაწე ხელოვანები: არქიტექტურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები, ხალხური რეწვის გავრცელებული ტრადიციული დარგები რეგიონის/ქალაქის/სოფლის მუზეუმები **მუშაობის ფორმა:** კლასი იყოფა ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი ირჩევს რომელიმე თემას ამ ჩამონათვალიდან. პროექტის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ ჯგუფში მოსწავლეები ინაწილებენ ფუნქციებს და მუშაობენ შერჩეულ თემებზე ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ამასთანავე, პროექტის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან აქტივობებში ჩართვა, მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის შერჩეული ძეგლების მონახულება (არქიტექტურული ძეგლი, მუზეუმის საგამოფენო დარბაზებსა თუ ფონდებში დაცული ექსპონატები, შეხვედრა ხელოვანთან ან ხალხური რეწვის ოსტატთან) სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერი ჯგუფის წევრ მოსწავლეს.
თემა 1 - ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა **პროექტის ეტაპები** **I ეტაპი -- პროექტის დაგეგმვა:** **1 ნაბიჯი** - პროექტის მიზნების განსაზღვრა, პროექტის განხორციელების გეგმის შედგენა, პროექტის ეტაპებისა და ნაბიჯების (აქტივობები) განსაზღვრა, მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა და ფუნქციების განაწილება (თითოეული ჯგუფისა და მისი წევრებისთვის შესასრულებელი სამუშაოს ტიპის, ვადების განსაზღვრა). **II ეტაპი** - დაგეგმილი ნაბიჯების (კონკრეტული აქტივობების) განხორციელება: **1 ნაბიჯი** - მსჯელობა/დისკუსია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის შესახებ. ინტერაქტივის კითხვებზე პასუხის გაცემა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთაშორისო დაცვის ორგანიზაცია და მისი გაცნობა. **2 ნაბიჯი** - ინფორმაციის მოძიება UNESCO- ს სიაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლების შესახებ. პატრონაჟის ქვეშ მყოფი მატერიალური და არამატერიალური ძეგლები. **3 ნაბიჯი** - მსჯელობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის აუცილებ-ლობის და მნიშვნელობის შესახებ. ინტერაქტივის კითხვებზე პასუხის გაცემა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. **რესურსები:** **იუნესკო-საქართველო** https://unesco.ge/?page_id=540 https://en.unesco.org/countries/georgia

https://mygeotrip.com/unesco-world-heritage-objects-georgia

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა
https://unesco.ge/?page_id=568&lang=en

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
https://www.heritagesites.ge/ka

III ეტაპი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება მშობლიურ გარემოში; საველე სამუშაოები, ძეგლების შესწავლა/კვლევა

ნაბიჯი 1- მოსწავლეები და მასწავლებელი ირჩევენ მშობლიურ გარემოში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს; ადგენენ ტურისტულ მარშრუტს; გეგმავენ შესასრულებელ სამუშაოებს და მათ გრაფიკს.

ნაბიჯი 2- კულტურული მემკვიდრეობის შერჩეულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება საისტორიო და სახელოვნებათმცოდნეო წყაროებში, მათი გაცნობა და დამუშავება.

ნაბიჯი 3- ძეგლების მონახულება, მათი აღწერა. ძეგლების ჩანახატების გაკეთება, ძეგლის ფოტოების და ვიდეომასალის გადაღება. ამ სამუშაოების შესრულებისას მოსწავლეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კონკრეტული ძეგლის ძირითად მახასიათებლებს, რომელთა შესახებ მათ ინფორმაცია უკვე აქვთ მოძიებული. გეგმარების, პლასტიკური თუ მხატვრობის დეკორის ელემენტებზე ყურადღების გამახვილება. ძეგლის სახეობიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილდება, ასევე, მასალაზე და მის თავისებურებებზე.

IV ეტაპი – მოსწავლეთა მიერ შედგენილი ტურისტული მარშრუტის შესახებ ბუკლეტის (მოსწავლეების სურვილისამებრ, შესაძლებელია ეს იყოს ფლაერი) შექმნა:

ნაბიჯი 1 - ტურისტულ მარშრუტში შემავალი ძეგლების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის, დამუშავებული წყაროების, ძეგლის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ორენოვანი (ქართულ და უცხო ენაზე) მოკლე ტექსტების დაწერა. მარშრუტში შემავალი ძეგლების საილუსტრაციო მასალის შერჩევა.

ნაბიჯი 2 - ბუკლეტის დაკაბადონება და მისი ელექტრონული ვერსიისათვის საბოლოო სახის მიცემა.

ნაბიჯი 3 - შერჩეულ მარშრუტზე ტურისტების თანმხლები გიდის ორენოვანი ტექსტის მომზადება.

V ეტაპი – შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შედეგების პრეზენტაცია:
ნაბიჯი 1- პრეზენტაციის მომზადება ტურისტული მარშრუტისა და მასში შემავალი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ და მათი პოპულარიზაციის გზების დასახვა. მოსწავლეები აკეთებენ შემდეგი პროდუქტების პრეზენტაციას: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ გიდის ტექსტი, სარეკლამო ბუკლეტი და ვიდეორგოლი. შესაძლებელია, მოსწავლეებმა და მასწავლებელმა აირჩიონ რომელიმე ერთი ამ პროდუქტებიდან, ან წარადგინონ სამივე.

თემა 1.
ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა.
დავალების პირობა
განსაზღვრეთ, რა ნიშნების მქონე ძეგლი შეიძლება გახდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; გამოიკვლიეთ თქვენს მშობლიურ ქალაქში/რეგიონში/ სოფელში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გააანალიზეთ მათი ძირითადი მხატვრული და სტილისტური თავისებურებები, მოიძიეთ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია და შექმენით ამ ძეგლების ტურისტული მარშრუტი, რომელშიც ეს ძეგლები წარმოჩენილი იქნება სხვადასხვა ხასიათის ბუკლეტების, ფლაერების ფორმით, რასაც თანდართული ექნება ორენოვანი განმარტებითი ტექსტები. ასევე, შექმენით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე თანმხლები გიდის ორენოვანი ტექსტი აღნიშნული ძეგლების შესახებ ისტორიული, კულტურული, სახელოვნე-ბათმცოდნეო ინფორმაციით. შექმენით სხვადასხვა ფორმის ბუკლეტები, ფლაერები და შეეცადეთ მათი პოპულარიზაციას.

I ეტაპი --პროექტის დაგეგმვა:
1 ნაბიჯი - პროექტის მიზნების განსაზღვრა, პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი ეტაპობრივი გეგმის შედგენა. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გეგმავს და საზღვრავს პროექტის ეტაპებსა და ნაბიჯებს (აქტივობები). პროექტის პროცესში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით, მასწავლებელი ჯგუფებად ყოფს მოსწავლეებს და ინდივიდუალურად ანაწილებს ფუნქციებს (თითოეული ჯგუფისა და მისი წევრებისთვის შესასრულებელი სამუშაოს ტიპის, ვადების განსაზღვრა). ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული თავად მოსწავლეები და საკუთარი ინტერესების/ შესაძლებლობების მიხედვით ირჩევენ სამუშაოს.

II ეტაპი: ისტორიული წარსულის ნაკვალევზე- მსჯელობა/დისკუსია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. მატერიალური და არამატერილური ძეგლები. ქართული ძეგლები UNESCO-ს სიაში.

ნაბიჯი 1 - კულტურული მემკვიდრეობის კვლევის და დაცვის პროექტის ეს აქტივობა უნდა მიეძღვნას თავად ამ ცნების - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განხილვას. მასწავლებელმა და მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რას ეწოდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; რა მახასიათებლები უნდა გააჩნდეს ძეგლს იმისათვის, რომ მას ეს სტატუსი მიენიჭოს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ამ თვალსაზრისით არის ამა თუ იმ ობიექტის (მაგ., არქიტექტურის ძეგლი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, დამწერლობა, არქეოლოგიური მასალა და სხვ.) განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიასა დაკულტურაში.

ნაბიჯი 2- კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური ძეგლები.

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება იმის თაობაზე, რომ ასეთი მნიშვნელობა მხოლოდ მატერიალურ ძეგლებს არ გააჩნია. ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს

ფოლკლორი, მუსიკა, კულინარია, ეპოსი თუ სხვა, ერმა შეიძლება შექმნას მაღალი მხატვრული, კულტურული თუ ისტორიული ღირებულების მქონე „პროდუქტი“, რომლის დაცვა ცივილიზებული საზოგადოების ვალია. სწორედ ამიტომ მთელ მსოფლიოში აპრობირებული წესია ამგვარი ნიმუშებისათვის საგანგებო სტატუსის მინიჭება, რაც სამართლებრივადაც დარეგულირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით.

ი. კ. როგორ მატერიალურ ძეგლს მიანიჭებდით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს?

ჩამოთვალეთ თქვენს მშობლიურ გარემოში არსებული განსაკუთრებული ძეგლები, რომლებსაც მიანიჭებდით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს?

ქართული კულტურის რომელ არამატერიალურ, ე. წ. ხელშეუხებელ ძეგლებს მიაკუთვნებდით აღნიშნულ სტატუსს?

მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ინტერაქტივის კითხვებს და ჩამოთვ-ლიან კულტურის მათთვის ცნობილ მნიშვნელოვან ძეგლებს, რასაც მასწავლებელი საგანგებოდ ჩაინიშნავს და მოსწავლეებს სთხოვს, დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია UNESCO-ს სიაში მყოფი ქართული კულტურის როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ძეგლების შესახებ. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს დაეხმარებათ მითითებული ელექტრონული რესურსის ბმულები.

საინტერესო იქნება მსჯელობის გაგრძელება ამ მიმართულებით, რათა მოსწავლე-ებმა დაასახელონ ის ძეგლები, რომლებსაც აღნიშნულ სტატუსს მიანიჭებდნენ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ UNESCO-ს პატრონაჟის ქვეშ თავმოყრილია სრულიად უნიკალური ძეგლები მთელი მსოფლიოდან.

ნაბიჯი 3 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პატრონაჟი/დაცვა: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის გაცნობიერება, თუ რაში მდგომარეობს ასეთი ძეგლების დაცვა.

ი. კ. როგორ ფიქრობთ, რა საფრთხეები ემუქრება და რა ტიპის დაცვა სჭირდება უნიკალურ ძეგლებს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე გარემოებას:

1. წარსულის მატერიალური ძეგლები მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს.
2. შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამის გარემოს და პირობებს, თუ ძეგლები პორტატიულია (მაგალითად, კლიმატკონტროლის რეჟიმი).
3. თუ ძეგლები ღია სივრცეშია, მაგალითად, არქიტექტურული ნაგებობები, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გარემოს უარყოფითი ზეგავლენა (არ ჩადიოდეს წყალი, ქვა არ გამოიფიტოს ბუნებრივი კლიმატური პირობების ზეგავლენით და ა. შ.)
4. თუ ძეგლი საჭიროებს რესტავრაციას, ჩარევა უნდა განხოციელდეს ფრთხილად, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს მისი ავთენტური სახე.

5. არამატერიალური ძეგლების შემთხვევაში, მაგ., ქართული პოლიფონია, მნიშვნელოვანია ტრადიციის შენარჩუნება და გაგრძელება.

6. აუცილებელია საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა მსოფლიო გამოცდილებასთან და კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებაზე მკაცრი კონტროლი საზოგადოების მხრიდანაც.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს პირდაპირ განადგურების საფრთხე ექმნება მსოფლიოში მიმდინარე ომების, სამხედრო კონფლიქტების დროს. ავღანეთში, სირიაში, საქართველოში, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა არაერთი ასეთი ფაქტის წინაშე დააყენა მსოფლიო. ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის მსგავსად, თანამედროვე სამყარო აღშფოთებულია მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური მოვლენების-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურების ფაქტებითაც და ამასთან დაკავშირებით UNESCO მკაცრ გადაწყვეტილებებს იღებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ამ დანაშაულს სჩადიან.

საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა და მის მთელ ტერიტორიაზე მიმოფენილია ჩვენ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობა. ეს ძეგლები, მათ მიმართ ტოლერანტობა და მათი დაცვა სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს.

ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეეებს ნათელი წარმოდგენა ექმნებათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაობის, მათი სახეობების მრავალფეროვნების შესახებ. გაცნობიერებული ექნებათ ისიც, რომ მემკვიდრეობის დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მთლიანად საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობაცაა.

დ. ი. მ.

მთელ მსოფლიოში კანონმდებლობა ხელყოფისგან იცავს ასეთ ძეგლებს. არსებობს განსაკუთრებული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა, რომელშიც ყველა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია თავმოყრილი და მათ UNESCO (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization ანუ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) იცავს.

UNESCO-ს სიაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (იხ. მითითებული ელექტრონული რესურსები) რამდენიმე ძეგლია შესული.

https://unesco.ge/?page_id=540

https://en.unesco.org/countries/georgia

https://mygeotrip.com/unesco-world-heritage-objects-georgia

III ეტაპი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება მშობლიურ გარემოში

ნაბიჯი 1 - მოსწავლეები და მასწავლებელი ირჩევენ მშობლიურ გარემოში

არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს; ადგენენ ტურისტულ მარშრუტს. გეგმავენ შესასრულებელ სამუშაოებს და მათ გრაფიკს.

მოსწავლეებს უჩნდებათ მოტივაცია მოიაზრონ, მათ ქალაქში ან რეგიონში არსებული ძეგლებიდან რომელი ნიმუშები შეიძლება ატარებდეს აღნიშნულ სტატუსს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ ის მთავარი ნიშნები, რის საფუძველზეც ეს ნიმუშები იმსახურებს ამ სტატუსს. სავარაუდოდ, ესაა სიძველე, უნიკალურობა, მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი. იმართება ერთგვარი დისკუსია, რომლის მონაწილენიც ისმენენ და აფასებენ ერთმანეთის მოსაზრებებს. მოსწავლეები შეარჩევენ საკუთარ რეგიონში/ქალაქში/სოფელში არსებულ, მათი აზრით, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლებს და შეადგენენ მათი შესწავლის გეგმას. გეგმავენ ამ სამუშაოთა დროში გაწერილ გრაფიკს.

მოსწავლეები ამ ძეგლებს არჩევენ ერთიანი ტურისტული მარშრუტის მიხედვით, რომელსაც თავად ადგენენ. ტურისტული მარშრუტის შედგენის დროს შესაძლებელია, ამ მარშრუტში შედიოდეს როგორც არქიტექტურული ძეგლები, ასევე, არამატერიალური კულტურის ძეგლები (მაგ., ფოლკლორი) მაგ., ქვევრის ღვინის დამზადების წესის გაცნობა (ქვევრის ღვინოც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია) და სხვ.

ინტერაქტივის შეკითხვები:

- რა ნიშნები ახასიათებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს?
- რატომ შეარჩიეთ ესა თუ ის ძეგლი?
- როგორ განსაზღვრეთ ტურისტული მარშრუტი?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ ტურისტული მარშრუტის შედგენის დროს?

მასწავლებელმა ტურისტული მარშრუტის შედგენის დროს მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მარშრუტი იყოს მრავალფეროვანი, შედგენილი იყოს ლოგიკურად და ძეგლებზე გადაადგილება იყოს მოსახერხებელი. გათვალისწინებული იყოს მარშრუტის დრო, რომელიც რელევანტურად გადანაწილდება სხვადასხვა ძეგლზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, საფეხმავლოა ტურისტული მარშრუტი თუ საჭიროებს ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

ნაბიჯი 2- კულტურული მემკვიდრეობის შერჩეულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება საისტორიო და სახელოვნებათმცოდნეო წყაროებში, მათი გაცნობა და დამუშავება. წიგნში მითითებული ბმულის და სხვა, დამოუკიდებლად მოძებნილი სამეცნიერო ლიტერატურის მოძებნა, დამუშავება. კონკრეტული ძეგლის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი.

ნაბიჯი 3- საველე სამუშაოები: ძეგლების მონახულება, მათი აღწერა. ძეგლების ჩანახატების გაკეთება, ძეგლის ფოტოების გადაღება და ვიდეომასალის გადაღება. ამ ეტაპზე მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, გეგმავენ საველე სამუშაოსაც.

საველე სამუშაოების დროს ძირითადად ტარდება ორი ტიპის სამუშაო, რომელზეც

წინასწარ უნდა შეირჩეს პასუხისმგებელი მოსწავლეები:

- ძეგლის აღწერა და საველე ჩანაწერების გაკეთება;
- ძეგლის ფოტოფიქსაცია და ვიდეოგადაღება.

ამ სამუშაოების ჩატარებისას ორივე ჯგუფის მუშაობა უნდა იყოს შეთანხმებული. კონკრეტული ძეგლის მონახულებისას მოსწავლეებმა ყურადღებით უნდა დაათვალიერონ ძეგლები. განსაზღვრონ, რა არის ამა თუ იმ ძეგლში მნიშვნელოვანი და ამის მიხედვით გადაიღონ ძეგლის ცალკეული დეტალები თუ ფოტოები ფართო ხედით. იგივე უნდა იქნას გათვალისწინებული ჩანახატების გაკეთების შემთხვევაშიც. თუ იქნება საშუალება, მათ შეუძლიათ გადაიღონ ვიდეოც, რათა შემდეგ პრეზენტაციისას გამოიყენონ მათივე გადაღებული მასალა.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ძეგლის დათვალიერებისას დააფიქსირონ მისი დაზიანებები, შეამოწმონ, არის თუ არა დამთვალიერებლისათვის ხელმისაწვ-დომი ინფორმაცია ძეგლის შესახებ-სახელწოდება, თარიღი, ტიპი. ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს ორ ენაზე და განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

ამ სამუშაოების შესრულებისას მოსწავლეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კონკრეტული ძეგლის ძირითად მახასიათებლებს, რომელთა შესახებ მათ ინფორმაცია უკვე აქვთ მოძიებული: ესაა ძეგლების გეგმარების, პლასტიკური თუ მხატვრობის დეკორის ელემენტები, მასალა და ძეგლის სხვა თავისებურებები.

IV ეტაპი – მოსწავლეთა მიერ შედგენილი ტურისტული მარშრუტის შესახებ ბუკლე-ტის (მოსწავლეების სურვილისამებრ, შესაძლებელია ეს იყოს ფლაერი) შექმნა:

ნაბიჯი 1- ტურისტულ მარშრუტში შემავალი ძეგლების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის, დამუშავებული წყაროების, ძეგლის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ორენოვანი (ქართულ და უცხო ენაზე) მოკლე ტექსტების დაწერა. მარშრუტში შემავალი ძეგლების საილუსტრაციო მასალის შერჩევა.

ნაბიჯი 2- ბუკლეტის დაკაბადონება და მისი ელექტრონული ვერსიისათვის საბოლოო სახის მიცემა. ამ აქტივობის განხორციელება საინფორმაციო და საკომუნიკაციო წიგნიერების მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით ხდება.

ამ ეტაპზე მოსწავლეებმა თავი უნდა მოუყარონ მოპოვებულ მასალას: დამუშავებული წყაროებისა და ლიტერატურის შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა შეაჯერონ ძეგლებზე გაკეთებულ საკუთარ ჩანაწერებთან და ბუკლეტისათვის თითოეულ ძეგლზე უნდა მოამზადონ მცირე საინფორმაციო ტექსტი. ტექსტი უნდა იყოს სხარტი და საინტერესო, რათა დააინტერესოს მკითხველი/პოტენციური ტურისტი. ტექსტები უნდა იყოს ორენოვანი და მათ თარგმნაში თავად მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა (სასურველია, უცხო ენის მასწავლებლის კონსულტაცია).

ამ ტექსტებისათვის მათ უნდა შეარჩიონ საკუთარი ხელით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ტურისტულ ბუკლეტში დაერთვება ტექსტებს.

ბუკლეტის სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ იწყება მუშაობა მის დაკაბადონებაზე. ბუკლეტი უნდა იყოს ინფორმაციული და მხატვრული თვალსაზ-რისით (კომპოზიცია, ფერადოვნება, შრიფტი, გამოსახულებათა რიტმი და სხვ.) გააზრებულად გადაწყვეტილი.

ნაბიჯი 3 - შერჩეულ მარშრუტზე ტურისტებისთვის გამყოლი გიდის ორენოვანი ტექსტის მომზადება. ამ აქტივობის განხორციელებაში მოსწავლეებს უცხო ენის მასწავლებელი ეხმარება.

გიდის ტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცხადია, ტურისტულ მარშრუტში შემავალი ძეგლის შესახებ ტექსტი უნდა იყოს უფრო ვრცელი, ვიდრე ეს იყო ბუკლეტში, უნდა იყოს საინტერესოდ აგებული და მოიცავდეს ამ ძეგლის შესახებ ძირითად ინფორმაციას: ძეგლის თარიღი, შესაბამისი ეპოქის მოკლე დახასიათება, ცნობები ძეგლის შესახებ, მისი მთავარი მხატვრული მახასიათებლები, ზეპირსიტყვიერად შემორჩენილი ინფორმაცია ძეგლის შესახებ.

V ეტაპი – შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შედეგების პრეზენტაცია:

ნაბიჯი 1 - პრეზენტაციის მომზადება ტურისტული მარშრუტისა და მასში შემავალი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ და მათი პოპულარიზაციის გზების დასახვა.

პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ საკუთარი შრომის შედეგები. შესაძლებელია, საბოლოო პროდუქტი შემდეგი ფორმებით იყოს წარმოდგენილი:

გიდის ტექსტის პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას როგორც მთლიანობაში ტურისტული მარშრუტის შესახებ, ასევე, ცალკეულ ძეგლებზეც. პრეზენტაციას თან უნდა ახლდეს შესაბამისი ვიზუალური მასალა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეკლამო ბუკლეტის პრეზენტაცია. ცხადია, რომ ბუკლეტის დაბეჭდვა ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ შესაძლებელია, ბუკლეტის ელექტრონული ვერსიის პრეზენტაცია. საველე სამუშაოების დროს შესრულებული ჩანახატებისა და გადაღებული ფოტოების გამოფენა. გამოფენა შესაძლებელია გაკეთდეს როგორც დარბაზში, ასევე, საგანგებო პროგრამის მიხედვით ციფრული ფორმატით (https://padlet.com/dashboard ან PowerPoint).

სარეკლამო ვიდეორგოლის პრეზენტაცია, რომელიც მოსწავლეების მიერ ძეგლებზე მუშაობის დროს გადაღებული მასალით არის შედგენილი.

ცხადია, არ არის აუცილებელი ყველა ეს ფორმა ერთდროულად იყოს გამოყენებული. მოსწავლეებს, მასწავლებელთან შეთანხმებით, შეუძლიათ აირჩიონ აქ ჩამოთვლილი ფორმებიდან მხოლოდ რამდენიმე.

დ. ი. მ. 1

ამ აქტივობების მიხედვით, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად, უნდა

გაანაწილოს პროექტისათვის გამოყოფილი დრო, მათ ერთად უნდა დაგეგმონ სამუშაოები და შეადგინონ მათი განხორციელების გრაფიკი.

შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად, ამ სავარაუდო გეგმაში სხვა პუნქტებიც ჩაამატონ საკვლევი მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შესაძლოა მოსწავლეებმა მათ რეგიონში არსებული რამდენიმე ძეგლი შეარჩიონ და მათ საფუძველზე შეადგინონ ტურისტული მარშრუტი. მათ წინასწარ უნდა განსაზღვრონ, რამდენ დღიანი იქნება ეს მარშრუტი. თუ ამ მარშრუტის დაფარვას რამდენიმე დღე დასჭირდება, მოსწავლეებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, სად გაათევენ ტურისტები ღამეს, სად ისადილებენ, ივახშმებენ და ა. შ. ანუ მარშრუტის შედგენის დროს, მათ მენეჯმენტის საკითხებზეც უნდა იმსჯელონ და გადაწყვიტონ კიდეც ეს საკითხები.

მარშრუტის დადგენის შემდგომ, მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ წერილობითი წყაროები, ისტორიული მასალა, გაეცნონ სამეცნიერო ნაშრომებს ტურისტულ მარშრუტში შემავალი ძეგლების შესახებ (თუ ასეთი არსებობს), დაამუშაონ ეს მასალა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დიდ დახმარებას გაუწევს მათ ამ პროცესში.

რესურსები:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
https://www. heritagesites.ge/ka
https://www. heritagesites.ge/ka/project/11
https://www. heritagesites.ge/ka/project/12
https://www. heritagesites.ge/ka/project/13

დ. ი. მ. 2

საინტერესო იქნება მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლების შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის-ძველი ლეგენდების, თქმულებების, გადმოცემების გამოკითხვა უხუცესებისგან. როგორც წესი, ქართული არქიტექტურის თუ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამორჩეულ ნამუშევრებთან დაკავშირებული გადმოცემები შემორჩენილია და თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ ისტორიების ჩაწერა და კონკრეტული ძეგლის პოპულარიზაციისათვის მათი შემოქმედებითად გამოყენება (მაგალითად, მათი დასურათება ან ერთგვარი ისტორიული კომიქსის გაკეთება, რომელსაც დაურთავენ ძეგლის ფოტოებს) შესაძლოა გახდეს ძეგლის ცნობადობის ამაღლების დამატებითი წყარო, მით უფრო, რომ ტექსტი ქართულთან ერთად უცხო ენაზეც იქნება ნათარგმნი. უაღრესად საინტერესო იქნება ინფორმაციის მოძიება იმის თაობაზე, თუ რა შემოგვინახა ისტორიამ ძველი ოსტატების — მშენებლების, მხატვრების, ოქრომჭედლების შესახებ. უხუცესებთან საუბარმა შეიძლება ბევრი საყურადღებო ფაქტი აპოვნინოს მოსწავლეებს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ძეგლის დათვალიერებისას დააფიქსირონ მისი დაზიანებები, შეამოწმონ, არის თუ არა დამთვალიერებლისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ძეგლის შესახებ-სახელწოდება, თარიღი, ტიპი. ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს ორ ენაზე და განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

დ. ი. მ. 3

მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ 1972 წლის კონვენციის ფარგლებში შეიქმნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სია. სიაში დღეისათვის წარმოდგენილია 1154 ძეგლი, მათ შორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 4 ძეგლი:

1. მცხეთის ისტორიული ძეგლები (1994 წ.);
2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (1994 წ.);
3. ზემო სვანეთი (1996 წ.);
4. კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები (2021 წ.)

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის იუნესკოს სიაში შეტანილია ოთხი ქართული ძეგლი:

1. ქართული მრავალხმიანობა – 2001 წელს, ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს მიერ აღიარებული იქნა როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი, ხოლო 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციაზე საქართველოს მიერთების შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა შეტანილ იქნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში.
2. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი – შეტანილ იქნა 2013 წელს.
3. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა – შეტანილ იქნა 2016 წელს.
4. ქართული ჭიდაობა – შეტანილ იქნა 2018 წელს.

რესურსები:

http://www. imsa.ge/webmill/data/file/ICOMOS-saxelm(2). pdf

https://ka. wikipedia. org/wiki/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90

იუნესკო-საქართველო
https://unesco.ge/?page_id=540

https://en. unesco. org/countries/georgia

https://mygeotrip.com/unesco-world-heritage-objects-georgia

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა
https://unesco.ge/?page_id=568&lang=en

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
https://www. heritagesites.ge/ka

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
http://www. gch-centre.ge/

ცენტრის სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდიკა
http://www. gch-centre.ge/category/%e1%83%9e%e1%83%a3%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%92%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/

თემა 2.
რეგიონში/ქალაქში/სოფელში მოღვაწე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენლები და ხალხური რეწვის ტრადიციული დარგების ოსტატები.

დავალების პირობა
შეისწავლეთ მშობლიურ ქალაქში/რეგიონში/სოფელში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენლების ან/და ხალხური რეწვის ოსტატების შემოქმედება, გააანალიზეთ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნაწარმოების შექმნის სპეციფიური ნიშნები, მასალა, ტექნიკა; მოიძიეთ და დაამუშავეთ მასალა ხელოვნების ამ დარგების შესახებ; დაგეგმეთ შეხვედრები შერჩეულ ხელოვანთან/ოსტატთან, მოამზადეთ მასთან ინტერვიუს ჩასატარებლად საინტერესო კითხვები, გადაიღეთ მათი ნამუშევრების ფოტოები, შსაძლებლობის ფარგლებში ვიდეოს სახით ასახეთ ნამუშევრის შექმნის პროცესი; შეხვედრის დროს იმსჯელეთ ხელოვნების ტრადიციულ და ახალ, ინოვაციურ თავისებურებებზე (მასალა, ტექნიკა), გააანალიზეთ მათი წარმოშობის მიზეზები; შეგროვებული ვიზუალური მასალის და მიღებული ცოდნის საფუძველზე მოამზადეთ ესსე ხელოვნების ამ დარგების წარმომადგენელთა შემოქმედების შესახებ; მოაწყეთ მათი ნამუშევრების ფოტოგამოფენა, შექმენით მათი ნამუშევრების ამსახველი ბუკლეტი/ფლაერი და ამით პოპულარიზაცია გაუწიეთ მათ ფართო საზოგადოების წინაშე.

საკვანძო კითხვები:
- ტრადიციული რეწვის რომელ დარგებს იცნობთ?
- რეწვის რომელი ტრადიციული დარგებია განვითარებული თქვენს რეგიონში/ქალაქი/სოფელში?

- რომელია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კარგად ცნობილი, ტრადი-ციული დარგები და დარგები, რომლებიც დაიბადა თანამედროვე ეპოქაში?
- რა განაპირობებს ხელოვნების ახალი დარგების წარმოშობას?
- მნიშვნელოვანია თუ არა ტრადიციის დაცვა/შენარჩუნება ხელოვნებაში?
- საჭიროა თუ არა პროფესიული განათლება რეწვის სხვადასხვა დარგის შემთხვევაში?
- რა როლს ასრულებენ თვითნასწავლი ხელოვანები რეწვის ტრადიციული დარგების შენარჩუნებაში?
- რა მეთოდების ან ხერხების გამოყენება შეიძლება კონკრეტული ხელოვანის შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით?

პროექტის ეტაპები:

I ეტაპი - ხელოვნების ტრადიციული და ახალი დარგების მიმოხილვა.

ნაბიჯი 1-მსჯელობა ხელოვნების ტრადიციული და ახალი დარგების შესახებ. ახალი დარგების შექმნის მიზეზები თანამედროვე სამყაროში.

ნაბიჯი 2. სამუშაოების დაგეგმვა და გრაფიკის შედგენა.

- მშობლიურ გარემოში მოღვაწე ხელოვანების შესახებ ინფორმაციის და მასალის მოძიება, სამუშაო გეგმის შედგენა

II ეტაპი - ხელოვანებთან და ოსტატებთან შეხვედრების ორგანიზება

ნაბიჯი 1. შეხვედრა ხელოვანის სახელოსნოში

ნაბიჯი 2 - ხელოვანთან შეხვედრის შემდეგ დისკუსიის ჩატარება ტრადიციის შენარჩუნებისა და ნოვაციის დამკვიდრების თაობაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში.

ნაბიჯი 3. ხელოვნება ჩვენს გარშემო — ხელოვნების ტრადიციული დარგები

ნაბიჯი 4. ხალხური რეწვის ოსტატის სახელოსნოში

ნაბიჯი 5. ხელოვნების პოპულარიზაციის თანამედროვე მეთოდები/გზები/ ხერხები. მოსწავლეები ესაუბრებიან ხელოვანებს მათი შემოქმედების პოპულარიზაციის საკითხებზე, თავად სთავაზობენ ორიგინალურ იდეებს.

ნაბიჯი 6- მიღებული ინფორმაციის და ვიზუალური მასალის საფუძველზე ესსეს მომზადება ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენლის ან ხალხური რეწვის რომელიმე ოსტატის შემოქმედების შესახებ.

მოსწავლეებს შეუძლიათ შეგროვებული მასალის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით წარმოადგინონ: ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება, ესსეს მომზადება, ბუკლეტის/ფლაერის მომზადება კონრეტული ხელოვანის შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით.

ნაბიჯი 7 - შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალების შედეგების პრეზენტაცია.

შენიშვნა: ნებისმიერ ქალაქში, რეგიონში, სოფელში ცხოვრობენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. ბუნებრივია, ამ მხრივ, ვითარება განსხვა-

ვებული იქნება დიდ ქალაქებსა და სხვადასხვა რეგიონში მდებარე სოფლებს შორის. თუმცა პროექტი ორიენტირებულია იმაზე, რომ ნათლად დაანახოს მოსწავლეებს სხვადასხვა დარგში მომუშავე ხელოვანების პროფესიული ოსტატობა, მათი შრომის თავისებურებები. დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, როგორ გრძელდება მხატვრული ტრადიციები.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ რეგიონში მდებარე სკოლებისათვის პროექტის ამ აქტივობისათვის გაწერილია რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტი. მასწავლებელი ირჩევს ამ აქტივობის შესრულების იმ ვარიანტს, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მოსწავლეების მშობლიურ გარემოს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროექტის აღწერა
I ეტაპი - ხელოვნების ტრადიციული და ახალი დარგების მიმოხილვა.

ნაბიჯი 1.
მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ ხელოვნების რომელი დარგებია განვითარებული თანამედროვე სამყაროში და რომელი მათგანი მიეკუთვნება ტრადიციულ დარგთა რიცხვს, ხოლო რომელი დარგები შეიქმნა ახალ ეპოქაში. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ახალი დარგების შექმნის გამომწვევი პირობები. ამასთან მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, როგორ შეიცვალა ხელოვნების ტრადიციული დარგები, მაგ., არქიტექტურა, დიზაინი და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, რა განაპირობებს ამ ცვლილებებს.

პ. ი. კ.
სავარაუდოდ, ხელოვნების ახალი დარგების ჩამოთვლისას მოსწავლეები დაასახელებენ კომპიუტერულ გრაფიკას, რომელიც სრულიად შეუცვლელია თანამედროვე დიზაინის და კინოს სამყაროში. ხოლო ტრადიციულ დარგებში მომხდარი ცვლილებების ნიმუშად შეიძლება განიხილონ არქიტექტურა, რომელმაც მკვეთრი ცვლილება განიცადა ურბანიზაციის საყოველთაო ტენდენციის ზეგავლენით. მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში აუცილებელი გახდა ფართის მაქსიმალურად გამოყენება, რასაც შედეგად ცათამბჯენების აგების აუცილებლობა მოყვა. რასაკვირველია, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ ახალი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების შექმნას შეუწყო ხელი და, საბოლოო ჯამში, სრულიად გარდაქმნა თანამედროვე ქალაქების იერსახე.

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება საუბარი ტრადიციული და თანამედროვე ქანდაკების შესახებ. მოსწავლეები იხსენებენ, რა მასალას და ტექნიკას იყენებდნენ ტრადიციული ქანდაკების შექმნისას. ტრადიციულ მასალას წარმოადგენს ქვა, ბრინჯაო, ხე. თავდაპირველად შედარებით პატარა ზომის ქანდაკება იძერწება თიხის ან პლასტილინისგან, ისხმება თაბაშირის ყალიბი. შემდეგ ყალიბის გამოყენებით ისხმება რომელიმე მყარი მასალა, მაგალითად, ბრინჯაო. ეს ქანდაკების შესრულების ტრადიციული ტექნოლოგიაა. თანამედროვე ქანდაკება ხშირად განსხვავებული მასალით და ტექნოლოგიით სრულდება. ზოგ

შემთხვევაში ეს რბილი პლასტმასის ან რეზინისმაგვარი მასალაც კი არის. თანამედროვე ქანდაკების არსი, მისი ფუნქცია, კონცეფცია განსხვავებულია კლასიკური ქანდაკების ტრადიციისგან; შესაბამისად, განსხვავებულია მისი მხატვრული ფორმაც. თანამედროვე ქართველი ხელოვანის ლია ბაგრატიონის გამოფენის შესახებ ინფორმაცია იხილეთ რესურსებში.

სამუშაოს ამ ეტაპზე მოსწავლეები, სავარაუდოდ, დაასახელებენ ხელოვნების კიდევ უფრო მეტ დარგს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მათ ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ დარგში არსებულ ტრადიციასა და ინოვაციაზე, რასაც ხელოვნების თანამედროვე სამყარო დროთა განმავლობაში მიმართავს ახალი შესაძლებლობების, ფორმების ძიების პროცესში.

ნაბიჯი 2. სამუშაოების დაგეგმვა და გრაფიკის შედგენა.

- ხელოვანების შესახებ ინფორმაციის და მასალის მოძიება, სამუშაო გეგმის შედგენა

ხელოვნების რომელიმე დარგის/დარგების წარმომადგენლების მოძიება, მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მათთან ინტერვიუსათვის კითხვების მომზადება.

აქტივობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებმა მშობლიურ გარემოში უნდა მოიძიონ მათთვის საინტერესო ხელოვნების რომელიმე დარგის/დარგების წარმომადგენლები, მოიძიონ მათ შესახებ ინფორმაცია, ლიტერატურა (თუ ასეთი არსებობს), დაამუშაონ ეს ლიტერატურა. მათ უნდა დაგეგმონ ეს შეხვედრები, წინასწარ კი უკვე არსებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოამზადონ შეკითხვები ინტერვიუსათვის.

შენიშვნა: ამ აქტივობის განსახორციელებლად მოსწავლეებს შესაძლოა ქმედითი დახმარება გაუწიონ სახელოვნებო სასწავლებლებმა, სამხატვრო გალერეებმა და სალონებმა, მუზეუმებმა, მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურებმა. მოქმედი ხელოვანების საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება ამ ორგანიზაციების დახმარებით იქნება შესაძლებელი.

IIეტაპი- ხელოვანებთან და ოსტატებთან შეხვედრების ორგანიზება

შენიშვნა: მასწავლებლის შეხედულებისამებრ, შესაძლებელია, შეხვედრა და ინტერვიუ შედგეს მხოლოდ ერთ ხელოვანთან ან ოსტატთან.

აქტივობის ერთ-ერთი მიზანი კონკრეტული ხელოვანის შემოქმედების პოპულარიზაციაა. ამიტომ ეფექტური შესაძლოა აღმოჩნდეს უშუალო კონტაქტი ახალგაზრდა ხელოვანებთანაც.

მასწავლებელი და მოსწავლეები კულტურის სფეროს ზემოთჩამოთვლილ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მოიპოვებენ საკონტაქტო ინფორმაციას მოქმედი ხელოვანის/ხელოვანების შესახებ და გეგმავენ მასთან შეხვედრას. სასურველია, წინასწარ გაეცნონ მის შემოქმედებას, რათა მომზადებული მივიდნენ შეხვედრაზე, მოიფიქრონ, რომელ კითხვებზე აინტერესებთ პასუხების მოსმენა.

ნაბიჯი 1. შეხვედრა ხელოვანის სახელოსნოში

სასურველია შეხვედრა მოხდეს ხელოვანის სახელოსნოში, რათა მოსწავლეები უშუალოდ შეეხონ როგორც ხელოვანის შემოქმედებით გარემოს, ატმოსფეროს, ასევე დეტალურად, უშუალოდ გაეცნონ მუშაობის პროცესს.

ამ აქტივობის არსი ხელოვნების კონკრეტული დარგის სპეციფიკაში-მასალაში, ტექონოლოგიაში გარკვევაა. ხელოვანი უყვება მოსწავლეებს მუშაობის პროცესში რა ეტაპებს გადის ნამუშევარი. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დაუსვან მას შეკითხვები როგორც ჩანაფიქრის და ნაწარმოების კონცეფციის, ასევე, მხატვრული ფორმის შექმნის თაობაზე. სახელოსნოს დათვალიერებისას მოსწავლეებს საშუალება აქვთ დააკვირდნენ მასალას, გაეცნონ მის სპეციფიკას, ნაწარმოების შექმნის ტექნოლოგიურ მხარეს. მათთვის თანდათან ნათელი გახდება, რომ ხელოვანი ზედმიწევნით უნდა ფლობდეს მასალისა და ტექნოლოგიის ყველა ნიუანსს, რათა სრულყოფილად შეძლოს ჩანაფიქრის ხორცშესხმა.

საინტერესოა თანამედროვე ხელოვანის მოსაზრებების მოსმენა მის პროფესიაში არსებული ტრადიციისა და იმ სიახლეების თანაარსებობის შესახებ, რომელსაც ახალი მასალები და ტექნოლოგიები განაპირობებს. მოსწავლეების საუბარი თანა-მედროვე ხელოვანთან ხელოვნების კონკრეტულ დარგში ტრადიციისა და ინოვა-ციის ურთიერთმიმართებას შეეხება. სასურველია, მოსწავლეებმა შეიტყონ მისი აზრი, მნიშვნელოვანია თუ არა ტრადიციის შენარჩუნება, თუნდაც მასალის, ტექნი-კის თვალსაზრისით და რა აუცილებელ ცოდნას სძენს ეს თანამედროვე ხელოვანს. შესაძლოა, პირიქით, ყოველ მომდევნო თაობას სჭირდება ისეთი მასალა, რომელიც განსხვავებული ჩანაფიქრის ხორცშესხმის საშუალებას მისცემს ავტორს.

ნაბიჯი 2- ხელოვანთან შეხვედრის შემდეგ დისკუსიის ჩატარება ტრადიციის შენარჩუნებისა და ნოვაციის დამკვიდრების თაობაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში.

ამ თემაზე დისკუსიის ჩატარება ორივე მოსაზრების მომხრეებს მისცემს მოტივაციას, მკაფიო არგუმენტები მოიფიქრონ საკუთარი პოზიციის დასაცავად. რაც უფრო კომპლექსურად იქნება საკითხი განხილული, უფრო ღრმა და ინფორმატიული იქნება პოზიციათა შეჯერება.

ნაბიჯი 3. ხელოვნება ჩვენს გარშემო — ხელოვნების ტრადიციული დარგები

ამ აქტივობის არსი ისაა, რომ ნებისმიერ რეგიონში, ქალაქად თუ სოფლად მცხოვრებ მოსწავლეს შეეძლოს მშობლიურ გარემოში ხელოვნების სხვადასხვა დარგის ოსტატების და ნამუშევრების მოძიება; ხელოვნების ტრადიციული დარგების მასალის, ტექნოლოგიის, სპეციფიკის გაცნობა.

აქტივობის დაგეგმვის ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობენ ხელოვნების ტრადიციული ადგილობრივი დარგების შესახებ. ბუნებრივია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული დარგებია განვითარებული. მაგ., აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ფარდაგი, ხალიჩების ქსოვა დღესაც

ტრადიციული დარგია. ხალხური რეწვის ამ დარგებს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი, ქისტი მოსახლეობაც მისდევს და ამ მხრივ, მათი კულტურის უფრო ახლოს გაცნობა დადებით როლს ითამაშებს მოსწავლეთა ესთატიკური აღზრდის საქმეში. სვანეთში ასეთ დარგებად ხეზე კვეთა და თექის დამუშავება ითვლება. მოსწავლეებმა ამ და ხელოვნების სხვა ტრადიციული დარგების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად უნდა მიმართონ მშობლებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებს და მათი დახმარებით დაადგინონ ქალაქისა თუ რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ხელოვნების ერთგვარი რუკა, რომელიც ასახავს როგორც თავად ხელოვნების დარგებს, ასევე მათი ტერიტორიული განლაგების გეოგრაფიას. ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით ქმედითი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ კულტურის მუნიციპალურ სამსახურებს, კულტურის ცენტრებს, რომლებიც კურირებენ ხალხური რეწვის სფეროს.

მოსწავლეები ამ ნუსხიდან ირჩევენ მათთვის საინტერესო ოსტატს/ოსტატებს და გეგმავენ მასთან ვიზიტს.

ნაბიჯი 4- ხალხური რეწვის ოსტატის სახელოსნოში

ტრადიციული ხალხური რეწვის ოსტატთან ვიზიტის დროს მოსწავლეები ეცნობიან ხელოვნების კონკრეტული დარგის სპეციფიკას. ოსტატი მოუთხრობს მათ მასალაზე, მის თვისებებსა და ტექნოლოგიურ პროცესზე. მაგალითად, თუ მოსწავლეები სტუმრად არიან ფარდაგის ან ხალიჩის მქსოველ ოსტატთან, მნიშვნელოვანია, რომ მათ ზუსტი წარმოდგენა შეექმნათ, როგორ ხდება უფროსი თაობის გამოცდილების გადაცემა უმცროსებისათვის. როგორც წესი, დაინტერესებული ახალგაზრდები უშუალოდ ძველი ოსტატებისგან ითვისებენ ამ პროფესიის თავისებურებებს. ტრადიციული კომპოზიციები, ორნამენტი, ფერთა შერჩეული გამა და მათი შეხამება ეროვნულ ტრადიციებს ეფუძნება და აგრძელებს მათ უკვე თანამედროვე პირობებში. ამგვარად, თაობიდან თაობას გადაეცემა ქართული ან აზერბაიჯანული ფარდაგის ან ნოხის ტექნოლოგიური და მხატვრული თავისებურებები.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებზეც გაამახვილონ ყურადღება. ცნობილია, რომ ძველად შალის ძაფიც და საღებავიც ბუნებრივი მასალისგან მზადდებოდა. დრომ გარკვეული კორექტივები შეიტანა ამ პროცესში, გაჩნდა ქიმიური საღებავები, რომლებიც გაცილებით უფრო სწრაფად, მაღალი ინტენსიობით ღებავს ძაფს. თუმცა, მოსწავლეები ქიმიური საღებავების გამოყენების ისეთ ასპექტებსაც უნდა შეეხონ, როგორიცაა გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიაზე ზრუნვა. ცხადია, დაუშვებელია ქიმიური ნარჩენების ლიკვიდაცია, მაგალითად, მდინარეში, რაც მთელი გარემოს დაბინძურებას გამოიწვევს. არანაკლებ საინტერესო თემაა შრომის უსაფრთხოების საკითხებიც.

ხალხური რეწვის ოსტატთან ვიზიტის დროს მოსწავლეებს სამუშაო იარაღების გაცნობის და მარტივი დავალებების შესრულების საშუალებაც ექნებათ, რაც კიდევ უფრო უკეთ დაანახებს მათ ხელოვნების კონკრეტული დარგის სპეციფიკას.

შენიშვნა: გამოყენებითი ხელოვნების ტრადიციული დარგის-მოჩითული ქსოვილის შესანიშნავი ნიმუშია ქართული ლურჯი სუფრა. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფუნქციონირებს სპეციალური კვლევითი და ტექნოლოგიური სახელოსნო „ლურჯი სუფრა“, რომლის ბაზაზეც დეკორატიული ქსოვილების ქართველმა სპეციალისტებმა აღადგინეს ლურჯი სუფრის თითქმის დაკარგული ტექნოლოგია. მათ გამოიკვლიეს ქსოვილის, საღებავის მომზადების და მოჩითვის ტრადიციული ტექნოლოგია, მუზეუმებში შემონახული ძველი საჩითავების მიხედვით აღადგინეს ტრადიციული ორნამენტი და მოჩითული ქართული სუფრის შექმნის ტრადიციას აზიარეს ხელოვანთა ახალგაზრდა თაობები. აღნიშნულ სახელოსნოში შესაძლებელია მოსწავლეებისთვის შეხვედრის და მასტერკლასის ორგანიზება, რაც თვალნათელ წარმოდგენას შეუქმნის მათ ადრე არსებული ხელოვნების ტრადიციული დარგების შენარჩუნების და განვითარების პროცესზე.

ნაბიჯი 5 - ხელოვნების პოპულარიზაციის თანამედროვე მეთოდები/გზები/ ხერხები

ინტერაქტივის კითხვები:

- როგორ გავხადოთ ხელოვნება ცნობადი და პოპულარული?
- სჭირდება თუ არა ხელოვნებას რეკლამა?

ამ აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეებმა თანამედროვე ხელოვანთან ან ხალხური რეწვის ოსტატთან ერთად გაიაზრონ ხელოვანისა თუ მისი შემოქმედების პოპულარიზაციის ეფექტური მეთოდები და თავად დაგეგმონ ამ მიმართულებით აუცილებელი ღონისძიებები.

მოსწავლეები ესაუბრებიან ხელოვანს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ხელოვნების ნაწარმოების პოპულარიზაცია; ვინ არის ჩართული ამ პროცესში და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი ავტორისათვის. ამ მხრივ, ხელოვნების ნებისმიერი დარგის წარმომადგენლებს პრაქტიკულად ეხმარება როგორც კურატორი, რომელიც მასთან ერთად მუშაობს გამოფენების ორგანიზებაზე, ასევე, ნებისმიერი სახის მედია, ინტერნეტი.

საქართველოში ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ გაჩნდა განსაკუთრებული ინტერესი სუვენირების, ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთების, არქეოლოგიური არტეფაქტების ასლების პროდუქციაზე. საინტერესო იქნება ამ საკითხებზე საუბარი და იმის გარკვევა, უწევს თუ არა გაზრდილი მოთხოვნა პოპულარიზაციას ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრებს, როგორი გამოცდილება აქვთ მათ ამასთან დაკავშირებით.

შესაძლებელია, მოსწავლეებს გაუჩნდეთ კონკრეტული ხელოვანის შემოქმედების ან თუნდაც რომელიმე ერთი ნამუშევრის ორიგინალური პრეზენტაციის იდეა (მაგალითად, ვიდეოს გადაღება, საზოგადოების აზრის გამოკითხვა, ესსეს შექმნა და პუბლიკაცია და ა. შ.).

სასურველია, ამ აქტივობის დროს მოსწავლეებმა საკუთარი აზრიც დააფიქსირონ, რომელი საინფორმაციო საშუალებით იგებენ ინფორმაციას კულტურის და

ხელოვნების საინტერესო მოვლენების, ხელოვანების, მათი ნამუშევრების შესახებ. ხელოვნების პოპულარიზაციის რომელი მეთოდები ახდენს მათზე, როგორც მაყურებელზე, განსაკუთრებით დიდ გავლენას. ეს გამოცდილება მათ დაეხმარებათ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, რომლის მიზანი სწორედ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლის ნამუშევრების პოპულარიზაცია იქნება.

უდავოა, რომ ინტერნეტსივრცე და სოციალური ქსელები კომუნიკაციის და ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო საშუალებებია. ამიტომ საინტერესო ხელოვანის შემოქმედების პოპულარიზაცია, ასევე გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე ტრადიციული დარგის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება სპეციალურად შექმნილი და ამ ქსელებში ატვირთული ვიდეო რგოლით ან ორიგინალური პრეზენტაციით შეიძლება. ამ სამუშაოს შესრულების დროს მნიშვნელოვანია ფუნქციების ზუსტად განაწილება.

მოსწავლეები უნდა შეთანხმდნენ ძირითად კონცეფციაზე; მაგალითად, ერთი ნამუშევარი იქნება ნაჩვენები თუ მთელი შემოქმედების რეტროსპექტივა. რამდენად საინტერესო იქნება სამუშაო პროცესის ჩვენება, როდესაც მაყურებელის თვალწინ მასალა იცვლის სახეს და ჩნდება ავტორის მიერ ჩაფიქრებული მხატვრული ფორმა. პრაქტიკულად ეს სამუშაო მოსწავლეებისგან მოითხოვს სახვითი ხელოვნების ისეთი ელემენტების გამოყენებას, როგორიც არის კომპოზიციის აგების პრინციპი, კადრირება, რაკურსი, რიტმი, სიმეტრია და ასიმეტრია. განწყობის შესაქმნელად და მაქსიმალური გამომსახველობის მისაღწევად განათების ეფექტების და მუსიკის გამოყენება შეიძლება.

ნაბიჯი 6 - მიღებული ინფორმაციის და ვიზუალური მასალის საფუძველზე ესსეს მომზადება ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენლის ან ხალხური რეწვის რომელიმე ოსტატის შემოქმედების შესახებ.

მოსწავლეებს შეუძლიათ შეგროვებული მასალის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით წარმოადგინონ:

- მოაწყონ სახელოსნოებში ორგანიზებული შეხვედრების დროს შეგროვებული ფოტომასალის გამოფენა სკოლაში. გამოფენა შესაძლებელია გაკეთდეს როგორც დარბაზში, ასევე, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მიხედვით ციფრულ ფორმატში (https://padlet.com/dashboard ან PowerPoint).
- დაწერონ ესსე რომელიმე ხელოვანის ან რეწვის ოსტატის, ან მათ რეგიონში/ქალაქში/სოფელში გავრცელებული ხალხური რეწვის დარგების შესახებ, რომელშიც განიხილავენ მათ შემოქმედებას და შემდეგ წარმოადგენენ ამ ესსეს აუდიტორიის წინაშე გამოფენის გახსნაზე.
  შენიშვნა: ესსეზე მუშაობა შესაძლებელია წარიმართოს ინდივიდუალურად და პრეზენტაციის მიმდინარეობისას თითოეული მოსწავლის ნაშრომი ცალკე იქნას წარმოდგენილი. შესაძლოა, აგრეთვე, მოსწავლეებმა გაინაწილონ ფუნქციები და მოამზადონ ესსეს ცალკეული ნაწილები, რომლებიც შემდეგ გაერთიანებული სახით იქნება წარდგენილი.
- მოსწავლეებს შეუძლიათ მოამზადონ ფლაერი ან ბუკლეტი მათ რეგიონში/ქა-

ლაქში/სოფელში გავრცელებული ხალხური რეწვის დარგების, კონკრეტული ოსტატების შესახებ;

შენიშვნა:
ბუკლეტის ან ფლაერის მომზადების შემთხვევაში მათ უნდა განახორციელონ შემდეგი სამუშაო:

- ფლაერის/ბუკლეტის ერთიანი კონცეფციის შემუშავება, შეგროვებული მასალიდან შესაბამისი ფოტომასალის შერჩევა, ტექსტის დაწერა და თარგმნა;
- ფლაერის მაკეტის დიზაინის შექმნა (შრიფტის, ფონის, კომპოზიციური განაწილების შერჩევა).

ამ შემთხვევაშიც ფუნქციები ნაწილდება მოსწავლეებს შორის. ერთი ნაწილი ამზადებს მაკეტის დიზაინს, მეორე წერს ტექსტს, მესამე ფოტოებს არჩევს, მეოთხე თარგმნის ტექსტს.

ბუკლეტის მომზადება იმ შემოქმედებით უნარებს გაუაქტიურებს მოსწავლეებს, რომლებიც აუცილებელია ზოგადად საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევის და პოპულარიზაციის პროექტის წარმატებით განსახორციელებლად.

რესურსი: ფლაერის/ბუკლეტის ტიპები და ტურისტული მარშრუტების სახეობები
https://l. messenger.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww. pinterest.com%2Fpin%2F242772854773014 08%2F&h=AT0nThjKqwzq0Q5XsbhaVG6prsFTQq9b80wPOrlnzshQsdmfqZgkeNxy2KOg7Hp6yWNSRvPJ7QMKvdiJhzms88RvsAbxgB7nT8wN2GU1Xo8y_PvCA46MktGzIT0RxC1WHRw
https://www. pinterest.com/pin/182325484902647011/
https://www.pinterest.com/pin/85427724169088206/?fbclid=IwAR0QMo2n-ip_j3nDrI-OAXTxEKzUYmdMwAwvD_CzUccuPYJfNs1ARMGQjkQ

ნაბიჯი 7 - შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალების შედეგების პრეზენტაცია.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ან/და ხალხური რეწვის სხვადასხვა დარგის გაცნობის შედეგად დაგროვილი ცოდნის და ვიზუალური მასალის წარდგენა სასკოლო აუდიტორიის, ასევე ხელოვნებით დაინტერესებული ფართო საზოგადოების წინაშე: მხატვრული ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება, ესსეს წარდგენა, მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტის პრეზენტაცია, უდავოდ, ხელოვნების ტრადიციული და ახალი დარგების პოპულარიზაციის, ცნობადობის და მოტივაციის ამაღლების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს და კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და მისი დაცვის საინტერესო გამოცდილებას შესძენს მოსწავლეებს.

ინტეგრაცია
ამ აქტივობის განხორციელებისას აუცილებელია ინტეგრაცია რამდენიმე სასკოლო დისციპლინასთან: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უცხო ენა (ტექსტი სასურველია იყოს ორენოვანი), მუსიკა. ამ პროდუქტის შექმნის

პარალელურად მოსწავლეები იკვლევენ, რომელი ორგანიზაციები არიან საზოგადოდ ჩართული მსგავს საქმიანობაში. ეს შეიძლება იყოს სარეკლამო კომპანიები, გამომცემლობები, კულტურის ცენტრები და სხვ.

თემა 3.

ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის მუზეუმები და მათი პოპულარიზაცია

დავალების პირობა

გაეცანით თანამედროვე სამყაროში არსებული მუზეუმების სახეობებს; შეისწავლეთ თქვენს მშობლიურ ქალაქში/რეგიონში/სოფელში არსებული რომელიმე მუზეუმი/მუზეუმები და მასში/მათში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; დაგეგმეთ სამუზეუმო ექსპონატების ახლებური ფორმით წარმოჩენის რამდენიმე ვარიანტი, შეიმუშავეთ მათი პოპულარიზაციის ორიგინალური ფორმები - ბუკლეტი/ფლაერი, პლაკატი, საფოსტო ბარათი, წიგნის სანიშნი და სხვ. პროექტის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრები წარადგინეთ დაინტერესებული საზოგადოების წინაშე.

პროექტის ეტაპები:

I ეტაპი- მუზეუმების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

ნაბიჯი 1- მუზეუმების სხვადასხვა სახეობების გაცნობა.

II ეტაპი-შესასრულებული სამუშაოს დაგეგმვა

ნაბიჯი 1. ინფორმაციის მოძიება რეგიონში არსებული მუზეუმების შესახებ და სამუშაოების დაგეგმვა

ამ ეტაპზე მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გეგმავენ ჩასატარებელ სამუშაოებს და ადგენენ გეგმა–გრაფიკს:

ი. კ.

- რა ტიპის მუზეუმები არსებობს?
- რა ფუნქციას ასრულებენ სხვადასხვა ტიპის მუზეუმები?
- როგორი მუზეუმებია ჩვენ ქალაქში, რეგიონში, სოფელში?
- რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე რომელიმე კონკრეტული მუზეუმის დათვალიერებისას?

III ეტაპი – ვიზიტი მუზეუმში და ადგილზე სამუშაოების ჩატარება

ნაბიჯი 1 - მუზეუმის გაცნობა.

- კონკრეტული ძეგლების/არტეფაქტების/ექსპონატების ადგილზე დათვალი-ერება
- ექსპონატების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიება
- ექსპონატების ფოტოფიქსაცია (ზოგ შემთხვევაში ამისთვის მუზეუმის

ადმინისტრაციის ნებართვა შეიძლება იყოს საჭირო).

- ექსპონატების ჩანახატების გაკეთება
- მუზეუმის/მუზეუმების ისტორიის გამოკვლევა
- მუზეუმში ვიდეოს გადაღება

IV ეტაპი – მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულა-რიზაციის ახალი ფორმების მოძიება და პრაქტიკულად განხორციელება

ნაბიჯი 1 – მუზეუმისა და მასში დაცული ძეგლების სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა

- ფლაერის კონცეფციის შექმნა, ტექსტებისა და ფოტომასალის მომზადება, დაკაბადონება და მისი ელექტრონული ვერსიისათვის საბოლოო სახის მიცემა.
- მუზეუმის პლაკატის/პლაკატების ციფრული მაკეტის/მაკეტების შექმნა
- საფოსტო ბარათებისა და წიგნის სანიშნების შექმნა
- ვიდეორგოლის შექმნა მუზეუმის შესახებ
- მუზეუმის ექსპონატების ვირტუალური გამოფენის შექმნა კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით

V ეტაპი – პრეზენტაცია:
მუზეუმის პოპულარიზაციისათვის შექმნილი პროდუქტების პრეზენტაცია დაინტერესებული საზოგადოების წინაშე

პროექტის აღწერა

I ეტაპი- მუზეუმების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

ნაბიჯი 1 - მუზეუმების სხვადასხვა სახეობების გაცნობა.

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ეცნობიან თანამედროვე სამყაროში არსებული მუზეუმის ტიპებს და აცნობიერებენ, რამდენი სახის მუზეუმი არსებობს; მაგ., სამხარეთმცოდნეო, ისტორიული, ხელოვნების მუზეუმი, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური მუზეუმი, სახლ-მუზეუმი, მუზეუმ-ნაკრძალი და სხვ. შესაძლოა, საქართველოს დიდ ქალაქებში ან რეგიონებში იყოს განსხვავებული ტიპის მუზეუმიც, მაგალითად, თბილისში რამდენიმე წლის წინ გახსნილი „ექსპერიმენტარიუმი“, რომელშიც დამთვალიერებელი სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტის მოწმე და მონაწილე ხდება.

ამ ინფორმაციის მოძიებაში მოსწავლეებს დაეხმარებათ საქართველოს მუზეუმების გზამკვლევი (იხ. რესურსები), რომელშიც თავმოყრილია საქართველოს ყველა რეგიონში არსებული მუზეუმები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად, კლასის რიცხოვ-ნებიდან გამომდინარე, სწორად დაგეგმოს ინფორმაციის მოძიების პროცესი. თუ ქალაქში ან რეგიონში მუზეუმების დიდი რაოდენობაა, შესაძლებელია, მოსწავლეები რამდენიმე ჯგუფად დაიყონ.

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები მსჯელობენ, რომელ

მუზეუმს/მუზეუმებს აირჩევენ თავისი ქალაქის, რეგიონის, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით. კონკრეტული რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით (ანუ რამდენი და რა ტიპის მუზეუმებია რეგიონში), მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი ირჩევს, რომელ მუზეუმს ესტუმრებიან გასაცნობად.

რესურსები:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=31

მუზეუმში მიმდინარე გამოფენები
https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=33

მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტები
https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=76

სამუზეუმო კოლექციები
https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=36

მუზეუმის სამეცნიერო კვლევითი პროექტები
https://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=37

საქართველოს მუზეუმები. გზამკვლევი. თბ. 2006
თბილისის მუზეუმები. გზამკვლევი. თბ. 2016
მუზეუმების შესახებ. კრებული. თბ. 2006

ელექტრონული რესურსები:

დადიანების სასახლე:
https://drive.google.com/file/d/14t-DaUHMSFVgH_aTyFJHlKphpwkx3bnF/edit

რუსთავის მუზეუმი —
https://drive.google.com/file/d/1wktRjYrRKQj1OzJnm4Hk8nfksszSNiCJ/edit

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი —
https://drive.google.com/file/d/1AYqpxsxD9OgjW25Poad3ryNNPsTIFWh5/edit

თელავის ისტორიული მუზეუმის გზამკვლევი —
https://drive.google.com/file/d/1uiPMylimp5QJpewd97V9okk5eGmVqF-g/edit

საქართველოს მუზეუმების გზამკვლევი —
https://drive.google.com/file/d/1ZlhAwh9nr_g585QopF2UI-nS4-frWytm/edit

თბილისის მუზეუმების გზამკვლევი —
https://drive.google.com/file/d/1EWmfgt0Y3Z9u95W_lAY47xst31_CG22V/edit

II ეტაპი - შესასრულებული სამუშაოს დაგეგმვა

ნაბიჯი 1. ინფორმაციის მოძიება რეგიონში არსებული მუზეუმების შესახებ და სამუშაოების დაგეგმვა

ამ ეტაპზე მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად გეგმავენ ჩასატარებელ სამუშაოებს და ადგენენ გეგმა–გრაფიკს: ქალაქში ან რეგიონში არსებული მუზეუმების სახეობების და რაოდენობის გათვალისწინებით იგეგმება მოსწავლეების ან მოსწავლეთა ჯგუფების ვიზიტი სხვადასხვა მუზეუმში.

ინტერაქტივის კითხვები:

- რა ტიპის მუზეუმები არსებობს?
- რა ფუნქციას ასრულებენ სხვადასხვა ტიპის მუზეუმები?
- როგორი მუზეუმებია ჩვენ ქალაქში, რეგიონში, სოფელში?
- რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე რომელიმე კონკრეტული მუზეუმის დათვალიერებისას?

III ეტაპი – ვიზიტი მუზეუმში და ადგილზე სამუშაოების ჩატარება

ნაბიჯი 1 - მუზეუმის გაცნობა.

- კონკრეტული ძეგლების/არტეფაქტების/ექსპონატების ადგილზე დათვალიერება
- ექსპონატების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიება
- ექსპონატების ფოტოფიქსაცია (ზოგ შემთხვევაში ამისთვის მუზეუმის ადმინისტრაციის ნებართვა შეიძლება იყოს საჭირო).
- ექსპონატების ჩანახატების გაკეთება
- მუზეუმის/მუზეუმების ისტორიის გამოკვლევა
- მუზეუმში ვიდეოს გადაღება

მოსწავლეები/მოსწავლეთა ჯგუფები გეგმავენ მუზეუმში ვიზიტს და ვიზიტის დროს შესასრულებელ სამუშაოს: ექსპონატების დათვალიერება, ინფორმაციის შეგროვება, ჩანახატების გაკეთება, ვიდეოგადაღება, კომუნიკაცია მუზეუმის თანამშრომლებთან. სასურველია, ვიზიტის დროს მათ ჰყავდეთ გიდი, რომელიც დაწვრილებით მოუყვება სამუზეუმო ექსპონატების შესახებ.

მოსწავლეები გასაცნობად ესტუმრებიან შერჩეულ მუზეუმს.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეები მუზეუმის თანამშრომლებისაგან დაწვრილებით ინფორმაციას იღებენ ექსპონატების წარმომავლობის შესახებ. ამავე დროს, ისინი ჩაინიშნავენ განსაკუთრებით საინტერესო ექსპონატებს და მათ შესახებ არსებულ ინფორმაციას. შესაძლოა, საინტერესო აღმოჩნდეს თავად მუზეუმის შექმნის ისტორია და ის, თუ ვის სახელს უკავშირდება ის. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მუზეუმების დაარსების ისტორია სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციასთან არის დაკავშირებული და, ზოგჯერ, საკმაოდ დრამატულ ხასიათს ატარებდა.

შენიშვნა: უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, მუზეუმში ვიზიტის თარიღი აუცილებლად უნდა ყოფილიყო წინასწარ შეთანხმებული მუზეუმის ადმინისტრაციასთან, რომელიც რეგულაციის ნორმების გათვალისწინებით

უზრუნველყოფდა ვიზიტის უსაფრთხოებას. საზოგადოდ, პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი წინპირობაა მისი სწორი მენეჯმენტი, რაც, ბუნებრივია, დროის მენეჯმენტის საკითხსაც მოიცავს. ამდენად, წინასწარ შეთანხმებული ვიზიტი ნებისმიერ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება იქნება და საშუალებას მისცემს მასწავლებელს და მოსწავლეებს შეუფერხებლად შეასრულონ ყველა დაგეგმილი აქტივობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუზეუმების უმრავლესობა ორშაბათს არ მუშაობს.

მოსწავლეები ასევე ეცნობიანმუზეუმის ვებგვერდს (არსებობის შემთხვევაში) და მასზე ექსპონატების შესახებ არსებულ ინფორმაციას.

მნიშვნელოვანი იქნება, თუ მოსწავლეები მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას მათ მიერ ნანახი და განსაკუთრებულად საინტერესო ექსპონატების შესახებ ინტერნეტში, სხვა მუზეუმების ვებგვერდებზე და კოლექციებში. სხვა მუზეუმებში ტიპოლოგიურად მსგავსი ძეგლების არსებობის შემთხვევაში, ნაყოფიერი იქნება, თუ მოსწავლეები შეადარებენ მათ ერთმანეთს; შეეცდებიან, მოიძიონ ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში. **(იხ. დიმ 2)** საინტერესო იქნება ამ ეტაპზე პროექტის განხორციელებაში ისტორიის პედაგოგის ჩართვა, რომელიც კონსულტაციას გაუწევს მოსწავლეებს ექსპონატების ისტორიაზე, მათი დათარიღების თაობაზე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატების გაცნობისას მოსწავლეებისთვის საინტერესო იქნება ადგილობრივი ძეგლების გაცნობა. ასეთი შეიძლება იყოს, მაგ., ეკლესიის ჩუქურთმის ფრაგმენტი, არქეოლოგიური მასალა-კერამიკა, სამკაული, სამუშაო იარაღები და სხვ. ეს ექსპონატები ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა და აქტივობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად გადაიქცევა.

IVეტაპი– მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის ახალი ფორმების მოძიება, დაგეგმვა და პრაქტიკულად განხორციელება

ნაბიჯი 1-მუზეუმისა და მასში დაცული ძეგლების სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა. მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის ახალი ფორმების მოძიება.

მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ ინფორმაციას და მსჯელობენ იმის შესახებ, რა ფუნქცია აკისრია მუზეუმს, როგორ ასრულებს მუზეუმი ამ ფუნქციას, რამდენად მიმზიდველია მუზეუმი და მისი ექსპოზიცია ქართველი თუ უცხოელი დამთვალიერებლებისათვის. მოსწავლეების მთავარი ამოცანაა მოიფიქრონ, როგორ შეიძლება პოპულარიზაცია გაუწიონ იქ დაცულ კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატებს და რა საშუალებების გამოყენება შეიძლება ამ ამოცანის გადასაჭრელად. ამოწმებენ, არის თუ არა მუზეუმის ვებგვერდზე ინფორმაცია უცხო ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე მოიპოვება, გეგმავენ მისი შეძლებისდაგვარად შევსების და გადათარგმნის სამუშაოს.

ძეგლების ეფექტური ვიზუალიზაციის თვალსაზრისით მათ კონსულტაცია დასჭირდებათ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგთან მოსწავლეებს გაკეთებული აქვთ საინტერესო ძეგლების ჩანახატები. ისინი მსჯელობენ როგორ შეიძლება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით მოხდეს მათი ეფექტური ვიზუალიზაცია, მაგალითად, ექსპონატების სამგანზომილებიანი გამოსახულებების შექმნა, ან სპეციალური პროგრამის გამოყენებით მუზეუმის ვირტუალური ექსპოზიციის შექმნა ქართულ და უცხო ენაზე დართული განმარტებითი ტექსტით.

მოსწვლეებს შეუძლიათ მოიფიქრონ და დაგეგმონ მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი (18 მაისი) მიძღვნილი ღონისძიებები.

ნაბიჯი 2. მუზეუმის და მისი ექსპონატების პოპულარიზაციის პროგრამისა და დამხმარე თვალსაჩინოებების შექმნა.

შესასრულებელი სამუშაობის სახეობები:

- ფლაერის კონცეფციის შექმნა, ტექსტებისა და ფოტომასალის მომზადება, დაკაბადონება და მისი ელექტრონული ვერსიისათვის საბოლოო სახის მიცემა.
- მუზეუმის პლაკატის/პლაკატების ციფრული მაკეტის/მაკეტების შექმნა
- საფოსტო ბარათებისა და წიგნის სანიშნების შექმნა
- ვიდეორგოლის შექმნა მუზეუმის შესახებ
- მუზეუმის ექსპონატების ვირტუალური გამოფენის შექმნა კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით

მუშაობის ამ ეტაპზე მოსწავლეები ქმნიან მუზეუმის საინფორმაციო ორენოვანი ფლაერის მაკეტს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ძირითადი ინფორმაცია მუზეუმის შესახებ და გამოყენებული იქნება განსაკუთრებული მნიშვნელობის რამდენიმე ექსპონატი. ამ ეტაპზე მოსწავლეებმა თავი უნდა მოუყარონ მოპოვებულ მასალას. მათ უნდა შეარჩიონ ამ მუზეუმში დაცული მხატვრული მნიშვნელობის თვალსაზრისით ყველაზე ღირებული ექსპონატები და მათზე დაწერონ მცირე ზომის ტექსტები, რომელებიც უნდა იყოს მოკლე, სხარტი და ინფორმაციული. ასევე ეს ტექსტები უნდა იყოს ორენოვანი (ქართულ და რომელიმე უცხო ენაზე) და ამაში მოსწავლეებს უცხო ენის მასწავლებლების კონსულტაცია დაჭირდებათ. შესაძლებელია, რომ ფლაერის მაკეტზე რამდენიმე მოსწავლემ ერთობლივად იმუშაოს.

მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა უნდა იმუშაოს ფლაერის ელექტრონული ვერსიის დაკაბადონებაზე. ფლაერი უნდა იყოს ინფორმაციული და მხატვრული თვალსაზრისით (კომპოზიცია, ფერადოვნება, შრიფტი, გამოსახულებათა რიტმი და სხვ.) გააზრებულად გადაწყვეტილი.

მოსწავლეთა კიდევ ერთმა ჯგუფმა შესაძლებელია იმუშაოს მუზეუმის სარეკლამო პლაკატის შექმნაზე (შესაძლებელია პლაკატის რამდენიმე ვარიანტის შექმნა), რომელზეც ისინი ამ კონკრეტული მუზეუმის ყველაზე გამორჩეულ ექსპონატებს გამოსახავენ; ამისთვის მათ დასჭირდებათ შესაბამისი კომპოზიციური

გადაწყვეტის შერჩევა, შრიფტის, პლაკატის ფერის და სხვ. მხატვრული კომპონენტების გათვალისწინება

თითოეულ მოსწავლეს შეუძლია შექმნას რამდენიმე საფოსტო ბარათი ან წიგნის სანიშნები გამორჩეული ექსპონატის ფოტოთი და ორენოვანი განმარტებითი ტექსტით, რომლის მსგავსიც მსოფლიოს უამრავ მუზეუმში იყიდება ხოლმე.

მოსწავლეები ქმნიან ვიდეორგოლს მუზეუმის შესახებ, რომელშიც მოკლედ იქნება წარმოჩენილი ამ მუზეუმის მნიშვნელობა, მათ შეუძლიათ გამოიყენონ მუსიკა, რაშიც შესაძლოა მათ დახმარება გაუწიოს მუსიკის პედაგოგმა.

საინტერესო იქნება თუ მოსწავლეები იმსჯელებენ, როგორი სახის სუვენირების შექმნა შეიძლება ამა თუ იმ ექსპონატის გამოსახულებით, ან საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინში როგორ შეიძლება მათი გამოყენება, რაც, ასევე, მათ პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს (მაგალითად, პრინტის სახით სამოსზე, ჩანთებზე, რვეულების ყდაზე, კალენდარებზე და ა. შ.).

ასევე, კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (https://padlet.com/dashboard) მოსწავლეები ქმნიან ვირტუალურ ექსპოზიციას, რომელშიც კონკრეტული მუზეუმის ღირსშესანიშნავ ექსპონატებს გააცნობენ მაყურებელს.

V ეტაპი – პრეზენტაცია:
მუზეუმის პოპულარიზაციისათვის შექმნილი პროდუქტების პრეზენტაცია დაინტერესებული საზოგადოების წინაშე.

მოსწავლეების მიერ შექმნილი ყველა პროდუქტის -ფლაერის მაკეტის, პლაკატე-ბისა და საფოსტო ბარათების, ვიდეორგოლისა და ვირტუალური ექსპოზიციის პრეზენტაცია მოხდება სასკოლო საზოგადოების, მშობლების წინაშე. ვირტუალური გამოფენის ვიდეორგოლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით შეიძლება განთავსდეს სპეციალურ პორტალზე. ასევე, კონკრეტული მუზეუმების ვირტუალური გამოფენების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საინფორმაციო-ტურისტულ ვებგვერდებზე.

VI ეტაპი - განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება:

ნაბიჯი 1- პროექტის დასკვნით ეტაპზე, მონაწილეები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისაუბრებენ, თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება აქვთ განხორციელებული პროექტის მიმართ.

შენიშვნა: *პროექტი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ თემას. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესის დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა სახის პროდუქტს შემაჯამებელი დავალების ფარგლებში და წარადგენენ მათ დაინტერესებული საზოგადოების წინაშე. მათ მიერ შექმნილ ნაშრომებში: ესსე, ჩანახატები, ძეგლების ფოტოები, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის*

მიზნით შექმნილი ფლაერები/ბუკლეტები, გადაღებული ვიდეოები და ორგანიზებული გამოფენები თავმოყრილი და გამოვლენილია სახვითი და გამოყენებითი, ასევე, მომიჯნავე სასკოლო დისციპლინების ფარგლებში შეძენილი ცოდნა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარები. განხორციელებული პროექტის განხილვა მკაფიოდ დაანახებს მოსწავლეებს მიღწეულ წარმატებასაც და გასავითარებელ მხარეებსაც.

დ.ი.მ. 1. მუზეუმს ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ერის ყველაზე განათლებული წარმომადგენლები ქვეყნის განვითარების პირობად განათლებას, საკუთარი კულტურის ისტორიის გაცნობას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას და ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას თვლიდნენ. სწორედ ამ მიზნით ეწყობოდა ექსპედიციები საქართველოს რეგიონებში, რათა აღნუსხულიყო არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ჭედური თუ ხელოვნების სხვა დარგების ნამუშევრები. და, რასაკვირველია, მაშინვე გაჩნდა იდეა, რომ უნდა შექმნილიყო მუზეუმი, სადაც ხელოვნების ნიმუშები დაიდებდა ბინას. ამის გაკეთება საკმაოდ ძნელი იყო და XX საუკუნის პირველ ნახევარში ქრთული კულტურის ისეთი მოამაგენი, როგორიც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი და მრავალი სხვა, თავდადებით შრომობდნენ, რომ შეეგროვებინათ და დაკარგვას, გაყიდვას გადაერჩინათ ხელოვნების უიშვიათესი ნაწარმოებები. საქართველოში ბოლშევიკთა მიერ განხორციელებული ანექსიისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ დიდი რუდუნებით შეგროვებულ უამრავ ისტორიულ ექსპონატს საფრთხე დაემუქრა. საბჭოთა ქვეყნის მესვეურები, კომისრები ანგრევდნენ ეკლესიებს, ძარცვავდნენ მათ, ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც საუკუნეების განმავლობაში იყო შექმნილი და თავმოყრილი ტაძრებში. მუზეუმის საცავებში დაცული ექსპონატებიც, მათი აზრით, რელიგიური კულტის ნაწილი იყო და არავითარი ღირებულება არ გააჩნდა. მაგალითად, თბილისის მეტეხის ტაძარში თავმოყრილი სიძველეების გასანადგურებლად მისულ საბჭოთა კომისრებს უმნიშვნელოვანესი ძეგლები, ისტორიული საბუთები გადამალული დახვდათ. მუზეუმის თანამშრომლების თავდადებამ შემოგვინახა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც დღეს ჩვენი ისტორიის და ხელოვნების მუზეუმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

დ.ი.მ. 2. სამუზეუმო ექსპონატების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ექნებათ საშუალება ინტერნეტში მოიძიონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო ამა თუ იმ ნივთის შესახებ. როგორც ცნობილია, გარდა ადგილობრივი წარმოების ნივთებისა, მუზეუმების საცავებში დაცულია სხვა ქვეყნების ხელოვნების, იარაღის, სამოსის ნიმუშები. საინტერესო იქნება ტიპოლოგიურად მსგავსი ნივთების აღმოჩენა, მათი შედარება.

განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ექსპონატების შედარება საქართველოს და უცხო ქვეყნების სამუზეუმო ფონდებიდან, რომლებიც ტიპოლოგიურად მონათესავეა, მაგალითად, ანტიკური ხანის ბერძნული და კოლხური დიადემები. მათი დაკვირვებით შესწავლა, შედარება და ანალიზი მოსწავლეებს ვიზუალური

მსგავსების მიუხედავად ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების თავისებურებებსაც გააცნობს.

პროექტის დასკვნითი ნაწილი (პროექტის შედეგების პრეზენტაცია)
მთელი სემესტრის განმავლობაში მოსწავლეებმა იმუშავეს პროექტზე, რომლის მიზანია საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია სამი მიმართულებით:

ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა
რეგიონში/ქალაქში/სოფელში მოღვაწე ხელოვანები და ხალხური რეწვის გავრცელებული ტრადიციული დარგები (მაგალითად, კერამიკა, თექა, ფარდაგი, ხალიჩა, ხის დამუშავება და სხვ.);

ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის მუზეუმები
პროექტის შედეგების მისაღწევად დაიგეგმა და შესრულდა სხვადასხვა სახის აქტივობა, რაც დაეხმარა მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაობაზე, მათ სახეობებზე. გაეცნობიერებინათ, საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის რომელი ძეგლებია აღიარებული მსოფლიო მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილად და იმყოფებაUNESCO-ს დაცვის ქვეშ. ამავე დროს, მოსწავლეებმა გამოიკვლიეს მშობლიური კუთხის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შეაგროვეს ინფორმაცია მათ შესახებ, გაეცნენ ადგილობრივი მუზეუმების ექსპონატებს, ესტუმრნენ ადგილობრივ ხელოვანებს და ხალხური რეწვის ოსტატებს, მათ მიერ მოგროვებული ინფორმაცია საქართველოს კონკრეტული კუთხის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ გადამუშავებული სახით წარმოდგენილი იქნება პრეზენტაციის დროს, რომელიც ამ მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მათ საკუთარი ხელით შექმნეს სხვადასხვა ტიპის პროდუქტი და ამ პროცესში გამოიყენეს წინა წლებში ამ საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები.

დავალების ტიპები:
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო მასალის მოძიება და დამუშავება
- ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- შეხვედრები ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან, ინტერვიუსთვის კითხვარის შემუშავება, ინტერვიუს აღება, დამუშავება;
- ესსეს დაწერა
- ხელოვნების ნაწარმოებების (მატერიალური და ვირტუალური ფორმით) გამოფენის ორგანიზება;
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო ფლაერების/ბუკლეტების მომზადება, პლაკატის, საფოსტო ბარათის, წიგნის სანიშნის მომზადება;
- ფოტომასალის და ვიდეორგოლების გადაღება;

- პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

საბოლოოდ კი სასკოლო საზოგადოების, კულტურის სამსახურის, მშობლების, მეგობრების თანდასწრებით ეწყობა ჩატარებული სამუშაოს პრეზენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მრავალ ელემენტს.

პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი ძეგლების მდგომარეობა შეისწავლეს, დააფიქსირეს მათი დაზიანებები, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს შესთავაზონ, გახდნენ მოხალისე დამკვირვებლები, რომლებიც პერიოდულად მონიტორინგს გაუწევენ ძეგლებს და მიაწვდიან ინფორმაციას სააგენტოს ძეგლების მდგომარეობის შესახებ.

ასევე, მოსწავლეთა ინიციატივით, რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რუკა და ტურისტული მარშრუტი შეიძლება გასაცნობად გაიგზავნოს ტურიზმის სააგენტოში. სკოლას შეუძლია შესთავაზოს სააგენტოს უცხოელი ტურისტების ვიზიტის დროს მოსწავლეთა მიერ გიდის ფუნქციის შესრულება იმ ახალ ლოკაციებზე, რომლებზეც მათ იმუშავეს (მაგალითად, ხალხური რეწვის ოსტატებთან სახელოსნოში, ხელოვნების სხვა დარგში მომუშავე შემოქმედის სახელოსნოში და სხვ.)

რომელიმე მუზეუმმა შესაძლებელია გამოიყენოს მოსწავლეების მიერ გადა-ღებული ვიდეორგოლი, პლაკატები, საფოსტო ბარათები

პროექტის ერთიანი პრეზენტაცია აიტვირთება სპეციალურ პორტალზე და ხელმისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისათვის.

მასწავლებლის რეფლექსია
რეფლექსია— თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების შევსება;

კრიტერიუმი	**კარგი**	**საშუალო**	**სუსტი**
თემატიკა საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			

განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველ-ყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციების წორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის შედეგი.			
რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს და ამოცანებს რესურსები.			
რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის სტრუქტურა.			
რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანამიმდევრობა)			

პროექტი 1
პროექტის ტიპი: კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

შექმნილი ბუკლეტის/ფლაერის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი_____

ქვეცნებები:

ელემენტები:

ხაზი: სხვადასხვა ტიპის - სწორი, ტეხილი, კონტური, შტრიხი;

ფორმა: გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი ფორმები;

ფერი: ძირითადი, შედგენილი, კონტრასტული; შუქ-ჩრდილი, განათება; ფაქტურა

პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, ფორმატზე მთავარის გამოყოფა სხვადასხვა ხერხით, სიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, კონსტრუქცია, მასშტაბი, რიტმი, კოლორიტი

არქიტექტურის, სახვითიდა გამოყენებითი ხელოვნების დარგები: არქიტექტურა, ქანდაკება (რელიეფი), ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა, დეკორატიული ქსოვილები (მაგ, თექა, ხალიჩა, ფარდაგი), ფოტოგრაფია, ვიდეო,

ჟანრები: პეიზაჟი

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: ძველი და თანამედროვე ქართული ხელოვნება, ძველი მსოფლოს ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, ხატვა, ხაზვა, კომპიუტერული გრაფიკა, ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება;

ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში შესასრულებელი დავალების პირობა:

- განსაზღვრეთ, რა ნიშნების მქონე ძეგლი შეიძლება გახდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; გამოიკვლიეთ თქვენს მშობლიურ ქალაქში/რეგიონში/სოფელში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გააანალიზეთ მათი ძირითადი მხატვრული და სტილისტური თავისებურებები, მოიძიეთ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია და შექმენით ამ ძეგლების ტურისტული მარშრუტი,

რომელშიც ეს ძეგლები წარმოჩენილი იქნება სხვადასხვა ხასიათის ბუკლეტების, ფლაერების ფორმით, რასაც თანდართული ექნება ორენოვანი განმარტებითი ტექსტები. ასევე, შექმენით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე თანმხლები გიდის ორენოვანი ტექსტი აღნიშნული ძეგლების შესახებ ისტორიული, კულტურული, სახელოვნებათმცოდნეო ინფორმაციით. სხვადასხვა ფორმით ბუკლეტები, ფლაერები, მოახერხეთ მათი პოპულარიზაცია. • შეისწავლეთ მშობლიურ ქალაქში/რეგიონში/სოფელში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენლების ან/და ხალხური რეწვის ოსტატების შემოქმედება, გააანალიზეთ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნაწარმოების შექმნის სპეციფიური ნიშნები, მასალა, ტექნიკა; მოიძიეთ და დაამუშავეთ მასალა ხელოვნების ამ დარგების შესახებ; დაგეგმეთ შეხვედრები შერჩეულ ხელოვანთან/ოსტატთან, მოამზადეთ მასთან ინტერვიუს ჩასატარებლად საინტერესო კითხვები, • გადაიღეთ მათი ნამუშევრების ფოტოები, შსაძლებლობის ფარგლებში ვიდეოს სახით ასახეთ ნამუშევრის შექმნის პროცესი; შეხვედრის დროს იმსჯელეთ ხელოვნების ტრადიციულ და ახალ, ინოვაციურ თავისებურებებზე (მასალა, ტექნიკა), გააანალიზეთ მათი წარმოშობის მიზეები; შეგროვებული ვიზუალური მასალის და მიღებული ცოდნის საფუძველზე მოამზადეთ ესსე ხელოვნების ამ დარგების წარმომადგენელთა შემოქმედების შესახებ; მოაწყვეთ მათი ნამუშევრების ფოტოგამოფენა, შექმენით მათი ნამუშევრების ამსახველი ბუკლეტი/ფლაერი და ამით პოპულარიზაცია გაუწიეთ მათ ფართო საზოგადოების წინაშე. • გაეცანით თანამედროვე სამყაროში არსებული მუზეუმების სახეობებს; შეისწავლეთ თქვენს მშობლიურ ქალაქში/რეგიონში/სოფელში არსებული რომელიმე მუზეუმი/მუზეუმები და მასში/მათში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; დაგეგმეთ სამუზეუმო ექსპონატების ახლებური ფორმით წარმოჩენის რამდენიმე ვარიანტი, შეიმუშავეთ მათი პოპულარიზაციის ორიგინალური ფორმები - ბუკლეტი/ფლაერი, პლაკატი, საფოსტო ბარათი, წიგნის სანიშნი და სხვ. პროექტის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრები წარადგინეთ დაინტერესებული საზოგადოების წინაშე

კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლის მიერ (თანაკლასელებთან თანამშრომლობით) შემუშავებული ბუკლეტის/ ფლაერის ერთიანი კონცეფცია საინტერესოა, ვინაიდან ფლაერი/ბუკლეტი ასახავს კვლევის შედეგებს მათ რეგიონში/ქალაქში/სოფელში გავრცელებული ხალხური რეწვის დარგების, კონკრეტული ოსტატების შესახებ; გათვალისწინებულია ყველა დეტალური მონაცემი (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა, შრიფტის, ფონის, კომპოზიციური განაწილების შერჩევა, სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები. შეგროვებული მასალიდან შერჩეულია შესაბამისი ფოტო-მასალა, სადაც კარგადაა გამოკვეთილი საველე სამუშაოებზე, კვლევის შედეგად შეგროვებული მასალის,საკვლევი ობიექტის ყველაზე სახასიათო ნიშნები. ბუკლეტის/ფლაერის ტექსტი მოკლე და ინფორმაციულია, მოიცავს არსებით ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ, თარგმანი დავალების ადექვატურია. ფლაერის მაკეტის დიზაინი ეფექტურად გამოყენებულია ციფრული ტექნოლოგიები. შესრულებულ ფლაერში, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითადის გამოყოფაზე. სიღრმისეულად მსჯელობს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნაწარმოების შექმნის სპეციფიურ ნიშნებზე, მასალასა თუ ტექნიკაზე, წარმართავს შეხვედრებს შერჩეულ ხელოვანთან/ოსტატთან, საკუთარი რეგიონის,ქალაქისა თუ სოფლის პოპულარიზაციისთვის შექმნილი ყველა პროდუქტის (ფლაერის მაკეტი, პლაკატებისა და საფოსტო ბარათების, ვიდეორგოლისა და ვირტუალური ექსპოზიციის) პრეზენტაციას ახდენს სასკოლო საზოგადოების, მშობლების წინაშე. პროექტის მიმდინარეობისას მიღწეულ შედეგებს წარადგენს ლოგიკური, თანმიმდევრული			

	ფორმით. საუბრობს თუ რა იდეას ემსახურებოდა პროექტი; რა ტიპის სამუშაოები ჩაატარა პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე; ნამუშევრების წარდგენისას, აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მიმიკის, ჟესტიკულაციისა და ინტონაციის გამოყენებით. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს ინტეგრირებული პროექტის დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას ნამუშევრების წარდგენისას.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	დავალების პირობის შესაბამისად, შემუშავებული ბუკლეტი/ფლაერში ძირითადად გათვალისწინებულია სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები. ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად, მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე,მათ	დავალების პირობის შესაბამისად, შემუშავებულ ბუკლეტში/ფლაერში ძირითადად გათვალისწინებულია სახვითი ხელოვნების შესაბამისი ტექნიკა და მასალა. ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს სახვითი ხელოვ-	დავალების პირობის შესაბამისად, შემუშავებულ ბუკლეტში/ფლაერში ძირითადად გათვალისწინებულია სხვადასხვა დარგების მახასიათებელები. ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს დარგებისა თუ ჟანრების არსობრივ მახასიათებლებზე, გამოკვეთს მიმარ-	დავალების პირობის შესაბამისად, შემუშავებულ ბუკლეტში/ფლაერში ძირითადად გათვალისწინებულია ძველი და თანამედროვე ქართული ხელოვნების სახასიათო ნიშნები. ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს, სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის, მიმდინარეობის, სტილის სახასიათო ნიშნებსა თუ მხატვრულ

	ურთიერთმიმართებაზე.	ნების ტექნიკისა თუ მასალის არ-სობრივ მახასი-ათებლებზე და ეს მახასიათებლები როგორ არის ურთიერთდაკავში რებული, გამოყე-ნებული შემოქ-მედებითი ამოცა-ნის, იდეის შესა-ბამისად.	თებებს. ასაბუთებს თავის მოსაზრებას. აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას	მახასიათებლებზე. ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად,მოსწავლეს ზოგადად,უსისტემოდ აქვს გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებები თუ ხერხები. პრეზენტაციისას, ასახელებს რამდენიმე მასალას და ტექნიკას. შეუძლია რამდენიმე მახასიათებელსა და თვისებაზე საუბარი. ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს.	დავალების პირო-ბის შესაბამისად, მოსწავლეს ზოგა-დად, უსისტემოდ აქვს გამოყენე-ბული შესაბამისი მასალა თუ ტექ-ნიკა. დავალების პირობის შესა-ბამისად, მოსწავ-ლე ზოგადად, უსისტემოდ საუბ-რობს მასალისა და ტექნიკის	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავ-ლე ზოგადად, უსისტემოდ განიხი-ლავს დარგის სმახასიათებლებს. ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე უსისტემოდ განიხილავს თუ სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის, მიმდინა-რეობის, სტილის სახასიათო ნიშნებსა თუ მხატვრული მახასი-ათებლებზე. ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს.

		მახასიათებლებ-ზე. ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს.		
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტური-რებული ასოციაცია/წარ-მოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ძირითადად უსისტემოდ იყენებს გამომსახველო-ბითი საშუალებებისა თუ ხერხების ერთ მახასიათებელს და შესაბამისად წარადგენს.	დავალების პი-რობის შესაბა-მისად, მოსწავლე ძირითადად უსისტემოდ იყენებს ტექნი-კისა და მასალის ერთ მახასიათე-ბელს და შესა-ბამისად საუბ-რობს.	დავალების პირობის შესაბამისად, მოს-წავლე ძირითადად უსისტემოდ ირჩევს შესაბამის დარგს და შესაბამისად საუბრობს მის ერთ მახასიათებელზე.	დავალების პირობის ესაბამისად, მოსწავლე ძირითადად უსისტემოდ ამახვილებს ყურადღებას. კულტურის, მიმდინარეო-ბის, სტილის მხოლოდ ერთ მახასიათებელზე.
პრე-სტრუქტურული დონე	მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.			

პროექტი 2.

პროექტის ტიპი: კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და დაცვა

საქართველოს რომელიმე მხარეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა

პროექტის თემა: **კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა**
პროექტის მიზანი მოსწავლეებმა შეისწავლონ მათ მიერ შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლი და შეიმუშაონ მისი პოპულარიზაციის გზები.
პროექტის შედეგი: **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • კონკრეტული ძეგლის კვლევა სხვადასხვა კუთხით; • შეძლოს ძეგლზე მუშაობა (მისი აღწერა, დაფიქსირება ჩანახატების, ფოტო და ვიდეოგადაღების მეშვეობით); • გამოიმუშაოს ძეგლის შესახებ საჭირო ლიტერატურის მოძიებისა და დამუშავების უნარი; • გამოიმუშაოს ესსესათვის საკითხების განსაზღვრისა და მისი დაწერის უნარი; • ძეგლის პოპულარიზაციისათვის გამოიმუშაოს ფლაერის შექმნის უნარი • გამოიმუშაოს საკუთარი ნამუშევრების წარდგენა აუდიტორიის წინაშე.
მკვიდრი წარმოდგენები • ნებისმიერი ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლი მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. • კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერი ძეგლის შესწავლა ქვეყნის ისტორიის ახალ ფურცელს შლის • კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კვლევა მრავალკომპონენტიანი პროცესია • კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია ხელს უწყობს საზოგადოებას საკუთარი იდენტობის გააზრებაში • კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში
სამიზნე ცნებები **სავითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსხველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** **ქვეცნებები** **ელემენტები:**

ფორმა: ფორმა-გეომეტრიული, სიბრტყობრივი, მოცულობითი.
ფერი: ძირითადი და შედგენილი, თბილი და ცივი, კონტრასტული; ტონი, ნახევარტონი, შუქ-ჩრდილი, განათება; ფაქტურა;
პრინციპები: ფორმატზე გამოსახულების კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, რიტმი;
არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების დარგები:
არქიტექტურა, კედლის მხატვრობა (თუ ის არის მოსწავლეების მიერ შერჩეულ ძეგლში)
ჟანრები: პეიზაჟი
სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: სხვადასხვა პერიოდის ქართული ხელოვნება;
სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხაზვა, ხატვა, ფერწერა, კომპიუტერული გრაფიკა,

საკვანძო შეკითხვები:

- რას აძლევს საზოგადოებას კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერი ძეგლის შესწავლა/კვლევა?
- როგორ და რატომ შეარჩიეთ საკვლევად კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და რა პარამეტრებით აპირებთ ამ ძეგლის კვლევას?
- რომელ დისციპლინებთან მოგიწევთ კვეთა ამ კვლევის ფარგლებში და რატომ?
- როგორ და რა ხერხებით აპირებთ ძეგლის პოპულარიზაციას?

პრიორიტეტული თემები:
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა — სხვადასხვა ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მუშაობა, კვლევა, დაცვა და პოპულარიზაცია;
კულტურული მრავალფეროვნება — საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმმადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ ტოლერანტობა, მათი დაცვა და პოპულარიზაცია, რაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის გამდიდრების წინაპირობაა.

გამჭოლი თემები:
პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს უვითარდება შემდეგი გამჭოლი უნარები და უყალიბდება შემდეგი ღირებულებები:
კრიტიკული აზროვნება — ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;
შემოქმედებითად აზროვნება — ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;
თანამშრომლობა — სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის

შესასრულებლად; კომუნიკაცია — ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; **კვლევა**— კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; **სწავლის სწავლა, დამოუკიდებელი საქმიანობა—** აქტივობის/დავალების დაგეგმვა — მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება —** ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში **წიგნიერება** — ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში. **საკითხი:** ნებისმიერი ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლის კვლევა და მისი პოპულარიზაციის გზების ძიება.
ინტეგრირება პროექტის ფარგლებში მოხდება ინტეგრირება შემდეგ დისციპლინებთან: • ისტორია • უცხო ენა • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები • მუსიკა თითოეული საგნის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები თავის როლს ასრულებს პროექტის განხორციელებაში, ამდიდრებს მომიჯნავე დარგებში მოპოვებული ინფორმაციით და ამთლიანებს მოსწავლეების წარმოდგენას სხვადასხვა პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის აუცილებლობის თაობაზე. სასურველია, მოსწავლეებს პროექტის მიმდინარეობისას ამ დისციპლინების პედაგოგებმა გაუწიონ სათანადო კონსულტაციები.
პროექტის მოკლე აღწერა: პროექტის ფარგლებში მოსწავლეები შეარჩევენ ქართული არქიტექტურის ერთ–ერთ ძეგლს, შეისწავლიან მას სხვადასხვა კუთხით და მოძებნიან მისი პოპულარიზაციის გზებსა და კონკრეტულ ფორმებს, რათა მოახდინონ ამ ძეგლის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებაში ინტეგრირება. კლასმა შეიძლება ერთ ძეგლზე იმუშაოს, შესაძლებელია, კლასი დაიყოს ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა თითო ძეგლის კვლევა ჩაატაროს.
განხორციელების ეტაპები: **ნაბიჯი 1.** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობის გარკვევა **ნაბიჯი 2.** კონკრეტული ძეგლის შერჩევა და სამუშაო გეგმის შედგენა

ნაბიჯი 3. ძეგლის მონახულება და სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოს ადგილზე ჩატარება
ნაბიჯი 4. ძეგლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურის გაცნობა/დამუშავება და ესსეს დაწერა
ნაბიჯი 5. ძეგლის შესახებ საინფორმაციო ფლაერის შექმნა
ნაბიჯი 6. ვიდეორგოლის შექმნა
ნაბიჯი 7. პრეზენტაცია

დავალების ტიპები:

- ესსეს დაწერა
- საინფორმაციო ფლაერის შექმნა
- ვიდეორგოლის გადაღება
- ჩანახატების და ფოტოების გამოფენის მოწყობა
- პრეზენტაცია – გიდი (ორენოვანი)

პროექტის მიმდინარეობა

დავალების პირობა:

შეარჩიეთ კულტურული მემკვიდრეობის რომელიმე არქიტექტურული ძეგლი და ჩაატარეთ მისი მრავალმხრივი კვლევა. შეისწავლეთ და გამოიკვლიეთ მისი მხატვრული მახასიათებლები და თავისებურებანი (გეგმა, ფასადები, შიდა სივრცე, ფასადების თუ ინტერიერის შემკულობა, ორნამენტი, მოხატულობა, წარწერები და სხვ.) და გამოავლინეთ ამ თავისებურებათა მიმართება იმ ეპოქასთან, რომელშიც შექმნილია ეს ძეგლი. განსაზღვრეთ თქვენ მიერ შერჩეული ძეგლის პოპულარიზაციის ფორმები (ესსე ძეგლის შესახებ, ძეგლის ჩანახატები და ფოტოები, რომლებსაც გამოფენთ, ვიდეორგოლი და ფლაერი ძეგლის შესახებ) და თქვენი ნაშრომი წარადგინეთ აუდიტორიის წინაშე.

ნაბიჯი 1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობის გარკვევა

კულტურული მემკვიდრეობის კვლევის და დაცვის პროექტის პირველი აქტივობა უნდა მიეძღვნას თავად ამ ცნების განხილვას. მასწავლებელმა და მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რას ეწოდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; რა მახასიათებლები უნდა გააჩნდეს ძეგლს იმისათვის, რომ მას ეს სტატუსი მიენიჭოს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ამ თვალსაზრისით არის ამა თუ იმ ობიექტის (მაგ., არქიტექტურის ძეგლი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, დამწერლობა, არქეოლოგიური მასალა და სხვ.) განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიასა და კულტურაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება იმის თაობაზე, რომ ასეთი მნიშვნელობა მხოლოდ მატერიალურ ძეგლებს არ გააჩნია. ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს ფოლკლორი, მუსიკა, კულინარია, ეპოსი თუ სხვა, ერმა შეიძლება შექმნას მაღალი მხატვრული, კულტურული თუ ისტორიული ღირებულების მქონე „პროდუქტი“, რომლის დაცვა ცივილიზებული საზოგადოების ვალია. სწორედ ამიტომ მთელ

მსოფლიოში აპრობირებული წესია ამგვარი ნიმუშებისათვის საგანგებო სტატუსის მინიჭება, რაც სამართლებრივადაც დარეგულირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით.

ი. კ.

- როგორ მატერიალურ ძეგლს მიანიჭებდით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს?
- ჩამოთვალეთ თქვენს მშობლიურ გარემოში არსებული განსაკუთრებული ძეგლები, რომლებსაც მიანიჭებდით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს?
- ქართული კულტურის რომელ არამატერიალურ, ე. წ. ხელშეუხებელ ძეგლებს მიაკუთვნებდით აღნიშნულ სტატუსს?

მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ინტერაქტივის კითხვებს და ჩამოთვლიან მათთვის ცნობილ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლებს, რასაც მასწავლებელი საგანგებოდ ჩაინიშნავს და მოსწავლეებს სთხოვს, დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია USESCO-ს სიაში მყოფი ქართული კულტურის როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ძეგლების შესახებ. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს დაეხმარებათ მითითებული ელექტრონული რესურსის ბმულები.

https://www.youtube.com/watch?v=IxWUrG5o9bU&t=22s
https://www.youtube.com/watch?v=tl2TrTxI45Y&list=PL32O3L6l6VJaKYeIedSBQXSrE7ikuh-Kq&index=3
https://www.youtube.com/watch?v=MjQpqBFWrwQ

საინტერესო იქნება მსჯელობის გაგრძელება ამ მიმართულებით, რათა მოსწავლეებმა დაასახელონ ის ძეგლები, რომლებსაც აღნიშნულ სტატუსს მიანიჭებდნენ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ USESCO-ს პატრონაჟის ქვეშ თავმოყრილია სრულიად უნიკალური ძეგლები მთელი მსოფლიოდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის გაცნობიერება, თუ რაში მდგომარეობს ასეთი ძეგლების დაცვა.

ი. კ.

- როგორ ფიქრობთ, რა საფრთხეები ემუქრება და რა ტიპის დაცვა სჭირდება უნიკალურ ძეგლებს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე გარემოებას:

1. წარსულის მატერიალური ძეგლები მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს.
2. შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამის გარემოს და პირობებს, თუ ძეგლები პორტატიულია (მაგალითად, კლიმატკონტროლის რეჟიმი).
3. თუ ძეგლები ღია სივრცეშია, მაგ., არქიტექტურული ნაგებობები, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გარემოს უარყოფითი ზეგავლენა (არ ჩადიოდეს წყალი, ქვა არ გამოიფიტოს ბუნებრივი კლიმატური პირობების ზეგავლენით და ა. შ.)

4. თუ ძეგლი საჭიროებს რესტავრაციას, ჩარევა უნდა განხოციელდეს ფრთხილად, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს მისი ავთენტური სახე.
5. არამატერიალური ძეგლების შემთხვევაში, მაგ., ქართული პოლიფონია, მნიშვნელოვანია ტრადიციის შენარჩუნება და გაგრძელება.
6. აუცილებელია საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა მსოფლიო გამოცდილებასთან და კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებაზე მკაცრი კონტროლი საზოგადოების მხრიდანაც.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს პირდაპირ განადგურების საფრთხე ექმნება მსოფლიოში მიმდინარე ომების, სამხედრო კონფლიქტების დროს. ავღანეთში, სირიაში, საქართველოში, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა არაერთი ასეთი ფაქტის წინაშე დააყენა მსოფლიო. ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის მსგავსად, თანამედროვე სამყარო აღშფოთებულია მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური მოვლენების – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურების ფაქტებითაც და ამასთან დაკავშირებით UNESCO მკაცრ გადაწყვეტილებებს იღებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ამ დანაშაულს სჩადიან.

ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეეებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაობის, მათი სახეობების მრავალფეროვნების შესახებ. გაცნობიერებული ექნებათ ისიც, რომ მემკვიდრეობის დაცვა არა მხოლოდ სახელმწი-ფოს, არამედ მთლიანად საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობაცაა.

იუნესკო-საქართველო

https://unesco.ge/?page_id=540

https://en. unesco. org/countries/georgia

https://mygeotrip.com/unesco-world-heritage-objects-georgia

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

https://unesco.ge/?page_id=568&lang=en

ნაბიჯი 2. კონკრეტული ძეგლის შერჩევა და სამუშაო გეგმის შედგენა

ძეგლის შერჩევის წინ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ჩაუტაროს ახსნა-განმარტება, თუ როგორ და რა პარამეტრებით შეარჩიონ ძეგლი. საქართველოს ნებისმიერ რეგიონში უამრავი არქიტექტურული ძეგლია და სასურველია, რომ მოსწავლეებმა რეგიონებში შეარჩიონ ისეთი, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა და მისი მონახულება რთული არ იქნება, რადგან მათ შესაძლოა რამდენჯერმე მოუწიოთ საველე სამუშაოების ჩატარება. არა მარტო ტაძარი, შეიძლება აირჩიონ საცხოვრებელი სახლი, ციხესიმაგრე, გალავანი, სამრეკლო და სხვ.

ინტერაქტივის შეკითხვები:

- იცნობთ თუ არა თქვენს რეგიონში არსებულ არქიტექტურულ ძეგლებს? გინახავთ ისინი? (ჩამოთვალეთ ისინი)
- რატომ შეარჩიეთ ესა თუ ის ძეგლი?

ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ სამუშაო გეგმის შედგენაზე, თუ რა სამუშაო ექნებათ მათ ჩასატარებელი, ამის მიხედვით მათ უნდა შეადგინონ გეგმა–გრაფიკი

გეგმა გრაფიკის ნიმუში:

არქიტექტურული ძეგლის კვლევა – გეგმა			
ნაბიჯები	**აქტივობა**	**საბოლოო პროდუქტი**	**ინტეგრაცია**
ნაბიჯი 2	ძეგლის შერჩევა	• ესსე • საინფორმაციო ფლაერი • ვიდეორგოლი • ჩანახატების და ფოტოების გამოფენა • პრეზენტაცია	• ისტორია • უცხო ენა • IT ტექნოლო-გიები • მუსიკა • •
ნაბიჯი 3	ძეგლის მონახულება და სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოს ადგილზე ჩატარება • ძეგლის აღწერა • ძეგლის ფოტოფიქსაცია • ჩანახატების გაკეთება • ვიდეოს გადაღება		
ნაბიჯი 4	• ძეგლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურის გაცნობა/დამუშავება • მოძიებული მასალის დამუშავება და ესსეს დაწერა		
ნაბიჯი 5	ძეგლის შესახებ საინფორმაციო ფლაერის შექმნა		
ნაბიჯი 6	ვიდეორგოლის შექმნა		
ნაბიჯი 7	პრეზენტაცია • ესსეს პრეზენტაცია • ჩანახატების და ფოტოების გამოფენა • ფლაერის პრეზენტაცია • ვიდეორგოლის პრეზენტაცია		

ნაბიჯი 3. ძეგლის მონახულება და სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოს ადგილზე ჩატარება

ძეგლზე უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

- ძეგლის აღწერა
- ძეგლის ფოტოფიქსაცია
- ჩანახატების გაკეთება
- ვიდეოს გადაღება

ამ ეტაპზე მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, გეგმავენ საველე სამუშაოსაც.

საველე სამუშაოების დროს ჯგუფის წევრებმა უნდა გაინაწილონ სამუშაო.
საველე სამუშაოების დროს ძირითადად ტარდება ორი ტიპის სამუშაო, რომელზეც წინასწარ უნდა შეირჩეს პასუხისმგებელი მოსწავლეები:

- ძეგლის აღწერა და საველე ჩანაწერების გაკეთება;
- ძეგლის ფოტოფიქსაცია და ვიდეოგადაღება.

ამ სამუშაოების ჩატარებისას ორივე ჯგუფის მუშაობა უნდა იყოს შეთანხმებული.

კონკრეტული ძეგლის მონახულებისას მოსწავლეებმა ყურადღებით უნდა დაათვალიერონ ძეგლები. განსაზღვრონ, რა არის ამა თუ იმ ძეგლში მნიშვნელოვანი და ამის მიხედვით გადაიღონ ძეგლის ცალკეული დეტალები თუ ფოტოები ფართო ხედით. იგივე უნდა იქნას გათვალისწინებული ჩანახატების გაკეთების შემთხვევაშიც. თუ იქნება საშუალება, მათ შეუძლიათ გადაიღონ ვიდეოც, რათა შემდეგ პრეზენტაციისას გამოიყენონ მათივე გადაღებული მასალა.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ძეგლის დათვალიერებისას დააფიქსირონ მისი დაზიანებები, შეამოწმონ, არის თუ არა დამთვალიერებლისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ძეგლის შესახებ-სახელწოდება, თარიღი, ტიპი. ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს ორ ენაზე და განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

დ. ი. მ.

ამ აქტივობისას ანუ ჩანაწერების კეთებისას და ძეგლის აღწერისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ მომენტებს, ფრაგმენტებს, საკითხებს, რომლებიც მას გამოადგება ძეგლის დათარიღებისათვის, მისი თავისებურებებისა და მხატვრული სახის გამოვლენისათვის.

შესაძლოა, მოსწავლეებს რამდენჯერმე მოუხდეთ ძეგლზე მისვლა და ამ დროს მათ უნდა აწარმოონ დღიური.

ძეგლის აღწერა

მასწავლებელმა წინასწარ უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ მათ ძეგლის აღწერა უნდა გააკეთონ შემდეგი პარამეტრებით:

- **ძეგლის გარემოსთან კავშირი**

  ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად ჰარმონიულადაა ესა თუ ის ძეგლი მოთავსებული მის გარემომცველ სივრცეში, როგორ ჩანს ის შორიდან თუ ახლო მანძილიდან და როგორ არის შეთანხმებული მისი პროპორციები გარემოსთან. მაგ., მცხეთის ჯვარი მთის წვერზე დგას და მისი პროპორციები ისეა შეხამებული მთის მასშტაბთან, რომ თითქოს ბუნებრივად აგვირგვინებს მთას. ყინწვისის ტაძარი კი სრულიად სხვა გარემოშია, ის ტყეშია და თავისი მდებარეობით შორი მანძილინად არ აღიქმება)

- **ძეგლის ტიპის განსაზღვრა**

  მოსწავლეებს წინა წლებში გავლილი აქვთ არქიტექტურის ტიპები (ბაზილიკა, ჯვარ–გუმბათოვანი ტაძარი, დარბაზული ეკლესია და სხვ.) და მათ არ უნდა გაუჭირდეთ ძეგლის ტიპის ამოცნობა.

- **შიდა სივრცის აღწერა**

  შიდა სივრცის აღწერისა და გაანალიზებისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სივრცის ხასიათზე, ძეგლის ტიპიდან გამომდინარე როგორი სივრცეა ამა თუ იმ ძეგლში – წაგრძელებული და სვეტების რიტმზე აგებული (როგორც ეს ბაზილიკებში გვაქვს, მაგ., ბოლნისის სიონსა და ანჩისხატში), თუ ერთიანი გუმბათით დაგვირგვინებული ხალვათი სივრცე (როგორც ეს მაგ., ატენის სიონში გვხვდება), შესაძლოა, სულაც მარტივი ერთიანი სივრცე იყოს (ამგვარ ცალნავიან ეკლესიებს ჩვენ საქართველოს სოფლებში მრავლად ვხვდებით). გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს კედლების დანაწევრებას პილასტრებით, ასევე იმასაც, თუ როგორ და საიდან ნათდება შიდა სივრცე, როგორაა განლაგებული სარკმლები და ხომ არ ხდება ტაძრის მთავარი ნაწილების სარკმლებიდან შემოსული შუქით აქცენტირება.

- **კონსტრუქციების აღწერა**

  მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება უნდა გაამახვილებინოს კონსტრუქციებზეც. მაგ., თუ გუმბათიანი ტაძარია, რას ეყრდნობა გუმბათი, სვეტებს თუ ტაძრის შვერილებს, როგორაა მოწყობილი გუმბათის საყრდენებზე გადასვლის კონსტრუქცია, აფრებია გამოყენებული თუ ტრომპები? როგორაა მოწყობილი გადახურვა ერთნავიან ეკლესიაში და სხვ.

- **ფასადებისა და მათი შემკულობის აღწერა (რელიეფები, ჩუქურთმა – თუ არის).**

  ფასადების აღწერისას მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ როგორია ტაძრის თითოეული ფასადი. დანაწევრებულია თუ არა ესა თუ ის ფასადი ცალკეული არქიტექტურული დეტალებით (მაგ., სარკმლებით, თაღებით, რელიეფებით). როგორია თითოეული ფასადის კომპოზიცია: სიმეტრიული და გაწონასწორებულია თუ ასიმეტრიული. გარდა ამისა, როგორ რიტმს ქმნის ფასადებზე ცალკეული არქიტექტურული ელემენტები. ამ აღწერის დროს მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, ფასადებზე გამოყენებული ესა თუ ის ხერხი ან მხატვრული საშუალება, რომელი ეპოქისათვის არის დამახასიათებელი,

რათა მათ შეძლონ ძეგლის დათარიღება და შესაბამის ეპოქასთან მისი დაკავშირება.

- **შიდა სივრცის შემკობა— მოხატულობა (თუ არის), რელიეფები (თუ არის)**

  თუ მოსწავლეების მიერ შერჩეული ტაძარი მოხატულია, შესაძლებელია მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა მასზე იმუშაოს. თუ მხატვრობა ძალზე დაზიანებული არაა, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ მხატვრობა, შეეცადონ ამოიცნონ კედლებზე განთავსებული სცენები თუ ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებანი. თუ მხატვრობას წარწერებიც ახლავს, მოსწავლეები უნდა შეეცადონ მათ წაკითხვას, თუ ადგილზე ამას ვერ ახერხებენ, მათ რაც შეიძლება ახლოდან უნდა გადაიღონ წარწერები და შემდეგ, მასალის დამუშავების დროს, მოიძიონ ასომთავრული შრიფტი და სცადონ ამ წარწერების წაკითხვა.

  (ასომთავრული შრიფტი – http://asomtavruli. blogspot.com/2017/12/1834. html)

  შესაძლოა მოხატულობა შეიცავდეს ისტორიული პირები/კტიტორების გამოსახულებებსაც. ცხადია, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ისინი (სამოსი, ვარცხნილობა, პოზები, ატრიბუტები და სხვ.), დააკვირდნენ, არის თუ არა მათ გვერდით მათი ვინაობის აღმნიშვნელი წარწერები, რაც შემდეგ ეტაპზე, სამეცნიერო ლიტერატურისა და ისტორიული ცნობების გაცნობისა და დამუშევების შემდგომ, გამოთქვან ვარაუდი, თუ ვინ არიან ეს ისტორიული პირები.

- **დაზიანებების აღწერა.**

  სასურველია, რომ მოსწავლეებმა აღწერონ არქიტექტურული ძეგლის თუ მოხატულობის დაცულობა, მათი მდგომარეობა, დაზიანებები და თუ ისინი ჩათვლიან, რომ ძეგლზე სავალალო მდგომარეობაა, მასწავლებელს შეუძლია ურჩიოს მათ, რომ ამაზე მოახდინონ რეაგირება იმით, რომ შეატყობინებენ შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს, ანდა, შესაძლოა, მათ წერილობით მიმართონ ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოსაც და ძეგლის მონიტორინგი მოითხოვონ.

- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო** https://www. heritagesites.ge/ka

  ეს მოსწავლეებისათვის იქნება საკუთარი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის პირადი გამოცდილება. ეს ქმედება მათ გაუღვივებს სწორ მოქალაქეობრივ პოზიციას ნებისმიერი სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ.

- **ჩანახატების გაკეთება და ძეგლის ფოტოფიქსაცია**

  მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ჩანახატების შესარულებისას თუ ფოტოფიქსაციისას მოსწავლეებმა მიზანმიმართულად უნდა ჩაიხატონ და გადაიღონ ძეგლის ის ხედები და ფრაგმენტები, რომლებიც მნიშვნელოვანად მიიჩნიეს ძეგლის აღწერისას. მოსწავლეებმა როგორც ჩანახატების შესრულებისას, ისე ფოტოფიქსაციისას უნდა გაითვალისწინონ და განსაზღვრონ, თუ რა არის ამა თუ იმ ძეგლში მნიშვნელოვანი, მისი მხატვრული სახის განმსაზღვრელი და ამის მიხედვით ჩახატონ და გადაიღონ ძეგლის ცალკეული დეტალები თუ ფოტოები. ანუ მათ უნდა ჩაიხატონ ან ფოტოზე დააფიქსირონ ძეგლის ის ნაწილები და ხედები, რომლებიც მათ დასჭირდებათ ძეგლის დათარიღების, მისი თავისებურებებისა და მხატვრული სახის გამოვლენისათვის. ამიტომ ჯგუფებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ სასურველია ჩანახატებისა და ფოტოების სხვადასხვა ხედვის წერტილიდან შესრულება და გადაღება. აუცილებელია როგორც შორი ხედიდან გარემოში ძეგლის დაფიქსირება, მისი გარემოსთან კავშირის გამოსავლენად, ასევე, საშუალო მანძილიდან მისი ფასადების ჩახატვა და გადაღება. გარდა ამისა, სავალდებულოა, მოსწავლეების აზრით, ცალკეული ფრაგმენტების, დეტალების ჩახატვა, გადაღება. მაგ., როგორიცაა, სარკმლები და მათი საპირეები და თავსართები, ორნამენტი, ინტერიერის დეტალები, წარწერები, ორნამენტები და სხვ.

ამ აქტივობის დროს ყველა მოსწავლემ (ვინც ჩანაწერს აკეთებს, ვინც იხატავს ან იღებს) შეთანხმებულად უნდა იმუშაოს. მათ ჯერ უნდა განსაზღვრონ, ამ ძეგლის რომელი ელემენტებია მნიშვნელოვანი, რომელიც აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ფოტოზე თუ ჩანახატებზე. ამისათვის მათ წინასწარ უნდა მოითათბირონ და უნდა განსაზღვრონ რა მასალა დაჭირდებათ შემდეგ სამუშაოდ, საკვლევად და ასევე პრეზენტაციისათვის.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა შეიძლება მხატვრული ფოტოებიც გადაიღონ, რომლებიც თავად ამ არქიტექტურული ძეგლის ხასიათს უკეთ გამოავლენს. ეს კარგად შეიძლება გამოჩნდეს გარემოსთან ძეგლის კავშირის ფოტოზე დაფიქსირებისას. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს რეკომენდაცია, როგორ გაანაწილონ კადრში ძეგლი და გარემო, როგორ გადმოსცენ ფოტოზე ძეგლისა და გარემოს ურთიერთკავშირი, როგორ გაანაწილონ კადრში კომპოზიცია, როგორ გადაიღონ ინტერიერი თუ ცალკეული დეტალები კადრის კომპოზიციური განაწილების პრინციპების დაცვით, როგორ გაითვალისწინონ განათება.

გარდა სწრაფი ჩანახატებისა, სურვილის შემთხვევაში, ზოგიერმა მოსწავლემ შეიძლება დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნამუშევარიც შექმნას, რომელშიც გამოიყენებს წინა წლებში ნასწავლ სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს (სხვადასხვა ტიპის ფორმას, ძირითად და შედგენილ, თბილსა და ცივ, კონტრასტულ ფერებს; ტონს, ნახევარტონს, შუქ-ჩრდილს, განათებას; ფაქტურას; ფორმატზე გამოსახულების კომპოზიციურ განაწილებას, წონასწორობას, ძირითადის გამოყოფას, სიმეტრიასა და ასიმეტრიას, პროპორცია, მასშტაბს, რიტმს, და სხვ.). მას შეუძლია დახატოს **პეიზაჟი**, რომელშიც იქნება ჩართული ეს ძეგლი. ასეთ შემთხვევაში მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს ძეგლის პროპორციული შეთანხმება გარემოსთან, თავად ძეგლის პროპორციები და მასშტაბი, გადმოსცეს ძეგლის საერთო ხასიათი, მისი სილუეტის თავისებურება და პეიზაჟის საერთო განწყობილება. ამგვარი ნამუშევარი, სხვა მოსწავლეების ჩანახატებთან ერთად, საბოლოო გამოფენას უფრო სანახაობრივსა და მრავალფეროვანს გახდის.

- ძეგლის ვიდეოგადაღება

  ვიდეოგადაღების დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ის მომენტი რაც ჩანახატებისა და ფოტოგადაღების შემთხვევაში. გადაღებისას მათ მიზანმიმართულად უნდა შეარჩიონ ძეგლის ხედვის წერტილი, რაკურსი; დეტალების გადაღებისას, უნდა შეეცადონ, რომ თითოეული მათგანი კარგად იყოს დაფიქსირებული, სწორი რაკურსით იყოს გადაღებული. გარდა ამისა, მათ უნდა

იფიქრონ კადრის კომპოზიციის დაყენებაზე, განათების საკითხებზე, კადრების რიტმზე და სხვ.

ნაბიჯი 4. ძეგლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურის გაცნობა/დამუშავება და ესსეს დაწერა

მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ლიტერატურა ძეგლის შესახებ. ეს ლიტერატურა შეიძლება იყოს ისტორიული ხასიათის, ან ძეგლის მხატვრული სახის შესწავლის შესახებ კვლევითი ტექსტი, ლეგენდები, თქმულებები, ძეგლის რესტავრაციის ისტორია (თუ ასეთი განხორციელდა როდისმე) და სხვ. შესაძლოა, ამ ძეგლზე არსებული წარწერები ქონდეს ვინმეს გამოცემული. მოსწავლეებმა უნდა დაამუშაონ ეს ტექსტური მასალა, წაიკითხონ წარწერები და გამოყონ ის ძირითადი საკითხები, რომელზეც საკუთარ ესსეში ისაუბრებენ.

ამ პროცესში მოსწავლეებს აუცილებლად მოუწევთ ისტორიულ საკითხებთან შეხება და ისტორიული მასალისა და ლიტერატურის დამუშავება; ამიტომ, სასურველია, მათ ისტორიული მასალის დამუშავების დროს კონსულტაცია გაიარონ ისტორიის მასწავლებელთან.

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
http://www. gch-centre.ge/

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდიკა
http://www. gch-centre.ge/2008/?cat=50
http://www. gch-centre.ge/%e1%83%9e%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%93%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

ამ ნაბიჯის განსახორციელებელი აქტივობები:

- ველზე მოძიებული მასალის დამუშავება
- წარწერების წაკითხვა
- ველზე მოძიებული მასალის ლიტერატურასთან შეჯერება
- ესსეს გეგმის შედგენა
- ესსეს დაწერა

მასწავლებელი აუცილებლად წინასწარ უნდა ესაუბროს მოსწავლეებს ესსეს სტრუქტურის შესახებ. მან უნდა აუხსნას, მოსწავლეებს, რომ ესსეს უნდა ჰქონდეს მკაფიო სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). ესსეს ტექსტზე მუშაობისას, მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მოსწავლეებმა მათ მიერ შერჩეული ძეგლი მაქსიმალურად სრულყოფილად და საინტერესოდ წარმოადგინონ. მოსწავლეები ესსეს თემის არჩევანში თავისუფლები

უნდა იყონ. რომელიმე მოსწავლემ შესაძლოა, ძეგლის შესახებ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება დაისახოს მიზნად თავის ესსეში. შესაძლებელია, თითოეულმა მოსწავლემ ძეგლთან დაკავშირებული თითო პრობლემა/საკითხი აირჩიოს. მაგ., ვიღაც ძეგლის ფასადების გადაწყვეტასა და მათ შემამკობელ ელემენტებზე იმუშავებს, ვიღაც ძეგლის განათების სისტემასა და შიდა სივრცის ორგანიზებაზე დაწერს ესსეს, ვიღაც აირჩევს რელიეფებს (თუ ასეთი ამკობს ტაძარს), ვიღაც მოხატულობას ან მასში გამოსახულ ისტორიულ პირებს და სხვ. თუმცა, მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ესსეში ნებისმიერი თემის არჩევის შემთხვევაში, მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ პარალელები და მათთან შედარების საშუალებით (მსგავსებისა თუ განსხვავების მიხედვით) ძეგლი ჩასვან შესაბამის ეპოქაში.

ნაბიჯი 5. ძეგლის შესახებ საინფორმაციო ფლაერის შექმნა

მოსწავლეებმა უნდა შექმნან ფლაერი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ძირითადი ინფორმაცია ამ კონკრეტული ძეგლის შესახებ. ფლაერის მომზადების შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი სამუშაო:

- ფლაერის ერთიანი კონცეფციის შემუშავება.
- შეგროვებული მასალიდან შესაბამისი ფოტომასალის შერჩევა
- ტექსტის დაწერა და თარგმანი
- ფლაერის მაკეტის დიზაინის შექმნა (შრიფტის, ფონის, კომპოზიციური განაწილების შერჩევა)

ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ეს სამუშაო წყვილებში გაკეთდეს. ფუნქციები ნაწილდება მოსწავლეებს შორის.

ფლაერის ტექსტის წერისას მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ტექსტი უნდა იყოს მოკლე და ინფორმაციული, უნდა მოიცავდეს არსებით ინფორმაციას ძეგლის შესახებ. ფოტოებიც უნდა იყოს შერჩეული იმ პრინციპით, რომ ძეგლის ყველაზე სახასიათო ნიშნებს, მის უნიკალურ სახეს წარმოაჩენდეს. გარდა ამისა, ფლაერი მხატვრული თვალსაზრისით (კომპოზიცია, ფერადოვნება, შრიფტი, გამოსახულებათა რიტმი და სხვ.) გააზრებულად უნდა იყოს გადაწყვეტილი. მოსწავლეებმა ფლაერის აწყობისას შესაძლოა გამოიყენონ პროგრამა InDesign.

ფლაერის ტექსტი უნდა იყოს ორენოვანი. ქართული ტექსტი თავად მოსწავლეებმა უნდა თარგმნონ რომელიმე უცხო ენაზე. საუსრველია, რომ სწორედ ამ პროცესში ჩაერთონ უცხო ენების პედაგოგები და კონსულტაციები გაუწიონ მოსწავლეებს.

ფლაერის მომზადება იმ შემოქმედებით უნარებს გაუაქტიურებს მოსწავლეებს, რომლებიც აუცილებელია ზოგადად საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევის და პოპულარიზაციის პროექტის წარმატებით განსახორციელებლად.

ფლაერის მომზადება. ვიდეორგოლი
https://www. youtube.com/watch?v=L3cK-Bowc3Q

ნაბიჯი 6. ვიდეორგოლის შექმნა

ვიდეორგოლის შექმნის დროსაც მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მოკლე დროში უნდა წარმოაჩინონ ძეგლის მხატვრული სახის თავისებურებები, მისი განსაკუთრებულობა და ცალკეული მნიშვნელოვანი დეტალები და მთლიანად ძეგლის ხასიათი. ვიდეორგოლს შეიძლება თან ახლდეს მოკლე ტექსტი, რომელიც წინასწარ უნდა დაიწეროს და დაედოს გამოსახულებას. სასურველია, რომ ვიდეორგოლს თან ახლდეს მუსიკა, რომელიც თავად ძეგლის მხატვრულ სახესთან უნდა იყოს შეთანხმებული და რომლის არჩევაშიც, შესაძლოა, სკოლის მუსიკის პედაგოგიც ჩაერთოს.

ნაბიჯი 7. პრეზენტაცია

ჩატარებული სამუშაოებისა და კვლევის შედეგად მოსწავლეები პრეზენტაციაზე წარმოადგენენ შემდეგ ნამუშევრებს:

- მოეწყობა შეგროვებული ფოტომასალისა და ჩანახატების გამოფენა. გამოფენა შესაძლებელია გაკეთდეს როგორც დარბაზში, ასევე, საგანგებო პროგრამის მიხედვით ციფრული ფორმატით (https://padlet.com/dashboard ან PowerPoint)
- ესსეს პრეზენტაცია თანდართული საილუსტრაციო მასალით.
- ძეგლის შესახებ შექმნილი ფლაერის ელექტროვერსიის პრეზენტაცია
- ვიდეორგოლის პრეზენტაცია

მთელი მასალა აიტვირთება საგანგებო პორტალზე.

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
http://www. gch-centre.ge/
ცენტრის სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდიკა http://www. gch-centre.ge/category/%e1%83%9e%e1%83%a3%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%92%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/

პროექტი 2.

საქართველოს რომელიმე მხარეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა

ესსეს შეფასება

სამიზნე ცნებები

სავითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსხველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები

ელემენტები:

ფორმა: ფორმა-გეომეტრიული, სიბრტყობრივი, მოცულობითი.

ფერი: ძირითადი და შედგენილი, თბილი და ცივი, კონტრასტული; ტონი, ნახევარტონი, შუქ-ჩრდილი, განათება; ფაქტურა;

პრინციპები: ფორმატზე გამოსახულების კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, რიტმი;

არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების დარგები:

არქიტექტურა, კედლის მხატვრობა (თუ ის არის მოსწავლეების მიერ შერჩეულ ძეგლში)

ჟანრები: პეიზაჟი

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: სხვადასხვა პერიოდის ქართული ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხაზვა, ხატვა, ფერწერა, კომპიუტერული გრაფიკა,

დავალების პირობა:

შეარჩიეთ კულტურული მემკვიდრეობის რომელიმე არქიტექტურული ძეგლი და ჩაატარეთ მისი მრავალმხრივი კვლევა. შეისწავლეთ და გამოიკვლიეთ მისი მხატვრული მახასიათებლები და თავისებურებანი (გეგმა, ფასადები, შიდა სივრცე, ფასადების თუ ინტერიერის შემკულობა, ორნამენტი, მოხატულობა, წარწერები და სხვ.) და გამოავლინეთ ამ თავისებურებათა მიმართება იმ ეპოქასთან, რომელშიც შექმნილია ეს ძეგლი. განსაზღვრეთ თქვენ მიერ შერჩეული ძეგლის პოპულარიზაციის ფორმები (ესსე ძეგლის შესახებ, ძეგლის ჩანახატები და ფოტოები, რომლებსაც გამოფენთ, ვიდეორგოლი და ფლაერი ძეგლის შესახებ) და თქვენი ნაშრომი წარადგინეთ აუდიტორიის წინაშე.

კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**დარგები და ჟანრები**	**ხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**
სოლო 5 **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედარების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებთან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვა და ახალი იდეებისა თუ მოსაზრებების/თეორიების წამოყენება	დავალების პირობა სწორედაა გაგებული და ესეში მკაფიოდ გამოვლინდა ძეგლის შესახებ მოძიებული ისტორიული ხასიათის ან ძეგლის მხატვრული სახის შესწავლის შესახებ კვლევითი ტექსტებისა თუ ლეგენდების, თქმულებებისა თუ სხვა მოძიებული მასალის შედეგად მიღებული ინფორმაცია, ანალიზი ,მისი დამოკიდებულება ძეგლისადმი და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობისადმი.. მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით---ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება და მის მიერ ცნებების სიღრმისეული გააზრება. მოსწავლე ესსეში შემოქმედებითად გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ.		

სოლო4 **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებისა და შედეგებს,აკეთებს დასკვნებს	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადა~ გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე--სახვით გამომსახველობით ხერხებზე კონკრეტული ძეგლის მაგალითზე. მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების --დარგებისა და ჟანრების შესახებ კონკრეტული ძეგლის მაგალითზე,მის არსობრივ მახასიათებლებზე. მოსწავლის მოსაზრებები ძირითადად გამყარებულია არუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურაში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეების, გავლენებისა თუ წარსული ეპოქების გამოცდილების გააზრების ფონზე, მოსწავლე ესსეში, ძირითადად ავლენს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარს, კონკრეტული ძეგლის მიმართ.მოსწავლე ესსეში გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას ძეგლის მიმართ.
სოლო3	მოსწავლის მიერ შესრულებულ	მოსწავლის მიერ შესრულებულ	მოსწავლის მიერ

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა, მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, არარსტრუქტურიზებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხთან/თემასთან დაკავშირებით	ესსეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით საშუალებებისა და ხერხების შესახებ არქიტექტურაში. მის მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	ესსეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით, თუ რა ფუნქცია ეკისრება არქიტექტურულ ნაგებობას	შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვა-ტურადაა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალის-წინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით ძეგლთან დაკავში-რებით, მის მიერ გადმოცემულ მოსაზ-რებებს <u>არ აქვს</u> მწყობრი, თანმიმდევ-რული სახე.
სოლო 2 **უნი-სტრუქტურული დონე** დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწი-ლობრივ ადეკვატურადაა გაგებუ-ლი. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელო-ბით საშუალებებისა და ხერხების შესახებ არქიტექტურაში. მის მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით, თუ რა ფუნქცია ეკისრება არქიტექტურულ ნაგებობას	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება

განსახილველ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.			საკვანძო სიტყვებზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით. მოსწავლე ესსეში ნაწილობრივ გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდე-ბულებას ძეგლის მიმართ.
სოლო 1 **პრე-სტრუქტურული დონე** დავალების პირობა მოსწავლის მიერ არაადეკვატურადაა გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არ ცოდნა.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

პროექტი 2.

საქართველოს რომელიმე მხარეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა

შექმნილი ფლაერის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

სამიზნე ცნებები

სავითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსხველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები

ელემენტები:

ფორმა: ფორმა-გეომეტრიული, სიბრტყობრივი, მოცულობითი.

ფერი: ძირითადი და შედგენილი, თბილი და ცივი, კონტრასტული; ტონი, ნახევარტონი, შუქ-ჩრდილი, განათება; ფაქტურა;

პრინციპები: ფორმატზე გამოსახულების კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, რიტმი;

არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების დარგები:

არქიტექტურა, კედლის მხატვრობა (თუ ის არის მოსწავლეების მიერ შერჩეულ ძეგლში)

ჟანრები: პეიზაჟი

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: სხვადასხვა პერიოდის ქართული ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხაზვა, ხატვა, ფერწერა, კომპიუტერული გრაფიკა,

დავალების პირობა:

შეარჩიეთ კულტურული მემკვიდრეობის რომელიმე არქიტექტურული ძეგლი და ჩაატარეთ მისი მრავალმხრივი კვლევა. შეისწავლეთ და გამოიკვლიეთ მისი მხატვრული მახასიათებლები და თავისებურებანი (გეგმა, ფასადები, შიდა სივრცე, ფასადების თუ ინტერიერის შემკულობა, ორნამენტი, მოხატულობა, წარწერები და სხვ.) და გამოავლინეთ ამ თავისებურებათა მიმართება იმ ეპოქასთან, რომელშიც შექმნილია ეს ძეგლი. განსაზღვრეთ თქვენ მიერ შერჩეული ძეგლის პოპულარიზაციის ფორმები (ესსე ძეგლის შესახებ, ძეგლის ჩანახატები და ფოტოები, რომლებსაც გამოფენთ, ვიდეორგოლი და ფლაერი ძეგლის შესახებ) და თქვენი ნაშრომი წარადგინეთ აუდიტორიის წინაშე.

კრიტერიუმი --/- სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**ხვადასხვა ეპოქის/კულტუ-რის/მიმდინარეობის/სტი ლის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**
სოლო 5 **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედარების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებთან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვა და ახალი იდეებისა თუ მოსაზრებების/თეორიების წამოყენება	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლის მიერ (თანაკლასელებთან თანამშრომლობით) შემუშავებულია ფლაერის ერთიანი კონცეფცია. გათვალისწინებულია ყველა დეტალური მონაცემი (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა). შეგროვებული მასალიდან შერჩეულია შესაბამისი ფოტო-მასალა, სადაც კარგადაა გამოკვეთილი ძეგლის ყველაზე სახასიათო ნიშნები, ფლაერის ტექსტი მოკლე და ინფორმაციულია, მოიცავს არსებით ინფორმაციას არქიტექტურული ძეგლის შესახებ, თარგმანი დავალების ადექვატურია. ფლაერის მაკეტის დიზაინი (შრიფტის, ფონის, კომპოზიციური განაწილების შერჩევა) ეფექტურად გამოყენებულია ციფრული ტექნოლოგიები. შესრულებულ ფლაერში, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითადის გამოყოფაზე.		
სოლო4 **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ესმის დავალების არსი. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ესმის დავალების ძირითადი არსი. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ესმის დავალების ძირითადი არსი.მის მიერ

საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებისა და შედეგებს, აკეთებს დასკვნებს	მონაცემებს და დეტალებს. ფლაერის ესკიზის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები, მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა (ფორმა, პროპორცია, წონასწორობა, სიმეტრია, ასიმეტრია, ფაქტურა) მაკეტი ძირითადად შემოქმედებითადაა შესრულებული.	მონაცემებს და დეტალებს, ინფორმაციას როგორც ფლაერის შესრულების ტექნიკის შესახებ, ასევე არქიტექტურული ძეგლის მასალის, ნაგებობის (ტექნიკური პარამეტრები) ყველა ეტაპზე, გამოყენებული მასალა და ტექნიკა შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად.	შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა მონაცემებს ეპოქის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ.
სოლო3 მულტისტრუქტურული დონე მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა, მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, არარსტრუქტურიზებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხთან/თემასთან დაკავშირებით	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს შერჩეული არქიტექტურული ძეგლის შესახებ.	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლე, ძირითადად გაიგო დავალების პირობა. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა ზოგად ინფორმაციას როგორც ფლაერის შესრულების ტექნიკის შესახებ,ასევე არქიტექტურული ძეგლის ნაგებობის (ტექნიკური პარამეტრები) შესახებ	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს ძირითადად ესმის დავალების ძირითადი არსი. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს ეპოქის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ.
სოლო 2 უნი-სტრუქტურული დონე დავალების პირობა ნაწილობრივ	დავალების პირობის თანახმად, მოსწავლემ ნაწილობრივ გაიგო	მოსწავლის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს	მოსწავლის მიერ დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს

ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.	დავალების პირობა. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს და დეტალებს შერჩეული არქიტექტურული ძეგლის შესახებ.	როგორც ძეგლის , ასევე ფლაერის შესაქმნელად გამოყენებული მასალისა და ტექნიკის შესახებ	ნაწილობრივ ესმის დავალების ძირითადი არსი. მის მიერ შესრულებული ფლაერის ესკიზი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს ეპოქის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ.
სოლო 1 **პრე-სტრუქტურული დონე** დავალების პირობა მოსწავლის მიერ არაადეკვატურადაა გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არ ცოდნა.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

პროექტი 3

<u>**პროექტის ტიპი: სამეწარმეო პროექტი**</u>

დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები: შემოქმედება და წარმატებული კარიერა

პროექტის თემა: სახელოვნებო პროფესიები: რა უნდა ვიცოდეთ წარმატებული კარიერის შესაქმნელად
მიზანი: მოსწავლე გაეცნოს დღეს არსებულ (ტრადიციული, ახალი) სახელოვნებო პროფესიებს, მოიძიოს ინფორმაციები 21 საუკუნეში, ხელოვანების დასაქმებისა და ხელოვნების ნაწარმოებების რეალიზაციის გზების შესახებ; შეისწავლოს, თუ რომელი დარგის ნიმუშებზეა მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, იმისთვის რომ მოსწავლეს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს ხელოვნებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ თუ ახალ პროფესიებზე, თუ რამ განაპირობა ხელოვნებასთან დაკავშირებული ახალი პროფესიების წარმოშობა და რამდენად აქტუალურია ეს პროფესიები ყოველდღიურ ცხოვრებასა და სხვა პროფესიებთან მიმართებაში (პროექტის შემაჯამებელ მოხსენებაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოებას გააცნოს, გაანალიზოს და შეაფასოს ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიების მნიშვნელობა, არსებული პრობლემები, ინტეგრირება და გავლენები ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ მომავალი პროფესიების შერჩევაზე). თავად შეძლოს სწორად აირჩიოს პროფესია, დაგეგმოს საკუთარი მომავალი და შესაბამისი სურვილისა თუ ინტერესის შემთხვევაში, დაუკავშიროს ის ხელოვნებას.
შედეგი მოსწავლე გაეცნო XXI საუკუნეში ხელოვანების სფეროში დასაქმებისა და ხელოვნების ნაწარმოებების რეალიზაციის გზებს, ხელოვნებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ თუ ახალ პროფესიებს. მას შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიების მნიშვნელობა, არსებული პრობლემები, მისი გავლენები ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ მომავალი პროფესიების არჩევაზე, ძველი და თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების, ძველი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელობასა და გავლენებზე დღევანდელ სახელოვნებო სივრცეში. სახელოვნებო ბაზრის კვლევისათვის, აქტიური მონაწილეობა მიიღო ინფორმაციების მოძიებაში, ანალიზსა და შეფასებაში. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, შექმნა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, აქტიური მონაწილეობა მიიღო შემაჯამებელი მოხსენების შემუშავებასა თუ პრეზენტაციაში, ექსპოზიციის მოწყობაში.
თემის მკვიდრი წარმოდგენები

- ყოველი ეპოქა ხელოვნების განსხვავებულ ფორმებს და ტექნიკას ქმნის.
- თანამედროვე ეპოქამ ხელოვნების ახალი ფორმები წარმოშვა; შეცვალა ტრადიციული დარგების ტექნოლოგია.
- თანამედროვე სამყაროში ხელოვნებასთან დაკავშირებული მრავალი პროფესია არსებობს.
- კაცობრიობის განვითარების ისტორია ცვლის ხელოვნების დანიშნულების, მისდამი საზოგადოების დამოკიდებულების, მასზე მოთხოვნის ფორმებს, რაც მეტწილად დაკავშირებულია სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესთან, მსოფლმხედველობის და ესთეტიკის ცვლილებასთან.
- ხელოვანი ირჩევს დარგს, საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამის მასალას და ტექნიკას.
- შემოქმედებითი უნარების განვითარებასთან ერთად, ხელოვანი უნდა ფლობდეს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების, საკუთარი ნამუშევრების რეალიზაციის, მათზე არსებული მოთხოვნის და საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციის ეფექტური მეთოდების შესახებ.
- როდესაც ადამიანი რომელიმე სახელოვნებო პროფესიას ირჩევს, მას უნდა შეეძლოს საკუთარი შრომის სანაცვლოდ ღირსეული ანაზღაურების მიღება.

სამიზნე ცნებები: სახვითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნება:

ტექნიკა: ფერწერა, გრაფიკა, კონსტრუირება, ძერწვა , კოლაჟი, აპლიკაცია, კომპიუტერული გრაფიკა, ფოტოგადაღება, ვიდეოს გადაღება;

სამიზნე ცნება: სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

ქვეცნება:

დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნება (კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, თექა, ფარდაგი და სხვა. ფოტო და ვიდეოგა-დაღება გამოიყენება მიმდინარე პროცესის ასაღბეჭდად და პრეზენტაციის ეტაპზე).

სამიზნე ცნება: სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები:

ქვეცნება

ეპოქა / კულტურა / მიმდინარეობა / სტილი: ძველი და თანამედროვე მსოფლიო ხელოვნება; ძველი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (თექა, ფარდაგი, ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, ლითონის დამუშავება და სხვ.).

საკვანძო შეკითხვები (მათში უნდა იკითხებოდეს პროექტის და სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები)

- რა უნდა გაითვალისწინო პროფესიის არჩევისას? კერძოდ, ხელოვანის პროფესიის არჩევისას?
- რა უნდა იცოდე იმისთვის, რომ შემოქმედებით პროფესიაში წარმატებულ კარიერას მიაღწიო ?

- რა უფრო მეტადაა გასათვალისწინებელი ხელოვანისთვის: საზოგადოების მოთხოვნა თუ თავისუფალი შემოქმედება?
- რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე ხელოვნება ეკონომიკური კუთხით?
- როგორ ფიქრობ, როგორ იქმნება სახელოვნებო სივრცე თანამედროვე სამყაროში?
- რამდენადაა დაკავშირებული ახალი სახელოვნებო პროფესიები სხვა პროფესიებთან და ტექნიკურ პროგრესთან? (მაგ., დიზაინერი, სამრეწველო დიზაინერი და სხვ.)

პრიორიტეტული თემები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - ხელოვნების და ხალხური რეწვის ტრადიციული დარგები და ტექნოლოგიები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია მათი დაცვა და მათ განვითარებაზე ზრუნვა სახელმწიფოს და საზოგადოების მოვალეობაა.

ფინანსური წიგნიერება - ხელოვნების ტრადიციული დარგების, რეწვის ოსტატებისა და ხელოვნების ახალი დარგების წარმომადგენლების წარმატებული სახელოვნებო კარიერის შექმნის აუცილებელი წინაპირობაა ფინანსური წიგნიერება, სამეწარმეო კანონის და საფინანსო მარეგულირებელი აქტების ცოდნა, რეალიზაციის პროცესების გონივრულად წარმართვა.

კულტურული მრავალფეროვნება - საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, კულტურის, ისტორიული თუ მხატვრული ტრადიციის პატივისცემა.

ინტეგრირება

სამეწარმეო პროექტი: „დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები: შემოქმედება და წარმატებული კარიერა“ ინტერდისციპლინური პროექტია, რომელიც ითვალისწინებს საგანთაშორის კავშირებს სამოქალაქო განათლებასთან, უცხო ენასთან, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან. პროექტის ფარგლებში, დასახელებულ დისციპლინებში მიღებული ინფორმაციები და გამომუშავებული უნარები, ხელს უწყობს თანამედროვე სამყაროში შემოქმედებითი ინტერესების და ეკონომიკის კანონების ურთიერთკავშირის გაცნობიერებას და ამთლიანებს მოსწავლის წარმოდგენას თანამედროვე სამყაროში პროფესიული განვითარების გზების და ხერხების შესახებ. სამოქალაქო განათლების ფარგლებში, მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიებთან თუ პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებსა თუ პრობლემებს, საზოგადოების დამოკიდებულებას სხვადასხვა პროფესიისადმი. ინტერდისციპლინარული (ინტეგრირებული) პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას და განავითარებენ პრაქტიკულ უნარებს, კერძოდ:

- უცხო ენის გაკვეთილებზე (რომელსაც სწავლობენ სკოლაში), მოსწავლეები გაივლიან კონსულტაციას მასწავლებელთან, გაიაქტიურებენ უცხო ენაზე კითხვის, წერისა და მეტყველების უნარებს; გაიღრმავებენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურის და ხელოვნების, კერძოდ, ხელოვნებასთან დაკავშირებული ტრადიციული და თანამედროვე პროფესიების შესახებ, უცხოენოვანი ინფორმაციის მოძიების და გამოყენების უნარებს;

- სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე/გაკვეთილებზე, მოსწავლეები გაიხსენებენ/გაეცნობიან პროფესიებთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციას საზოგადოების მოთხოვნების, ბოლო წლებში წარმოქმნილი ახალი პროფესიებისა და ახალი საჭიროებების შესახებ. მოსწავლეები მიღებულ თუ უკვე არსებულ ინფორმაციას გამოიყენებენ პროექტის შემაჯამებელი აქტივობისას ანუ მოხსენების დაწერისას;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დისციპლინის ფარგლებში, მოსწავლეები შექმნიან კითხვარებს შესაბამის პროგრამაში (მასწავლებლის რეკომენდაციით Excel ან სხვა პროგრამა), რომელსაც გამოიყენებენ ხელოვანთან ინტერვიუს ასაღებად. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, ასევე გადაიღებენ მათ მიერ შექმნილ ნამუშევარს, ფოტოს ან ვიდეოს და დაამუშავებენ შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, განათავსებენ ინტერნეტ-სივრცეში მისი რეალიზების მიზნით (შესაბამის პლატფორმაზე). ასევე ისინი გააკეთებენ პრეზენტაციებს პროექტის სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული სამუშაოს შესახებ (ციფრული ტექნოლოგიების მასწავლებელთან შეთანხმებით, Fotoshop, Padlet ან სხვა პროგრამაში).

პროექტის აღწერა

ინტეგრირებული სამეწარმეო პროექტი ორიენტირებულია დღეს არსებული ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შემოქმედებითი და ეკონომიკური ასპექტების შესწავლაზე. ის ხელს უწყობს პროფესიის არჩევისა და შემდგომ პროფესიული განვითარების პერსპექტივების წარმოჩენას. მოსწავლეები გაეცნობიან, მოიძიებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას დღეს არსებული ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიებისა და ხელოვანების სფეროში დასაქმების შესახებ, ასევე, მათი საქმიანობის სამართლებრივ, ფინანსურ ასპექტებზე, ხელოვნების ნაწარმოებების რეკლამირებისა და რეალიზების შესახებ საქართველოში და სხვა ქვეყნებში. მოსწავლეები თავად შეარჩევენ და შეხვდებიან ხელოვანებს, აიღებენ ინტერვიუებს, შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში შექმნიან სხვადასხვა დარგის ნიმუშებს და თავად შეეცდებიან მათ რეკლამირებას, რეალიზებას. ბოლო ეტაპზე ისინი შეაჯამებენ მოძიებულ ინფორმაციას თუ განხორციელებულ აქტივობებს, მოაწყობენ ექსპოზიციას და წარმოადგენენ შემაჯამებელ მოხსენებას და პროექტის ამსახველ ფოტო თუ ვიდეო-მასალას.

პროექტის გეგმის შესადგენად, პროექტის მონაწილეებმა (მოსწავლეები და პროექტში ჩართული მასწავლებლები) ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, რა აქტივობები/ნაბიჯებია განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად, რამდენი ხანი დასჭირდება თითოეული აქტივობის შესრულებას, რა რესურსებია აუცილებელი (იყენებენ სახელმძღვანელოში მითითებულ ბმულებს და თავადაც მოიძიებენ). მოსწავლეები ინდივიდუალურად იმუშავებენ თუ ჯგუფებად, ერთსა და იმავე თემებზე იმუშავებენ თუ სხვადასხვაზე, განსაზღვრავენ, თითოეულ მოსწავლეს რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. მაშასადამე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დამუშავდეს, ვინ, როგორ, რას და

რა ხნის განმავლობაში აკეთებს. თითოეული ეტაპისა და მასში შემავალი აქტივო-ბების/ნაბიჯების შესრულების შემდეგ, უნდა იმართებოდეს შეხვედრები, რომელშიც ჩართული იქნება ინტეგრირებული პროექტის ყველა მონაწილე (მოსწავლეები და მასწავლებელები) და და დეტალურად იხილებოდეს მიღებული შედეგები. **შენიშვნა:** მიზანშეწონილია, პროექტის ყველა ეტაპზე (პირველი ეტაპიდან შემაჯამებელი ეტაპის ჩათვლით) თვითშეფასების მუდმივი წარმოება, რაც პროექტის მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზები თუ შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება (მოსწავლის თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა მოცემულია სახელმძღვანელოში).
პროექტის ეტაპები: **ეტაპი 1 – პროექტის დაგეგმვა:** მიზნების განსაზღვრა, პროექტის გეგმის შედგენა, პროექტის ეტაპებისა და ნაბიჯების (აქტივობები) განსაზღვრა, ფუნციების განაწილება (ვინ, რას, როგორ და რა პერიოდის განმავლობაში აკეთებს); **ეტაპი 2 – დაგეგმილი აქტივობების/ნაბიჯების განხორციელება:** **ნაბიჯი 1** – დისკუსია; **ნაბიჯი 2** – ინფორმაციის მოძიება-დამუშავება; **ნაბიჯი 3** – ხელოვანის შერჩევა, ინტერვიუსათვის მომზადება, ინტერვიუს აღება; **ნაბიჯი 4** – შემოქმედებითი ექსპერიმენტი – ბაზრის კვლევისათვის შერჩეული დარგის ნიმუშების შექმნა, შექმნის პროცესის ფოტოფიქსაცია; **ნაბიჯი 5** – შექმნილი ნამუშევრების რელიზაციის მცდელობა (ბაზრის მოთხოვნების გამოსაკვლევად); **ეტაპი 3 – პროექტის წინა ეტაპებზე მიღებული შედეგების აღწერა, განხილვა, ანალიზი, შეფასება:** **ნაბიჯი 1** – პროექტის მიმდინარეობისას მიღებული შედეგების საფუძველზე, შემაჯამებელი მოხსენების დაწერა თემაზე: „ქართული და უცხოური სახელოვნებო სივრცე, სახელოვნებო პროფესიები და ბაზარი.“ **შენიშვნა:** *გთავაზობთ პროექტის მე-3 ეტაპის ორ ვარიანტს. პროექტის მონაწილეებმა, მასწავლებელმა მოსწავლეებთან შეთანხმების შედეგად, უნდა შეარჩიოს მისაღები ვარიანტი, რომელშიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი შემაჯამებელი მოხსენების შემუშავების პროცესი.* **I ვარიანტის შემთხვევაში,** პროექტში ჩართული ყველა ჯგუფი შეაჯამებს ყველა ეტაპს და საერთო შემაჯამებელი მოხსენებით წარსდგებიან კონფერენცია/ პრეზენტაციაზე. მოსწავლეების მიერ შერჩეული ერთი ან რამდენიმე მოსწავლე (სპიკერი) წარადგენს მოხსენებას. **II ვარიანტის შემთხვევაში,** თითოეული ჯგუფი თავად შეიმუშავებს და წარადგენს

მოხსენებას. ჯგუფის მიერ შერჩეული ერთი ან რამოდენიმე მოსწავლე (სპიკერი) წარადგენს მოხსენებას. **ეტაპი** 4 – **პრეზენტაცია** **ნაბიჯი 1** – საკლასო/სასკოლო პრეზენტაციის/კონფერენციის ორგანიზება; **ნაბიჯი 2** – კონფერენციის/პრეზენტაცოიის ფარგლებში, მოეწყობა ექსპოზიცია, რომელზეც გამოიფინება შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა დარგის ნამუშევრები, პროექტის მიმდინარეობის ეტაპების ამსახველი ფოტო-მასალა; **ნაბიჯი 3** – პროექტის შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოსწავლე/მოსწავლეები წარადგენენ მოხსენებას, უპასუხებენ აუდიტორიის შეკითხვებს. პრეზენტაციაზე/კონფერენციაზე ასევე წარადგენენ პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის ამსახველ ფოტო თუ ვიდეო-მასალას და შემოქმედებითი ექსპერიმენტის პროცესში შექმნილ სხვადასხვა დარგის ნიმუშებს; **ეტაპი 5 – განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება:** **ნაბიჯი 1** – პროექტის დასკვნით ეტაპზე, მონაწილეები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ისინი ისაუბრებენ თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება აქვთ განხორციელებული პროეტის მიმართ. **შენიშვნა:** *პროექტის მე-3, მე-4 ეტაპები, პროექტის შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ეტაპებს წარმოადგენს, ვინაიდან მოსწავლის/მოსწავლეების მიერ შემუშავებულ მოხსენებაში თავმოყრილია ყველა ეტაპისა თუ ნაბიჯის (აქტივობის) განხორციელებისას მიღწეული შედეგები. ასევე მნიშვნელოვანია როგორც მოხსენების პრეზენტაცია, ასევე პროექტის მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალის პრეზენტაცია და ექსპოზიციის წარდგენა, რომელზეც გამოფენილია პროექტის ერთ–ერთ ეტაპზე (**II ეტაპი**, **ნაბიჯი 4**) შემოქმედებითი ექსპერიმენტის დროს შექმნილი ნამუშევრები (სხვადასხვა დარგის ნიმუშები).* *პროექტის ბოლო მე-5 დასკვნით ეტაპზე ხდება განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება.*
დავალების ტიპები: • ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შესახებ ინფორმაციების მოძიება; • ინტერვიუსათვის კითხვარის შემუშავება, ინტერვიუს აღება, დამუშავება; • შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, ნამუშევრის შექმნა, რელიზების მცდელობა; • მოხსენების დაწერა • ექსპოზიციისათვის სივრცის შერჩევა, ექსპოზიციის ფორმის შემუშავება, ექსპოზიციის მოწყობა;

პრეზენტაცია: შემაჯამებელი მოხსენების, ექსპოზიციის, პროცესის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის წარდგენა.

გამჭოლი თემები

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს უვითარდება შემდეგი გამჭოლი უნარები და უყალიბდება შემდეგი ღირებულებები:

მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა-სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება; მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.

კვლევა - კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;

სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა- აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას;

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება-ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში

მოსწავლეთა ორგანიზება: ინდივიდუალური, ჯგუფური;

პროექტის შესრულების ვადები:

სემესტრში პროექტებზე სულ 14-18 სთ, სავარაუდოდ, კვირაში 1 საგაკვეთილო დროა გამოყოფილი.

თემები/საკითხი

პროექტი მოიცავს ორ თემას/საკითხს:

1. დღეს არსებული ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიები; მუზების სამყარო თუ საბაზრო ეკონომიკა;
2. ხელოვანი თანამედროვე სამყაროში.

პროექტის მიმდინარეობა

დავალების პირობა

გამოიკვლიეთ, მოიძიეთ, გაიხსენეთ ინფორმაცია ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შესახებ, მათი შემოქმედებითი და ეკონომიკური ასპექტების, მათზე მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან და პროფესიული განვითარების პერსპექტივები.

გაიხსენეთ და დააკავშირეთ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ინფორმაცია პროფესიების შესახებ; უცხო ენის გაკვეთილებზე მოიძიეთ ინფორმაციები სხვა ქვეყნებში ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიების, ხელოვანების დასაქმების შესახებ. წაიკითხეთ, თარგმნეთ და გაუზიარეთ ინფორმაცია პროექტში ჩართულ სხვა ჯგუფებს; შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, შექმენით სხვადასხვა დარგის ნიმუშები. ნამუშევრის შექმნის

პარალელურად, მოახდინეთ პროცესის ფოტოფიქსაცია, იმისათვის, რომ მერე თანატოლებს მოუთხროთ, შერჩეული დარგის თავისებურებების შესახებ. ციფრული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე, შესაბამის პროგრამაში (მასწავლებელთან კონსულტაციის საფუძველზე, შერჩეულ პროგრამაში) დაამუშავეთ სხვადასხვა სახის მოპოვებული ინფორმაცია, გადაღებული ფოტოები თუ ვიდეომასალა, შექმენით პრეზენტაცია, რომელშიც ასახავთ თქვენი პროექტის მიმდინარეობისას განხორციელებულ აქტივობებს/ნაბიჯებს:

- წარმართეთ დისკუსია ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შესახებ, რომლებიც ძველი ცივილიზაციებიდან არის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში. როგორ გრძელდება ტრადიცია, შეიცვალა თუ არა რაიმე ამ თვალსაზრისით. გაიხსენეთ სხვა დისციპლინებში/საგნებში მიღებული ინფორმაცია (IX კლასში მიღებული ინფორმაციები პროფესიების შესახებ სამოქალაქო განათლებაში) თანამედროვე სამყაროში, რამდენად განიცადა ყველაზე ტრადიციულმა პროფესიებმაც კი მეტ-ნაკლებად ცვლილებები;
- აირჩიეთ თქვენ ქალაქში/რეგიონში მცხოვრები ხელოვანი და შეხვდით მას. აიღეთ ინტერვიუ, რომელიც შეეხება სახელოვნებო პროფესიის როგორც შემოქმედებით, ასევე, ეკონომიკურ ასპექტებს. მასთან შეხვედრამდე, შეიმუშავეთ კითხვები. დაამუშავეთ და დაახარისხეთ ხელოვანთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია: ხელოვნების კონკრეტული დარგის ტექნოლოგიური თავისებურებები, ამ დარგის ნამუშევრებზე არსებული მოთხოვნა ადგილობრივი მოსახლეობის ან ტურისტების მხრიდან, ნამუშევრების რეალიზაციის პირობები და კონკრეტული ხელოვანის გამოცდილება და ა. შ.
- ხელოვანის როლში წარმოიდგინეთ თავი და ჩაატარეთ შემოქმედებითი ექსპერიმენტი. შეარჩიეთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგი და შექმენით ნამუშევარი, გამოიყენეთ ნებისმიერი მასალა და ტექნიკა, მოახდინეთ მუშაობის პროცესის ფოტოფიქსაცია, იმისათვის რომ შემდეგ თანატოლებს მოუთხროთ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შერჩეული დარგის ტექნოლოგიური თუ მხატვრული თავისებურებების შესახებ. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში მოსინჯეთ თქვენ მიერ შექმნილი ნამუშევრის რეალიზაციის შესაძლებლობა, თუ რამდენად მოერგო თქვენი ნამუშევარი ბაზრის მოთხოვნებს. გააცანით თქვენი ნამუშევარი ფართო საზოგადოებას: ატვირთეთ ნამუშევრების ფოტოები სოციალურ ქსელში და თითოეულ მნახველს სთხოვეთ, დააფიქსიროს ის რამდენიმე ნამუშევარი (მათი რიცხვი დამოკიდებულია ნამუშევრების რაოდენობაზე), რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ. ამგვარად, შედგება ნამუშევრების ერთგვარი რეიტინგი და თავად შეგეძლებათ იმის იდენტიფიცირება, თუ რა ტიპის ნამუშევრებზეა მოთხოვნა საზოგადოებაში;

გთავაზობთ პროექტის შეჯამების ორ ვარიანტს. პროექტის მონაწილეებმა (მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა) თავად შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ფორმა პროექტის გეგმის შედგენისას:

ვარიანტი I

- პროექტის მიმდინარეობისას მიღწეული შედეგების საფუძველზე, ყველა ჯგუფის

მიერ შესრულებული აქტივობების, მიღწეული შედეგების საფუძველზე, დაწერეთ შემაჯამებელი მოხსენება თემაზე: „ქართული და უცხოური სახელოვნებო სივრცე, სახელოვნებო პროფესიები და ბაზარი. “ მიიღეთ აქტიური მონაწილეობა შემაჯამებელ აქტივობაში – საბოლოო დამაგვირგვინებელი მოხსენების შემუშავებაში, რომელშიც აღწერთ თითოეული ჯგუფის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს/აქტივობებს, გაანალიზებთ მიღებულ შედეგებს, ტრადიციულ და ახალ სახელოვნებო პროფესიებთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებს, მათ მნიშვნელობას და ინტეგრირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასევე შეაჯამებთ პროექტში ჩართულ სხვა დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა თუ უნარებს, მათ როლს მიღებულ შედეგებში, შეაფასებთ პროექტის განმავლობაში მიღებულ შედეგებს.

- შემაჯამებელ ეტაპზე მიღებული შედეგების წარსადგენად, ორგანიზება გაუკეთეთ საკლასო/სასკოლო კონფერენციას/პრეზენტაციას, რომელშიც ჩართული იქნება პროექტის ყველა მონაწილე მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაცია. თქვენ მიერ ორგანიზებულ სასკოლო/საკლასო კონფერენციაზე/პრეზენტაციაზე შემაჯამებელი მოხენების წარსადგენად, შეარჩიეთ სპიკერი – მომხსენებელი ან მომხსენებლები – ერთი ან რამდენიმე მოსწავლე, წარადგინეთ მოხსენება, პრეზენტაცია, პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო, ვიდეო-მასალა, უპასუხეთ აუდიტორიის შეკითხვებს;
- კონფერენციის/პრეზენტაციის ფარგლებში მოაწყვეთ ექსპოზიცია, რომელზეც გამოიფინება პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითი ექსპერიმენტის შედეგები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში შექმნილი ნამუშევრები და პროექტის ყველა ეტაპის ამსახველი ფოტო-მასალა.

ვარიანტი 2

- პროექტში მონაწილე თითოეულმა ჯგუფმა დაწერეთ მოხსენება, რომელშიც აღწერილი იქნება თქვენ მიერ განხორციელებული სამუშაო, მოცემული იქნება ანალიზი და შეფასება. თქვენ მიერ ორგანიზებულ სასკოლო/საკლასო კონფერენ-ციაზე/პრეზენტაციაზე წარადგინეთ მოხსენებები, თან დაურთეთ თქვენ მიერ განხორციელებული სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალა. მოაწყვეთ ექსპოზიცია, შეურჩიეთ შესაბამისი სივრცე და ფორმა, რომელზეც გამოფენთ შემოქმედებითი ექსპერიმენტის შედეგად შექმნილ სხვადასხვა დარგის ნიმუშებს. გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია ექსპოზიციისათვის შესაბამისი სივრცის შერჩევა. ასევე გასათვალისწინებელია ექსპოზიციის კომპოზიციის გააზრება, როგორ იქნება განლაგებული ნამუშევრები, ერთად ხომ არ უნდა განლაგდეს ერთი დარგის ნიმუშები, მაგ., ფერწერული ნამუშევრები და ა. შ.
- პროექტის დასკვნით ეტაპზე, იმსჯელეთ პროექტის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისაუბრეთ თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეთ პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება გაქვთ განხორციელებული პროეტის მიმართ, გამოხატეთ თქვენი მოსაზრებები.

განსახორციელებელი ეტაპები და ნაბიჯები (აქტივობები)
1ეტაპი -- პროექტის დაგეგმვა:

ნაბიჯი 1 – პროექტის მონაწილეებმა (მოსწავლეები და მასწავლებლები) პროექტის დასაგეგმად, უნდა გადაწყვიტონ, რა ეტაპებს და ნაბიჯებს (აქტივობებს) განახორციელებენ მიზნის მისაღწევად, გაინაწილებენ ფუნქციებს (ვინ, რას, როგორ და რა პერიოდის განმავლობაში აკეთებს); რა რესურსები დასჭირდებათ. როგორი იქნება მათი ორგანიზების ფორმები, რა შემთხვევაში იმუშავებენ ინდივიდუალურად, როდის ჯგუფურად. რა პერიოდულობით შეიკრიბებიან. მოსწავლეები განსაზღვრავენ, თითოეულ მოსწავლეს თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

ეტაპი 2 – დაგეგმილი (აქტივობების) ნაბიჯების განხორციელება:

ნაბიჯი 1 – დისკუსია. ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიები თანამედ-როვე სამყაროში (ცოდნის აქტივიზიაცია, ინფორმაციის მიწოდება, პროფესიების კლასიფიკაცია, დისკუსია)

ამ ეტაპის პირველი აქტივობა დისკუსიის ფორმატს გულისხმობს და ზოგადად ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ხელოვანების პროფესიული თავისებურებების გააზრებას ეძღვნება.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაასახელონ შეიცვალა თუ არა რაიმე ამ თვალსაზრისით. სავარაუდოდ, მოსწავლეების მიერ ჩამოთვლილ პროფესიებს შორის იქნება ლიტერატურის, თეატრის, კინოს, ოპერის, ქორეოგრაფიის დარგების წარმომადგენლები, ისევე, როგორც არქიტექტურის ან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კარგად ცნობილი დარგებისაც. ამჯერად მოსწავლეების ყურადღების ცენტრში სწორედ ეს პროფესიები იქნება მოქცეული. მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი ის პროფესიებია, რომლებიც ძველი ცივილიზაციებიდან არის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში.

ი. კ.

- ხელოვნების რომელი დარგების წარმომადგენლები მიეკუთვნებიან ტრადიციულ სახელოვნებო პროფესიებს?
- როგორ ფიქრობთ, ხელოვნების ძველი დარგების წარმომადგენლები ზედმიწევნით აგრძელებენ ტრადიციებს თუ დრომ მათ პროფესიებშიც შეიტანა გარკვეული ცვლილებები?

ამ თემაზე მსჯელობის პროცესში მოსწავლეები იხსენებენ, რა იციან მხატვრის/ფერმწერის ან არქიტექტორის პროფესიების შესახებ. მაგალითად, შუა საუკუნეებში მხატვრის პროფესიის დაუფლება შეგირდობით იწყებოდა. მოზარდი თანდათან ეუფლებოდა ოსტატობის ყველა საიდუმლოს, მათ შორის, საღებავების დამზადებასაც. მას ზედმიწევნით კარგად უნდა სცოდნოდა პიგმენტების, გამხსნელის თავისებურებები და ოსტატის ზედამხედველობით სწავლობდა საღებავის მომზადების წესებს. აღორძინების ეპოქის ფერმწერებიც დიდად გათვითცნობიერებული იყვნენ ამ მხრივ. ზეთის საღებავების გამოგონებამ და მისმა სულ უფრო მზარდმა პოპულარობამ შეცვალა ზოგადად ფერწერის ტექნოლოგიური

მხარე. თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო მრავალფეროვანია საღებავების არჩევანი და მხატვარს, პრაქტიკულად, არ უწევს (გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც მას განსაკუთრებული შემადგენლობის საღებავის ან მხატვრული ეფექტის მიღწევა სურს) საღებავის დამზადება. ბაზარი მას მზა სახით აწვდის ქვეჩარჩოზე გადაჭიმული ტილოების დიდ არჩევანს, ფუნჯებს, მასტეხინებს. თუმცა, მოსწავლეებისთვის საინტერესო იქნება იმის გააზრება, თუ რა ახალი ცოდნა უნდა ჰქონდეს მხატვარს დღეს; ის კარგად უნდა იცნობდეს ხელოვნური საღებავების, მაგალითად, აკრილის თვისებებს. მეოცე საუკუნიდან მოყოლებული კი, განსაკუთრებით აქტუალური გახდა სრულიად ახალი, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი მასალის სახატავად გამოყენება, რაც თანამედროვე ხელოვნებაში განსხვავებულობის, ორიგინალურობის დაუოკებელი სწრაფვის შედეგია.

რა იყო ხუროთმოძღვარის პროფესიის საფუძველი ძველად? ცნობილია, რომ ეს პროფესია მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს და სივცული აზროვნების გარდა ხელოვანს მატემატიკის, ფიზიკის კანონების ცოდნაც სჭირდება. და რასაკვირველია, საუკუნეების განმავლობაში, ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი მხატვრულ ფორმას მისივე ხელით შესრულებულ ნახაზებში იძენდა. კომპიუტერის გამოგონებამ ამ პროფესიაშიც შეიტანა გარკვეული კორექტივები. დღეს ბევრი რამ, რასაც ადრე ადამიანი ხელით ხაზავდა, სხვადასხვა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით არის შესაძლებელი. ჩვეულებრივ ადამიანსაც კი შეუძლია ინტერიერის მოცულობითი (ე. წ. 3D ანუ სამგანზომილებიანი) სურათის შექმნა მათი დახმარებით. თუმცა თანამედროვე არქიტექტორის პროფესიული უნარების განვითარებისთვის მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ჩანაფიქრის ხელით ვიზუალიზაციას და ნახაზის ხელით შესრულებას, რაც გაცილებით უკეთ ავითარებს სივრცითი აზროვნების უნარს.

შესაძლოა, მოსწავლეებმა ისაუბრონ ხელოვნების სხვა ტრადიციული დარგების წარმომადგენლებზეც, რომლებიც, ერთი მხრივ, აგრძელებენ საკუთარი პროფესიის ტრადიციებს, მაგრამ, ამავე დროს, ახალი რეალობის (ანუ ახალი ტექნოლოგიების, მასალის) ზეგავლენით იძენენ ახალ ცოდნს და უნარებს.

ამდენად, ნათელია, რომ თანამედროვე სამყაროში ყველაზე ტრადიციულმა პროფესიებმაც კი განიცადა მეტ-ნაკლებად ცვლილებები. მსჯელობის შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის სახელოვნებო პროფესიები, რომლებიც ადრე არ არსებობდა.

ი. კ.

- რომელია თანამედროვე სამყაროში არსებული ახალი სახელოვნებო პროფესიები?
- რამ განაპირობა ახალი სახელოვნებო პროფესიების გაჩენა თანამედროვე ეპოქაში?

პირველ ყოვლისა, სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესი, კომპიუტერი და ახალი ტექნოლოგიები გახდა სრულიად ახალი სახელოვნებო პროფესიების წარმოშობის მიზეზი. **ეს დარგებია მედიახელოვნების ან კომპიუტერული ხელოვნების სახელითაა ცნობილი და მოიცავს ციფრული და გრაფიკული დიზაინის, მულტიმედია დიზაინის, ვებდიზაინის სპეციალობებს.** კომპიუტერმა

განუსაზღვრელი შესაძლებლობები მისცა ადამიანსარა მხოლოდ უძრავი ნახატის შესრულების, არამედ მისი ამოძრავების თვალსაზრისითაც. ახალი ტექნოლოგიების გაჩენას უკავშირდება **ფოტოგრაფიისა (მხატვრული და სარეკლამო ფოტო, ფოტოჟურნალისტიკა) და ვიდეოარტის წარმოშობაც.** ანიმაცია და კინოწარმოება დღეს სრულიად დამოკიდებულია ამ ახალ ტექნოლოგიებსა და მათ საფუძველზე შექმნილ სახელოვნებო პროფესიების წარმომადგენლებზე.

ნაბიჯი 2 – ინფორმაციების მოძიება-დამუშავება. მოსწავლეებმა უნდა გაიხსე-ნონ/მოიძიონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიებისა და ხელოვანების სფეროში დასაქმების შესახებ, ასევე მათი საქმიანობის სამართლებრივ, ფინანსურ ასპექტებზე, ხელოვნების ნაწარმოებების რეკლამირებისა და რეალიზების შესახებ. გაიხსენონ სხვა დისციპლინებში (სამოქალაქო განათლება) მიღებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია დაუკავშირონ ახალ ინფორმაციებს, გაამთლიანონ საკუთარი ცოდნა.

მათ შეუძლიათ გამოიყენონ მითითებული ბმულები:
https://www. sothebys.com/en/
https://www. christies.com/en
https://www. modernartoxford. org. uk/
https://www. moma. org/
https://www. tate. org. uk/visit/tate-modern
https://www. mam. paris. fr/en
https://www. parisunlocked.com/best-of-paris/best-modern-art-museums-in-paris/
https://www. stedelijk. nl/en#menu
https://mcachicago. org/

ნაბიჯი 3 – ხელოვანის შერჩევა, ინტერვიუსათვის მომზადება, ინტერვიუს აღება

ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების მოძიება ადგილობრივად, უნდა შეირჩეს მათივე ქალაქში/რეგიონში მცხოვრები ხელოვანი, მათ შესახებ უნდა მოიძიონ ინფორმაცია, დაამუშაონ. უნდა მომზადდეს სპეციალური კითხვარი, რის მიხედვითაც უნდა აიღონ ინტერვიუ მოსწავლეებმა.

სანამ მოსწავლეები ამ ნაბიჯის ძირითად სამუშაოს დაიწყებენ, სასურველია გაიმართოს **საუბარი/დისკუსია თემაზე** „რას ნიშნავს ხელოვანის წარმატებული კარიერა?“

ი. კ.

- რა არის ხელოვანის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები?
- რა ასპექტებს მოიცავს ხელოვანის პროფესია თანამედროვე სამყაროში?
- რომელია წარმატებული სახელოვნებო კარიერის ძირითადი მახასიათებლები?
- რომელ შეკითხვებს დაუსვამდით ამა თუ იმ ხელოვანს ინტერვიუს აღების დროს?

სასურველია, მოსწავლეებმა წინასწარ იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა მიაჩნიათ ხელოვანის წარმატების მთავარ განმსაზღვრელად. საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით, ხელოვნება სულიერი მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება და

ხელოვანისათვის თავად შემოქმედების პროცესია უპირატესი ღირებულების მქონე. თუმცა თანამედროვე სამყაროში ადამიანის შრომითი საქმიანობის ღირსეულ ანაზღაურებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

პროექტის ერთ-ერთ მიზანს მოსწავლეებისთვის პროფესიული არჩევანის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამდენად მათ სწორი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ მათთვის სასურველ პროფესიებზე. მუშაობის ამ ეტაპზე საინტერესო იქნება საკლასო დისკუსიის გამართვა, რომლის დროსაც მათ საშუალება ექნებათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი, თუ რა მიაჩნიათ მნიშვნელოვნად პროფესიის არჩევისას და რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა თუ მას ხელოვნების ესა თუ ის დარგი აინტერესებს.

სავარაუდოდ, მოსწავლეების უმრავლესობა შეთანხმდება იმაზე, რომ ხელოვნების ნებისმიერ დარგში ადამიანს განსაკუთრებული შემოქმედებითი უნარები სჭირდება. თუმცა ვინ როგორ გამოიყენებს ამ უნარებს, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მასწავლებელი უნდა შეეცადოს ისე წარმართოს დისკუსია, რომ მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ ნათლად გამოხატონ საკუთარი პრიორიტეტები. მაგ., შემოქმედებით ნიჭზე მსჯელობისას საინტერესო იქნება იმის კითხვა, თუ კიდევ რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს ხელოვანს იმისათვის, რომ გახდეს წარმატებული, მისი შემოქმედება იყოს ცნობილი და აღიარებული საზოგადოების მიერ. როგორც წესი, აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით იყოფა; ერთი ნაწილი თვლის, რომ შეუპოვარი შრომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს და წარმატებას მოუტანს ხელოვანს. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ გარდა შრომისა ხელოვანს სხვა უნარებიც უნდა გააჩნდეს, რომ შეძლოს წარმატების მიღწევა. დისკუსიის დროს მოსწავლეები ერთგვარ ჩამონათვალს აკეთებენ, რომელსაც შემდეგი აქტივობის შესრულების შემდეგ (შეხვედრა და ინტერვიუ მოქმედ ხელოვანებთან) შეადარებენ შედეგებს ერთმანეთს.

მოსწავლეები ემზადებიან სხვადასხვა დარგის პროფესიონალებთან შესახვედრად. მათ მიერ მონიშნული ხელოვანების სიაში არიან როგორც ძველი, ასევე, ახალი სახელოვნებო პროფესიების წარმომადგენლები და ხალხური რეწვის ადგილობრივი ოსტატებიც.

ამ შეხვედრების მიზანია უშუალოდ პროფესიონალებისაგან ინფორმაციის მიღება, როგორ აირჩიეს მათ პროფესია, რა განაპირობებს მათ წარმატებულ პროფესიულ კარიერას. მოსწავლეებმა წინასწარ უნდა მოამზადონ შეკითხვები ინტერვიუებისათვის და შეადგინონ შეხვედრების გეგმა-გრაფიკი.

რესპოდენტების შერჩევისას მოსწავლეებმა, შესაძლოა, ე. წ. თავისუფალ ანუ თვითდასაქმებულ ხელოვანებსაც გაითვალისწინონ და მათაც, ვინც რაიმე ტიპის საჯარო ან კერძო ორგანიზაციაში მუშაობს, კერძო სახელოსნო, მცირე საწარმო ან სალონი აქვს. შესაძლოა, ეს იყოს ისეთი დარგის წარმომადგენელი, როგორიცაა სამოსის ან სამკაულის დიზაინი (როგორც წესი, ამ ტიპის სალონები, ატელიეები, საქართველოს ყველა რეგიონშია).

ამ კითხვების მომზადებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე ხელოვანს უწევს ხელოვნებისაგან შორს მდგარ ისეთ სფეროებში გარკვევაც,

როგორიცაა სამართალი, რომელიც აწესრიგებს სახელოვნებო ორგანიზაციების მუშაობას, ასევე იგი უნდა ერკვეოდეს ფინანსებსა და საგადასახადო ვალდებულებებში, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპებში.

მოსწავლეებს მომზადებული აქვთ კითხვები, რომლებსაც დაუსვამენ რესპოდენტებს.

სავარაუდო კითხვებია:

- როგორ აირჩიეს საკუთარი პროფესია და როგორი იყო მათი მოლოდინი?
- შემოქმედებითი უნარების გარდა კიდევ რა ტიპის ცოდნა და უნარები სჭირდება ხელოვანს წარმატების მოსაპოვებლად?
- რომელი სახელოვნებო პროფესიებია დღეს უფრო მოთხოვნადი?
- ვინ უნდა იყოს დაკავებული ნამუშევრების რეალიზების პროცესით?
- რა გარემოებები უწყობს ან უშლის ხელს საქართველოში „ხელოვნების ბაზრის“ ჩამოყალიბებას?
- დასაქმების როგორი შესაძლებლობები არსებობს ამა თუ იმ დარგის ოსტატისათვის?
- რა ხერხებით არის შესაძლებელი საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.
- თანამედროვე სამყაროში ხელოვანი თავისუფალია თავის შემოქმედებაში თუ საზოგადოება კარნახობს მას, რაზეა მოთხოვნა?
- უნდა იცოდეს თუ არა თანამედროვე ხელოვანმა კანონები და რაში შეიძლება დასჭირდეს მას ეს?

მოქმედ ხელოვანებთან შეხვედრა და მათი მოსაზრებების მოსმენა სახელოვნებო პროფესიის როგორც შემოქმედებით, ასევე, ეკონომიკურ ასპექტებზე და შეგროვებული მასალის დამუშავება.

მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებზე სხვადასხვა თაობის ან სხვადასხვა სახელოვნებო დარგის წარმომადგენელმა შესაძლოა განსხვავებული პასუხები გასცენ. მოსწავლეებისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რა მოლოდინი ჰქონდათ რომელიმე სახელოვნებო პროფესიის არჩევისას და რა კორექტივები შეიტანა პრაქ-ტიკულმა ცხოვრებამ ამ წარმოდგენებში. პირველყოვლისა, ხელოვანის თავისუფალ ნებასა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის არსებული სხვაობა ქმნის იმ დაბრკო-ლებებს, რომელთა გადალახვა ახალგაზრდობაშივე უწევს ხელოვანს. მოსწავლეების კითხვები იმის თაობაზე, რა ცოდნა უნდა გააჩნდეს მას, რათა არჩეული პროფესია სტაბილური შემოსავლის წყარო გახდეს. ბუნებრივია, სხვადასხვა დარგში ეს გამოც-დილება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, ისეთი ახალი სახელოვნებო პროფესიები, როგორიცაა გრაფიკული დიზაინერი, ვებდიზაინერი, ვიდეოარტისტი მაღალი მოთხოვნით სარგებლობს და დასაქმების მაღალი მაჩვენებლები აქვს. დიდი დეფიციტია ისეთ სპეციალობებში, როგორებიცაა გამოფენის კურატორი, ექსპოზი-ციის მომწყობი (მუზეუმის თუ გალერეის შემთხვევაში). თუმცა ტრადიციული დარგის პროფესიონალებსაც შეუძლიათ იყვნენ წარმატებული, თუ სწორად დაგეგმავენ პრო-ფესიული განვითარების სტრატეგიას. ცნობადობის მიღწევას დღეს კომუნიკაციის

თანამედროვე საშუალებები უსაზღვრო პერსპექტივას უჩენს. ხელოვანის საგამოფენო აქტიურობას კურატორთან თანამშრომლობაც უწყობს ხელს, რადგან მათი ფუნქციები გონივრულად ნაწილდება და კურატორი მიზანმიმართულად მუშაობს შემოქმედების პოპულარიზაციაზე. დარგების სპეციფიკა განაპირობებს იმასაც, რომ, მაგალითად, ხალხური რეწვის ოსტატებს საკუთარი ნამუშევრების რეალიზაცია შეუძლია იმ დიდ ბაზარზე, რომელსაც საქართველოში ტურისტული ინდუსტრია ქმნის. რასაკვირველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად გაითვალისწინებს ხელოვანი ყველა ამ ფაქტორს და შეძლებს შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოთხოვნას შორის ჰარმონიული თანასწორობის დამყარებას.

მოსწავლეთა რიცხოვნებიდან გამომდინარე ეს ინტერვიუები ჩატარდება რამდენიმე ჯგუფის მიერ ცალ-ცალკე.

მიღებული პასუხები მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ და დაამუშაონ შეკრებილი მასალა. ამ მასალის საფუძველზე უნდა გამოკვეთონ, ხელოვნების რომელი დარგებია უფრო მოთხოვნადი და უკეთ ანაზღაურებადი მათ რეგიონში/ქალაქში/სოფელში.

დ. ი. მ. არსებობს პაბლო პიკასოს ცნობილი ფრაზა, რომელიც XX საუკუნის ამ უნიჭიერესი ხელოვანის დამოკიდებულებას ცხადყოფს შემოქმედებითი თავისუფლებისა და ბაზრის მოთხოვნებს შორის დამოკიდებულების თაობაზე. ერთხელ პიკასომ ასე ბრძანა: „არსებობენ მხატვრები, რომლებიც ხატავენ იმას, რასაც ყიდიან. მე კი ვყიდი ყველაფერს, რასაც ვხატავ. “

ამ გამონათქვამში კარგად ჩანს, რომ ხელოვანს ნიჭის, თავდადებული შრომის, საკუთარი ნამუშევრების ეფექტური პრეზენტაციის და სწორად შემუშავებული სტრატეგიის ხარჯზე შეუძლია შეინარჩუნოს შემოქმედებითი თავისუფლება და, ამავდროულად, საინტერესო გახადოს ის თანამედროვეთათვის.

ნაბიჯი 4. შემოქმედებითი ექსპერიმენტი-ბაზრის კვლევისათვის შერჩეული დარგის ნამუშების შექმნა, შექმნის პროცესის ფოტოფიქსაცია;

მოსწავლეების მიერ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგის შერჩევა, ნამუშევრის შექმნა, ნამუშევრის შექმნის პროცესის ფოტოფიქსაცია, მისი რეალიზაციის შესაძლებლობის ანუ ბაზრის კვლევისათვის შემოქმედებითი ექსპერიმენტის ჩატარება.

მოსწავლეების მიერ მოძიებული ინფორმაციების საფუძველზე, ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, უნდა შექმნან ნამუშევარი და შემდეგ ჩაატარონ კვლევა, იმსჯელონ, რამდენად მოერგო მათი ნამუშევარი ბაზრის მოთხოვნებს:

- მოსწავლეებმა თავად უნდა სცადონ, ხელოვანის როლში წარმოიდგინონ თავი, შეარჩიონ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე დარგი, გამოიყენონ გამომსახველობითი ხერხები, ნებისმიერი სამხატვრო მასალა, ტექნიკა და შექმნან ნამუშევარი. ეს აქტივობა მათ, შემოქმედებითი უნარების გამოყენების დიდ ასპა-რეზს უხსნის. თითოეულ მათგანს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ, შეარჩიოს ტრადიციული თუ არატრადიციული ფორმა და მასალა (დახატოს, შექმნას კოლაჟი,

გამოძერწოს, გადაიღოს ფოტო, შექმნას სამკაული, ინსტალაცია, ობიექტი და სხვ). მოახდინონ მუშაობის პროცესის ფოტოფიქსაცია, რაც საშუალებას მისცემთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შერჩეული დარგის ტექნოლოგიური თუ მხატვრული თავისებურებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ თანატოლებს.

ნაბიჯი 5. შექმნილი ნამუშევრების რელიზაციის მცდელობა (ბაზრის მოთხოვნების გამოსაკვლევად);

- მოსწავლეებმა ნამუშევრები უნდა გააცნონ ფართო საზოგადოებას: საკუთარი ნამუშევრების ფოტოები ატვირთონ სოციალურ ქსელში და თითოეულ მნახველს სთხოვონ, დააფიქსიროს ის რამდენიმე ნამუშევარი (მათი რიცხვი დამოკიდებულია ნამუშევრების რაოდენობაზე), რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ. ამგვარად, შედგება ნამუშევრების ერთგვარი რეიტინგი და მოსწავლეებს თავად შეეძლებათ იმის იდენტიფიცირება, თუ რა ტიპის ნამუშევრებზეა მოთხოვნა საზოგადოებაში.

ეს შემოქმედებითი ექსპერიმენტი თვალნათლივ დაანახებს მოსწავლეებს, როგორია მაყურებლის არჩევანი და როგორი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას ხელოვანისათვის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე ახალს და უჩვეულოს ხელოვნებაში, ხშირად უწევს დიდი წინააღმდეგობის გადალახვა. ხელოვანის ოსტატობაზე, მისი მიდგომის და ხელწერის ორიგინალურობაზე, იმაზე, თუ რას უზიარებს ის მაყურებელს, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია მისი შემოქმედების აღიარება.

ეტაპი 3 – პროექტის წინა ეტაპებზე მიღებული შედეგების აღწერა, განხილვა, ანალიზი, შეფასება:

ნაბიჯი 1 – პროექტის მიმდინარეობისას მიღებული შედეგების საფუძველზე, შემაჯამებელი მოხსენების დაწერა თემაზე: „ქართული და უცხოური სახელოვნებო სივრცე, სახელოვნებო პროფესიები და ბაზარი“

ამ თემის ფარგლებში დაგეგმილია ძირითადად ორი მიმართულება:

- საერთაშორისო სახელოვნებო სივრცისა და მისი აქტივობების კვლევა
- თანამედროვე ხელოვნების გამოწვევები საქართველოში, ადგილობრივი სახელოვნებო სივრცედა სახელოვნებო პროფესიების კვლევა

საერთაშორისო სახელოვნებო სივრცე და მისი აქტივობები

ეს თემა სერიოზულ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციისა და, ზოგადად, კულტურული დონის ამაღლებისათვის, სახელოვნებო პროცესების უცხოური გამოცდილების გაზიარება. მოსწავლეები დამოუკიდებლად უნდა გაეცნონ ინტერნეტში არსებულ ინფორმაციას (იხ. რესურსებში მითითებული ბმულები)ცნობილია, რომ, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც გაცილებით უკეთაა ორგანიზებული შემოქმედების ხელშეწყობის ისეთი ქმედითი პრაქტიკა როგორიცაა, მაგ., ქველმოქმედების კანონი, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ ბიზნესს თუ კერძო პირს უქმნის მოტივაციას, დააფინანსოს

ხელოვნება. თავისი წვლილი სახელოვნებო პროცესების მართვაში შეაქვს ფართოდ ცნობილ სააუქციონო სახლებს (მაგ., სოთბის, კრისტის და სხვ.), რომელთა წვლილი ხელოვნების ნაწარმოებების რეალიზაციაში საკმაოდ მაღალია.

უცხოეთში სახელოვნებო ბაზრის ფორმირებაში ლომის წილი მიუძღვით სხვადასხვა ტიპის გალერეებს, საგამოფენო დარბაზებს, სალონებს და, რასაკვირველია, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებს. ეს დაწესებულებები, ერთი მხრივ, ორგანიზებას უწევენ თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას, მეორე მხრივ, აქტიურად ჩართული არიან საზოგადოების, როგორც სახელოვნებო პროდუქციის პოტენციური მყიდველის, კომუნიკაციაში უშუალოდ ხელოვანებთან. მათ ნაკისრი აქვთ მეგზურის როლი ხელოვნების მრავალფეროვან სამყაროში და საიმედო პარტნიორობას უწევენ საზოგადოებასა და თანამედროვე ხელოვანებს.

გარდა ამისა, მოსწავლეები უნდა გაეცნონ საერთაშორისო სახელოვნებო ფორუმებს და მათ მუშაობას (მაგ., ვენეციის ბიენალე, სტამბოლის ბიენალი, კასელის დოკუმენტა და სხვ.), რაც მათ საშუალებას მისცემს კიდევ უფრო ღრმად ჩაიხედონ საერთაშორისო სახელოვნებო სამყაროს სტრუქტურასა და ბაზრის კანონზომიერებებში.

თანამედროვე ხელოვნების გამოწვევები საქართველოში, ადგილობრივი სახელოვნებო სივრცე და სახელოვნებო პროფესიები

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გეგმავს აქტივობებს იმის გასარკვევად, თუ რა პრაქტიკა არსებობს ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების მხარდაჭერის, განვითარების და პოპულარიზაციის კუთხით.

ამ მიზნით იგეგმება და ეწყობა შეხვედრები შესაბამისი მერიისა თუ მუნიციპალი-ტეტების კულტურის სამსახურების თანამშრომლებთან. შეხვედრის დროს მოსწავ-ლეები იკვლევენ თანამედროვე ხელოვნების და ხელოვანების მხარდაჭერის რა ღონისძიებებია დაგეგმილი, რა სახის პროგრამები ხორციელდება, როგორ ზრუნავენ ხელოვნების პოპულარიზაციაზე შესაბამისი ორგანოები. მათი საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრისთვის კარგი მაჩვენებელი იქნება თანამედროვე ხელოვნების დასაქმების მაჩვენებელი, მათი ინიციატივით და დაფინანსებით ორგანიზებული კონკურსები, პროექტები, რომელიც ქალაქისა თუ სოფლის გარემოს ესთეტიზაციას ისახავს მიზნად. საინტერესოა ინფორმაციის მოპოვება ამ გარემოში მოქმედი სამხატვრო სასწავლებლების, გალერეების, საგამოფენო სივრცეების შესახებაც. მოსწავლეები აანალიზებენ მოპოვებულ ინფორმაციას, გააკეთებენ ანალიზს, რამდენად საჭირო და რელევანტურია ეს ღინისძიებები, მათზე

რეკომენდაცია: როგორც ზევით აღვნიშნეთ, პროექტში გათვალისწინებულია პროექტის შემაჯამებელი მოხსენების შემუშავების ორი განსხვავებული ვარიანტი. პროექტის მონაწილეებმა, თავად უნდა შეარჩიონ მისაღები ვარიანტი:

<u>I ვარიანტის შემთხვევაში,</u> პროექტში ჩართული ყველა ჯგუფი შეაჯამებს ყველა ეტაპს, სადაც დამუშავებული თემები გაერთიანდება ერთ მოხსენებად და საერთო შემაჯამებელი მოხსენებით წარსდგებიან კონფერენცია/პრეზენტაციაზე. პროექტის

მონაწილეების მიერ შერჩეული ერთი ან რამდენიმე მოსწავლე (სპიკერი) წარადგენს მოხსენებას;

<u>II ვარიანტის შემთხვევაში,</u> თითოეული ჯგუფი თავად შეიმიუშავებს და წარადგენს მოხსენებას. ჯგუფის მიერ შერჩეული ერთი ან რამდენიმე მოსწავლე (სპიკერი) წარადგენს მოხსენებას.

მოსწავლეები ამზადებენ ცალკეულ თემებს საქართველოში თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ. მათ უკვე აქვთ ხელოვანებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები; დამოუკიდებლად ჩატარებული შემოქმედებითი ექსპერიმენტის და სტატისტიკური მონაცემების მოკვლევის შედეგები. იცნობენ სახელოვნებო სფეროს განვითარების ძირითად ტენდენციებს და მექანიზმებს ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში და შეუძლიათ შეადარონ საქართველოში თანამედროვე ხელოვნების პრობლემები ამ უცხოურ გამოცდილებას.

მოსწავლეების სურვილის მიხედვით პრეზენტაციის მასალები შეიძლება ცალკეული თეზისების სახით იყოს წარმოდგენილი ეკრანზე ან გრაფიკული სქემის სახით წარმოაჩენდეს მსგავსებასა თუ განსხვავებას მსოფლიოში არსებულ სისტემებსა და ქართულ რეალობას შორის.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელოვნებო განათლების ასწლიანი ტრადიციის არსებობა საქართველოში, რაც ავტომატურად მოწმობს მაღალი კვალიფიკაციის და მდიდარი პედაგოგიური გამოცდილების მქონე კადრების და მხატვრული სკოლის არსებობას.

თანამედროვე ხელოვნების ნაწარმზე მუდმივი მოთხოვნა როგორც ქართული საზოგადოების მხრიდან (იგულისხმება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროდუქციის უცვლელი პოპულარობა საცხოვრებელი თუ საზოგადო დანიშნულების ნაგებობათა ინტერიერების დეკორში, ციფრული და გრაფიკული დიზაინის გამოყენების ველის განუსაზღვრელი ზრდა, ქუჩის მხატვრობის ე. წ. სტრიტარტის მზარდი პოპულარობა, ხელოვნების ტრადიციულ დარგებში გაჩენილი ახალი ჟანრები-კომიქსი, და მრავალი სხვა), ასევე ტურიზმის ეკონომიკის სექტორში დაფიქსირებული მოთხოვნა სასუვენირო ნაწარმზე, ავთენტური ტექნოლოგიით შესრულებულ დეკორატიულ ქსოვილებზე, კერამიკისა და მინის, ხის ნაწარმზე.

მეორე ჯგუფის ფაქტორებს განეკუთვნება სახელოვნებო ბაზრის არასტაბილური ხასიათი და მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი;

თანამედროვე ხელოვნების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არარსებობა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია საკანონმდებლო ბაზის არქონით, რომელიც სტიმულს მისცემდა ბიზნესს გამხდარიყო ხელოვნების დამფინანსებელი.

გალერეების, საგამოფენო სივრცეების სუსტად განვითარებული ქსელი და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის არარსებობა.

პრეზენტაციის ძირითადი თემების ჩამონათვალი მხოლოდ სავარაუდოა და მოსწვლეებს საშუალება ექნებათ შეავსონ ის კვლევის დროს მოპოვებული

ინფორმაციით. სასურველია, თუ პროექტის შედეგების პრეზენტაციისას მოსწავლეები ერთგვარ პრიორიტეტებად მოხაზავენ იმ აქტივობებს, რომლებიც მათი აზრით თანამედროვე ხელოვნების წინაშე მდგარი გამოწვევების სწრაფად დაძლევას შეუწყობს ხელს.

დ. ი. მ. პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები ნათლად დაინახავენ, რამდენად მნიშვნელოვანია სწორი წარმოდგენა ჰქონდეს მომავალ ხელოვანს საკუთარ პროფესიაზე. ცხადად ესმოდეს, რომ წარმატების მისაღწევად მას სჭირდება გარკვევა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების მაჩვენებლებში. გონივრულად განსაზღვროს შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობები. გარკვეული ცოდნა ჰქონდეს სამართლის და საფინანსო კანონმდებლობის ძირითად მოთხოვ-ნებზე, რათა, სურვილის შემთხვევაში, შეძლოს გამართულად მართოს ხელოვნების ნაწარმის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკუთარი ბიზნესი. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ბრიტანეთის საბჭოს მიერ დაფინანსებულ კონკურსში, რომელიც სამეწარმეო განათლების საკიტხებს ეხება. ბრიტანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით ჩატარდა ახალგაზრდა ქართველ ხელოვანთა, აკადემიის სტუდენტთა არაერთი ტრენინგი, შემუშავდა სახელოვნებო დარგების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სამეწარმეო განათლების სასწავლო კურსები. უახლოეს მომავალში აკადემიაში ფუნქციონირებას დაიწყებს სახელოვნებო ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ნებისმიერ სტუდენტს დაეხმარება საკუთარი შემოქმედებითი იდეის რეალიზებაში.

ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ თითოეული მოსწავლე ირჩევს კონკრეტულ თემას საკუთარი მოხსენებებისათვის და წერს მოხსენებას, რომელსაც კლასის კონფერენციაზე წარადგენს.

მოხსენების სავარაუდო თემები:

- სახელოვნებო-შემოქმედებითი პროფესიები საქართველოსა და დასავლეთში
- ტრადიციული და ახალი სპეციალობები
- როგორ იზომება საზოგადოების მოთხოვნა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტზე; როგორია მათი დასაქმების მაჩვენებლები;
- როგორ ხდება სახელოვნებო პროდუქციის რეალიზაცია, არსებობს თუ არა ხელოვნების ბაზარი საქართველოში;
- თანამედროვე ხელოვნების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები:
- საერთაშორისო სახელოვნებო ფორუმები და მათი მნიშვნელობა (ბიენალეები, ფესტივალები და სხვ.)
- თანამედროვე დასავლური გალეერეებისა და მუზეუმების წვლილი თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის სააქმეში
- თანამედროვე ხელოვნება და ბაზარი
- ფორუმები ქართულ სახელოვნებო სივრცეში
- ჩვენი რეგიონის/ქალაქის/სოფლის სახელოვნებო აქტივობები და მუნიციპალური სამსახურების წვლილი ამ საქმეში

- სახელოვნებო-შემოქმედებითი პროფესიები და დასაქმების პერსპექტივები.
- ტრადიციული და ახალი სპეციალობები და დასაქმების პერსპექტივები.

ეს თემები მხოლოდ სავარაუდოა და პროექტის მონაწილეებს (მოსწავლეებს და მასწავლებლებს) შეუძლიათ, საკუთარი სურვილის მიხედვით, ნებისმიერი სხვა თემის შერჩევაც და ასევე ჩვენ მიერ შეთავაზებული I ვარიანტის შემუშავება, რომელშიც დამუშავებული თემები, ეტაპებზე მიღწეული შედეგები გაერთიანდება ერთ მოხსენებად.

ეტაპი 4 – **პრეზენტაცია**

ნაბიჯი 1 – საკლასო/სასკოლო პრეზენტაციის/კონფერენციის ორგანიზება.

პროექტის დასასრულს მოსწავლეები მოაწყობენ შემაჯამებელ ღონისძიებას, რომლის დროსაც წარადგენენ მოხსენებას.

ნაბიჯი 2 – კონფერენციის/პრეზენტაციის ფარგლებში, მოეწყობა ექსპოზიცია, რომელზეც გამოიფინება შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა დარგის ნამუშევრები და პროექტის მიმდინარეობის ეტაპების ამსახველი ფოტო-მასალა. ყურადღება უნდა მიექცეს საგამოფენო სივრცის შერჩევას, თუ რა ფორმით იქნება წარმოდგენილი შემოქმედებითი ექსპერიმენტის პროცესში შექმნილი ნიმუშები, ფერწერული ნამუშევრები ერთად გამოიფინება, გრაფიკული ერთად თუ სხვა ფორმას შეარჩევენ მოსწავლეები.

ნაბიჯი 3 – პროექტის შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოსწავლე/ მოსწავლეები წარადგენენ მოხსენებას, უპასუხებენ აუდიტორიის შეკითხვებს. პრეზენტაციაზე/კონფერენციაზე ასევე წარადგენენ პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის ამსახველ ფოტო თუ ვიდეომასალას და გამოფენენ შემოქმედებითი ექსპერიმენტის პროცესში შექმნილ სხვადასხვა დარგის ნიმუშებს;

ეტაპი 5

პროექტის მონაწილეებმა უნდა შეაფასონ განხორციელებული პროექტი. პროექტის დასკვნით ეტაპზე, მონაწილეები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისაუბრებენ თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება აქვთ განხორციელებული პროეტის მიმართ. რას შეცვლიდნენ განხორციელებულ პროექტში.

პროექტის შეფასება:

პროექტის შესაფასებლად, მოცემულია სოლო ტაქსონომია, ასევე ცალკეული ნაბიჯის (აქტივობის) შეფასება: ექსპოზიციის შეფასება სოლოტაქსონომიით და ექსპერიმენტ-ის ფარგლებში, შერჩეული დარგის შექმნილი ნიმუშის შეფასება სოლო ტაქსონომიით.

სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ინტეგრირებული პროექტი:

დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები: შემოქმედება და წარმატებული კარიერა
კონფერენციაში მონაწილეობის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

სამიზნე ცნებები, ქვეცნებები
სამიზნე ცნება: სახვითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნება:
ტექნიკა: ფერწერა, გრაფიკა, კონსტრუირება, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, კომპიუტერული გრაფიკა, ფოტოგადაღება, ვიდეოს გადაღება;
სამიზნე ცნება: სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები
ქვეცნება: დარგები- ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნება(კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, თექა, ფარდაგი და სხვა. ფოტო და ვიდეოგადაღება გამოიყენება მიმდინარე პროცესის ასაღბეჭდად და პრეზენტაციის ეტაპზე).

სამიზნე ცნება: სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები:

ქვეცნება: ეპოქა / კულტურა / მიმდინარეობა / სტილი-ძველი და თანამედროვე მსოფლიო ხელოვნება; ძველი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (თექა, ფარდაგი, ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, ლითონის დამუშავება და სხვა).

დავალების პირობა:
გამოიკვლიეთ-მოიძიეთ /გაიხსენეთ ინფორმაცია ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შესახებ, მათი შემოქმედებითი და ეკონომიკური ასპექტების, მათზე მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან და პროფესიული განვითარების პერსპექტივები.
გაიხსენეთ და დააკავშირეთ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ინფორმაცია პროფესიების შესახებ; უცხო ენის გაკვეთილებზე მოიძიეთ ინფორმაციები სხვა ქვეყნებძში ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიების, ხელოვანების დასაქმების შესახებ, წაიკითხეთ, თარგმნეთ და გაუზიარეთ ინფორმაცია პროექტში ჩართულ სხვა ჯგუფებს; შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, შექმენით სხვადასხვა დარგის ნიმუშები, ნამუშევრის შექმნის პარალელურად, მოახდინეთ პროცესის ფოტოფიქსაცია, იმისთვის რომ მერე თანატოლებს მოუთხროთ, შერჩეული დარგის თავისებურებების, ტექნოლოგიის

შესახებ. ციფრული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე, შესაბამის პროგრამაში (მასწავლებელთან კონსულტაციის საფუძველზე შერჩეულ პროგრამაში) დაამუშავეთ მიღებული ინფორმაციები, გადაღებული ფოტოები თუ ვიდეო მასალა, შექმენით პრეზენტაცია, რომელშიც ასახავთ თქვენი პროექტის მიმდინარეობისას განხორციელებულ აქტივობებს--ნაბიჯებს:

- წარმართეთ დისკუსია ტრადიციული და ახალი სახელოვნებო პროფესიების შესახებ, რომლებიც ძველი ცივილიზაციებიდან არის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში. როგორ გრძელდება ტრადიცია, შეიცვალა თუ არა რაიმე ამ თვალსაზრისით. გაიხსენეთ სხვა დისციპლინებში/საგნებში მიღებული ინფორმაცია (IX კლასში მიღებული ინფორმაციები პროფესიების შესახებ სამოქალაქო განათლებაში) თანამედროვე სამყაროში, რამდენად განიცადა ყველაზე ტრადიციულმა პროფესიებმაც კი მეტ-ნაკლებად ცვლილებები;
- აირჩიეთ თქვენ ქალაქში/რეგიონში მცხოვრები ხელოვანი და შეხვდით მას. აიღეთ ინტერვიუ, რომელიც შეეხება სახელოვნებო პროფესიის როგორც შემოქმედებით, ასევე, ეკონომიკურ ასპექტებს. მასთან შეხვედრამდე, შეიმუშავეთ კითხვები. დაამუშავეთ და დაახარისხეთ ხელოვანთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია: ხელოვნების კონკრეტული დარგის ტექნოლოგიური თავისებურებები, ამ დარგის ნამუშევრებზე არსებული მოთხოვნა ადგილობრივი მოსახლეობის ან ტურისტების მხრიდან, , ნამუშევრების რეალიზაციის პირობები და კონკრეტული ხელოვანის გამოცდილება და ა. შ.
- ხელოვანის როლში წარმოიდგინეთ თავი და ჩაატარეთ შემოქმედებითი ექსპერიმენტი--შეარჩიეთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგი და შექმენით ნამუშევარი, გამოიყენეთ ნებისმიერი სამხატვრო მასალა და ტექნიკა, მოახდინეთ მუშაობის პროცესის ფოტოფიქსაცია, იმისთვის რომ თანატოლებს მოუთხროთ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შერჩეული დარგის თავისებურებების, ტექნოლოგიის შესახებ. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, მოსინჯეთ თქვენს მიერ შექმნილი ნამუშევრის რეალიზაციის შესაძლებლობა, თუ რამდენად მოერგო თქვენი ნამუშევარი ბაზრის მოთხოვნებს. გააცანით თქვენი ნამუშევარი ფართო საზოგადოებას: ატვირთეთ ნამუშევრების ფოტოები სოციალურ ქსელში და თითოეულ მნახველს სთხოვეთ, დააფიქსიროს ის რამდენიმე ნამუშევარი (მათი რიცხვი დამოკიდებულია ნამუშევრების რაოდენობაზე), რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ. ამგვარად, შედგება ნამუშევრების ერთგვარი რეიტინგი და თავად შეგეძლებათ იმის იდენტიფიცირება, თუ რა ტიპის ნამუშევრებზეა მოთხოვნა საზოგადოებაში;

გთავაზობთ პროექტის შეჯამების ორ ვარიანტს, პროექტის მონაწილეებმა (მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა) თავად შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ფორმა პროექტის გეგმის შედგენისას:

ვარიანტი-I

- პროექტის მიმდინარეობისას მიღწეული შედეგების საფუძველზე - ყველა ჯგუფის მიერ შესრულებული აქტივობების, მიღწეული შედეგების საფუძველზე, დაწერეთ

შემაჯამებელი მოხსენება თემაზე: „ქართული და უცხოური სახელოვნებო სივრცე, სახელოვნებო პროფესიები და ბაზარი“. მიიღეთ აქტიური მონაწილეობა შემაჯამებელ აქტივობაში - საბოლოო დამაგვირგვინებელი მოხსენების შემუშავებაში, რომელშიც აღწერთ თითოეული ჯგუფის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს--აქტივობებს; გაანალიზებთ მიღებულ შედეგებს - ტრადიციულ და ახალ სახელოვნებო პროფესიებთან არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებს, მათ მნიშვნელობას და ინტეგრირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე შეაჯამებთ პროექტში ჩართულ სხვა დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა თუ უნარებს, მათ როლს მიღებულ შედეგებში, შეაფასებთ პროექტის განმავლობაში მიღებულ შედეგებს.

- შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ეტაპზე, მიღებული შედეგების წარსადგენად, ორგანიზება გაუკეთეთ საკლასო/სასკოლო კონფერენციას/პრეზენტაციას, რომელშიც ჩართული იქნება პროექტის ყველა მონაწილე მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაცია. თქვენს მიერ ორგანიზებულ სასკოლო/საკლასო კონფერენციაზე/პრეზენტაციაზე შემაჯამებელი მოხსენების წარსადგენად, შეარჩიეთ სპიკერი - მომხსენებელი ან მომხსენებლები - ერთი ან რამდენიმე მოსწავლე, წარადგინეთ -განხორციელებული პროექტი - მოხსენება, პრეზენტაცია, პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო, ვიდეო-მასალა, უპასუხეთ აუდიტორიის შეკითხვებს;
- კონფერენციის/პრეზენტაციის ფარგლებში, მოაწყვეთ ექსპოზიცია, რომელზეც გამოიფინება პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითი ექსპერიმენტის შედეგები - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში შექმნილი ნამუშევრები და პროექტის ყველა ეტაპის ამსახველი ფოტო-მასალა.

ვარიანტი 2

პროექტში მონაწილე თითოეულმა ჯგუფმა დაწერეთ მოხსენება, რომელშიც აღწერილი იქნება თქვენს მიერ განხორციელებული სამუშაო, მოცემული იქნება ანალიზი და შეფასება. თქვენს მიერ ორგანიზებულ სასკოლო/საკლასო კონფერენციაზე/პრეზენტაციაზე წარადგინეთ მოხსენებები, თან დაურთეთ თქვენს მიერ განხორციელებული სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალა. მოაწყვეთ ექსპოზიცია, შეურჩიეთ შესაბამისი სივრცე და ფორმა, რომელზეც გამოფენთ შემოქმედებითი ექსპერიმენტის შედეგად შექმნილ სხვადასხვა დარგის ნიმუშებს. გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია ექსპოზიციისთვის შესაბამისი სივრცის შერჩევა. ასევე გასათვალისწინებელია ექსპოზიციის ფორმის მოფიქრება, როგორ იქნება განლაგებული ნამუშევრები, ერთად ხომ არ უნდა განლაგდეს ერთი დარგის ნიმუშები - მაგ. ფერწერული ნამუშევრები და ა. შ.

კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის დავალების არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, ყველა აქტივობაში. შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ შეიმუშავებს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით(II ვარიანტის შემთხვევაში, იღებს აქტიურ მონაწილეობას) პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპი თუ მიღწეული შედეგი თანმიმდევრულადაა აღწერილი და გააანალიზებუ;ლი, მიმდინარე ცვლილებებისა თუ სიახლეების გააზრების ფონზე, მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად განიხილავს და სიღრმისეულად აანალიზებს ტრადიციულ და არატრადიციულ ახალ სახელოვნებო პროფესიებს, მათ მნიშვნელობას, თანამედროვე ხელოვნების ამოცანებსა თუ ბაზრის მოთხოვნილებას კონკრეტული დარგის ნიმუშების მაგალითზე. აქცენტს აკეთებს ძველ და თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებაზე, ძველი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებზე, კონკრეტულ ნიმუშებზე (თექა, ფარდაგი, ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, ლითონის დამუშავება და სხვა). აკავშირებს პროექტში ჩართულ სხვა დისციპლინებში მიღებულ ინფორმაციებს და უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. მოსწავლის არგუმენტები მყარი, დამაჯერებელია და ფოკუსირებულია საკვანძო ძირითად საკითხებზე, მოყვანილია შესაბამისი მაგალითები ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიებისა და ხელოვანების დასაქმების შესახებ. განხილულია კონკრეტული ხელოვანის გამოცდილება, ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია, ასევე ხელოვნების კონკრეტული დარგის ტექნოლოგიური თავისებურებები და ამ დარგის ნიმუშებზე მოთხოვნილება ადგილობრივი მოსახლეობის თუ ტურისტების მხრიდან, რეალიზაციის პირობები. დეტალურად აღწერილია შემოქმედებითი ექსპერიმენტი, მის ფარგლებში, მრავალფეროვანი მასალითა და ტექნიკით სხვადასხვა დარგის ნიმუშების შექმნის, მათი რეკლამირებისა თუ რეალიზების მცდელობის პროცესი. სიღრმისეულად გაანალიზებულია ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ნამუშევრებზეა		

	მოთხოვნა საზოგადოებაში; შემაჯამებელი მოხსენების ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება და მის მიერ ცნებების სიღრმისეული გააზრება. მოსწავლე შემოქმედებითად გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას მიმართ.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებსა და შედეგებს, აკეთებს დასკვნებს.	მოსწავლეს ესმის დავალების არსი. შემაჯამებელ მოხსენებაში/პრეზენტაციაში აღწერს და ურთიერთდა-კავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. მოსწავლე ხედავს ურთიერთმიმართებებს თანამედროვე ხელოვნების ამოცანებს, ბაზრის მოთხოვნებსა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ტექნოლოგიურ მახასიათებლებს შორის. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, მრავალფეროვანი მასალითა და ტექნიკით ნამუშევრების შექმნის, მათი რეკლამირებისა თუ რეალიზების მცდელობის პროცესზე და . აანალიზებს ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ ინფორ-მაციებს. მოსწავლის არგუმენტები მყარი, დამაჯერებელია და	მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. დავალების პირობის შესაბამისად, შემაჯამებელ მოხსენება /პრეზენტაციაში მოსწავლე აქცენტს აკეთებს პროექტის სხვადასხვა ეტაპზე მიღებულ ინფორმაციებზე, რომელიც შეეხება სახვითი ხელოვნების დარგებს (თექა, ფარდაგი, ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, ლითონის დამუშავება და სხვა). ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის - მათ ძირითად მახასიათებლებზე და ამ დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებსა თუ ბაზრის მოთხოვნილებებზე. მოსწავლის არგუმენტები მყარი, დამაჯერებელია და ფოკუსირებულია საკვანძო	მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. დავალების პირობის შესაბამისად, შემაჯამებელ მოხსენება /პრეზენტაციაში მოსწავლე აქცენტს აკეთებს კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციებზე, რომელიც შეეხება თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებას, ძველ და თანამედროვე ქართულ სახვითი ხელოვნებასა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, მათ მხატვრულ მახასიათებლებს. ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. მოსწავლის არგუმენტები მყარი, დამაჯერებელია და ფოკუსირებულია საკვანძო

	ფოკუსირებულია საკვანძო ძირითად საკითხებზე, მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. მოხსენების ნაწილებს შორის ძირითადადმ ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე ძირითადად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს.	ძირითად საკითხებზე, მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. მოხსენების ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე ძირითადად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს.	ძირითად საკითხებზე, მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. მოხსენების ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე ძირითადად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად, შემაჯამებელ მოხსენება/პრეზენტაციაში მოსწავლე ზოგადად, უსისტემოდ საუბრობს კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება სახვითი ხელოვნების მასალასა და ტექნიკას.	დავალების პირობის შესაბამისად, შემაჯამებელ მოხსენება/პრეზენტაციაში მოსწავლე ზოგადად, უსისტემოდ საუბრობს კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება სახვითი ხელოვნების დარგებს (თექა, ფარდაგი, ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, ლითონის დამუშავება და სხვა). მათ ძირითად მახასიათებლებზე და ამ დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებსა თუ ბაზრის მოთხოვნილებებზე.	დავალების პირობის შესაბამისად, შემაჯამებელ მოხსენება/პრეზენტაციაში მოსწავლე ზოგადად, უსისტემოდ აღწერს პროექტის ეტაპებს, შესრულებულ სამუშაოს და ერთმანეთთან დაუკავშირებლად განიხილავს კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციებს, რომელიც შეეხება თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებას, ძველ და თანამედროვე ქართულ სახვითი ხელოვნებასა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, მათ მხატვრულ მახასიათებლებს.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ	დავალების პირობის შესაბამისად, მოხსენება/პრეზენტაციაში,	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე	დავალების პირობის შესაბამისად, შემაჯამებელ

ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე აღწერს პროექტის ეტაპს ერთი მახასიათებლის მიხედვით. დაუკავშირებელი წარმოდგენა აქვს პროექტის ფარგლებში განხილულ საკი-თხებსა თუ მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით, კონკრეტულად რაც შეეხება სახვითი და გამო-ყენებითი ხელოვნების ნიმუშების ტექნოლოგიურ მახასიათებლებს, სახვითი ხელოვნების მასალასა და ტექნიკას. ძირითადად შემო-იფარგლება ზოგადი მსჯელობით თანამედროვე ხელოვნების ამოცანების, ბაზრის მოთხოვ-ნების, ხელოვნებასთან დაკავში-რებულ პროფესიებთან დაკავშირებით. შემოქმედებითი ექსპერიმენტის ფარგლებში, შემოიფარგლება გარკვეული მასალით და ტექნიკით.	მოხსენება/პრეზენტაციაში, მოსწავლე აღწერს პროექტის ეტაპს ერთი მახასიათებლის მიხედვით. არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს პროექტის ფარგლებში განხილულ საკითხთან დაკავშირებით. რომელიც შეეხება სახვითი ხელოვნების დარგებს მათ ძირითად მახასიათებლებზე და ამ დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებსა თუ ბაზრის მოთხოვნილებებზე. .	მოხსენება/პრეზენტაციაში მოსწავლე აღწერს პროექტის ერთ ეტაპს ერთი მახასიათებლის მიხედვითმიხედვით. არასტრუქტურირებულად წარმოადგენს შესრულებულ სამუშაოს და ერთმანეთთან დაუკავშირებლად განიხილავს კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციებს, რომელიც შეეხება თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებას, ძველ და თანამედროვე ქართულ სახვითი ხელოვ-ნებასა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, მათ მხატვრულ მახასიათებლებს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ შემუშავებულ მოხსენებაში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

პროექტი 4.

პროექტის ტიპი: შემოქმედებითი/კვლევითი

არატრადიციული მასალები და ტექნოლოგიები თანამედროვე ხელოვნებაში

პროექტის თემა: არატრადიციული მასალების და ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში
მიზანი: მოსწავლე გაეცნოს თანამედროვე მასალებსა და ტექნოლოგიებს, იმ თანამედროვე ხელოვანების შემოქმედებას, რომლებიც იყენებდნენ/იყენებენ ტრადიციულსა და არატრადიციულ მასალასა და ტექნიკას, გამოიკვლიონ ტრადიციული და არატრადიციული მასალებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობები, მათი კავშირი თანამედროვე ხელოვნების დარგებთან, ფორმებთან და სხვა დისციპლინებთან. შეძლონ ტრადიციული და არატრადიციული ხერხებითა და მასალებით შემნილი ხელოვნების ნიმუშების ანალიზი, ინტერპრეტაცია და კონტექსტში ჩასმა. არატრადიციული ტექნიკისა და მასალის, ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით, თავად შექმნან ნამუშევრები ადამიანის უფლებების თემაზე. განსაზღვრონ ნამუშევრის იდეა, მიზნობრივად და შემოქმედებითად გამოიყენონ ცოდნა და უნარები, საკუთარი სამოქალაქო პოზიციის გამოსახატად ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძალადობის მიმართ. შეარჩიონ პრეზენტაციის ფორმები.
შედეგი: **მოსწავლე გაეცნო** თანამედროვე მასალებსა და ტექნოლოგიებს, იმ თანამედროვე ხელოვანების შემოქმედებას, რომლებიც იყენებდნენ/იყენებენ ტრადიციულ და არატრადიციულ მასალას. გამოიკვლიეს ტრადიციული და არატრადიციული მასალებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობები, დააკავშირეს თანამედროვე ხელოვნების დარგებთან, ფორმებთან და სხვა დისციპლინებთან. ახალი ინფორმაციისა და წინა წლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეთავაზებული თემის შესაბამისად, განსაზღვრეს შემოქმედებითი პროდუქტის ტიპი, მიზნობრივად შეარჩიეს და შემოქმედებითად გამოიყენეს არატრადიციული მასალა, ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებები საკუთარი სამოქალაქო პოზიციის გამოსახატად ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძალადობის მიმართ.
თემის მკვიდრი წარმოდგენები • XX და XXI საუკუნეები ხელოვნებაში ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით სიახლეების ეპოქაა; • თანამედროვე ხელოვნება და ხელოვანები მრავალფეროვან არატრადიციულ მასალებსა და ტექნიკას, ასევე, უჩვეულო ფორმებს, ხერხებსა და მეთოდებს იყენებენ; • ნებისმიერი არატრადიციული მასალის თუ ტექნიკის გამოყენება ხელოვნების ნაწარმოების იდეის, საზრისის გადმოცემას ემსახურება

სამიზნე ცნებები:
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)
ქვეცნებები:
ელემენტები:
ხაზი: სხვადასხვა ტიპის კონტური, შტრიხი;
ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.);
ფერი: ძირითადი და შედგენილი, კონტრასტული;

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპები, ელემენტების განაწილება, მთავარის გამოყოფა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, ხედვის წერტილი და რაკურსი, კადრირება, წონასწორობა, სტატიკა-დინამიკა, კონსტრუქცია, რიტმი, განათება.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:
ქანდაკება/ობიექტი, ინსტალაცია, ლენდარტი.

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები:
მსოფლიო და ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოს, ვიდეოს გადაღება;

საკვანძო შეკითხვები:
- რა სიახლეები გაჩნდა XX-XXI საუკუნის ხელოვნებაში არატრადიციული მასალისა და ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით და რით იყო განპირობებული ასეთი ცვლილებები?
- რამ განაპირობა თანამედროვე ხელოვნებაში არტისტთა მიერ მრავალფეროვანი არატრადიციული მასალებისა და ტექნიკის, ასევე, უჩვეულო ფორმების, ხერხებისა და მეთოდებს გამოყენება?
- სჭირდება თუ არა თანამედროვე ხელოვანს, ხელოვნების ნაწარმოების შექმნისას, კონცეფციის შემუშავება და რატომ?

ინტეგრირება
შემოქმედებითი/კვლევითი პროექტი **„არატრადიციული მასალები და ტექნოლოგიები თანამედროვე ხელოვნებაში“**ინტერდისციპლინური პროექტია, რომელიც ითვალისწინებს საგანთაშორის კავშირებს. პროექტის ფარგლებში, დასახელებულ დისციპლინებში მიღებული ინფორმაციები და გამომუშავებული უნარები, ხელს უწყობს მოსწავლეებს, გაანალიზონ თანამედროვე სამყაროს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, აგრესია და ძალადობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობები, სახელმწიფო და ადამიანი. ინტერდიციპლინური პროექტის ფარგლებში, შეძენილი ცოდნა ხელს შეუწყობს

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთ მთლიანობაში კრიტიკულად აღქმას და მოსწავლეების მიერ საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას, საბოლოო ჯამში კი, გამოკვეთს იმ ღირებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ ჰუმანური სამოქალაქო საზოგადოების საფუძველს. კერძოდ: • სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე/გაკვეთილებზე, მოსწავლეები მოსწავლეები გაივლიან კონსულტაციას მასწავლებელთან, გაიხსენებენ/გაეცნობიან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს შემუშავებული ჰქონდეს ძალადობის საწინააღმდეგო პოლიტიკა და ახდენდეს შესაბამის რეაგირებას კონკრეტულ ფაქტებზე. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ საზოგადოებაში არსებული პრობლემები თითოეული ადამიანის პრობლემაცაა. მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ ნამუშევრის კონცეფცია, ჩამოთვლილი თემებიდან უნდა აირჩიონ ერთ-ერთი და გაეცნონ ამ თემის შესახებ არსებულ ლიტერატურას, სამოქალაქო განათლების მასწავლებელთან თანამშრომლობით, დაამუშაონ ის და ამის საფუძველზე მოიფიქრონ, თუ რა კონკრეტული შინაარსი ექნება მათ ნამუშევარს, რისი თქმა უნდათ საკუთარი ნამუშევრით, ჩამოაყალიბონ კონცეფცია და მოიფიქრონ კონცეფციის შესაბამისი სახელწოდება მომავალი ნამუშევრისათვის. **შენიშვნა: პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია საბუნებისმეტყველო საგნებთან ინტეგრირება, პროექტის მონაწილეთა შეთანხმებით, მათ შეუძლიათ ინტეგრირებულ პროექტში დაამატონ კიდევ ერთი დისციპლინა, ქიმიასთან ინტეგრირება:** • ქიმიის მასწავლებელთან კონსულტაციის საფუძველზე, მოსწავლეები ჩაატარებენ ექსპერიმენტს იმისათვის, რომ შეძლონ ქაღალდის ქრომატოგრაფიის საშუალებით სხვადასხვა ფერის მარკერში არსებული მელნის დაყოფა შემადგენელ კომპონენტებად. მათი გამოყენებით ნამუშევრების შექმნა. ნამუშევრებისა და ექსპერიმენტების შედეგად მიღებული შედეგების პრეზენტაცია.
პრიორიტეტული თემები პროექტის ფარგლებში მუშავდება შემდეგი პრიორიტეტული თემები: • ადამიანის უფლებები • ძალადობა და საზოგადოება • გარემოს დაცვა
პროექტის აღწერა: პროექტი ემსახურება იმ ხელოვანთა შემოქმედების კვლევას, რომლებიც იყენებდნენ ტრადიციულ მასალასა და ტექნიკას (თავის დროზე ინოვაციურს); ასევე, მოსწავლეები ჩაატარებენ იმ თანამედროვე ხელოვანების შემოქმედების კვლევას, რომლებიც იყენებენ არატრადიციულ მასალას და ტექნიკას. მოსწავლეები თავად შექმნიან ნამუშევრებს მრავალფეროვანი არატრადიციული მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, აგრესია და ძალადობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობები, სახელმწიფო და ადამიანი. ისინი შეარჩევენ პრეზენტაციის ფორმებს, მოაწყობენ არატრადიციული მასალითა და ტექნიკით შექმნილი ნამუშევრების ექსპოზიციას, წარმოადგენენ პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგებს ესსეს სახით. პროექტის გეგმის შესადგენად, პროექტის მონაწილეებმა (მოსწავლეები და პროექტში ჩართული მასწავლებლები) ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, რა აქტივობები/ნაბიჯებია

განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად, რამდენი ხანი დასჭირდება თითოეული აქტივობის შესრულებას, რა რესურსებია აუცილებელი (გამოიყენებენ სახელმძღვანელოში მითითებულ ბმულებს და თავადაც მოიძიებენ), მოსწავლეები ინდივიდუალურად იმუშავებენ თუ ჯგუფებად, ერთსა და იმავე თემებზე იმუშავებენ თუ სხვადასხვაზე, განსაზღვრავენ, თითოეულ მოსწავლეს რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. მაშასადამე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დამუშავდეს, ვინ, როგორ, რას და რა ხნის განმავლობაში აკეთებს. თითოეული ეტაპისა და მასში შემავალი აქტივობების/ნაბიჯების შესრულების შემდეგ, უნდა იმართებოდეს შეხვედრები, რომელშიც ჩართული იქნება ინტეგრირებული პროექტის ყველა მონაწილე (მოსწავლეები და მასწავლებელები) და და დეტალურად იხილებოდეს მიღებული შედეგები. **შენიშვნა:** მიზანშეწონილია, პროექტის ყველა ეტაპზე (პირველი ეტაპიდან შემაჯამებელი ეტაპის ჩათვლით) თვითშეფასების მუდმივი წარმოება, რაც პროექტის მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზები თუ შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება.
პროექტის ეტაპები **ეტაპი 1 – პროექტის დაგეგმვა:** **ნაბიჯი 1** – მიზნების განსაზღვრა, პროექტის გეგმის შედგენა, პროექტის ეტაპებისა და ნაბიჯების (აქტივობების) განსაზღვრა, ფუნციების განაწილება (ვინ, რას, როგორ და რა პერიოდის განმავლობაში აკეთებს); **ეტაპი 2 – დაგეგმილი (აქტივობების) ნაბიჯების განხორციელება:** **ნაბიჯი 1** – სხვადასხვა დროს მოღვაწე იმ ხელოვანების შემოქმედების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომლებიც მუშაობენ/მუშაობდნენ ტრადიციული და არატრადიციული მასალითა და ტექნიკით; **ნაბიჯი 2** – თანამედროვე არატრადიციული მასალისა და ტექნიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, კვლევის ჩატარება; **ნაბიჯი 3** – არატრადიციული მასალებისა და ტექნიკის შესახებ კონკრეტული თემის შერჩევა და ესსეს დაწერა; **ნაბიჯი 4** – ნამუშევრების შექმნა არატრადიციული მასალის გამოყენებით **ეტაპი 3 – პროექტის წინა ეტაპზე მიღებული შედეგების აღწერა, განხილვა, ანალიზი, შეფასება:** **ნაბიჯი 1** – ესსეს პრეზენტაცია; **ნაბიჯი 2** – შექმნილი ნამუშევრების ექსპოზიციის ორგანიზება; **ნაბიჯი 3** – საკონფერენციო/საპრეზენტაციო შემაჯამებელი მოხსენების დაწერა ერთ-ერთ ნიმუშზე, რომელიც შექმნილია არატრადიციული მასალებით; **ეტაპი** 4 – **პრეზენტაცია** **ნაბიჯი 1** – კონფერენციის/პრეზენტაციისა და ექსპოზიციის ორგანიზება, რომელზეც გამოიფინება არატრადიციულ მასალაში შექმნილი სხვადასხვა ნამუშევრები, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს. პროექტის მიმდინარეობის ეტაპების ამსახველი ფოტომასალა;

ნაბიჯი 2 – პროექტის შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოსწავლე/მოსწავლეები წარადგენენ მოხსენებას, უპასუხებენ აუდიტორიის შეკითხვებს. პრეზენტაციაზე/კონფერენციაზე ასევე წარადგენენ პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის ამსახველ ფოტო თუ ვიდეომასალას.

ეტაპი 5 – განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება:
პროექტის დასკვნით ეტაპზე მონაწილეები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისაუბრებენ თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება აქვთ განხორციელებული პროეტის მიმართ.

შენიშვნა:*პროექტის მე-3და მე-4 ეტაპები შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ეტაპებს წარმოადგენს, ვინაიდან თავმოყრილია ყველა ეტაპისა თუ ნაბიჯის (აქტივობის) განხორციელებისას მიღწეული შედეგები: ესსეს პრეზენტაცია, საკონფერენციო/საპრეზენტაციო შემაჯამებელი მოხსენების დაწერა ერთ-ერთ ნიმუშზე, რომელიც შექმნილია არატრადიციული მასალებით, ექსპოზიციის ორგანიზება, მნიშვნელოვანია როგორც მოხსენების პრეზენტაცია, ასევე პროექტის მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ფოტო თუ ვიდეომასალის პრეზენტაცია და ექსპოზიციის წარდგენა, რომელზეც გამოფენილია პროექტის ერთ-ერთ ეტაპზე (IIIეტაპი, 2 ნაბიჯი), შეთავაზებულ თემაზე ნამუშევრების შექმნა, რომელზეც მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ პოზიციას ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძალადობის მიმართ.*
<u>პროექტის მე-5 დასკვნით ეტაპზე ხდება განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება.</u>

დავალების ტიპები:

- იმ ხელოვანების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომლებიც მუშაობდნენ ტრადიციული და არატრადიციული მასალითა და ტექნიკით, ასევე თავად ტექნოლოგიებისა და მასალის შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- ესეს დაწერა;
- მოხსენების დაწერა;
- კონცეფციის მოწყობა;
- ნამუშევრის შექმნა არატრადიციული მასალების გამოყენებით;
- ექსპოზიციის მოწყობა;
- პრეზენტაცია – შემაჯამებელი მოხსენების, ექსპოზიციის, პროცესის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის წარდგენა.

გამჭოლი თემები

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს უვითარდება შემდეგი გამჭოლი უნარები და უყალიბდება შემდეგი ღირებულებები:

სწავლის სწავლა და დამოუკიდებლად საქმიანობის უნარი-აქტივობების დაგეგმვა, ამოცანის განსაზღვრა, შეძენილი ცოდნის შეფასება.

პასუხისმგებლობა - სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღების უნარი.

წიგნიერება - ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება/ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება-ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში.

შემოქმედებითი აზროვნება - ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ;

თანამშრომლობა - სამუშაო ფუნქციების გონივრულად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.

კომუნიკაცია - განცდილის, საკუთარი პოზიციის მიტანა მსმენელამდე/მაყურებლამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით;

ეთიკა - ემპათია, სოლიდარობა;

პროექტის მიმდინარეობა
არატრადიციული მასალების და ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში

დავალების პირობა:

- გაიხსენეთ ის ტრადიციული მასალები და ტექნოლოგიები და ხელოვანები, რომლებიც მუშაობდნენ ტრადიციული მასალითა და ტექნიკით, რა სიახლეები გვხვდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მასალისა და ტექნოლოგიების კუთხით და დაწერეთ ესსე;
- მოიძიეთ ინფორმაციები უახლესი თანამდროვე არატრადიციული მასალისა და ტექნოლოგიების შესახებ, მასალებისა და ტექნოლოგიების კავშირებზე თანამედროვე ხელოვნების დარგებთან;შეარჩიეთ ერთი ხელოვანი, რომლიც იყენებს არატრადიციულ მასალას და ტექნიკას და გამოიკვლიეთ მისი შემოქმედება და დაწერეთ საკონფერენციო მოხსენება მის შესახებ და წარმოადგინეთ საკლასო/სასკოლო კონფერენციაზე;
- სამოქალაქო განათლებაში, მიმდინარე წელს და წინა წლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე, შემოთავაზებული ორი თემის (ადამიანის უფლებები, ძალადობა და საზოგადოება) ფარგლებში შეიმუშავეთ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც შექმნით ნამუშევარს არატრადიციული მასალების, ტექნიკისა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით. განსაზღვრეთ ნამუშევრის მთავარი იდეა, მიზნობრივად და შემოქმედებითად გამოიყენეთ სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და სამოქალაქო განათლებაში მიღებული ცოდნა და უნარები. გამოხატეთ საუთარი სამოქალაქო პოზიცია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძალადობის მიმართ. ნამუშევარი წარმოადგინეთ თქვენ მიერ ორგანიზებულ ექსპოზიციაზე. ექსპოზიციას შეურჩიეთ შესაბამისი სივრცე და ფორმა. დასკვნით ეტაპზე ასევე წარადგინეთ ინტეგრირებული პროექტის ამსახველი ფოტო თუ ვიდეომასალა.

შენიშვნა
იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ ინტეგრირებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, მაგ., ქიმიასთან, უნდა ჩაატაროთ ექსპერიმენტი: სხვადასხვა ფერის მარკერში არსებულ მელანს დაყოფთ შემადგენელ კომპონენტებად ქაღალდის ქრომატოგრაფიის საშუალებით. სხვადასხვა ფერის მარკერში, არსებულ მელანს დაყოფთ შემადგენელ კომპონენტებად და გამოიყენებთ ნამუშევრების შესაქმნელად შეთავაზებულ თემებზე.

განსახორციელებელი ეტაპები და ნაბიჯები (აქტივობები)
ეტაპი 1 – პროექტის დაგეგმვა:

ნაბიჯი 1 – პროექტის მონაწილეებმა (მოსწავლეები და მასწავლებლები) პროექტის დასაგეგმად, უნდა გადაწყვიტონ, რა ეტაპებს და ნაბიჯებს(აქტივობებს) განახორციელებენ მიზნის მისაღწევად, გაინაწილებენ ფუნქციებს (ვინ, რას, როგორ და რა პერიოდის განმავლობაში აკეთებს); რომელი რესურსები დასჭირდებათ. როგორი იქნება მათი ორგანიზების ფორმები, რა შემთხვევაში იმუშავებენ ინდივიდუალურად, როდის – ჯგუფურად. რა პერიოდულობით შეიკრიბებიან. მოსწავლეები განსაზღვრავენ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ მოსწავლეს პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

ეტაპი 2 – დაგეგმილი (აქტივობების) ნაბიჯების განხორციელება:

ნაბიჯი 1.

პირველი ნაბიჯი უნდა წარმოადგენდეს ცოდნის აქტივიზაციას ტრადიციული მასალებისა და ტექნიკების შესახებ.

ი. კ.

- რომელი მასალები და ტექნოლოგიები ითვლება დღეს ტრადიციულად?
- როგორ ამზადებდნენ ტრადიციულ მასალებს, მაგ., ზეთის საღებავს, ტუშს, სანგინას და სხვ.
- როგორ მზადდებოდა გრუნტი ტილოს ზედაპირზე?
- როგორი ტექნიკა იყო ენკაუსტიკა და რომელ საფუძველზე კეთდებოდა ის?
- როგორ მზადდებოდა ქაღალდი?
- გაიხსენეთ ის ხელოვანები, რომლებიც მუშაობდნენ არატრადიციული მასალებითა და ტექნიკით.

ეს აქტივობა მოიცავს წინარე ცოდნის გააქტიურებას და იმის გახსენებას, რაც მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ წლების განმავლობაში. მათ უნდა გაიხსენონ ხელოვნების ტრადიციული დარგები და ის მასალები და ტექნოლოგიები, რომლითაც ოპერირებდა ეს დარგები საუკუნეების განმავლობაში.

მოსწავლეებმა, ერთი მხრივ, უნდა ისაუბრონ თავად მასალებზე. მაგ., ტემპერისა და ზეთის საღებავზე. მათ უნდა გაიხსენონ, როგორ მზადდებოდა ეს საღებავები, რომელს რა თვისებები გააჩნდა, რას იყენებდნენ გამხსნელად თითოეულის შემთხვევაში. აქვე მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შეახსწენოს ენკაუსტიკის ტექნიკა, რომელიც საღებავების გამოყენებას გულისხმობს. მოსწავლეებმა შეიძლება გაიხსენონ შავი და ფერადი ტუშის ისტორია, რომელიც ჩინეთიდან იღებს სათავეს. ასევე შეიძლება საუბარი შეეხოს სხვადასხვა გრაფიკულ მასალებსაც: აკვარელს, გუაშს, სანგინას, სეპიას, ფანქარს და სხვ. გარდა ამისა, ამ აქტივობის დროს მოსწავლეები გაიხსენებენ იმ მასალებსაც, რომლებზეც ამ სახატავი მასალებით შემოქმედნი ქმნიდნენ თავის ნამუშევრებს. ეს მასალებია: ქაღალდი, ტილო, პაპირუსი, ხე და სხვ. რომელი საღებავით სრულდებოდა ნამუშევარი თითოეულ მათგანზე. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ნებისმიერი ერთი მასალა და ტექნოლოგია, გამოიკვლიონ ის, და ამ თემაზე დაწერონ ესსე. (ესსეში განიხილული უნდა მათ მიერ შერჩეული ტრადიციული მასალის შექმნის ისტორია, გაჩენის წინაპირობები, განვითარების გზები, ასევე, რომელი ცნობილი ოსტატები მუშაობდნენ ამ მასალებითა და ტექნიკით და განიხილონ ამ ოსტატთაგან ერთ-ერთის შემოქმედებაც.

ელექტრონული რეურსები:

https://en. wikipedia. org/wiki/History_of_paper https://www. youtube.com/watch?v=dT4FwLaYD6k

https://www. youtube.com/watch?v=aUw1_2xbYWM

https://www. youtube.com/watch?v=ULgiJtKi8M0

https://www. youtube.com/watch?v=iib_imkZ5fk

ნაბიჯი 2.

მეორე ნაბიჯი უკვე ეხება არატრადიციული მასალების გამოყენებას თანამედროვე ხელოვნებაში. აქ მასწავლებელს მოუწევს, მოსწავლეებს გააცნოს სხვადასხვა

თანამედროვე არტისტის შემოქმედება, რომლებიც არატრადიციული მასალებით ქმნიან ნამუშევრებს.

ი. კ.

- რას ნიშნავს არატრადიციული მასალა?
- გაიხსენეთ, რომელი არტისტები იცით, ვინც არატრადიციულ მასალებს იყენებს?

დასაწყისში მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნობიერებინოს რას ნიშნავს არატრადიციული მასალა. მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ წინა წლებში ნასწავლი იმ არტისტთა შემოქმედება, რომლებიც სწორედ არატრადიციული მასალებით მუშაობენ და ქმნიან ნამუშევრებს. აქ მათ მოუწევთ საუბარი თანამედროვე ხელოვნების არატრადიციულ ფორმებზეც, როგორიცაა ინსტალაცია, ობიექტი, ლენდარტი, ინვაირომენტი და სხვ.

მასწავლებელს შეუძლია, გააცნოს მოსწავლეებს ახალი ავტორებიც: იაიო კუსამა, ანეტ მესაჟერი, ბეილი ლიუ, ჩიჰარუ შიოტა, ნამ ჯუნ პაიკი. ამ ავტორთა გარდა მასწავლებელმაშესაძლოა ქართველი არტისტების შესახებაც მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს. მაგ., ანდრო ვეკუასა და ლია ბაგრატიონის შესახებ. მათ შესახებ მასალა მოცემულია რესურსებში.

ანეტ მესაჯერი
https://www.google.com/search?q=annette+messager&rlz=1C1GCEA_enGE997GE997&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=2ahUKEwjnyJX-6fP2AhVuhf0HHWLeC-YQ_AUoAXoECAIQAw&biw=1600&bih=789&dpr=1#imgrc=lX7bEwHHH2VRzM

https://www. mariangoodman.com/artists/52-annette-messager/

https://beililiu.com/VIDEO-1

ჩიჰარუ შიოტა
https://www. chiharu-shiota.com/

ნამ ჯუნ პაიკი
https://www. paikstudios.com/

იაოი კუსამა
https://www. youtube.com/watch?v=bT7i507OnOw

ამ ავტორთა ნამუშევრების გაცნობა მოსწავლეებს მისცემს გარკვეულ წარმოდგენას, თუ რაოდენ მრავალფეროვანია ის მასალა, რომელსაც თანამედროვე არტისტები იყენებენ და რომ ნებისმიერი რაიმეს (ორგანული თუ არაორგანული მასალის, ნივთის) გამოყენებაა შესაძლებელი თანამედროვე ხელოვნების ნიმუშის შექმნის დროს.

თანამედროვე არტისტების მიერ შექმნილი ნიმუშების გაცნობის შედეგად, მოსწავლეები დაინახავენ, რომ ისინი იყენებენ სრულიად მოულოდნელ მასალას, ფორმებს და ხერხებს. ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდ ვხვდებით ისეთ საგნებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვთ, მაგრამ, ნამუშევრის კონცეფციიდან გამომდინარე, ისინი გარკვეულ აზრობრივ კავშირში იმყოფებიან.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ არატრადიციული მასალის გამოყენება არაა ხელოვანთა თვითმიზანი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორც მასალა, ისე ფორმა

არტისტების მიერ ძალზე ორგანულადაა დაკავშირებული ნამუშევრის იდეასთან, საზრისთან. სწორედ ესაა მთავარი მათ ნამუშევრებში.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ამ მასალების გამოყენებისას, არტისტები გარკვეულ მხატვრულ ხერხებს იყენებენ: ესაა არატრადიციული მასალით შექმნილი ფორმები, ზოგჯერ უცნაური, ზოგჯერ რეალური; უმნიშვნელოვანესია ასევე, ნამუშევრის (ინსტალაცია, ობიექტი) კონკრეტულ სივრცეში განლაგების ამოცანაც, მისი კომპოზიციური გადაწყვეტა. ასევე ამ ნამუშევრების მხატვრული სახის შექმნაში და მნახველში შესაბამისი ემოციის გამოწვევის მიზნით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფერი, ფაქტურა, რიტმი, განათება და სხვ. ანუ არატრადიციული მასალის შემთხვევაშიც ის ხერხები და ელემენტებია გამოყენებული, რომლებსაც ხელოვნების ტრადიციული დარგებისა და მასალების შემთხვევაში იყენებენ ხელოვანები.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ტრადიციული და არატრადიციული მასალებით შექმნილი ნამუშევრები ერთი კონცეფციის ქვეშაა გაერთიანებული და ერთიან საგამოფენო სივრცეშია წარმოდგენილი და ამის შესანიშნავი მაგალითია 2018 წელს მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი ანდრო ვეკუას გამოფენა. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო როგორც ინტალაციები, ასევე ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც საგამოფენო დარბაზების კედლებზე იყო გამოფენილი. ეს ტრადიციული და არატრადიციული მასალებითა და ფორმებით შექმნილი ნამუშევრები ერთიანი კონცეფციით იყო გაერთიანებული.

ანდრო ვეკუა
https://www. gladstonegallery.com/artist/andro-wekua/works

სასურველია ამ ეტაპზე მასწავლებელი არ შემოიფარგლოს მხოლოდ არტისტების ნამუშევრების გაცნობით და შეარჩიოს ერთი რომელიმე ავტორი ნამუშევარი, რომელსაც კლასი სიღრმისეულად გააანალიზებს. ამის ნიმუშად ჩვენ გთავაზობთ ლია ბაგრატიონის გამოფენის „ვარდნის საშიშროება“ მაგალითს.

ლია ბაგრატიონი
https://www. facebook.com/watch/?v=421731326277062 ლია

ნიმუში: ლია ბაგრატიონის ნამუშევრის ანალიზი

ინფორმაცია: 2021 წლის დეკემბერში „არტარეას“ საგამოფენო დარბაზში თანადროვე ქართველმა არტისტმა ლია ბაგრატიონმა მოაწყო გამოფენა სახელწოდებით „ვარდნის საშიშროება“ (გამოფენის კურატორი თამთა შავგულიძე). გამოფენას ახლდა კონცეფცია, რომელიც მნახველს აცნობდა მხატვრის ჩანაფიქრს - ე. წ. რბილი ქანდაკების საშუალებით აღეწერა თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობა.

ლია ბაგრატიონი
https://at.ge/2021/12/04/lia-bagrationi-2/

https://www. youtube.com/watch?v=9pXyx_gmqjE

https://www.google.com/search?q=%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90+%E1%83%91%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98+%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91

%E1%83%90&source=lmns&bih=789&biw=1600&rlz=1C1GCEA_enGE997GE997&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwi55vbA7_P2AhXLDWMBHdsWC2sQ_AUoAHoECAEQAA

ნამუშევრის აღწერა და ფორმის ანალიზი:
საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იყო პარალონის ღრუბლისაგან შემდგარი ნივთები: მაგიდა, კიბე, სკამები, თაროები, სავარძლები, კარები და სხვ. გამოფენის სივრცე ფერადოვანი თვალსაზრისით მინიმალისტური იყო: თეთრი კედლები, ნაცრისფერი პარალონის ნივთები და სულ რამდენიმე წითელი აქცენტი მკაცრ ესთეტიკას ამკვიდრებდა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ნივთების ფორმები ლაკონიური, მკაცრი და, შესაძლოა, ხისტიც კი იყო და ყოველგვარი შელამაზების გარეშე იყო წარმოდგენილი. მხოლოდ დიდი მაგიდის ზედაპირი იყო ოდნავ დატალღული და პარალონის კარებები დაბრეცილი, რაც მნახველში უჩვეულობის განცდას ბადებდა.

ნივთების მუქი ნაცრისფერი თავიდან მნახველის თვალს თითქოს ატყუებს და საგნებს (სკამებს, სავარძელს, მაგიდას და სხვ.) მყარ ობიექტებად მოაჩვენებს, საყოფაცხოვრებო ნივთები თავისი ფორმით ერთი შეხედვით რეალურ საგნებს გავს, მაგრამ თანდათან აღქმის დროს მნახველი ხვდება, რომ კიბეზე ვერ ავა, სკამსა და სავარძელზე ვერ დაჯდება, რადგან ნივთებს სიმყარე არ აქვს და აუცილებლად დავარდება, თაროებსა და მაგიდაზე ვერაფერს დადებს, რადგან ისინი ვერ ზიდავენ მყარი საგნების სიმძიმეს და ჩამოვარდებიან.

სწორედ აქედან იღებს სათავეს გამოფენის სახელწოდებაც - „ვარდნის საშიშროება“.

ინტერპრეტაცია და კონტექსტში ჩასმა:
ლია ბაგრატიონი ამ ნამუშევარში სათქმელს სწორედ არატრადიციული მასალით ამბობს. იგი გვიჩვენებს, რომ ნივთებსაც კი ჩვენს ყოფაში დაკარგული აქვთ ფუნქცია, ისე როგორც სიტყვებს - მნიშვნელობა და ისინი მხოლოდ გარეგნულად გვანან საკუთარ თავს. მათი მოქნილი და არამყარი მასალა ადამიანის ვარდნის, უფრო ზუსტად კი „დაცემის“ სიმბოლოა. აქ ჩნდება ასოციაცია დღევანდელი სამყაროს მიერ დაკარგულ ფასეულობებთან, იმ ფასეულობებთან და ღირებულებებთან, რომელიც კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში ჩამოაყალიბა და რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა საზოგადოების მყარ საფუძველს წარმოადგენდა. სწორედ ამ საფუძველთა „შერბილებაზე“, ეფემერულობაზე და, შესაბამისად, დაკარგვაზე მიუთითებს ეს ნამუშევარი.

ი. კ.

- რომელი ღირებულებების დაკარგვაზე შეიძლება ვისაუბროთ თანამედროვე სამყაროში?

აქ მოსწავლეებს მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალება ეძლევათ. მათ შეუძლიათ, ისაუბრონ ადამიანის უფლებების დარღვევაზე, თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ომების სისასტიკეზე, ტრეფიკინგზე, კრიმინალსა და მომხვეჭელობაზე, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების არამდგრადობაზე და ა. შ.

ამ ნაბიჯის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, რათა მათ შეარჩიონ ერთი თანამედროვე არტისტის შემოქმედება და მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც არატრადიციული მასალებითა და ფორმებით იქნება შექმნილი და დაწერონ მოხსენება, რომელსაც საკლასო ან სასკოლო კონფერენციაზე წარმოადგენენ.

ნაბიჯი 3

დავალების პირობა:

შექმენით ნამუშევარი არატრადიციული მასალის/ფორმების/ხერხის გამოყენებით, რომელშიც გამოხატავთ თქვენს პოზიციას ქვემოთ მოცემული გარკვეული თემის ფარგლებში.

ამ აქტივობის შესრულება შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს:

1. თემის შერჩევა და პრობლემის გამოკვეთა; ნამუშევრის კონცეფციის შემუშავება;
2. ნამუშევრისთვის არატრადიციული მასალისა და ფორმების შერჩევა ჩანაფიქრის შესაბამისად;
3. ნამუშევრის პრაქტიკულად განხორციელება.

პირველ ეტაპზე აუცილებელია შეირჩეს თემა. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შეახსენოსმათ მიერ სგანში „მოქალაქეობა“ გავლილი თემები და შესთავაზოსრამდენიმე თემა: „ადამიანის უფლებები“, „ძალადობა და საზოგადოება“ და ქვეთემები მის ფარგლებში:

- პიროვნება და საზოგადოება
- ძალადობა და მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა
- ადამიანის უფლებები და სახელმწიფო
- მოქალაქე, საზოგადოება, სახელმწიფო
- ადამიანის უფლებების იდეა და წყარო
- ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებათა შესახებ
- მოქალაქე, საზოგადოება, სახელმწიფო
- ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ეტაპები

ამ თემების სესახებ იხ. :

https://www. civiceducation.ge/ka/lessons

ი. კ.

- რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებები და პასუხისმგებლობები?
- როგორ უნდა დავიცვათ ადამიანის უფლებები?
- რა გავლენას ახდენს ძალადობის ფაქტები საზოგადოებრივ ღირებულებებზე?
- რატომაა მნიშვნელოვანი საკუთარი პასუხის, გებლობის გაცნობიერება?
- რატომ წარმოშობს გულგრილობა და შემგუებლობა ძალადობას?
- რა განაპირობებს საზოგადოების არაძალადობრივი, ტოლერანტული ღირებულებების ჩამოყალიბებას და როგორ სეგვიძლია ამაში მივიღოთ მონაწილეობა თითოეულმა ადამიანმა?
- რატომაა მნიშვნელოვანი, რომ სახელმწიფოს შემუშავებული ჰქონდეს ძალადობის საწინააღმდეგო პოლიტიკა და მოახდინოს ამ ფაქტებზე რეაგირება?

ამ ეტაპზე მოსწავლეებს დასჭირდებათ მოქალაქეობის პედაგოგის კონსულტაცია და დახმარება.

ამ თემების გახსენების შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ ნამუშევრის კონცეფცია, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ საზოგადოებაში არსებული პრობლემები თითოეული ადამიანის პრობლემაცაა. ჩამოთვლილი თემებიდან მათ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი და გაეცნონ ამ თემის

შესახებ არსებულ ლიტერატურას, დაამუშაონ ის და ამის საფუძველზე მოიფიქრონ რა კონკრეტული შინაარსი ექნება მათ ნამუშევარს, რისი თქმა უნდათ მათ საკუთარი ნამუშევრით, ჩამოაყალიბონ კონცეფცია და მოიფიქრონ კონცეფციის შესაბამისი სახელწოდება მომავალი ნამუშევრისათვის.

მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რომელ არატრადიციულ მასალას გამოიყენებენ და რატომ, რომელი მასალით იქნება შესაძლებელი ნამუშევრის კონცეფციისა და მისი საზრისითუკეთ გადმოცემა. გარდა ამისა, მათ უნდა გაიაზრონ რომელ მხატვრულ საშუალებებს (ელემენტებსა და ხერხებს)გამოიყენებენ ისინი საკუთარი ჩანაფიქრის უკეთ განსახორციელებლად.

მოსწავლეებს შეუძლიათ დახურულ სივრცეში წარმოსადგენი ობიექტი ან ინსტალაცია გააკეთონ, მაგრამ, ამავე დროს, მათ შეუძლიან ლენდარტის ნიმუშიც შექმნან ღია სივრცეში.

ნამუშევრის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს მათ მიერ გადაღებული ფოტოები, სხვადასხვა დანიშნულების საგნები, ასევე, მათი ხელით შექმნილი ფორმები.

ნამუშევრის შექმნისას მათ შეუძლიათ გამოიყენონ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალირება, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოსგადაღება;

ნაბიჯი 4. - პრეზენტაცია

პროექტის განმავლობაში მოსწავლეებმა რამდენიმე აქტივობის შედეგად შექმნეს რამდენიმე პროდუქტი, რომლებიც მათ პროექტის ბოლო ეტაპზე საჯაროდ უნდა წარმოადგინონ:

- ტრადიციული მეთოდის შესახებ დაწერილი ესსეს პრეზენტაცია
- მოხსენება ერთი თანამედროვე არტისტის შესახებ, რომელიც არატრადიციული მასალებით მუშაობს;
- არატრადიციული მეთოდებით ნამუშევრის შექმნა ადამიანის უფლებების თემაზე
- კონფერენციის ორგანიზება
- გამოფენის მოწყობა

ინტეგრირებული პროექტი

<u>არატრადიციული მასალები და ტექნოლოგიები თანამედროვე ხელოვნებაში</u>

შემაჯამებელი შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები:

ფორმა: პირობითი და რეალისტური ფორმა, გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი

ფერი: ძირითადი, შედგენილი, ლოკალური, კონტრასტული;

ხაზი: ნებისმიერი ტიპის ხაზი, კონტური, შტრიხი,

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპები, ელემენტების განაწილება, მთავარის გამოყოფა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, ხედვის წერტილი და რაკურსი, კადრირება, წონასწორობა, სტატიკა-დინამიკა, კონსტრუქცია, რიტმი, განათება.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:

ქანდაკება/ობიექტი, ინსტალაცია, ლენდარტი.

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები:

მსოფლიო და ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოს, ვიდეოს გადაღება;

ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში, შესასრულებელი დავალების პირობა:

- გაიხსენეთ ის ტრადიციული მასალები, ექნოლოგიები და ხელოვანები, რომლებიც მუშაობდნენ ტრადიციული მასალითა და ტექნიკით, რა სიახლეები გვხვდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მასალისა და ტექნოლოგიების კუთხით და დაწერეთ ესსე;

- მოიძიეთ ინფორმაციები უახლესი თანამედროვე არატრადიციული მასალისა და ტექნოლოგიების შესახებ, მასალებისა და ტექნოლოგიების კავშირებზე თანამედროვე ხელოვნების დარგებთან; შეარჩიეთ ერთი ხელოვანი, რომელიც იყენებს არატრადიციულ მასალას და ტექნიკას და გამოიკვლიეთ მისი შემოქმედება და დაწერეთ საკონფერენციო მოხსენება მის შესახებ და წარმოადგინეთ საკლასო/სასკოლო კონფერენციაზე;

სამოქალაქო განათლებაში, მიმდინარე წელს და წინა წლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე, შემოთავაზებული ორი თემის (ადამიანის უფლებები, ძალადობა და საზოგადოება) ფარგლებში შეიმუშავეთ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც შექმნით ნამუშევარს არატრადიციული მასალების, ტექნიკისა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით. განსაზღვრეთ ნამუშევრის მთავარი იდეა, მიზნობრივად და შემოქმედებითად გამოიყენეთ სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და სამოქალაქო განათლებაში მიღებული ცოდნა და უნარები. გამოხატეთ საუთარი სამოქალაქო პოზიცია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძალადობის მიმართ. ნამუშევარი წარმოადგინეთ თქვენს მიერ ორგანიზებულ ექსპოზიციაზე. ექსპოზიციას შეურჩიეთ შესაბამისი სივრცე და ფორმა. დასკვნით ეტაპზე ასევე წარადგინეთ ინტეგრირებული პროექტის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალა.

კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუ-ალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის დავალების არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, ყველა აქტივობაში. მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად განიხილავს ტრადიციულ და არატრადიციულ მასალასა და ტექნოლოგიებს, აანალიზებს მათ კავშირს თანამედროვე ხელოვნების დარგებთან თუ ფორმებთან, საკონფერენციო/საპრეზენტაციო მოხსნებაში განხილულია მის მიერ შერჩეული ხელოვანის შემოქმედება, რომელიც იყენებს არატრადიციულ მასალას და ტექნიკას. მოძიებული ინფორმაციები კვლევის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე. იგი განსხვავებული პერსპექტივიდან განიხილავს საკითხს. მოძიებული ინფორმაციები კარგად ორგანიზებულია. მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკვლევი თემა - ხელოვანის შემოქმედების კვლევა, რომელშიც დამაჯერებლად აანალიზებს ხელოვანის მიერ გამოყენებულ მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას და ტექნიკას, მსოფლიო, ქართული და თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს. პრეზენტაციის ეტაპზე, მოსწავლე წარადგენს მოხსენებას და პროექტის მიმდინარეობის ერთ-ერთ ეტაპზე შექმნილ ნამუშევრების ექსპოზიციას/მის მიერ შექმნილ ნამუშევარს. შემუშავებული კონცეფციის (თემა:ადამიანის უფლებები, ძალადობა და საზოგადოება) შესაბამისად, ნამუშევარში საკუთარი იდეებისა და მოსაზრებების უკეთ წარმოსაჩენად, ჩანაფიქრის, საკუთარი ხედვის გადმოსაცემად მოსწავლე გააზრებულად, მიზანმიმართებულად და შემოქმედებითად იყენებს არატრადიციულ მასალასა და ტექნიკას. მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, საუბრობს მსოფლიო, ქართული და თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებზე, სიღრმისეულად აანალიზებს მათ მხატვრულ მახასიათებლებს. სათქმელის ლაკონურად გადმოსაცემად, შემოქმედებითად იყენებს გამომსახველობით შესაძლებლობას. ეფექტურად იყენებს საგნებში მიღებულ ცოდნას და უნარებს. მოსწავლის ნამუშევარში ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა. მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. პრეზენტაციისას საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას როგორც მოხსენების, ასევე ნამუშევრის წარდგენისას. პრეზენტაციის პროცესში იყენებს პროექტის მიმდინარეობის ამსახველ ფოტო თუ ვიდეო-მასალას.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის	მოსწავლეს ესმის დავალების არსი. დავალების პირობის	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის არსი. დავალების პირობის შესაბამისად,	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის არსი. დავალების

საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად განიხილავს მოხსნებაში მის მიერ შერჩეული ხელოვანის შემოქმედებას, მის მიერ მოძიებული ინფორმაცია ძირითადად კვლევის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე. იგი დამაჯერებლად აანალიზებს ხელოვანის მიერ გამოყენებულ მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და საკუთარი პოზიციის გამოსახატად თავად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს. ნამუშევრის კონცეფციის შესაბამისად, ყურადღება ძირითადად მახვილდება გამომსახველობითი საშუალებების ურთიერთკავშირსა თუ	შესაბამისად, მოსწავლე ძირითადად გააზრებულად განიხილავს მოხსნებაში მის მიერ შერჩეული ხელოვანის შემოქმედებას. მის მიერ მოძიებული ინფორმაცია ძირითადად, კვლევის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე. ძირითადად, დამაჯერებლად აანალიზებს ხელოვანის მიერ გამოყენებულ არატრადიციულ მასალას და ტექნოლოგიას. მის ურთიერთმიმართებას თანამედროვე ხელოვნების ფორმებთან. ძირითადად, შემოქმედებითად იყენებს არატრადიციულ მასალას და ტექნიკას, საკუთარი პოზიციის გამოსახატად. ნამუშევრის კონცეფციის შესაბამისად, ყურადღება გამახვილებულია არატრადიციული მასალისა და ტექნოლოგიების მახასიათებლებზე და	მოსწავლე ძირითადად გააზრებულად განიხილავს მოხსნებაში მის მიერ შერჩეული ხელოვანის შემოქმედებას. მის მიერ მოძიებული ინფორმაცია ძირითადად, კვლევის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე. ძირითადად, დამაჯერებლად აანალიზებს ხელოვანის მიერ შეჩეულ დარგს თუ ჟანრს. საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახატად ძირითადად იყენებს დარგისა თუ ჟანრის თავისებურებებს/ შესაძლებლობებს ყურადღება გამახვილებულია მათ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმიმართებაზე ძირითადი იდეის, ჩანაფიქრის გადმოსაცემად.	პირობის შესაბამისად, ძირითადად გააზრებულად განიხილავს მოხსნებაში მის მიერ მოძიებული ინფორმაცია ძირითადად, კვლევის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა მსოფლიო, ქართული და თანამედროვე ხელოვნება, ძირითადად სიღრმისეულად აანალიზებს მათ მხატვრულ მახასიათებლებს. ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახატად, ძირითადად გააზრებულად იყენებს მსოფლიო თუ ქართული თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს.

	ურთიერთმიმართებაზე ძირითადი იდეის, ჩანა-ფიქრის გადმოსაცემად. შემაჯამებელი აქტივო-ბის ფარგლებში, ძირი-თადად, ურთიერთ-დაკავშირებულად მსჯე-ლობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავ-შირებს დავალების საშუალებით გამოკვე-თილ მოცემულობას, მოსწავლე ახდენს ფო-კუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. პრეზენტაციისას საუბრობს გამართუ-ლად, დამაჯერებლად	მათ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმიმართებაზე ძირითადი იდეის, ჩანაფიქრის გადმოსაცემად.		
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე უსისტემოდ, ერთმანეთ-თან დაუკავშირებლად განიხილავს მის მიერ შერჩეული ხელოვანის შემოქმედებას სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყე-	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე უსისტემოდ განიხილავს შერჩეული მხატვრის შემოქმედებას არატრადიციული მასალისა და ტექნოლოგიის გამოყენების კუთხით. თავად უსისტემოდ	დავალების პირობის შესაბამისად, უსისტემოდ, დაკავშირების გარეშე სა განიხილავს ხელოვანის მიერ შეჩეულ დარგს თუ ჟანრს. საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გადმოსაცემად, უსისტემოდ შეარჩევს დარგსა თუ ჟანრს, ძირითადად არ	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი ჩანაფიქ-რის, იდეისა თუ დამოკიდებულების გამოსახატად, ძირითადად არ ითვალისწინებს

	ნების კუთხით (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) უსისტემოდ იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობით საშუალებას საკუთარი პოზიციის გამოსახატად.	იყენებს არატრადიციულ მასალასა და ტექნოლოგიებს საკუთარი პოზიციის გამოსახატად.	ითვალისწინებს მათ თავისებურებებს.	უსისტემოდ იყენებს მსოფლიო , ქართული და თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლეს აქვს ბუნდოვანი, არასტრუქტურიზებული წარმოდგენა სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლეს აქვს ბუნდოვანი, არასტრუქტურიზებული წარმოდგენა არატრადიციულ მასალასა და ტექნოლოგიების ერთ მახასიათებელზე.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლეს აქვს ბუნდოვანი, არასტრუქტურიზებული წარმოდგენა ხელოვნების დარგებისა თუ ჟანრების მხოლოდ ერთ მახასიათებელზე	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლეს აქვს ბუნდოვანი, არასტრუქტურიზებული წარმოდგენა მსოფლიო, ქართულ და თანამედროვე ხელოვნების მხოლოდ ერთ მხატვრულ მახასიათებელზე
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული			

ინტეგრირებული პროექტი

<u>არატრადიციული მასალები და ტექნოლოგიები თანამედროვე ხელოვნებაში</u>

პრეზენტაციის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

ქვეცნებები:

ელემენტები:

ფორმა: პირობითი და რეალისტური ფორმა, გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი

ფერი: ძირითადი, შედგენილი, ლოკალური, კონტრასტული;

ხაზი: ნებისმიერი ტიპის ხაზი, კონტური, შტრიხი,

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპები, ელემენტების განაწილება, მთავარის გამოყოფა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, ხედვის წერტილი და რაკურსი, კადრირება, წონასწორობა, სტატიკა-დინამიკა, კონსტრუქცია, რიტმი, განათება.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:

ქანდაკება/ობიექტი, ინსტალაცია, ლენდარტი.

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: მსოფლიო და ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოს, ვიდეოს გადაღება;

ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში, შესასრულებელი დავალების პირობა:

- გაიხსენეთ ის ტრადიციული მასალები, ექნოლოგიები და ხელოვანები, რომლებიც მუშაობდნენ ტრადიციული მასალითა და ტექნიკით, რა სიახლეები გვხვდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მასალისა და ტექნოლოგიების კუთხით და დაწერეთ ესსე;
- მოიძიეთ ინფორმაციები უახლესი თანამდროვე არატრადიციული მასალისა და ტექნოლოგიების შესახებ, მასალებისა და

ტექნოლოგიების კავშირებზე თანამედროვე ხელოვნების დარგებთან;შეარჩიეთ ერთი ხელოვანი, რომლიც იყენებს არატრადიციულ მასალას და ტექნიკას და გამოიკვლიეთ მისი შემოქმედება და დაწერეთ საკონფერენციო მოხსენება მის შესახებ და წარმოადგინეთ საკლასო/სასკოლო კონფერენციაზე; • სამოქალაქო განათლებაში, მიმდინარე წელს და წინა წლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე, შემოთავაზებული ორი თემის (ადამიანის უფლებები, ძალადობა და საზოგადოება) ფარგლებში შეიმუშავეთ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც შექმნით ნამუშევარს არატრადიციული მასალების, ტექნიკისა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით. განსაზღვრეთ ნამუშევრის მთავარი იდეა, მიზნობრივად და შემოქმედებითად გამოიყენეთ სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და სამოქალაქო განათლებაში მიღებული ცოდნა და უნარები. გამოხატეთ საუთარი სამოქალაქო პოზიცია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძალადობის მიმართ. ნამუშევარი წარმოადგინეთ თქვენს მიერ ორგანიზებულ ექსპოზიციაზე. ექსპოზიციას შეურჩიეთ შესაბამისი სივრცე და ფორმა. დასკვნით ეტაპზე ასევე წარადგინეთ ინტეგრირებული პროექტის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალა.				
კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპო-ქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვ-ნების სახასიათო ნიშნები/ მხატვ-რული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე თანაკლალასელთა წინაშე წარადგენს შემუშავებული კონცეფციის ფარგლებში, მის მიერ შექმნილ ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით. საუბრობს მის მიერ შექმნილ ნამუშევარზე, გამოყენებულ არატრადიციულ მასალასა და ტექნიკაზე. შემუშავებული კონცეფციის (თემა:ადამიანის უფლებები, ძალადობა და საზოგადოება) შესაბამისად, ნამუშევარში საკუთარი იდეებისა და მოსაზრებების უკეთ წარმოსაჩენად, ჩანაფიქრის, საკუთარი ხედვის გადმოსაცემად მოსწავლე გააზრებულად, მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს არატრადიციულ მასალასა და ტექნიკას. მრავალფეროვან მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, საუბრობს მსოფლიო, ქართული და თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებზე, სიღრმისეულად აანალიზებს მათ მხატვრულ მახასიათებლებს. სათქმელის			

შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	ლაკონურად გადმოსაცემად, შემოქმედებითად იყენებს გამომსახველობით შესაძლებლობას. ეფექტურად იყენებს საგნებში მიღებულ ცოდნას და უნარებს. მოსწავლის ნამუშევარში ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა. მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. პრეზენტაციისას საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას როგორც მოხსენების, ასევე ნამუშევრის წარდგენისას. პრეზენტაციის პროცესში იყენებს პროექტის მიმდინარეობის ამსახველ ფოტო თუ ვიდეო-მასალას.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად, მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების არსობრივ მახასიათებლებზე და ეს მახასიათებლები როგორ არის ურთიერთდაკავშირებული, გამოყენებული ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისად. ძირითადად ამყარებს ეფექტურ	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ სახვითი ხელოვნების არატრა-დიციულ და მასალასა და ტექნიკაზე. მის არსობრივ მახასიათებლებზე და ეს მახასიათებლები როგორ არის ურთიერთდაკავში-რებული, გამოყენებული ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისად. ძირითადად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს შერჩეული დარგისა თუ კონკრეტული ჟანრის ნამუშევრების შესაბამისობაზე დავალებასთან. ძირითადად ამყარებს ეფექტურ	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად მწყობრად და თანმიმდევრულად საუბრობს მსოფლიო, ქართულ და თანამედროვე ხელოვნებაზე, მათ დამახასიათებელ ნიშნებზე, მოყავს ზოგადი მაგალითები. ძირითადად

	კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას	ყურადღებას	კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას.	ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს გამოყენებულ სახვით საშუალებებზე, ასახელებს რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და ხერხს მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მათ შორის მიმართებებს. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, ძირითადად იყენებს იყენებს ვერბალური კომუნიკაციის ფორმას.	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს გამოყენებულ ტექნიკაზე, ასახელებს რამდენიმე მასალას და ტექნიკას. შეუძლია რამდენიმე მახასიათებელსა და თვისებაზე საუბარი. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს შერჩეული დარგის, ჟანრის შესაბამისობაზე დავალების პირობასთან. მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს მსოფლიო, ქართულ და თანამედროვე ხელოვნებაზე, მის დამახასიათებელ ნიშნებზე. მოსწავლე ნაწი-ლობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს, მის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებასა და ხერხზე. მოსწავლე ძირითადად ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას	დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს, მის მიერ შერჩეულ ტექნიკასა და მასალაზე. მოსწავლე ძირითადად ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას	დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს, მის მიერ შერჩეული ჟანრის მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. მოსწავლე ძირითადად ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას	დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს, მსოფლიო, ქართულ და თანამედროვე ხელოვნებაზე, მათ დამახასიათებელ ნიშნებზე.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლის მიერ დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული			

<u>პროექტი 5.</u> ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო მიღწევები, აღმოჩენები და ხელოვნება

პროექტის თემა:

ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო მიღწევები, აღმოჩენები და ხელოვნება.

პროექტის მიზანი:

- პროექტის მიზანია მოსწავლეებმა საკუთარი კვლევების საფუძველზე გაიაზრონ, თუ როგორ აისახება სამეცნიერო მიღწევები ხელოვნების სფეროზე, მის სხვადასხვა დარგზე;
- ასევე, პროექტის მიზანია, მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ აღიქვან, როგორ იყენებს შემოქმედებითი სფერო ახალ სამეცნიერო აღმოჩენებსა და მიღწევებს ხელოვნებაში გარკვეული სიახლეების დასანერგად და ახალი მხატვრული გამომსახველობითი ფორმების შესაქმნელად;
- სამეცნიერო მიღწევებისა და ხელოვნების სფეროს ურთიერთმიმართების შესახებ მიღებული ცოდნა მოსწავლეებმა პრაქტიკული საქმიანობით უნდა განამტკიცონ, საკუთარი ნამუშევრის შექმნის გზით.

პროექტის შედეგი:

მოსწავლე შეძლებს:

- პროექტის შედეგად, საკუთარი კვლევების საფუძველზე, გაიაზროს, თუ როგორ აისახება სამეცნიერო მიღწევები ხელოვნების სფეროზე, მის სხვადასხვა დარგზე;
- ასევე, პროექტის განხორციელების შედეგად თვალსაჩინოდ აღიქვას, როგორ შეიძლება ახალი სამეცნიერო აღმოჩენები და მიღწევები გამოყენებულ იქნას ხელოვნებაში გარკვეული სიახლეების დასანერგად და ახალი მხატვრული გამომსახველობითი ფორმების შესაქმნელად;
- გამოიყენოს წინა წლებში მიღებული ცოდნა, ჩაატაროს კვლევა შერჩეულ თემაზე ამ ცოდნაზე დაყრდნობით საკუთარ ნამუშევარში დასახული ამოცანის, იდეის განსაზღვრა და სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების შედეგად.

მკვიდრი წარმოდგენები

- ტექნიკური პროგრესი და აღმოჩენები კაცობრიობის მთელ ისტორიას ახლავს თან
- XX- XXI საუკუნეები ტექნოგენურ ეპოქას წარმოადგენს, რომლის მთავარი მახასიათებელია ტექნიკური პროგრესი და მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა თუ მიღწევა;
- ტექნიკური პროგრესი საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, თუმცა მას უარყოფითი მხარეებიც აქვს;
- ტექნიკური პროგრესის შედეგებს მუდმივად იყენებდა კაცობრიობა ხელოვნების სფეროში;

- XX და XXI საუკუნეებში მიმდინარე სამეცნიერო და ტექნიკურმა პროგრესმა, მეცნიერულმა აღმოჩენებმა განაპირობა ხელოვნების ახალი დარგებისა თუ ფორმების წარმოქმნა და ახალი მხატვრული ესთეტიკის დამკვიდრება;

სამიზნე ცნებები:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები:

ელემენტები:

ფორმა: გეომეტრიული, მოცულობითი

ფერი: ნებისმიერი ფერი

ხაზი: ნებისმიერი ტიპის ხაზი

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპი, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, რიტმი.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: მსოფლიო და ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, კოლაჟი, კონტრუირება.

პრიორიტეტული თემები
პროექტის ფარგლებში მუშავდება შემდეგი პრიორიტეტული თემები:

ტექნიკური პროგრესი და სამეცნიერო მიღწევები (ცნებების განსაზღვრა და ტექნიკური პროგრესის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა, ამ საკითხზე გაეროს დოკუმენტის გაანალიზება)

აღმოჩენები და ხელოვნება (ხელოვნების და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ურთიერთმიმართება კონკრეტული მაგალითების განხილვისა და გააზრების საფუძველზე)

ადამიანის უფლებები (ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები და მათი ფუნქციები, ამ ტიპის ორგანიზაციების არქიტექტურა)

გამჭოლი თემები
პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს უვითარდება შემდეგი გამჭოლი უნარები და უყალიბდება შემდეგი ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა - პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება;

პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა

კრიტიკული აზროვნება - ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

შემოქმედებითი აზროვნება -
ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;

ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა;

თანამშრომლობა - სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;

კომუნიკაცია - განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი;

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება-
ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში;
კვლევა - კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;

სწავლის სწავლა
დამოუკიდებლად საქმიანობა - აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას;
აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა;
განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის**;**

პასუხისმგებლობა - სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;

წიგნიერება - ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

საკითხი: ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა და მისი მიღწევების გამოყენება ხელოვნებაში.

საკვანძო შეკითხვები:

- რა როლი შეასრულა ტექნიკურმა პროგრესმა და მეცნიერულმა აღმოჩენებმა კაცობრიობის ისტორიაში?
- როგორია ტექნიკური პროგრესის ორმაგი ხასიათი?
- რა როლი შეასრულა ტექნიკურმა პროგრესმა და მეცნიერულმა აღმოჩენებმა XX-XXI საუკუნის ხელოვნებაში ?
- როგორ ზემოქმედებს XX და XXI საუკუნეებში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მეცნიერული აღმოჩენები ხელოვნებაზე და მასში ახალი ფორმებისა და ახალი ტიპის ესთეტიკის დამკვიდრებაზე?

ინტეგრირება

პროექტი **ტექნიკური პროგრესი, სამეცნიერო მიღწევები, აღმოჩენები და ხელოვნება**

ინტეგრირებულია **სამოქალაქო განათლების, უცხო ენის, ისტორიის, კომპიუტე-რული წიგნიერების დისციპლინებთან.** პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეები აანალიზებენ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ტექნიკური და სამეცნიერო პროგრესი, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები, ეკოლოგიასა და ადამიანთა ცნობიერებაზე მისი გავლენა და ადამიანის სამოქალაქო პასუხისმგებლობები ამ კუთხით. სხვადასხვა სასკოლო დისციპლინის შესწავლისას შეძენილი ცოდნა ხელს უწყობს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთ მთლიანობაში აღქმას. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა, საბოლოო ჯამში, გამოკვეთს იმ ღირებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების წესის საფუძველს.

პროექტის აღწერა:

პროექტი შეეხება ტექნიკურ პროგრესს, სამეცნიერო მიღწევებს, აღმოჩენებს და მათ კავშირს საზოგადოების სხვადასხვა სფეროსთან და ხელოვნებასთან. ამ პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები გაეცნობიან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ცნებას, მის ისტორიას, გამოიკვლევენ მას და მოძებნიან კავშირს, ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებულ სფეროსთან - ხელოვნებასთან.

პროექტი მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ თემებს, როგორიცაა: **ტექნიკური პროგრესი და სამეცნიერო მიღწევები** (ცნებების განსაზღვრა და ტექნიკური პროგრესის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა, ამ საკითხზე გაეროს დოკუმენტის გაანალიზება), **აღმოჩენები და ხელოვნება.**

პროექტი მოიცავს რამდენიმე თემას:

- ტექნიკური პროგრესი და მისი არსი;
- ტექნიკური პროგრესის მიზნები;
- ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება ჩვენს ცხოვრებაზე;
- ისტორიული კავშირი სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესსა და ხელოვნებას შორის;
- ადამიანის უფლებები და მათი დაცვა.

პროექტის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. კლასის რიცხოვნებიდან გამომდინარე, მასწავლებელი ყოფს მას რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც ცალ-ცალკე მუშაობენ თითოეულ აქტივობაზე. პროექტის პრეზენტაციის მომზადებაში მონაწილეობას იღებს ყველა ჯგუფი.

მოსწავლეები მსჯელობენ, აწყობენ დისკუსია-დებატებს, აანალიზებენ ხელოვნების ნაწარმოებებს, აფასებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ მათ, წერენ ესსეს შერჩეული მხატვრული ნაწარმოების და მასში დასმული პრობლემების თემაზე.

პროექტის მიმდინარეობა

დავალების პირობა:

- გაეცანით, რა არის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. დაამუშავეთ გაეროს 1975 წლის რეზოლუცია „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოყენება მშვიდობისა და კაცობრიობის სასიკეთოდ“ და მოაწყბეთ მისი განხილვა-დისკუსია.
- შეარჩიეთ და გამოიკვლიეთ 5 მნიშვნელოვანი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში და მოამზადეთ მათ შესახებ პრეზენტაცია.
- გამოიკვლიეთ რომელიმე აღმოჩენის ისტორია და განსაზღვრეთ როგორ აისახა ის ხელოვნებაში. დაწერეთ ესსე ამ თემაზე.
- შექმენით ნაგებობის მაკეტი, რომელშიც გამოიყენებთ რკინაბეტონის კონსტრუქციებს. ნაგებობის ფუნქცია დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვასთან. (ჯგუფური დავალება).
- მოაწყვეთ მაკეტების გამოფენა და გააკეთეთ საკუთარი მაკეტების პრეზენტაცია

ნაბიჯი 1

ტექნიკური პროგრესი.

დავალების პირობა:

გაეცანით რა არის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. დაამუშავეთ გაეროს 1975 წლის რეზოლუცია „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოყენება მშვიდობისა და კაცობრიობის სასიკეთოდ“ და მოაწყვეთ მისი განხილვა-დისკუსია.

ი. კ.

- **რა არის ტექნიკური პროგრესი?**

თემის დასაწყისში მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას ეს კითხვა და მისცეს საშუალება, რომ მათ თავად გამოთქვან საუთარი მოსაზრებები. შემდეგ კი, შეეცადოს, რომ მათი მსჯელობა მოაქციოს ამ ცნების განსაზღვრების ფარგლებში და მისცეს მათ ერთგვარი ფორმულა: ტექნიკური პროგრესი მეცნიერებისა და და ტექნიკის ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთმასტიმულირებელი განვითარების პროცესს წარმოადგენს. ესაა პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება ტექნოლოგიების განვითარება. ტექნოლოგიების განვითარებას საფუძველს უქმნის და ბიძგს აძლევს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში წარმოებული სამეცნიერო კვლევები და

აღმოჩენები. ჯერ მეცნიერები იკვლევენ ამა თუ იმ საკითხს, პრობლემას, გამოაქვთ დასკვნები და შემდეგ ამ კვლევების შედეგების დანერგვა შესაბამის სფეროში ტექნოლოგიების მეშვეობით ხდება.

თუ კაცობრიობის ისტორიას გადავავლებთ თვალს, ტექნიკურმა პროგრესმა რთული და წინააღმდეგობრივი გზა გაიარა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ვიდრე XVIII საუკუნის მიწურულამდე და XIX საუკუნის დასაწყისამდე ტექნიკურ პროგრესში არ მონაწილეობდა მეცნიერული კვლევა და ტექნიკური პროგრესის ყველა ცალკეული შემთხვევა უშუალო სამეცნიერო კვლევას როდი ეფუძნებოდა. მაგ., ბორბლის გამომგონებელს ნამდვილად არ ჩაუტარებია სამეცნიერო კვლევა, ისე შექმნა ბორბალი, რომელმაც დიდი ძვრა მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში და ადამიანს სწრაფად გადაადგილების საშუალება მისცა. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება მეცნიერებისა და ტექნიკის დაახლოება და მეცნიერება დგება წარმოების სამსახურში. ის იქცევა ძალად, რომელიც წარმოების განვითარებას უწყობს ხელს.

ტექნიკური და სამეცნიერო პროგრესის ერთობლიობა თანამედროვე სამყაროს პირმშოა, რომელიც XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ დროიდან იწყება მეცნიერების ტექნიკური პროგრესის სამსახურში ჩაყენება და ეს პროცესი სულ უფრო აქტიურდება. ზოგიერთი აღმოჩენა გადატრიალებასაც კი ახდენს სამყაროში. მაგ., ამგვარი გადატრიალების ერთ-ერთი მაგალითი XX საუკუნის 50-იან წლებში გვაქვს, როდესაც გაჩნდა პირველი კომპიუტერები და მეცნიერებმა ხელოვნურ ინტელექტზე დაიწყეს მუშაობა.

თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპი ძალზე მაღალია, რაც ციფრული და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგია. სწორედ ამ სწრაფი სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების გამო, თანამედროვე ეპოქას ხშირად **ტემპორალურ ეპოქასაც** უწოდებენ ხოლმე (ლათ. ტემპო -დრო)

ცნება - ტექნიკური პროგრესი XX საუკუნეში გაჩნდა. სწორედ ამ დროს განისაზღვრა ტექნიკური პროგრესის მიზანი.

ი. კ.

- **რა არის ტექნიკური პროგრესის მიზანი?**

ამ საკითხზეც მოსწავლეებმა თავად უნდა იმსჯელონ და საბოლოოდ უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რო ტექნიკური პროგრესი საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია და მისი მიზანია ადამიანთა ცხოვრების დონის, პირობების გაუმჯობესება, შრომის პირობების შემსუბუქება და უსაფრთხოება, საზოგადოების ეკონომიკური დონის ამაღლება, საზოგადოების სოციალური და სამყაროს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ თითოეულ ამ პუნქტზე (ეკონომიკური, სოციალური ეკოლოგიური, სოციალური) და მოიყვანონ მაგალითები.

- ეკონომიკური - ტექნიკური პროგრესის მეშვეობით იზრდება ადამიანის კომფორტისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო სხვადასხვა სახის საგნების, ნივთების წარმოება. სხვადასხვა სახის მანქანები ანაცვლებს მძიმე შრომას და თავად ადამიანის შრომა უფრო მსუბუქი ხდება.
- სოციალური - იქმნება ახალი სამუსაო ადგილები, ადამიანს მეტი თავისუფალი დრო რჩებამ რადგან მძიმე, მავნე შრომას უკვე მანქანები ასრულებენ, უმჯობესდება ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურება და სხვ.
- ეკოლოგიური - ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება, წარმოების ნარჩენების გაუვნებელყოფა, ტექნოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილება და სხვ.
- საინფორმაციო - ცოდნაზე ხელმისაწვდომობა, ნებისმიერი სახის ინფორმაციის სწრაფად მოძიება და სხვ.

მოსწავლეებმა შესაძლოა, სხვა მიზნებიც დაასახელონ, და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ზოგადად ტექნიკური პროგრესის მიზანია ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლება.

ი. კ.

- **როგორ ზემოქმედებს ტექნიკური პროგრესი ჩვენს ცხოვრებაზე?**

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, უდავოდ, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, მაგრამ მას უარყოფითი შედეგებიც შეიძლება ჰქონდეს. მოსწავლეებმა ამ შემთხვევაში უნდა იმსჯელონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დადებით და უარყოფით მხარეებზე. აქ მასწავლებელს შეუძლია დასვას

ი. კ.

- როგორ შეცვალა ჩვენი ცხოვრება ციფრული ტექნოლოგიების შექმნამ? ხომ არ მიაყენა ზიანი მობილურმა ტელეფონმა და ინტერნეტმა ადამიანებს შორის ცოცხალ ურთიერთობას?
- ხომ არ მიაყენა ზიანი გარემოს უამრავი საწარმოს (ფაბრიკა-ქარხნის) არსებობამ?
- ნავთობის მოპოვების ტექნოლოგიების განვითარებამ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გარემოს?
- მანქანების რიცხვის ზრდამ რა პრობლემები შექმნა დიდ ქალაქებში?
- ხომ არ გაადვილა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ნებისმიერი ადამიანის პირად სივრცეში შეჭრის და თვალთვალის საშიშროება?

მასწავლებელს შეუძლია, თავადაც მოიფიქროს სხვა შეკითხვები.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, თუ როგორ უნდა აიცილოს საზოგადოებამ ტექნიკური პროგრესის ეს უარყოფითი მხარეები. პირველ რიგში, აუცილებელია, სახლმწიფო დონეზე ამ საკითხების მოგვარება და საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სახელმწიფოს მიერ ამ კანონების აღსრულების უზრუნველყოფა. მეორე მხრივ კი, საზოგადოებაში უნდა არსებობდნენ პატიოსანი, არაგულგრილი ადამიანები, რომლებიც ამ კანონების არაღსრულების შემთხვევაში ხმას აიმაღლებენ და პროტესტს გამოთქვამენ. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან არასამთავრობო

ორგანიზაციები, რომლებიც განახორციელებენ მონიტორინგს და ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას.

ამ საკითხებზე მსჯელობის დროს, მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი აუცილებელი და ბუნებრივი პროცესია, რომელსაც როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ სახელმწიფო, კონკრეტული ადამიანები და მთელი საზოგადოება მობილიზებული უნდა იყოს, რომ ეს პროცესი გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს, რათა ამ პროგრესის შედეგები საზიანო არ იყოს მათთვის.

არსებობს 1975 წელს გამოცემული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლუცია (3384) - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოყენება მშვიდობისა და კაცობრიობის სასიკეთოდ.
https://www. ohchr. org/en/instruments-mechanisms/instruments/declaration-use-scientific-and-technological-progress-interests

ნაბიჯი 2. უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები კაცობრიობის სიტორიაში
დავალების პირობა:
შეარჩიეთ და გამოიკვლიეთ 5 მნიშვნელოვანი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში და მოამზადეთ მათ შესახებ პრეზენტაცია.

ი. კ.

- რომელ აღმოჩენებს გაიხსენებდით საკაცობრიო ისტორიიდან, რომლებმაც შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა სამყაროზე?
- რომელ აღმოჩენებს/მიგნებებს გაიხსენებდით საკაცობრიო ისტორიიდან, რომლებმაც გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა?
- XX ს-ის რომელ სამეცნიერო აღმოჩენებს დაასახელებდით უმნიშვნელოვანესთა შორის?

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები ბევრი აღმოჩენის დასახელებას შეძლებენ. მასწავლებელმა მათ ამ აღმოჩენების თარიღების დასახელებაც უნდა სთხოვოს.
შესაძლოა, მოსწავლეებმა აქ ჩამოთვლილი აღმოჩენები დაასახელონ, შესაძლოა, სხვებიც მოიყვანონ. მოსწავლეებმა უნდა დაახასიათონ მათ მიერ ნახსენები აღმოჩენა და განმარტონ, რა როლი შეასრულა მან კაცობრიობის ისტორიაში.

აღმოჩენების რამდენიმე ნიმუში:

- ბორბალი (ძვ. წ. 4000-3500 წწ)
- ლურსმანი (დაახლ. ძვ. წ. 3400 წ)
- საპონი (დაახლ. ძვ. წ. 2800 წ)
- კანალიზაცია (დაახლ. ძვ. წ. 2600 წ)
- კომპასი (ძვ. წ. 206 წ)

- ქაღალდი (დაახლ. ძვ. წ. 105 წ)
- საბეჭდი დაზგა (1440 წ)
- ნათურა (1879 წ)
- ანტიბიოტიკები (1928 წ)
- ინტერნეტი (1969 წ)

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება მოამზადონ პრეზენტაცია თემაზე: 5 მნიშვნელოვანი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში.
ამ დავალების შესრულებისას, მათ უნდა შეარჩიონ ისეთი 5 მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელმაც, მათი აზრით, ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარებაზე და დიდი ცვლილებები გამოიწვია.

აქ მოცემულია მსოფლიო აღმოჩენების სია ეპოქების მიხედვით, რომლითაც მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ და თავისი არჩევანი გააკეთონ
https://en. wikipedia. org/wiki/Timeline_of_historic_inventions

ნაბიჯი 3. ტექნიკური პროგრესი, აღმოჩენები და ხელოვნება
დავალების პირობა:
გამოიკვლიეთ რომელიმე აღმოჩენის ისტორია და განსაზღვრეთ როგორ აისახა ის ხელოვნებაში. დაწერეთ ესსე ამ თემაზე.

ტექნიკურ პროგრესსა და აღმოჩენებს გვერდი ვერ აუარა ხელოვნებამაც. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ფაქტი არსებობს იმისა, რომ აღმოჩენებმა ბიძგი მისცა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის განვითარებას თუ ცალკეული ახალი დარგების წარმოშობასაც კი.
მასწავლებელმა რამდენიმე მაგალითი უნდა მოუყვანოს მოსწავლეებს და მისცეს საშუალება იმსჯელონ, როგორ აისახა ხელოვნებაში ტექნიკური პროგრესი და სხვადასხვა აღმოჩენა.
აქ შესაძლებელია სხვადასხვა თემის განხილვა.
მაგალითისათვის მოვიტანთ შემდეგ თემას:

- ცემენტი, ბეტონი, რკინაბეტონი და არქიტექტურა

ამ თემაზე მუშაობისას მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ წინა წლებში ნასწავლი მასალა, კერძოდ კი, ძველი რომის არქიტექტურა და მისი სამშენებლო მასალები. მათ ამ სამშენებლო მასალებზე (ცემენტი, ბეტონი, რკინაბეტონი) უნდა ჩაატარონ კვლევა და განსაზღვრონ რა ცვლილებები გამოიწვია ახალი მასალის გამოყენებამ.
ცნობილია, რომ ცემენტი, როგორც სამშენებლო მასალა უძველესი დროიდან არსებობს და მისმა გამოგონებამ ადამიანებს საშუალება მისცა, შეექმნათ მყარი ნაგებობები, რომლებმაც გაუძლო დროს და სტიქიურ უბედურებებს. ცემენტი

ცივილიზაციის და სამყაროს მოდერნიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო.

ცემენტი დაფქვული კირქვისა, ფიქალის და წყლის ერთმანეთში შერევის შედეგად მიიღებოდა და ძალზე მყარი შემაკავშირებელი მასალა იყო. მისი ეს თვისება საკმაოდ დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს ადამიანებმა. ცემენტის უძველესი ნიმუში ძვ. წ. 7000 წლით თარიღდება. 1985 წელს მეცნიერებმა ისრაელში აღმოაჩინეს მოცემენტებული იატაკი. მას ხშირად იყენებდნენ ეგვიპტეშიც, საიდანაც შემდეგ ის გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. მოგვიანებით რომაელებმა კიდევ უფრო გაუმჯობესეს ეს მასალა, რომელსაც აღწერს I საუკუნის რომაელი ავტორი ვიტრუვიუსი. ვიტრუვიუსის მიხედვითაც, რომაელებმა ცემენტის ამ შემადგენლობას შეურიეს ვულკანური წარმოშობის პემზა, ე. წ. პუცოლანა, რამაც მასალა კიდევ უფრო მყარი გახადა და ბეტონად აქცია. სწორედ რომაული ბეტონითაა ნაგები რომის სახელგანთქმული ძეგლები (მათ შორის რომის პანთეონი, აქვედუკები, ხიდები და სხვ.) და მათ სიმყარეს სწორედ ბეტონი განაპირობებს. რკინაბეტონმა საშუალება მისცა რომის სახელმწიფოს აეგო გრანდიოზული ნაგებობები, ამით წარმოეჩინა იმპერიის ძლევამოსილება და დიდებულება და გავლენა მოეხდინა იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებზე. ამგვარად, ახალმა მასალამ და ტექნოლოგიამ და მშენებლებს საშუალება მისცა შეეცვალა როგორც არქიტექტურის მხატვრული სახე, ასევე, შეესრულებინათ სახელმწიფოს დაკვეთა, აეგოთ პომპეზური და გრანდიოზული ხასიათის ნაგებობები იმპერიის სადიდებლად. მომდევნო ეპოქებში ეს ტრადიცია დაიკარგა.

XVII-XVIII საუკუნეებში ინჟინრებმა დაიწყეს ამ ტრადიციის აღდგება და ექსპერიმენტების ჩატარება. ამ ექსპერიმენტებს ატარებდა ინგლისელი უნჟინერი ჯოზეფ ასპდინი ინგლისში, რადგან, ზღვაოსნობის განვითარების კვალად, ინგლისს დაუდგა მაღალი და გამძლე შუქურების აგების აუცილებლობა. ცნობილ ხსნარში მან შეურია რკინა და ისეთი მასალა მიიღო, რომელიც წყალქვეშაც კი მდგრადი იყო. 1824 წელს ასპდინმა დააპატენტა ეს მასალა პორტლანდცემენტის სახელით, რადგან ის თავისი ფაქტურით ძალზე წააგავდა ე. წ. პორტლანდის ქვას, რომელიც ინგლისში მშენებლობების დროს გამოიყენებოდა. XIX საუკუნეში კი უკვე გაჩნდა ე. წ. რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. ფრანგმა მებაღემ ჟოზეფ კოინემ ეს გამოგონება დააპატენტა. ეს იყო რკინის არმატერა, რომელსაც შემდეგ გარედან ბეტონით ფუთავენ და ეს შენობას განსაკუთრებულ სიმყარეს ანიჭებს. რკინა-ბეტონით აგებული პირველი შენობა იყო ნევიანსკის დახრილი კოშკი ქალაქ ნევიანსკში, სვერდლოვსკის ოლქში (რუსეთი). ამის შემდეგ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენება ფართოდ გავრცელდა და დღეს ის ფართოდ გამოიყენება.

რკინაბეტონის გამოყენებამ, ერთი მხრივ, სიმყარე მიანიჭა ნაგებობებს, მეორე მხრივ კი, არქიტექტორებს საშუალება მისცა, მოესინჯათ ახალი, ძალზე მოქნილი ფორმები და ახალი მხატვრულ-ესთეტიკური სახე მიეცათ შენობებისათვის. ამის შესანიშნავი ნიმუშია ბრიუსელში ექსპო 58-ისათვის აშენებული Philips-ის პავილიონის სრულიად ახლებური ფორმა, რაც სწორედ რკინაბეტონის გამოყენებით იქნა მიღწეული.

ბეტონისა და რკინაბეტონის შესახებ:
https://ka. wikipedia. org/wiki/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98
https://en. wikipedia. org/wiki/Reinforced_concrete

მასწავლებელმა მოსწავლეებს საკვლევად შეუძლია სხვა თემებიც შესთავაზოს:

- მორგვი და კერამიკის განვითარება;
- კამერა ობსკურა და სივრცის ასახვა სიბრტყეზე რენესანსის მიღწევა;
- საბეჭდი დაზგა და გრაფიკის სახეობების განვითარება;
- ფოტოგრაფია და იმპრესიონიზმი

დ. ი. მ.

თუ იქნება შესაძლებლობა, რომ სკოლამ დაგეგმოს ვიზიტი სამშენებლო, არქიტექტურულ, საინჟინრო კომპანიებში პროფესიონალებთან შეხვედრის მიზნით, მოსწავლეები გაეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, სკოლას შეუძლია მშენებლობაზე ვიზიტიც მოაწყოს და მოსწავლეებს ადგილზე აჩვენოს, როგორ ხდება რკინაბეტონის კონსტუქციების გამოყენება მშენებლობის დროს.

ნაბიჯი 4. შენობის მაკეტის შექმნა

დავალების პირობა:

განსაზღვრეთ ნაგებობის ფუნქცია, მოიფიქრეთ შესაბამისი ფორმა და შექმენით ნაგებობის მაკეტი, გამოიყენეთ რკინაბეტონის კონსტრუქციების იდეა (ჯგუფური დავალება).

კვლევის ჩატარების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შექმნან შენობის მაკეტი, რომელშიც ისინი წარმოსახვით გამოიყენებენ რკინაბეტონის კონსტრუქციებს. ამ სამუშაოს ჩასატარებლად მათ რამდენიმე ეტაპის გავლა მოუწევთ:

- **თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ შენობის ფუნქცია, მისი დანიშნულება;**
  შენობის ფუნქციის განსაზღვრისას და ამ საკითხზე მსჯელობისას მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეების ყურადღება გაამახვილოს იმ პრიორიტეტულ თემებზე, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით: ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ბ) გარემოს დაცვა; გ) ჯანსაღი ცხოვრება; დ) სამოქალაქო უსაფრთხოება; ე) კონფლიქტების მართვა; ვ) ფინანსური წიგნიერება; ზ) კულტურული მრავალფეროვნება; თ) ადამიანის უფლებები. მას შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, გაეცნონ ამ სფეროებში მომუშავე ორგანიზაციებიის საქმიანობას, მათი მუშაობის პრინციპებს, შეარჩიონ ერთ–ერთი სფერო და მისი ორგანიზაციისათვის დააპროექტონ შენობა. ჩვენ ამ პროექტის ფარგლებში სანიმუშოდ ვთავაზობთ ერთ–ერთ თემას – ადამიანის უფლებები.

ი. კ.

- რას ნიშნავს ადამიანის უფლებების დაცვა?
- იცით თუ არა, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები იცავენ მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებებს? ჩამოთვალეთ ისინი.
- რატომ არის საჭირო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები?

მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობენ ამ სფეროში, რას აკეთებენ ისინი, როგორ იცავენ სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები
https://www. civiceducation.ge/ka/lessons/1-17
https://www. humanrightscareers.com/magazine/international-human-rights-organizations/

ი. კ.
- რომელი დაწესებულება/ინსტიტუცია იცავს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებებს?
- რა ფუნქცია აქვს სახალხო დამცველს?

მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია სახალხო დამცველის ფუნქციების შესახებ. მათ უნდა მოიძიონ, რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს ადამიანმა სახალხო დამცველს, ვისგან იცავს ეს ინსტიტუტი ადამიანებს და ა. შ.

სახალხო დამცველის შესახებ
https://www. ombudsman.ge/geo/gzamkvlevi

ამ ინფორმაციის მოძიების შემდგომ, მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს, სწორედ სახალხო დამცველის რეზიდენციის/შენობის შექმნაზე იფიქრონ. ისინი წინასწარ უნდა გაეცნონ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების შენობებს ევროპაში, მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს შენობას სტრასბურგში, რომელიც დაპროექტებულია ინგლისელი არქიტექტორის ლორდ რიჩარდ როჯერსის მიერ 1994 წელს. ეს შენობა ცნობილია მთელს მსოფლიოში. სწორედ ამ შენობიდან ხდება 700 მილიონი ევროპელის უფლებების პატივისცემაზე ზედამხედველობა სასამართლოს მიერ, რომლებიც ევროპის საბჭოს იმ 46 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
https://www. coe. int/ka/web/tbilisi/europeancourtofhumanrights

ამ ეტაპზე მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქცევინოს მოსწავლეებს, რომ არქიტექტორმა დაპროექტებისას გაითვალისწინა შენობის ფუნქცია, მისი მუშაობის წესი და ორი ძირითადი წრიული ნაწილით ააგო ის. ერთში განთავსებულია თავად სასამართლო, მეორეში – კომისია. შენობის უკანა ნაწილში კი ადმინისტრაციული ნაწილია განლაგებული. არქიტექტორმა გაითვალისწინა, რომ ნაგებობა თავისი შინაარსით ჰუმანური დაწესებულებაა და ამიტომ მას არ უნდა ჰქონოდა პირქუში

მხატვრული სახე. როჯერსმა ივარაუდა, რომ ამ ტიპის სასამართლო ჰუმანურ მიზნებს ემსახურება და ამიტომ მისი იერი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გახსნილი, სინათლით სავსე, ხალვათი ინტერიერებით, მის პროპორციებს კი არ უნდა დაეთრგუნა იქ შესული ადამიანი და შეენარჩუნებინა მისთვის ღირსება. სწორედ ამგვარ ასოციაციას იწვევს ამ შენობის ექსტერიერი, თავისი დენადი ფორმებით, ვერცხლისფერი ფასადებით, რომლებზეც კონსტრუქციული ელემენტები წითელი ფერით არის გამოყოფილი. ასეთივე ჰაერით სავსე, ხალვათი ინტერიერები აქვს ამ შენობას. ნაგებობის ვესტიბულიდან კი მშვენიერი ხედი იშლება მდინარეზე. ერთი სიტყვით, მასწავლებელმა ამ შენობის მაგალითზე მოსწავლეებს უნდა დაანახოს, თუ როგორ განსაზღვრავს ნაგებობის ფუნქცია მის ფორმას, მასალას, კონსტრუქციებს და ფერსაც კი.

რიჩარდ როჯერსის ნამუშევრები:
https://www. re-thinkingthefuture.com/know-your-architects/a545-15-projects-by-richard-rogers/#2c74af6b7abb574bf3de6960bf4823dd1f322237#100711

- ამ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოს შესრულების შემდგომ, მოსწავლეებმა უნდა დააპროექტონ ნაგებობა ანუ შექმნან ნახაზი, რომელშიც, შენობის ფუნქციიდან გამომდინარე, გააზრებული იქნება შიდა სათავსების დანიშნულება და მათი განაწილების პრინციპი;
- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, როგორი ექსტერიერი ექნება მათ შენობას და როგორ გამოხატავს ის ფუნქციას; აქ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება როგორ ფორმებს გამოიყენებენ მოსწავლეები, როგორ დააკავშირებენ ამ ფორმებს ერთმანეთთან, როგორ პროპორციებსა და მასშტაბურ შეფარდებას განსაზღვრავენ მთლიანად ექსტერიერისა ფასადების შემთხვევაში.
- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, რომელ მასალას გამოიყენებენ მაკეტის შესაქმნელად; სად, რომელ ადგილებში დასჭირდება ამ ნაგებობას რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება;
- მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ გამოიყენებენ ამ შენობისათვის ფერს თუ არა და განსაზღვრონ რამდენად საჭირო იქნება, ვთქვათ, ფერადოვანი აქცენტების გამოყენება შენობის ფასადებზე და ახსნან ეს.
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულება;
- ამ სამუშაოს შესრულების დროს, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ მათი შენობა იყოს ორიგინალური და, ამავე დროს, მათ უნდა განსაზღვრონ, სად გამოიყენებენ ე. წ. რკინაბეტონის კონსტრუქციებს და დაასაბუთონ მათი ადგილმდებარეობა. იმ ადგილებში, სადაც მოსწავლეები რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციებს მოიაზრებენ, შეუძლიათ, გამოიყენონ სხვადასხვა მასალა: სწრაფად შრობადი თიხა ან პლასტილინი და ახსნან, თუ რატომ უნდა იყოს ეს კონსტრუქცია სწორედ აქ. ასევე, მათ შეუძლიათ ცემენტის გამოყენებაც (ამისათვის მათ მცირე რაოდენობით დასჭირდებათ ეს მასალა).

მაკეტის შექმნისას მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ გეომეტრიული ფორმები. მათ უნდა გაიაზრონ ნაგებობის ფერადოვანი გადაწყვეტა, შენობის თუ მისი

ნაწილების ფუნქციის შესაბამისად და ესთეტიკური ნორმებიდან გამომდინარე. მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ, როგორ იქნება აგებული კომპოზიციურად მათი შენობის მაკეტი; შესაძლოა, მათ გამოიყენონ როგორც სიმეტრიული, ასევე - ასიმეტრიული კომპოზიციური აგების პრინციპი. ასევე, შესაძლებელია, მათ ნაგებობის ფასადებზე ფორმების რიტმული განაწილების პრინციპიც გამოიყენონ და ეს მოცულობითი ფორმებით, სხვადასხვა ტიპის ხაზის საშუალებით ან კოლაჟის ტექნიკით გააკეთონ. მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ მათი მაკეტის მასშტაბიც, ასევე ყურადღება მიაქციონ მაკეტის ცალკეული ნაწილების პროპორციებს და ამ ნაწილთა პროპორციულ შეფარდებას, მასშტაბს. მათ მიერ შექმნილი კონსტრუქცია უნდა იყოს მყარი.

ნაბიჯი 5. პრეზენტაცია
პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ოთხი ტიპის აქტივობაში იღებენ მონაწილეობას და თითოეულ მათგანს წარადგენენ პრეზენტაციაზე.

- გაეროს 1975 წლის რეზოლუციის („სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოყენება მშვიდობისა და კაცობრიობის სასიკეთოდ“) შესახებ დისკუსიაში მონაწილეობა;
- პრეზენტაცია თემაზე: 5 მნიშვნელოვანი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში;
- ესსე რომელიმე აღმოჩენის ისტორიის კვლევა და ამ აღმოჩენის გამოყენება ხელოვნებაში;
- ნაგებობის მაკეტის გაკეთება მოსწავლეთა მიერ შერჩეული ფუნქციის მქონე შენობისათვის;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი ნაგებობის მაკეტების გამოფენის მოწყობა და პრეზენტაცია.

კრიტერიუმი	**კარგი**	**საშუალო**	**სუსტი**
თემატიკა საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის--შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული შაქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანამიმდევრობა)			

პროექტი 5

(შემაჯამებელი) შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

სამიზნე ცნებები:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები:

ელემენტები:

ფორმა: გეომეტრიული, მოცულობითი

ფერი: ნებისმიერი ფერი

ხაზი: ნებისმიერი ტიპის ხაზი

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპი, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, რიტმი.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები: არქიტექტურა

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: მსოფლიო და ქართული ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება;

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ხატვა, კოლაჟი, კონსტრუირება

ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში, შესასრულებელი დავალების პირობა:

- გაეცანით, რა არის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. დაამუშავეთ გაეროს 1975 წლის რეზოლუცია „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოყენება მშვიდობისა და კაცობრიობის სასიკეთოდ“ და მოაწყბეთ მისი განხილვა-დისკუსია.
- შეარჩიეთ და გამოიკვლიეთ 5 მნიშვნელოვანი აღმოჩენა კაცობრიობის ისტორიაში და მოამზადეთ მათ შესახებ პრეზენტაცია.
- გამოიკვლიეთ რომელიმე აღმოჩენის ისტორია და განსაზღვრეთ როგორ აისახა ის ხელოვნებაში. დაწერეთ ესსე ამ თემაზე.
- შექმენით ნაგებობის მაკეტი, რომელშიც გამოიყენებთ რკინაბეტონის კონსტრუქციებს. ნაგებობის ფუნქცია დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვასთან. (ჯგუფური დავალება).

მოაწყვეთ მაკეტების გამოფენა და გააკეთეთ საკუთარი მაკეტების პრეზენტაცია

კრიტერიუმი - სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**	**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალი-ზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის დავალების არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, ყველა აქტივობაში. მოსწავლე ურთიერთდაკავშირებულად განიხილავს სამეცნიერო-ტექნიკურიპროგრესს, მის მნიშვნელობას. დეტალურად განიხილავს და აანალიზებს შეარჩიეთ და გამოიკვლიეთ 5 მნიშვნელოვან აღმოჩენს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია კაცობრიობის ისტორიაზე. პრეზენტაციაში მის მიერ მოძიებული ინფორმაციები კვლევის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე. იგი განსხვავებული პერსპექტივიდან განიხილავს საკითხს. მოძიებული ინფორმაციები კარგად ორგანიზებულია. მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკვლევი თემა, იგი დამაჯერებლად აანალიზებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას და ტექნიკას, მსოფლიო და ქართული ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნებს. მოსწავლე სიღრმისეულად აანალიზებს იმ აღმოჩენებს, რომლებმაც შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა სამყაროზე, გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეების, გავლენებისა თუ წარსული ეპოქების გამოცდილების გააზრების ფონზე, თავად აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში---აკეთებს განზოგადებას. მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგა-ლითებით---ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება და მის მიერ ცნებების სიღრმისეული გააზრება. მოსწავლე ესსეში შემოქმედებითად გადმოსცემს საკუთარ ხედვასა და დამოკიდებულებას. მოსწავლის მიერ შესრულებულ მაკეტში განსაზღვრულია ორიგინალური შენობები, ასევე თუ სად იქნება გამოყენებული რკინაბეტონის კონსტრუქციები. გათვალისწინებულია ყველა დეტალური მონაცემი (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა). განსაზღვრულია შენობების მასშტაბი და გათვალისწინებულია მათი სივრცობრივი ურთიერთმიმართება. შენობის ფუნქციის შესაბამისადაა			

	გადაწყვეტილი ნაგებობის ფერადოვანი გადაწყვეტა. ყურადღება გამახვილებულია შენობის მაკეტის კომპოზიციური აგების პრინციპებზე. მაკეტისათვის გამოყენებულია სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები, მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა (ფორმა, პროპორცია, მასშტაბი, სიმეტრია/ასიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, ხატვა, კონსტრუირება, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია, და სხვ.) არქიტექტურული ნაგებობების მაკეტის ყველა დეტალი შემოქმედებითადაა შექმნილი. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, იგრძნობა მათი გავლენა, ასევე არქიტექტურული დეტალების საკუთარი ინტერპრეტაცია, ინდივიდუალური ხედვა. მასალა შერჩეულია დასახული ამოცანის შესაბამისად. ნამუშევარი აკურატულადაა შესრულებული, მაკეტი მყარია.			
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე აანალიზებს იმ აღმოჩენებს, რომლებმაც შეცვალა კაცობრიობის წარმოდ-გენა სამყაროზე, გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა, აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ გამომსახველლობითი საშუალებების კუთხით. აკეთებს განზოგადებას.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე აანალიზებს ი აღმოჩენებს მასალისა და ტექნიკის კუთხით, თუ რამდენად შეცვალა კაცობრიობის ყოფა ამ აღმოჩენებმა. წარმოდგენა აკეთებს განზოგადებას. მოსწავლის მოსაზრე-ბები ძირითადად გამყა-რებულია არგუმენტებით	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე აანალიზებს იმ აღმოჩენებს, რომლებმაც შეცვალა არქიტექტურის, როგორც უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება, გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა, აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ სხვადასხვა ეპოქაში. აკეთებს განზოგადებას.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე აანალიზებს იმ აღმოჩენებს, რომლებმაც შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა სამყაროზე, გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა, აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ სხვადასხვა ეპოქის, მსოფლიო და ქართული ხელოვნების,

	მოსწავლის მოსაზ-რებები ძირითადად გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგა-ლითებით-დავალების პირობის თანახმად, მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ზოგად მონა-ცემებს და დეტალებს. განსაზღვრულია შენობების ფორმა, მასშტაბი, წონასწორობა, ასიმეტრია/სიმეტრია, რიტმი, კონსტრუქცია და ძირითადად, გათვალისწინებულია მათი სივრცობრივი ურთიერთმიმართება ხელოვნების სხვა დარგებთან თუ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.	და შესაბამისი მაგა-ლითებით. მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს. მაკეტში გამოყენებულია სახვითი ხელოვნების მრავალფეროვანი ტექნიკა: ხატვა, კონსტრუირება, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია და სხვ. არქიტექტურული ნაგებობების მაკეტის ყველა დეტალი ძირითადად შემოქმედებითადაა შექმნილი.	მოსწავლის მოსაზრებები ძირითადად გამყა-რებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგა-ლითებით - ესეს ნაწილებს შორის ძირითადად ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსაზრებები გამყა-რებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგა-ლითებით მის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ზოგად მონაცემებს არქიტექტურული ნაგებობის, მისი მახასიათებლების შესახებ	თანამედროვე ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნებზე. აკეთებს განზოგადებას. მოსწავლის მოსაზ-რებები ძირითადად გამყარებულია არგუმენ-ტებით და შესაბამისი მაგალითებით - ესეს ნაწილებს შორის ძირითადად ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსაზრებები გამყა-რებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგა-ლითებით მის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ზოგად მონაცემებს და დეტალებს. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულ-ტურისა თუ სტილის არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, იგრძნობა მათი

				გავლენა, ასევე არქიტექტურული დეტალების საკუთარი ინტერპრეტაცია
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ აანალიზებს იმ აღმოჩენებს, რომლებმაც შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა სამყაროზე, გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა, აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ გამომსახველლობითი საშუალებების კუთხით. მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ზოგიერთ	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ აანალიზებს იმ აღმოჩენებს, რომლებმაც შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა სამყაროზე, გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა, აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ მასალისა და ტენიკის კუთხით. მოსწავლის მაკეტის შესაქმნელად ძირითადად	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ აანალიზებს , ძირითადად ზოგადად არქიტექტურის, როგორც ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგისა და მისი განვითარების შესახებ. აღმოჩენებს, როგორ აისახა ადამიანთა ყოფაზე. კერძოდ სხვადასხვა ეპოქაში. აღინიშნება არქიტექტურული ნიმუშებისთვის	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს ეპოქის, მსოფლიო და ქართული ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნებზე. აკეთებს გააუმჯობესა ადამიანთა ყოფა, აანალიზებს თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ სხვადასხვა ეპოქაში. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის

	მონაცემს და დეტალს. განსაზღვრულია შენობების ფორმა, მასშტაბი, კონსტრუქცია და ზოგიერთ შემთხვევაში, გათვალისწინებულია	გამოყენებულია გარკვეული მასალა და ტექნიკა (კონსტრუირება, ხატვა, ძერწვა, კოლაჟი და სხვ.)	დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები.	არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები, გავლენები.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ , ძირითადად ზოგადად საუბრობს აღმოჩენებზე, თუ როგორ აისახა ის ხელოვნებაში, კერძოდ გამომსახველლობითი საშუალებების კუთხით. დავალების პირობის თანახმად, მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების არსი. მის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ზოგად	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს , მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს. მაკეტის შესაქმნელად ძირითადად არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა (კონსტრუირება, ხატვა,	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადა გაგებული. მოსწავლე უსისტემოდ , ძირითადად ზოგადად საუბრობს არქიტექტურის მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს არქიტექტურის, როგორც დარგის ძირითად მახასიათებლებზე. აღინიშნება სხვადასხვა	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, მოსწავლე უსისტემოდ , ძირითადად ზოგადად მოსწავლე უსისტემოდ საუბრობს მსოფლიო და ქართული ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების დამახასიათებელ მხოლოდ ერთ მახასიათებელზე. ნიშნებზე. მოსწავლის მიერ შესრულებული მაკეტი იძლევა ბუნდოვან მონაცემებს. აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურისა თუ სტილის

	მონაცემებს და დეტალებს სახვითი საშუალებებისა და ხერხების კუთხით.	ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია, ინსტალაცია, და სხვ.);	ეპოქის/კულტურისა თუ სტილის არქიტექტუ-რული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშანი	არქიტექტურული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	დავალება არადაექვატურადაა გაგებული			

პროექტი 6

პროექტის ტიპი: შემოქმედებითი/სამოქალაქო

პროექტის თემა: **ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება.** **ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში.**
პროექტის მიზანი მოსწავლემ გააცნობიეროს, რომ ხელოვნების მეშვეობით შესაძლებელია სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ. შეძლოს გააანალიზოს ხელოვნების ნაწარმოებში გამოყენებული გამოსახვის საშუალებები, ხოლო შემდეგ თავად მიზანმიმართულად აირჩიოს გამოსახვის შესაბამისი საშუალებები, ხერხები და პრინციპები და შექმნას პრაქტიკული ნამუშევ-რები, სადაც გამოხატავს საკუთარ პოზიციას აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. მოსწავლემ შეძლოს პრაქტიკული ნამუშევრების შექმნის და პროექტების განხორციელებისას ხელოვნების მნიშვნელოვანი ფუნქციის — სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება. **პროექტის შედეგი** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის და ქვეყნის ხელოვნების ნაწარმოების და მასში გამოყენებული მასალის, ტექნიკის, ხერხების და საშუალებების, ასევე ამ საშუალებების მეშვეობით გამოხატული იდეის, ავტორის პოზიციის ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება. ამ ცოდნაზე დაყრდნობით მას შეუძლია პრაქტიკულ ნამუშევარში დასახული ამოცანის, იდეის განსაზღვრა და სხვადასხვა გამომსახვე-ლობითი საშუალებების შემოქმედებითად გამოყენება საკუთარი სამოქალაქო პოზიციის გამოსახატად. შეუძლია ხელოვნების ნაწარმოების წარდგენისას მისი მნიშვნელობის წარმოჩენა საზოგადოების თუ პირადი ცხოვრების კონტექსტში.
მკვიდრი წარმოდგენები • ხელოვნება სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მეთოდია • ხელოვნებას საკუთარი სამეტყველო ენა გააჩნია, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი ეთნოსის და კულტურის წარმომადგენელთა კომუნიკაციას. • ხელოვნების მეშვეობით ადამიანი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას სამყაროში მიმდინარე ყველა მოვლენის, პრობლემის, გამოწვევის მიმართ. • შემოქმედებითი მიდგომისა და პრაქტიკული სახელოვნებო უნარების გამოყენებით ადამიანი უკეთესობისკენ ცვლის ლოკალურ გარემოს, ამკვიდრებს მისთვის პრიორიტეტულ ღირებულებებს და განსაზღვრავს საკუთარი ეპოქის მხატვრულ სახეს.
სამიზნე ცნებები: **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**

ელემენტები:

ხაზი, ფორმა, ფერი,

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპები, სასურათე არეზე ელემენტების განაწილება, მთავარის გამოყოფა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, ხედვის წერტილი და რაკურსი, კადრირება, წონასწორობა, სტატიკა-დინამიკა, კონსტრუქცია, რიტმი, განათება.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:
არქიტექტურა - გარემოს (ინტერიერის და ექსტერიერის) დიზაინი, ლანდშაფტის დიზაინი, ლენდარტი.
სახვითი ხელოვნება - ქანდაკება/ობიექტი, ფერწერა, გრაფიკა,
აუდიოვიზუალური ხელოვნება - ფოტოგრაფია, გრაფიკული დიზაინი და კომპიუტერული გრაფიკა, ვიდეოარტი.
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

სხვადასხვა ეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები / მხატვრული მახასიათებლები: ძველი და თანამედროვე მსოფლიო და ქართული ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება;

საკვანძო შეკითხვები

- როგორ რეაგირებს ხელოვნება სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე?
- როგორ შეიძლება ხელოვნების ნაწარმოების მეშვეობით სხვადასხვა გრძნობის, მაგალითად, პროტესტის ან მხარდაჭერის გამოხატვა?
- აერთიანებს თუ არა ხელოვნება ადამიანებს?
- რატომ ესმით „ხელოვნების ენა“ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს?

პრიორიტეტული თემები
პროექტის ფარგლებში მუშავდება შემდეგი პრიორიტეტული თემები:
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და კულტურული მრავალფეროვნება (ხელოვნების ნაწარმოები — პროტესტის გამოხატვის საშუალება. პროტესტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვანდალური განადგურების წინააღმდეგ და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობა).
გარემოს დაცვა (ხელოვნების ნაწარმოები — პროტესტის გამოხატვის საშუალება. პროტესტი გარემოს დაბინძურების და ეკოლოგიური პრობლემების შექმნის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებები-ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.
გამჭოლი თემები
პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს უვითარდება შემდეგი გამჭოლი უნარები და უყალიბდება შემდეგი ღირებულებები: **სწავლის სწავლა და დამოუკიდებლად საქმიანობის** უნარი-აქტივობების დაგეგმვა, ამოცანის განსაზღვრა, შეძენილი ცოდნის

შეფასება.

პასუხისმგებლობა - სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღების უნარი.

წიგნიერება - ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება/ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება-ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში.

შემოქმედებითი აზროვნება - ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ;

თანამშრომლობა— სამუშაო ფუნქციების გონივრულად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.

კომუნიკაცია— განცდილის, საკუთარი პოზიციის მიტანა მსმენელამდე/ მაყურებლამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით;

ეთიკა— ემპათია, სოლიდარობა;

საკითხი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების, ელემენტების, პრინციპების, ტექნიკის გამოყენებით საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალურ სოციალურ, ეკოლოგიურ, სამოქალაქო პრობლემებზე და მოვლენებზე საკუთარი აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა.

ქვესაკითხი: სახვითი ხელოვნების ნამუშევრების ანალიზი, პრაქტიკული ნამუშევრის შექმნა, სხვადასხვა მოვლენის და ფაქტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირება.

ინტეგრირება

პროექტი „ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება. ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში“. ინტეგრირებულია **სამოქალაქო განათლების, უცხო ენის, ისტორიის, ბიოლოგიის, ქიმიის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დისციპლინებთან.**

- პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეები **სამოქალაქო განათლების** მასწავლებელთან, ასევე, **ბიოლოგიისა** და **ქიმიის** მასწავლებლებთან ერთად აანალიზებენ თანამედროვე სამყაროს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა აგრესია და ძალადობა, ეკოლოგია და კლიმატური ცვლილებები, ადამიანის უფლებების დაცვა და სამოქალაქო პასუხისმგებლობები, ცხოველთა დაცვა და სხვა მრავალი.

სხვადასხვა სასკოლო დისციპლინის შესწავლისას შეძენილი ცოდნა ხელს უწყობს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთ მთლიანობაში აღქმას. მაგალითად, ტექნიკური ან სამეცნიერო პროგრესის შედეგების განხილვას როგორც დადებით, ასევე, უარყოფით კონტექსტში; ამის თვალნათელი მაგალითია დიდი წარმოებების მიერ გამონაბოლქვით დაბინძურებული გარემო, ან ხელოვნური ნივთიერებების ნარჩენებით წყლის დაბინძურება, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება სხვადასხვა ტიპის სამხატვრო საწარმოებშიც კი. ეკოლოგიაზე ზრუნვა, ადამიანების უფლებების დაცვა, აგრესიისა და ძალადობის მიმართ პროტესტი და თითოეული ადამიანის სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა, საბოლოო ჯამში, გამოკვეთს იმ ღირებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების წესის საფუძველს.

- ისტორიის მასწავლებელთან ერთად მოსწავლეები მიმოიხილავენ მსოფლიო ისტორიის რამდენიმე მონაკვეთს და აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე ისტორიული, პოლიტიკური მოვლენების წინააღმდეგ მოქალაქეების დამოკიდებულების გამოხატვაც ხელოვნების ნაწარმოებების მეშვეობით, ღიად , ან, ზოგჯერ, შეფარულად ხდებოდა.
- უცხო ენის კომპეტენცია და ამ საგნის მასწავლებლის კონსულტაცია მოსწავლეებს სჭირდებათ როგორც პროექტის თემაზე არსებული საინტერესო უცხოენოვანი ინფორმაციის დასამუშავებლად, ასევე, საკუთარი ნამუსევრების შექმნისას (მაგალითად, გარემოს შეცვლის პროექტის ფარგლებში ქუჩაში განსათავსებელი ორენოვანი აბრების, სარეკლამო განცხადებების მოსამზადებლად).
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოოგიების მასწავლებლის კონსულტაცია და საკუთარი კომპეტენცია მოსწავლეებს საშუალებას მისცემს სათანადო მხატვრულ-ესთეტიკურ დონეზე შეასრულონ ნამუშევრები (მაგალითად, საპროტესტო პლაკატი, სარეკლამო განცხადებები, ქუჩის აბრები, ვიდეორგოლი და სხვ.).

მოსწავლეები პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესრულებისას თანამშრომლობენ ქალაქებისა და რეგიონების მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურებთან, სასკოლო საბჭოებთან, სხვადასხვა ტიპის საჯარო და კერძო დაწესებულებებთან.

პროექტის აღწერა:

პროექტი შედგება ხელოვნების საშუალებით სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი პოზიციის გამოხატვაზე ორიენტირებული ცალკეული აქტივობებისგან, რომელთა თემებიც აქტუალურია მთელი თანამედროვე სამყაროსთვის. კონკრეტული აქტივობების შესრულებისას მოსწავლეები მუშაობენ ისეთი სამიზნე ცნებების განვითარებაზე, როგორიცაა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებები, ტექნიკა, დარგები; სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნაწარმოების სტილისტური მახასიათებლები.

პროექტი მოიცავს ისეთ პრიორიტეტულ თემებს, როგორიცაა: სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა სხვადასხვა აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, კულტურული

მრავალფეროვნება.

პროექტი მოიცავს რამდენიმე თემას:

- ხელოვნება და მისი ფუნქცია, გამოხატოს ავტორის პოზიცია კონკრეტული ფაქტის, მოვლენის მიმართ. სახვითი ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი და ინტერპრეტაცია.
- ხელოვნების როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში
- ხელოვნება, როგორც პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა
- საკუთარი ხელით შეცვლილი გარემო (სასკოლო/ინფრასტრუქტურული და სათემო/ინფრასტრუქტურული პროექტი)
- პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

პროექტის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად. კლასის რიცხოვნებიდან გამომდინარე მასწავლებელი ყოფს მას რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც ცალ-ცალკე მუშაობენ თითოეულ აქტივობაზე. პროექტის პრეზენტაციის მომზადებაში მონაწილეობას იღებს ყველა ჯგუფი.

მოსწავლეები მსჯელობენ, აწყობენ დისკუსია-დებატებს, აანალიზებენ ხელოვნების ნაწარმოებებს, აფასებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ მათ, წერენ ესსეს შერჩეული მხატვრული ნაწარმოების და მასში დასმული პრობლემების თემაზე.
მოსწავლეები ირჩევენ სასკოლო და სათემო ინფრასტრუქტურული პროექტების თემას (მაგალითად, სკოლის სასწავლო და საბიბლიოთეკო სივრცეების დიზაინი, სკოლის ეზოს დიზაინი, მშობლიური ქალაქის/სოფლის კულტურული ცენტრის პროექტი, თანამედროვე ხელოვნების გამოფენის ექსპოზიცია საკუთარ ქალაქსა თუ სოფელში და სხვ.) და უმცროსკლასელებთან ერთად მუშაობენ მათ რეალიზებაზე. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე უარყოფითი პოლიტიკური მოვლენების, ეკოლოგიური კატასტროფების, ადამიანების, ცხოველების მიმართ ძალადობის თემაზე ქმნიან საპროტესტო ნამუშევრებს ხელოვნების ნებისმიერი დარგის, ნებისმიერი მასალის და შესაბამისი მხატვრული ელემენტების და ხერხების გამოყენებით. პროექტის დასასრულს მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას თემაზე: ხელოვნება— საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება, რომელზეც წარმოადგენენ სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებს და საუბრობენ საკუთარ სამოქალაქო პოზიციაზე.

პროექტის ეტაპები:

თემა 1 - სამოქალაქო პოზიციის გამომხატველი ნაწარმოების ანალიზი

I ეტაპი - სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი

1 ნაბიჯი - ზეპირი დისკუსია კონკრეტული ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის თემაზე.

2 ნაბიჯი - ესსე (წერითი დავალება) თემაზე „ხელოვნების ნაწარმოები და ავტორის პოზიცია“.

თემა 2 ხელოვნება, როგორც სამოქალაქო პროტესტის ფორმა
II ეტაპი- პრაქტიკული ნამუშევრის შექმნა ამა თუ იმ მოვლენის მიმართ პროტესტის გამოსახატად
1 ნაბიჯი - სასკოლო გამოკითხვა/კვლევა თემაზე: რომელი მიმდინარე მოვლენა გაღელვებს ყველაზე მეტად?

2 ნაბიჯი - ნამუშევრის შექმნა იმ თემაზე, რომლის წინააღმდეგაც მოსწავლეები აფიქსირებენ პროტესტს.

III ეტაპი - პრაქტიკული პროექტის განხორციელება თემაზე: შეცვალე გარემო საკუთარი ხელით
1 ნაბიჯი - პროექტის ტიპის შერჩევა (საკლასო ინფრასტრუქტურული ან სათემო/ინფრასტრუქტურული) და მისი დაგეგმვა

2 ნაბიჯი - შერჩეული პროექტის პრაქტიკულად განხორციელება

IV ეტაპი - პრაქტიკული ნამუშევრების პრეზენტაცია თემაზე: "ხელოვნება — საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება"
ნაბიჯი 1- პროექტის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრების: ესსეს, პრაქტიკული ნამუშევრების პრეზენტაციის კონცეფციის შემუშავება

ნაბიჯი 2 - პროექტის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრების პრეზენტაცია
V ეტაპი - განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება:
1. ნაბიჯი - პროექტის დასკვნით ეტაპზე, მონაწილეები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისაუბრებენ თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება აქვთ განხორციელებული პროექტის მიმართ.

დავალების ტიპები:
- მსჯელობა/დისკუსია
- ესსე (წერითი დავალება)
- გამოკითხვა/კვლევა
- პრაქტიკული ნამუშევარის შექმნა
- საკლასო/სათემო პროექტის პრაქტიკულად განხორციელება
- პროექტის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების პრეზენტაცია

პროექტის მიმდინარეობა
თემა 1. სამოქალაქო პოზიციის გამომხატველი ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და ესსე ამ თემაზე (ზეპირი დისკუსია, წერითი დავალება-ესსე შერჩეული ხელოვნების ნაწარმოების თემაზე)
დავალების პირობა
იმსჯელეთ ხელოვნების როლსა და ფუნქციაზე სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან და კონრეტულ ადამიანთან მიმართებით, რათა ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის მეშვეობით გამოიკვეთოს იმ გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების/პრინციპების ანალიზი, რომელტა გამოყენებით შესაძლებელია ავტორის

პოზიციის გამოხატვა რომელიმე ისტორიულ ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით. მოიყვანეთ მაგალითები მსოფლიო ხელოვნების ნამუშევრების სახით, გააანალიზეთ ისინი და მიეცით თქვენი ინტერპრეტაცია. კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე დაწერეთ ესსე და ჩამოაყალიბეთ ავტორის/ხელოვანის მიერ გამოთქმული პოზიცია ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის შესახებ.

საკვანძო კითხვები:

- შეუძლია თუ არა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს გამოხატოს ავტორის პოზიცია კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის მიმართ?
- რა ფაქტორები განაპირობებს სხვადასხვა ეპოქასა თუ ქვეყანაში შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებების „სამეტყველო ენის“ უნივერსალურობას?

I ეტაპი - ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი
ნაბიჯი 1 - ზეპირი დისკუსია კონკრეტული ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის თემაზე.

წინარე ცოდნის გააქტიურება (მოსწავლეებს წინა კლასებში გავლილი აქვთ ეს მასალა), დისკუსია, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, გამომსახველობითი საშუალებების — ელემენტების და ხერხების შეფასება და ნამუშევრის ინტერპრეტაცია ზეპირად (საკლასო სამუშაო) და წერილობით ესსეს სახით.

პროექტზე მუშაობის პირველ ეტაპზე მოსწავლეები მსჯელობენ ხელოვნების მრავალგვარ დანიშნულებაზე. სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნება სახელმწიფო იდეოლოგიასა და რელიგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროს წარმოადგენდა

და ამ კავშირით განისაზღვრებოდა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია. ამასთან, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ხელოვნების ნაწარმოებში ხშირად შეიძლება ამოიკითხო გარკვეული დამოკიდებულება კონკრეტული გარემოებისადმი. „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ შესწავლისას მათ თავადაც უმსჯელიათ ნაწარმოების შინაარსზე და დაუკავშირებიათ ის რაიმე ისტორიულ მოვლენასთან. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ფრანსისკო გოიას ცნობილი ნამუშევარი „1808 წლის 3 მაისი“, რომელშიც მხატვარმა მეამბოხეთა სიკვდილით დასჯის სცენა ისე წარმოადგინა, რომ მაყურებელი ნათლად გრძნობს ვის მხარეზეა მისი სიმპატია. ეს ავტორის მიერ მკაფიოდ გამოხატული სამოქალაქო პოზიციაა, ხოლო გამოტანილი განაჩენის გარდაუვალობა დრამატულ მუხტს კიდევ უფრო აძლიერებს.

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოების მიერ აღძრულ ემოციებზე და სთხოვს, გამოთქვან მოსაზრება, როგორ ხერხებს იყენებს სახვითი ხელოვნება იმისათვის, რომ ნაწარმოების შექმნის თარიღის, ქვეყნის და რეალური სიუჟეტის ცოდნა — არცოდნისგან დამოუკიდებლად, მისთვის გასაგები ხდება ავტორის პოზიცია - პროტესტის გრძნობა თავისუფლებისმოყვარე და უდანაშაულო ადამიანების სისხლისღვრის, მათ მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

დისკუსიის ფორმატში წარმართული მუშაობის დროს მოსწავლეები ყურადღებით ისმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს და განსხვავებული აზრის გამოხატვის დროსაც

პატივისცემით ეპყრობიან თანაკლასელებს. ამავე დროს, მათ შესაძლებლობა აქვთ კარგად მოფიქრებული, დამაჯერებელი არგუმენტით კორექტულად უპასუხონ მოკამათეს. დისკუსიის ფორმით ჩატარებული ხელოვნების ნაწარმოების კრიტიკული ანალიზის და ინტერპრეტაციის გამოცდილება მოსწავლეებს დაეხმარება ინდივიდუალური წერითი სამუშაოს - ესსეს შესრულებისას.

ნაბიჯი 2- ესსე თემაზე „ხელოვნების ნაწარმოები და ავტორის პოზიცია“
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ მსოფლიო ხელოვნების ის ნაწარმოებები, რომლებშიც, მათი აზრით, მკაფიოდ არის გამოხატული ავტორის გარკვეული პოზიცია კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის შესწავლისას მოსწავლეებს ბევრი ამგვარი ნაწარმოები აქვთ გავლილი, მაგალითად, ე. დელაკრუას ცნობილი სურათი „თავისუფლება ბარიკადებზე“ ან ო. როდენის ქანდაკება „კალეს მოქალაქენი“. მოსწავლეებს შეუძლიათ დავალების თემად მასწავლებლის მიერ დასახელებული ეს ნამუშევრები გამოიყენონ, ან თავად აარჩიონ სასურველი ნამუშევარი. მაგალითად, განიხილონ თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელოვანის ანსელმ კიფერის შემოქმედება, რომელიც დიდწილად ნაცისტური იდეოლოგიის მიმართ აფიქსირებს მკაფიო პროტესტს თანამედროვე ხელოვნების განსხვავებული გამომსახველობითი საშუალებების მეშვეობით.

კლასში გამართული დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს გაცნობიერებული აქვთ, რა ფაქტორები განაპირობებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში ავტორის დამოკიდებულების, მისი თანადგომის ან პროტესტის გრძნობის „ამოკითხვას“. მოსწავლეები ესსეში ყურადღებას ამახვილებენ იმ მხატვრულ ხერხებზე, რომელთა მეშვეობითაც ავტორს გადმოცემული აქვს მთავარი აზრი და მაყურებელი გრძნობს მის დამოკიდებულებას კონკრეტული ამბის მიმართ.

„თავისუფლება ბარიკადებზე“
ე. დელაკრუა საფრანგეთის ერთ-ერთი რევოლუციის თემას უძღვნის ამ ნამუშევარს. ზეპირი დისკუსიის დროს მოსწავლეებმა გარკვეული გამოცდილება მიიღეს, თუ როგორ აღწევს ხელოვანი ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ მხატვრულ ხერხებზე და პრინციპებზე: კომპოზიციის აგების პრინციპი და ცენტრალური ფიგურის მდებარეობა, მისი აქცენტირება ზომით და მკვეთრი წითელი ფერით; სურათის წინა პლანზე ბრძოლაში დაცემული ადამიანების სხეულები ერთგვარ საყრდენს უქმნიან ქალის სახით წარმოდგენილ თავისუფლების სიმბოლოს.

„კალეს მოქალაქენი“
ო. როდენი ასევე ისტორიულ მოვლენას უძღვნის აღნიშნულ ქანდაკებას. ექვსი ადამიანის ფიგურებისგან შექმნილი ჯგუფი შინაგანი განცდით და დრამატული მუხტით იქცევს მაყურებლის ყურადღებას. შეიძლება სულ არ იცოდე, რომელ ისტორიულ ეპიზოდს ასახავს ეს ნამუშევარი (იხ. დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის), მაგრამ ადამიანების პოზები, სახეები, მათი პლასტიკა და მთელი ჯგუფის კომპოზიცია ნათლად მეტყველებს, რომ მოქალაქეები დიდ განსაცდელში არიან, ხოლო ავტორი გულწრფელად თანაუგრძნობს მათ.

„ღამის წესრიგი“
ანსელმ კიფერის ეს ნამუშევარი მის მიერ ამ თემაზე შექმნილი სერიის ნაწილია. შავი მზესუმზირების, როგორც ჩამქრალი მზეების ქვეშ მიწაზე მწოლიარე მამაკაცის ფიგურა უკიდურესად ლაკონიურად და, ამავე დროს, დრამატულად განასახიერებს თანამედროვე სამყაროში მცხოვრები ადამიანის მარტოსულობის განცდას. გლობალური თუ ლოკალური პრობლემების სიმძიმის ქვეშ მოქცეული ადამიანი თითქოს ვეღარ უმკლავდება მათ სიმძიმეს და თვალდახუჭული ცდილობს გაერიდოს სამყაროს. თავის მხრივ, სამყაროც სევდით არის სავსე, მასში ფერები დაუკარგავს ბუნებას და მზეც კი „ჩამქრალა“; ისიც იზიარებს ადამიანის ნაღველს და მის გარშემო თავდახრილი მცენარეების არეული რიტმით, უსიტყვოდ განასახიერებს გლოვას.

მოსწავლეები წერენ ესსეს არჩეული ნამუშევრების თემაზე, სადაც საუბრობენ ავტორების მიერ გამოყენებულ სახვით ხერხებზე და მათი დახმარებით გადმოცემულ დამოკიდებულებაზე, იმ პოზიციაზე, რომელსაც ხელოვანი ნაწარმოების მეშვეობით აფიქსირებს. სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე მუშაობის ეს ფორმა დაეხმარება მოსწავლეებს პროექტის მომდევნო აქტივობის დროს, პრაქტიკული ნამუშევრის შესრულებისას, ჩანაფიქრის შესაბამისი მასალის, ტექნიკის და სახვითი ხერხების შეჩევაში.

დ. ი. მ

1. ფრანსისკო გოიას სურათი „1808 წლის 3 მაისი“კონკრეტული ისტორიული სიუჟეტის ამსახველი ნაწარმოებია. 1808 წელს ნაპოლეონმა ესპანეთი დაიპყრო და ტახტზე თავისი ძმა, ჟოზეფ ბონაპარტი (1768-1844) აიყვანა. თავდაპირველად ესპანეთის მოქალაქეები, მათ შორის გოიაც, მიესალმნენ ფრანგების მმართველობას, რის შედეგადაც პოლიტიკური რეფორმები დაიწყო და ახალი, უფრო ლიბერალური კონსტიტუციაც იქნა მიღებული, მაგრამ 1808 წლის 2 მაისს მადრიდში ხმა გავრცელდა, რომ ფრანგები სამეფო ოჯახის განადგურებას აპირებდნენ. ხალხი ფრანგების წინააღმდეგ აღდგა და ქუჩებში სისხლიანი ბრძოლა გაიმართა, რასაც მოქალაქეთა მასობრივი დაპატიმრება მოყვა. ასობით ადამიანი შეყარეს მონასტერში და 3 მაისს გამთენიისას დახვრიტეს. გოიას მიერ შექმნილ ამ სასაკლაოს ამსახველ მემორიულ ტილოზე 1808 წლის სამი მაისი განწირული მეამბოხეების მგზნებარე ჟესტები და ჯალათების მჭიდრო რიგი დრამატულ სურათს ქმნის. თეთრი პერანგით მოსილი მსხვერპლი თავის უსახურ მკვლელებს ხელებგაშლილი უპირისპირდება. მისი ფიგურა ჯვარცმულ ქრისტეს მოგვაგონებს. სამი მაისი უკვე აღარ არის დავიდის ჰორაციუსების ფიცის მსგავსი სამოქალაქო თავგანწირვის აუღელვებელი, დიდაქტიკური რეპრეზენტაცია, არამედ, ეს უკვე ბრმა ტერორისა და სასოწარკვეთილი შიშის სახეა. ამ ნამუშეევარში ყველაფერი რომანტიზმზე მეტყველებს: სენსაციური და ამაღელვებელი ამბავი, თავისუფალი ფერწერა, ექსპრესიული, ცოცხალი პოზები, ასიმეტრიული, დაუბალანსებელი კომპოზიცია და დრამატული განათება. აქ არ არსებობს მორალი, მხოლოდ

სასოწარკვეთილი რისხვაა დარჩენილი. როდესაც გოიას ჰკითხეს, თუ რატომ დახატა ასეთი შემზარავი სცენა, მან უპასუხა: „რომ გავაფრთხილო ადამიანები, ასე აღარასდროს მოიქცნენ. “

წყარო: http://www. nplg. gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%90

2. 1830 წელს დელაკრუა ქმნის შედევრს "თავისუფლება ბარიკადებზე: 1830 წლის 28 ივლისი" ესაა ფერწერული ნამუშევარი, რომელმაც ნაპოლეონის შემდგომი საფრანგეთის ისტორია შემოინახა. 1815 წელს ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ლუი XVI-ის ძმის ლუი XVIII-ის (მეფობდა 1815-1824) გამეფებით საფრანგეთში მონარქია აღდგა. მართალია, მეფის ძალაუფლება კონსტიტუციითა და პარლამენტით შეზღუდული იყო, მაგრამ ხელისუფლებამ, რომელიც წლების განმავლობაში სულ უფრო კონსერვატიული ხდებოდა, ბევრი რევოლუციური რეფორმა გააუქმა. ლუის უმცროსმა ძმამ და მემკვიდრემ, შარლ X-ემ (1824— 1830) პრესაზე ცენზურა აღადგინა, განათლებაზე კონტროლი კათოლიკურ ეკლესიას დაუბრუნა და საარჩევნო უფლებები შეზღუდა. ამ ქმედებებმა პარიზის ქუჩებში ფართომასშტაბიანი ამბოხი გამოიწვია, რომელმაც 1830 წლის ივლისში, სამ დღეში ბურბონების დინასტია დაამხო და, შედეგად, შარლ X პოლიტიკურად მისმა შედარებით ზომიერმა ბიძაშვილმა ლუი ფილიპე ორლეანელმა (1830-1848) შეცვალა. ახალმა მმართველმა პირობა დადო, რომ დაიცავდა ახალ კონსტიტუციას. საფრანგეთის ისტორიის ეს პერიოდი ივლისის მონარქიის სახელითაა ცნობილი. 1830 წლის ივლისის რევოლუცია დელაკრუამ თავის სურათზე მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ აღბეჭდა. მისი დიდი ისტორიული ტილო მნიშვნელოვან თანამედროვე მოვლენებს აღწერს, მაგრამ თავისი ჩანაფიქრის მკაფიოდ გამოსახატად, დელაკრუას სურათი გარკვეულ წარმოსახვით ალეგორიულ სახე-ხატებსაც შეიცავს. მის მიერ ასახული რევოლუციონერები არიან სტუდენტები, ხელოსნები და მუშები, ბავშვები და ინტელექტუალებიც კი. ისინი ბრძოლით მიიწევენ წინ, ნაგვითა და გვამებით წარმოქმნილ ბარიკადებზე გადადიან. უკან, ფონზე კვამლსა და ბურუსში ნოტრ დამის კოშკები მოჩანს. მართალია, სურათი, არსებითად, რეალურ მოვლენას ასახავს, მაგრამ დელაკრუა აქ ქალის ფიგურის სახით თავისუფლების პერსონიფიკა-ციასაც წარმოადგენს. ესაა ბარიკადებზე მდგომი თავისუფლების ალეგორიული ფიგურა, მეამბოხეთა ლიდერი, გიგანტური, დაკუნთული, ნახევრად შიშველი ენერგიული ქალი, რომელსაც ცალ ხელში რევოლუციისდროშა, მეორეში კი ხიშტიანი თოფი უჭირავს. დელაკრუამ ეს კლასიკური პრინციპების მიხედვით აგებული, თანამედროვე იარაღით აღჭურვილი და ფრიგიული ქუდით მოსილი (გათავისუფლებული მონის ძველი სიმბოლო, რომელიც მეამბოხეებს ეხურათ) ალეგორიული ფიგურა ბრძოლის შუაგულში მოათავსა. მხატვარი გზნებით, მღელვარებითა და საფრთხით სავსე ემოციურ მოვლენას ასახავს; იგი ირჩევს სწორედ იმ მომენტს, როდესაც რევოლუციონერები, რომლებიც ბარიკადების გადასალახად თავგანწირვით მიიწევენ წინ, ფაქტიურად სიკვდილზე მიდიან. ეს

რომანტიზმის ფერწერის დრამატული, მგზნებარე და მშფოთვარე ნიმუშია, რომელშიც, რეალობასთან ერთად, მხატვრის წარმოსახვაც აქტიურ როლს ასრულებს.
წყარო:http://www. nplg. gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%90_%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%9C

3. ქანდაკება „კალეს მოქალაქეები“ უკავშირდება 1347 წელს ქალაქ კალეში მომხდარ ისტორიულ მოვლენას. მეფე ედუარდ III-ემ ალყა შემოარტყა კალეს. მან მოსახლეობის სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ მოითხოვა, რომ მასთან მისულიყო კისერზე თოკშებმული ექვსი ცნობილი მოქალაქე და ქალაქის გასაღები მიერთმია. კალეს ექვსმა ცნობილმა მოქალაქემ თავი გასწირა ქალაქის სხვა მაცხოვრებლების გადასარჩენად.
რესურსი: http://genia.ge/?p=13677

4. თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ანსელმ კიფერი ახალი ხელოვნების განსხვავებულ გამომსახველობით ხერხებს და მასალას იყენებს ნამუშევრების შესაქმნელად. თავისი მასწავლებლის იოზეფ ბოისის მსგავსად იგი ხშირად იყენებს ისეთ რესურსს, როგორიცაა მიწა, ჩალა, ნაცარი და ტრადიციული ფერწერული ნამუშევრების პარალელურად ქმნის მასშტაბურ ინსტალაციებს. მხატვარი სხვადასხვა ტიპის ნამუშევრებში გამოხატავს მოქალაქისა და ხელოვანის პროტესტს ზოგადად ნაცისტური მსოფლმხედველობის და სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ.

ა. კიფერის ცნობილი ნამუშევარი „ღამის წესრიგი“ მიწაზე მწოლიარე, თვალდახუჭული მამაკაცის ფიგურას წარმოგვიდგენს, რომელსაც ირგვლივ მაღალი მზესუმზირები შემოჯარვია. პირველი შეხედვისთანავე თვალშისაცემია ნამუშევრის დრამატული მუხტი, რადგან მზისმოყვარული, როგორც წესი, ცოცხალი და მხიარული მცენარეები თითქოს თვალდახუჭული დასტირიან მამაკაცს. ამგვარ ეფექტს ახდენს მზესუმზირების ბუნებრივი ყვითელი გულების მაგივრად შავად „შეღებილი“ მცენარეების დახრილი, თითქოს დამწუხრებული თავები. მაცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მხატვარი საკუთარ თავთან აიგივებს მწოლიარე მამაკაცის ფიგურას. სურათის ზედაპირი თითქოს „დასერილია“ მუქი ფერების - ყავისფერის, შავის, ჟანგისფერის კლაკნილი მონასმებით, რაც დაძაბული რიტმის ეფექტს ქმნის ნამუშევარში. სურათის ჩამქრალი კოლორიტი და ზედაპირის დინამიური ფაქტურა ნერვულ ატმოსფეროს ქმნის და ნათლად აგრძნობინებს მაყურებელს გლობალური პრობლემებით დახუნძლულ თანამედროვე სამყაროში ადამიანის, ინდივიდის ეულ, განცდებით აღსავსე ყოფის სიმძიმეს. ამდენად, ა. კიფერის შემოქმედება მიმდინარე მოვლენებსა და ტრაგიკულ კატაკლიზმებზე ადამიანის ერთგვარი რეფლექსიაა, რასაც ხელოვანი დახვეწილი ესთეტიკის და უაღრესად ზუსტად

შერჩეული გამოსახველობითი ხერხების საშუალებით ქმნის. ავტორის პოზიცია ხელოვნების უნივერსალური ენის მეშვეობით გაზიარებულია მაყურებელთან და ერთნაირად გასაგებია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

რესურსი: https://www.google.com/url?sa=i&url=https%3A%2F%2Fsigusblogi.wordpress.com%2F2020%2F05%2F25%2F%25E1%2583%2590%25E1%2583%259C%25E1%2583%25A1%25E1%2583%2594%25E1%2583%259A%25E1%2583%259B-%25E1%2583%2599%25E1%2583%2598%25E1%2583%25A4%25E1%2583%2594%25E1%2583%25A0%25E1%2583%2598-anselm-kiefer%2F&psig=AOvVaw2puR8fuy8bgL6lAjXDcIac&ust=1654421406568000&source=images&cd=vfe&ved=0CAkQjRxqFwoTCPju9JO-k_gCFQAAAAAdAAAAABAD

https://www. youtube.com/watch?v=fHU7bxfNhEQ

https://ka. wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B_%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98

თემა 2. ხელოვნება, როგორც სამოქალაქო პროტესტის ფორმა

დავალების პირობა

ჩაატარეთ სასკოლო გამოკითხვა და დააფიქსირეთ, რომელი თემები აღელვებთ ყველაზე მეტად დღეს თქვენ თანატოლებს, პედაგოგებს. შედეგები გააანალიზეთ. განსაჯეთ, ემთხვევა თუ არა ეს თემები იმ პრობლემებს, რომლებიც გაღელვებთ თქვენ. აირჩიეთ თქვენთვის პრიორიტეტული თემა და ნებისმიერი სასურველი ხერხით თუ მხატვრული ტექნიკის გამოყენებით შექმენით მხატვრული ნამუშევარი, გამოხატეთ პროტესტი თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ნებისმიერი უარყოფითი მოვლენის-ომის, სისხლისღვრის, ჩაგვრის, ადამიანებსა და ცხოველებზე ძალადობის, ვანდალიზმის, გარემოს დაბინძურების და სხვა ამდაგვარი მოვლენების წინააღმდეგ.

საკვანძო კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რომელი პრობლემები უქმნის საფრთხეს დედამიწის მთელ მოსახლეობას?
- შესაძლებელია თუ არა ამ უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა და რა ფორმით შეიძლება მოხდეს ეს?

II ეტაპი- ხელოვნების ნაწარმოების მეშვეობით გამოხატული პროტესტი

ნაბიჯი1. სასკოლო გამოკითხვა/კვლევა

პროექტზე მუშაობა იწყება იმით, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები გადაწყვეტენ, რა ფორმით ჩაატარონ გამოკითხვა და სთხოვონ მთელ სასკოლო საზოგადოებას, დააფიქსიროს საკუთარი აზრი. შესაძლოა, გამოკითხვის ფორმების შესახებ მოსწავლეებს სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდეთ და მიიჩნიონ, მაგალითად, რომ ელექტრონული გამოკითხვა ყველაზე მოსახერხებელი ფორმაა. ასეთ შემთხვევაში

მათ დასჭირდებათ ინფორმაციული და და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგთან კონსულტაცია და მისი დახმარებით შექმნიან სპეციალურ კომპიუტერულ კითხვარს, რომლის შევსებას სთხოვენ მთელ სასკოლო საზოგადოებას.

დასმული კითხვა უნდა იყოს ერთდროულად ლაკონური და, ამასთანავე, რესპოდენტს პრობლემების გარკვეული ჩამონათვალიდან არჩევანის გაკეთების საშუალებაც უნდა ჰქონდეს და საკუთარი ვარიანტის შეთავაზებისაც.

კითხვის დასმა, მაგალითად, ასე შეიძლება:

1. მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენიდან, რომელი გაღელვებთ ყველაზე მეტად: ომი, ძალადობა ადამიანებსა და ცხოველებზე, ვანდალიზმი, ჩაგვრა(ბულინგი), გარემოს დაბინძურება, ადამიანის უფლებების ხელყოფა, ჰომოფობია?
2. თუ აქ ჩამოთვლილი პრობლემებიდან არცერთს არ აღიქვამთ საშიშად, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება და დაწერეთ, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წანააღმდეგაც პროტესტის გრძნობა გიჩნდებათ... გმადლობთ

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება ყველასთვის ხელმისაწვდომი რომ იყოს, შეიძლება დაიბეჭდოს გარკვეული რაოდენობის კითხვარები და სკოლაში მოეწყოს ადგილი (მაგალითად, დაიდგას ყუთი), სადაც შესაძლებელი იქნება კითხვებზე პასუხის გაცემა. გამოკითხვა ჩატარდება გარკვეული დროის განმავლობაში, იმის გთვალისწინებით, როგორია რესპოდენტთა რაოდენობა.

მოსწავლეები ერთად ეცნობიან შედეგებს და ადგენენ, ჩამოთვლილთაგან რომელი საკითხები აღელვებთ რესპოდენტებს ყველაზე მეტად. თავად მოსწავლეებსაც აქვთ დაფიქსირებული პასუხები და ადარებენ ერთმანეთს გამოკითხვის შედეგებს და საკუთარ პასუხებს. შემდეგ მასწავლებელთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, აირჩიონ რამდენიმე, ყველაზე ხშირად დასახელებული თემა, თუ თითოეულმა თავად აირჩიოს თემა, რომლის წინააღმდეგაც სურთ პროტესტის დაფიქსირება.

2 ნაბიჯი - ნამუშევრის შექმნა იმ თემაზე, რომლის წინააღმდეგაც ავტორი გამოხატავს პროტესტს.

ამგვარი ნამუშევრის შესაქმნელად და ჩანაფიქრის ასასრულებლად მოსწავლეები ირჩევენ შესაბამის ტექნიკას, მასალას და გამომსახველობით ხერხებს. ისინი აბსოლუტურად თავისუფალი არიან ამ არჩევანში, ისევე, როგორც იმ გადაწყვეტილების მიღებაში, ინდივიდუალურად შეასრულებენ ნამუშევარს თუ ჯგუფურად იმუშავებენ. ამ აქტივობის შესრულებისას მოსწავლეები ააქტიურებენ საკუთარ ცოდნას სახვითი ხელოვნების უკვე ნასწავლი დარგების, ჟანრების და სხვადასხვა ტექნიკის შესახებ. გეგმავენ ნამუშევრის შესრულების პროცესს და ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ იქნება მათი ნამუშევრები პროექტის დასასრულს წარდგენილი.

შენიშვნა: შესაძლებელია გამოკითხვის ჩატარებისას კლასს დასჭირდეს გარკვეული (მცირე) ფინანსური მხარდაჭერა გამოკითხვისთვის აუცილებელი კითხვარების

დასაბეჭდად (თაბახის ფურცლები, კომპიუტერი და პრინტერი) და კალმების შესაძენად. ამ თხოვნით ისინი მიმართავენ სასკოლო საბჭოს და იძენენ საჭირო რესურსს. გამოკითხვის ადგილის გაფორმება კი საკუთარი ძალებით არის შესაძლებელი.

მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ხელოვნება პროტესტის დაფიქსირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა, რადგან ხელოვნების ნაწარმოების „სამეტყველო ენა“ უნივერსალურია; ის იყენებს სახვითი ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების ელემენტებს: ხაზს, ფორმას, ფერს და მის მრავალფეროვან პრინციპებს — კომპოზიციას, სტატიკას, დინამიკას, წონასწორობას, სიმეტრიას, ასიმეტრიას, ნებისმიერ ტექნიკას თუ ხელოვნების ნებისმიერ დარგს და ამ კომპონენტების გამოყენებით ცდილობს მაქსიმალურად ნათლად გამოხატოს აზრი; უთხრას მაყურებელს, რის წინააღმდეგ ილაშქრებს და აფიქსირებს საკუთარ აზრს. მოსწავლეებს არჩეული აქვთ ერთ-ერთი თემა და გადაწყვეტილი აქვთ, ინდივიდუალურად შეასრულებენ ნამუშევარს თუ ჯგუფურად. ვინაიდან მათ უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ პრაქტიკული ნამუშევრების შესრულების, იციან, რომ ჯგუფური მუშაობის დროს სწორად და თანაბრად უნდა იყოს განაწილებული ფუნქციები, რათა ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ნამუშევარი შეიძლება იყოს შესრულებული სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგის -ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების სახით; ასევე, შეიძლება იყოს გამოყენებული ნებისმიერი სასურველი ტექნიკა და მასალა. მოსწავლეებს უკვე აქვთ გამოცდილება კარგად ცნობილი სახატავი მასალის მსგავსად როგორ გამოიყენონ არატრადიციული მასალა და შექმნან თანამედროვე ხელოვნების ისეთი ფორმები, როგორიცაა, მაგალითად ინსტალაცია, ობიექტი. ამ მიზნით, შესაძლოა გამოიყენონ საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც, რაც იდეურად ესადაგება კიდეც ნგრევის, განადგურების თემას.

მოსწავლეთა ნაწილი ფოტოგრაფიის ან ფოტოკოლაჟის შექმნას თუ გადაწყვეტს, მათ ფოტოხელოვნების თავისებურებებზე მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები გამოადგებათ. ასევე შეიძლება გაიხსენონ ვიდეოარტის შესახებ მიღებული ცოდნა, ნანახი ვიზუალური მასალა და საკუთარი ჩანაფიქრის კომპიუტერულ მონტაჟში დახმარება სკოლის შესაბამის პედაგოგს (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) სთხოვონ.

პრაქტიკული ნამუშევრების სავარაუდო თემები:

- **საზოგადოების პროტესტი ომის და ვანდალიზმის წინააღმდეგ**

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ამ ეტაპზე მოსწავლეებს რამდენიმე საგნის პედაგოგის კონსულტაცია სჭირდებათ. პირველ რიგში, ისტორიის პედაგოგთან ერთად მსოფლიოში მიმდინარე ომების შესახებ საუბრობენ. მეოცე საუკუნეში ორ ომს მსოფლიო ომის სახელი დაერქვა, რადგან გამოწვეული მსხვერპლის და ქვეყნებისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა იყო კატასტროფული. მსხვერპლის

სულ უფრო მზარდი ოდენობა ტექნიკის პროგრესის კვალდაკვალ, სამხედრო შეიარაღების ხასიათის შეცვლამ ე. წ. მასობრივი განადგურების იარაღმა, მათ შორის, სხვადასხვა ტიპის ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენებამ განაპირობა. ამ საკითხებზე მოსწავლეები ქიმიისა და ბიოლოგიის პედაგოგებთან გაივლიან კონსულტაციას. ისინი დაეხმარებიან ამ ტიპის იარაღის მოქმედების პრინციპის გარკვევაში. ხოლო ომის მორალური ასპექტების, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების, ბავშვების, მოხუცების, საავადმყოფოების, წითელი ჯვრის მისიის, ომში მონაწილე მხარეთა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტთა განადგურების საკითხებზე მოსწავლეებს კონსულტაციას სამოქალაქო განათლების პედაგოგი უწევს. საერთაშორისო კონვენციები, რომლებსაც შეიმუშავებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, სწორედ ამგვარი ამორალური საქციელის პრევენციას ემსახურება და შეთანხმებაზე ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს საომარი მოქმედებების დროსაც კი დაიცვას შეთანხმების პუნქტები. თუმცა ვხედავთ, რომ დღესაც კი მსოფლიოს პროგრესულ ნაწილს უწევს ბრძოლა ამ მიზნების მისაღწევად. სწორედ ამ ბრძოლის ნაწილია ხელოვნების მეშვეობით საკუთარი პროტესტის გამოხატვა ყოველგვარი სისხლისღვრის და ვანდალიზმის წინააღმდეგ.

ამდენად, პროექტის მიმდინარეობაში აღნიშნული საგნების ინტეგრირება აღმავებს მოსწავლეების ცოდნას და ზოგად თვალსაწიერს, ბევრად უფრო მკაფიო წარმოდგენას უქმნის მოსწავლეებს, რამდენად დიდია თანამედროვე ეპოქაში მომხდარი თუ მიმდინარე ომებით კაცობრიობისთვის მიყენებული ზარალი.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ვანდალიზმის ცნობილ ფაქტებზე, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნეში დაფიქსირდა ომის ან/და ტერორისტული თავდასხმის დროს და გაანადგურა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ იორკში, სავაჭრო პალატის ცათამბჯენებზე განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა ასეულობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლესთან ერთად, შეიწირა ამ შენობებში განლაგებული ხელოვნების ცნობილი ნაწარმოებები, მათ შორის, ოგიუსტ როდენის ქანდაკებები. ავღანეთში მრავალწლიანი ომის ერთ-ერთი შედეგი უძველესი და უნიკალური ბუდას ქანდაკებების განადგურება იყო, რომელიც რელიგიური შეუწყნარებლობის მიზეზით (ჩათვალეს, რომ ავღანეთში მუსლიმი მოსახლეობა უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ, ხოლო ქანდაკებები ბუდისტური რელიგიის კერპებს წარმოადგენდა), მთელი მსოფლიოს თვალწინ დემონსტრატიულად ხელყვეს თალიბანის მებრძოლებმა (იხ. მითითებული ელექტრონული რესურსი). ამ ვანდალური აქტის ამსახველი ვიდეო მთელი ცივილიზებული სამყაროს პროტესტს იწვევს. საინტერესოა, რომ ეს ქანდაკებები მრავალგზის გამხდარა ასეთი ვანდალური აგრესიის სამიზნე. მხოლოდ 1221 წელს ჩინგიზ-ყაენმა დაინდო ისინი და არ ხელყო. მომდევნო საუკუნეებში სხვადასხვა საომარი მოქმედებების დროს მათ განადგურებას ბერჯერ შეეცადნენ, თუმცა ქანდაკებები საბოლოოდ ოცამეერთე საუკუნეში დაიღუპა. აგრესიის ეს აქტი თვალნათლივ მოწმობს, რომ სისხლისმღვრელ ომებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც ეწირება და რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი

ადამიანები სრულ შეუწყნარებლობას იჩენენ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების მიმართ, თუკი ისინი სხვა კულტურის წიაღში წარმოიშვა. კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება, მულტიკულტურული კონტექსტის პოპულარიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს და მოსწავლეებმა ამ მაგალითზე უნდა გაიაზრონ განათლებული, ტოლერანტული და კულტურული საზოგადოების ცხოვრების წესი.

2022 წელს რუსეთის აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ შეეწირა ცნობილი მხატვრის ა. კუინჯის სახლ-მუზეუმი. რასაკვირველია, უპირატესი ღირებულება ადამიანების სიცოცხლეა და ომი უდანაშაულო მსხვერპლის სულ უფრო მზარდ რიცხვს იწვევს. მაგრამ ადამიანებთან ერთად ომს თან მოყვება კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, რაც ასევე შეუწყნარებელი დანაშაულია და სამართლიანად იწვევს მთელი მსოფლიოს გულისწყრომას.

რესურსი:https://www. history.com/topics/21st-century/9-11-attacks
https://ka. wikipedia. org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
https://www. nbcnews.com/news/world/taliban-destroyed-afghanistans-ancient-buddhas-now-welcoming-tourists-rcna6307
https://www. nbcnews.com/video/flashback-the-destruction-of-the-buddhas-of-bamiyan-409457219869
https://www. artnews.com/art-news/news/kuindzhi-art-museum-destroyed-ukraine-war-1234622834/
https://news. artnet.com/art-world/russian-airstrike-destroys-mariupols-kuindzhi-art-museum-2088890

- **პროტესტი ცხოველების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ**

მასწავლებელთან კონსულტაციის და აღნიშნული თემის არჩევის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ ნამუშევრის ფორმატზე. შესაძლებელია, ძალიან ეფექტური და საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის აბსოლუტურად გასაგები იყოს, თუ მოსწავლეები გადაიღებენ პატარა ვიდეოებს საკუთარ შინაურ ცხოველებთან ერთად- როგორ ეთამაშებიან, ასეირნებენ, ავარჯიშებენ ოთხფეხა მეგობრებს. ცხოველების ეფექტური ფოტოებიც არ არის ძნელი გადასაღები. შემდეგ მოსწავლეები ატარებენ კვლევას, არსებობს თუ არა მათ ქალაქში უპატრონო ცხოველების თავშესაფრები, სადაც სპეციალური სამსახურები ათავსებენ ქუჩაში მცხოვრებ ცხოველებს. ასეთ თავშესაფარში შესაძლებელია ასევე მოეწყოს ფოტო და ვიდეოგადაღება (ცხადია, ამას სჭირდება საგანგებო ნებართვა, რაზეც ასევე ზრუნავენ მოსწავლეები). თუ მათ რეგიონში ასეთი დაწესებულება არ არსებობს, მოსწავლეები იკვლევენ, როგორ წესრიგდება უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები, რომელი

მუნიციპალური სამსახური კურირებს ამ საკითხს და გადიან მათთან კონსულტაციას.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ადამიანები ცხოველებს და ფრინველებს იყენებენ აზარტული ბრძოლების გასამართად. ეს ფაქტები საქართველოშიც დაფიქსირებულია. ცხადია, ასეთ ორთაბრძოლებში მონაწილე ცხოველები სასტიკად დაშავებულები არიან. თუ ასეთი ინფორმაცია და შესაბამისი ვიზუალური დოკუმენტაცია აქვთ მუნიციპალურ სამსახურებს, ამ მასალის გამოყენება შესაძლებელია ნამუშევრის კონტექსტში. ან მსგავსი ვიზუალური მასალის მოპოვება ინტერნეტ წყაროების გამოყენებით.

ნებისმიერი ფორმატი — ფოტოკოლაჟი, ვიდეო, პლაკატი, რომელზეც ხელით შესრულებული ან გადაღებული ფოტოები იქნება გამოყენებული, საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდება სწორედ იმ კონტრასტის გამო, რასაც მაყურებელი დაინახავს ოჯახში მყოფი საყვარელი და ხშირად განებივრებული და ქუჩაში მყოფი, მშიერი, ზოგჯერ ადამიანების მიერ დატანჯული ცხოველების შედარებისას. პროექტის დასასრულს, როდესაც მოსწავლეები თავს მოუყრიან ყველა აქტივობის შედეგს და საზოგადოებას წარუდგენენ მათ, შესაძლებელია, მეტი თვალსაჩინოებსათვის, სწორედ შინაურ ცხოველებთან ერთად მისვლა და აუცილებელი უსაფრთხოების ზომების დაცვით, მაგალითად, უმცროსკლასელებისთვის მათი გაცნობა.

- **პროტესტი გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ**

პროტესტის გამოხატვის კიდევ ერთი თემა შეიძლება იყოს გარემოს დაბინძურება გამონაბოლქვით, საწარმოო ნარჩენებით, საყოფაცხოვრებო ნაგვით თუ სხვა გზით. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითების პოვნა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან ადვილია. ბიოლოგიის, ქიმიის და სამოქალქო განათლების პედაგოგებთან ერთად მოსწავლეები მსჯელობენ, რა ზიანს აყენებს გარემოს დადგენილი ნორმების ამა თუ იმ ფორმით დარღვევა, რა შედეგების გამოწვევა შეუძლია, მაგალითად, ფაბრიკა-ქარხნებს, რომლებიც მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მუშაობენ, რაც თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ ეკონომიის მიზნით თუ სანიტარული ნორმების არცოდნის გამო არ იცავენ გარემოს უსაფრთხოების დადგენილ აუცილებელ ზომებს.

ამ თემის არჩევის შემთხვევაში მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და აგროვებენ მშობლიურ გარემოში ბუნების დაბინძურების დამადასტურებელ დოკუმენტურ ვიზუალურ მასალას. ეს შეიძლება იყოს რომელიმე საწარმოს კვამლი, ადგილობრივი მდინარის დაბინძურება ქიმიური ნარჩენებით, რაც ხშირად შეუიარაღებელი თვალითაც კი ადვილი შესამჩნევია. ზღვისპირა რეგიონებში სანაპირო ზოლზე დარჩენილი საყოფაცხოვრებო ნაგავი, თუ უბრალოდ უხარისხო საწვავით და ტექნიკურად გაუმართავი მანქანის მძიმე გამონაბოლქვით დაბინძურებული ქუჩები. ფოტო ან ვიდეოგადაღების შემდეგ მოპოვებული მასალით ჯგუფები იწყებენ მუშაობას პრეზენტაციებზე, სადაც ყოველი დაბინძურების ფაქტის გვერდით, ამ დარღვევით გამოწვეული შედეგი იქნება წარმოდგენილი. ამ სამუშაოს შესრულება შეიძლება ტრადიციული სახატავი მასალებით, ინტერნეტში მოძიებული ვიზუალური მასალის კოლაჟით, ნებისმიერი ხერხით, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ იდეის

გადმოსაცემად. მაგალითად, ინტერნეტში ხელმისაწვდომია ფოტომასალა, სადაც ჩანს ზღვის დაბინძურების გამო როგორ იღუპებიან ზღვის ბინადარნი, რომლებსაც გადაყლაპული აქვთ ადამიანების უპასუხისმგებლობის გამო სანაპირო ზოლზე დაყრილი პლასტმასის ნაგავი. ასევე ძალიან მეტყველია გამონაბოლქვით დაბინძურებულ გარემოში გამხმარი მწვანე საფარის ამსახველი ფოტომასალა, რომლის მიხედვით საკუთარი ნამუშევრის შექმნა მოსწავლეებსაც შეუძლიათ. ბიოლოგიის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები კონსულტაციას უწევენ მათ ნამუშევრების შესრულების პროცესში. პროექტის დასკვნით ნაწილში, ამ ნამუშევრების პრეზენტაციის დროს მოსწავლეებს მომზადებული აქვთ ტექსტები შესაბამის თემაზე საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. ამავე აქტივობაზე მუშაობის დროს სასურველია მოსწავლეებმა მიმართონ ქალაქის/სოფლის დასუფთავების სამსახურებს და მათ თანამშრომლებთან ერთად შეიმუშაონ დასუფთავების აქციების გეგმა, რომელშიც თავად მიიღებენ მონაწილეობას. ამდენად პროექტის ამ ნაწილზე მუშაობა უშუალო კავშირშია ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემასთან, გარემოს დაცვასთან. მოსწავლეები აცნობიერებენ, რა წვლილის შეტანა შეუძლია ხელოვნებას ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის პოპულარიზაციაში და პროექტის შემდეგ აქტივობაში შეეცდებიან საკუთარი ხელით გარდაქმნან გარემო, გახადონ ის უფრო მწვანე და ესთეტიურად მიმზიდველი.

ამგვარად შესრულებული პრაქტიკული დავალება მიზანმიმართულად იმუშავებს სამიზნე ცნებების და ქვეცნებების შემოქმედებითად განვითარებაზე, ჩანაფიქრის ადექვატურად მასალის და ხერხების შერჩევაზე. პროექტი ორგანულად იქნება დაკავშირებული პრიორიტეტულ თემებთან, **კერძოდ, გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, კულტურული მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები და** უზრუნველოფს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე პიროვნების აღზრდას.

III ეტაპი - პრაქტიკული პროექტის განხორციელება თემაზე: შეცვალე გარემო საკუთარი ხელით

დავალების პირობა

შეარჩიეთ თქვენ მშობლიურ ქალაქში/სოფელში ან თქვენ სკოლაში ის გარემო, რომელსაც საკუთარი ფანტაზიის და გემოვნების დახმარებით კეთილმოაწყობთ, შეამკობთ, გარდაქმნით. მოიფიქრეთ, რა არის ამისთვის საჭირო და ვისთან ერთად გსურთ ჩანაფიქრის განხორციელება. ასევე, რა მასალა დაგჭირდებათ მიზნის მისაღწევად და შეადგინეთ შესაბამისი პროექტი. პროექტი განიხილეთ მასწავლებელთან ერთად. შესაძლოა, კლასის ერთმა ნაწილმა სასკოლო/სათემო პროექტის სახით სკოლის რომელიმე კუთხის, კლასის, ბიბლიოთეკის, სააქტო დარბაზის გაფორმება გადაწყვიტოს, ხოლო მეორე ჯგუფისთვის ქალაქის ან სოფლის რომელიმე კუთხის გაფორმება იყოს პრიორიტეტული. მოსაზრებების შეჯერების შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება, რა სახის პროექტს განახორციელებთ.

1 ნაბიჯი- პროექტის ტიპის შერჩევა და დაგეგმვა (პროექტის ბიუჯეტის შედგენა, აუცილებელი რესურსების მომზადება, კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასა და

მუნიციპალურ/ადმინისტრაციულ სამსახურებთან).
2 ნაბიჯი- შერჩეული პროექტის პრაქტიკულად განხორციელება

ინფრასტრუქტურული პროექტების ნიმუშები:
შეცვალე გარემო შენი ხელით

- **სკოლის საინტერესო კუთხე**

(სასკოლო/სათემო პროექტი)

ამ პროექტის განსახორციელებლად მოსწავლეები საბაზო და დაწყებითი საფეხურების მოსწავლეებსაც უზიარებენ ჩანაფიქრს და სთხოვენ დახმარებას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის შერჩეული ადგილი — კლასი, დერეფანი, ბიბლიოთეკა, ეზო მისი ძირითადი ფუნქციის გათვალისწინებით იქნას დეკორატიულად გაფორმებული. მაგალითად, დერეფანში მიზანშეწონილი არ არის ვიზუალურად ლამაზი რაიმე სახის ობიექტების ან კონსტრუქციის დადგმა თუ ის ხელს შეუშლის მოსწავლეთა გადაადგილებას. ბიბლიოთეკაში კი წიგნზე მუშაობის დროს გასათვალისწინებელია, მაგალითად, რომ უნდა იყოს კარგი ბუნებრივი განათება; ამიტომ მიზანშეწონილი არ არის ფანჯრებზე რაიმეს ჩამოფარება ან მოხატვა.

სკოლის რომელიმე კუთხის შერჩევის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ უშუალოდ პროექტზე, ხატავენ, ხაზავენ შესაძლო ვარიანტებს. ეძებენ ინსპირაციისთვის დიზაინის საინტერესო ნიმუშებს. მასწავლებელი კონსულტაციას უწევს მათ და ეხმარება შესაფერისი ვარიანტის შემუშავებაში პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი მასალის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. მაგალითად, სკოლის ბიბლიოთეკის დიზაინისთვის შეიძლება გამოიყენონ საყვარელი წიგნების ფოტოკოლაჟი, რომელიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მიერ რეალურად გადაღებული წიგნების ფოტოებით იქნება გაკეთებული. საკუთარი ხელით შეიძლება გააფორმონ მკითხველის ბარათი. ორად გადაკეცილი მომცრო ზომის ფორმატზე გარედან გრაფიკული ნახატები შესრულდება, ხოლო შიგნით ბიბლიოთეკით სარგებლობის დროს ჩაიწერება წაკითხული წიგნების სათაურები. შესაბამისად, თითოეულ მოსწავლეს ექსკლუზიური მკითხველის ბარათი ექნება. შემდეგ ეტაპზე შესაძლებელია, რომ შესრულებული ნამუშერებიდან სასკოლო კონკურსის გზით ან რეიტინგით — ნამუშევრები გამოიფინება თვალსაჩინო ადგილას სკოლაში და ნებისმიერ მოსწავლეს საშუალება ექნება კონკრეტული ნამუშევრისთვის მინიჭებული ნომერი სპეციალური დალუქულ ყუთში ჩააგდოს; ხმები დაითვლება და საუკეთესო გამოვლინდება. ეს ნამუშევარი კი ბიბლიოთეკის ლოგოდ იქცევა. მისი გადატანა შესაძლებელია ბიბლიოთეკის კარზე, სამკითხველო დარბაზის კედელზე. მოსწავლეებს გრაფიკული ლოგოს შექმნის პრინციპები-კომპოზიციური აგება, სხვადასხვა ტიპის ხაზის გამოყენება, მთავარის გამოყოფა, ლაკონურობა და ეფექტური დიზაინი უკვე გავლილი აქვთ. ამდენად, ბიბლიოთეკის გაფორმების პროექტის ყველა შემადგენელი ელემენტი სახვითი ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების მიზანმიმართულად გამოყენებით იქნება შესრულებული. მოსწავლეები გამოიყენებენ გრაფიკული ნახატის, ფოტოკოლაჟის შექმნის გამოცდილებას. ამავე პროექტის ფარგლებში უმცროსკლასელებთან ერთად ძველი წიგნების რესტავრირე-

ბის აქციის ჩატარებაც არის შესაძლებელი. წიგნების ყდების მოწესრიგება, წებოთი ან წებოვანი ლენტით გამაგრება ის პროცედურებია, რომელთა შესრულება უმცროს-კლასელებს შეუძლიათ მოსწავლეების მეთვალყურეობით. ამგვარი თანამშრომლობა სასრგებლო და ეფექტურია, რადგან შესაძლებლობას მისცემს მათ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, უფროსებმა აუხსნან სხვადასხვა მასალით მუშაობის თავისებურებები.

- **შენი ქალაქის/სოფლის შრჩეული/კონკრეტული ადგილის გაფორმება (სათემო/ინფრასტრუქუტურული პროექტის ნიმუში)**

მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობენ ქალაქის/სოფლის რომელი კონკრეტული ადგილის გაფორმება შეუძლიათ მოსწავლეებს საკუთარი სურვილისამებრ. ადგილის შერჩევა რამდენიმე პარამეტრით შეიძლება: უსაფრთხო გარემო, ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინება, გარშემომყოფი ნაგებობების მასშტაბი და ხასიათი, კლიმატური პირობების მიმართ მედეგობა. გადაწყვეტილების მიღება ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. პროექტი არ უნდა მოიცავდეს განსაკუთრებით დიდ ტერიტორიას და შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის საქალაქო სამსახურებთან.

ადგილის შერჩევის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ ესკიზებს და განიხილავენ მათ. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს რომელიმე ქუჩაზე მდგარი ნაგებობის კედელი, რომელიც შეიძლება მოიხატოს მოსწავლეების მიერ. ნებისმიერ ქალაქს ან სოფელს დაამშვენებს ორიგინალურად გაფორმებული სკვერი. ქუჩების აღმნიშვნელი ორიგინალური დაფები განსხვავებულ იერს შესძენს მათ. შესაძლებელია, მოსწავლეებმა შეიმუშაონ ავტობუსის გაჩერების პროექტი (უკვე არსებული გაჩერების კონსტრუქციის დეკორი ან გაჩერების მარტივი მაკეტი).

პროექტების ერთგვარი შიდა კონკურსის ან, შესაძლებელია, შესაბამისი **მერიის ან მუნიციპალიტეტისთვის** წარდგენილი პროექტების კონკურსის გზით შერჩეული იქნება საუკეთესო ვარიანტი. მოსწავლეები მასწავლებლის მონაწილეობით ადგენენ საჭირო მასალის დეტალურ ბიუჯეტს და პროექტის განხორციელების ვადებს. კედლის მოხატვის შემთხვევაში ეს სამხატვრო მასალებია: ფუნჯები, ფასადის საღებავი. სკვერის რომელიმე კუთხის გასაფორმებლად შეიძლება გამოიყენონ როგორც ბუნებრივი მასალა, მაგალითად, საინტერესო ფორმის ქვები, ასევე, ხელოვნური მასალა— ლითონის ფირფიტები, მავთული, ხის მასალა და სხვ. ბიუჯეტი განსახილველად წარედგინება (შერჩეული პროექტის ტიპიდან გამომდინარე) ან **სკოლის მეურვეთა საბჭოს** ან **ქალაქის მერიას, მუნიციპალიტეტს.** თუ **მერიის ან მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურებიც** ჩაერთვებიან პროექტის განხორციელებაში, შეიძლება დაიგეგმოს რამდენიმე ეტაპი: სკვერის გამწვანება, რომელშიც სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები მიიღებენ მონაწილეობას. შემდეგ კი შემუშავებული პროექტის მიხედვით დეკორატიული გაფორმება. მოსწავლეებს ბაღების და პარკების გაფორმების ნიმუშები უკვე გავლილი აქვთ; იცნობენ თანამედროვე ხელოვნების ობიექტებით მათი გაფორმების მაგალითებსაც, ; ამ ცოდნის აქტივიზება და უფრო მეტი მასალის მოძიება დაეხმარება მათ საკუთარი იდეის ჩამოყალიბებაში. ლენდარტის ელემენტების გამოყენებით შესაძლებელია

სკვერში საინტერესო აქცენტების დასმა, მაგალითად, აქა-იქ პატარა გორაკების შექმნა და მათი ბალახით და მცენარეებით გამწვანება. იაპონური ქვის ბაღების ერთგვარი რეპლიკის გაკეთებისას მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ გარემო და არსებული ნაგებობების მასშტაბი. დიდი ზომის და საინტერესო ფორმის ქვების მოძიებაში და ტრანსპორტირებაში მათ, რასაკვირველია, **უფროსების (მშობლები, სკოლის საბჭო) ან/და შესაბამისი სამსახურების** დახმარება დასჭირდებათ. კარგად შერჩეულ ადგილას დადებული ქვა და მის გარშემო საგანგებოდ გაფორმებული პატარა მოედანი ყოველთვის საინტერესო სანახავია. უკვე არსებული ხეების გარშემო შესაძლებელია ბრტყელი ქვებით მიწაში რადიალური წრეების ან სხივისებურად დამაგრებული ელემენტების განლაგება, რაც სრულიად უცვლის სახეს ჩვეულებრივ გარემოს. თუ მოსწავლეებს არატრადიციული მასალით შექმნილი ობიექტის გაკეთების სურვილი აქვთ, მათ ნებისმიერი მასალა შეიძლება გამოადგეთ, დაწყებული საყოფაცხოვრებო ნივთებით, დამთავრებული სამშენებლო მასალის ფრაგმენტებით.

თუ პროექტის თემად ავტობუსის გაჩერების მაკეტის ან არსებული მცირე არქიტექტურული ფორმის დიზაინია შერჩეული, მოსწავლეები ითვალისწინებენ გარშემო მყოფი ნაგებობების ხასიათს და მასშტაბს. მაკეტის შექმნა შეიძლება სამშენებლო მასალებით, თუმცა შემდეგ ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად მათ პროფესიონალ ინჟინერთან და არქიტექტორთან მოუწევთ თანამშრომლობა. პროექტის დაგეგმვის ეტაპზე ეს გარემოებაც უნდა იყოს გათვალიწინებული. ბევრად უფრო მარტივია გაჩერების არსებული არქიტექტურული ფორმის საინტერესოდ გაფორმება. როგორც წესი, მას რეკლამის ან განცხადებების განსათავსებლად იყენებენ. მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან სარეკლამო პლაკატის ფორმა, რომელზეც ყოველთვიურად დაიბეჭდება მომავალი კულტურული ღონისძიებების ანონსი. თავად პლაკატის დიზაინი შეიძლება იყოს შესრულებული რეტროს სტილში (ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება ქალაქში გაკრული ძველებური განცხადებების ფორმის და სტილის შესახებ, არ არის ძნელი); ან პირიქით, დიზაინში შეიძლება უახლესი კომპიუტერული გრაფიკის ელემენტების შეტანა. ყველა შემთხვევაში, მოსწავლეებს დასჭირდებათ **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის კონსულტაცია** და დახმარება. ასეთი სარეკლამო დაფა აუცილებლად ორენოვანი უნდა იყოს და ამ ამოცანას მოსწავლეები უცხო ენის პედაგოგთან ერთად ასრულებენ. ამდენად, გარემოს დიზაინის პროექტი, ერთი მხრივ ორ სასკოლო საგანთან ინტეგრირებულია, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროებს საქმიანი ურთიერთობის უნარების ქონას და კომუნიკაციას სასკოლო საბჭოსთან, მერიის ან მუნიციპალიტეტის ორგანოებთან. **სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების მიერ (მშობლები, მოსწავლეები, უმცროსკლასელები)** განხორციელებული სათემო პროექტი სამოქალაქო თვითშეგნების გამომუშავებას და ამაღლებას უწყობს ხელს.

პროექტის ხასიათი და გამოყენებული მასალა გარემოს ორგანიზების, მისი იერსახის მოწესრიგების მიზანს ემსახურება და მთელი საზოგადოების კეთილდღეობისკენაა მიმართული.

IV ეტაპი- პრაქტიკული ნამუშევრების პრეზენტაცია თემაზე: “ხელოვნება —

საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება“

ნაბიჯი 1- პროექტის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრების: ესსეს, პრაქტიკული ნამუშევრების პრეზენტაციის კონცეფციის შემუშავება

მთელი სემესტრის მანძილზე მოსწავლეები მუშაობენ პროექტზე, რომლის მიზანია წარმოაჩინოს ხელოვნების ნაწარმოების მეშვეობით ავტორის პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობები. ამ საკითხის გასაცნობიერებლად მოსწავლეებმა დაწერეს ესსე, სადაც გააანალიზეს მსოფლიო ხელოვნების ის ნაწარმოებები, რომლებში სახვითი ხერხების მეშვეობით ყურადღება მახვილდება ხელოვანის აქტიურ პოზიციაზე რომელიმე ისტორიული მოვლენის ან ფაქტის მიმართ. შემდეგ მოსწავლეებმა აირჩიეს თემები (სასკოლო გამოკითხვა ჩაატარეს), რომლებიც მათ ყველაზე მეტად აღელვებთ და მათთვის სასურველი მასალით და ტექნიკით შექმნეს პროტესტის ამსახველი ნამუშევრები. სავარაუდოდ, ნამუშევრები არის შესრულებული ფერწერა/გრაფიკის ტრადიციული მასალებით, პლაკატის ან ფოტოკოლაჟის და ვიდეორგოლის სახით (სახვითი ხელოვნების დარგები:ფერწერა, გრაფიკა; ტექნიკა: ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება, კომპიუტერული/გრაფიკული დიზაინი); და ბოლოს, გარემოზე ხელოვნების კეთილისმყოფელი გავლენის საჩვენებლად, იმუშავეს საკლასო და საზოგადო სივრცეების დეკორატიულად გაფორმების პროექტებზე, როგორც შესაბა-მის საჯარო სამსახურებთან, ასევე, სასკოლო თემთან, საბჭოებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოსთან და უმცროსკლასელებთან თანამშრომლობით.

პრეზენტაციის ფორმატი გულისხმობს პროექტის ყველა შედეგის წარდგენას მოწვეული საზოგადოებისათვის. მოსწავლეები შეიმუშავებენ პროექტის ფარგლებში შესრულებული ყველა ნამუშევრის წარგენის/პრეზენტაციის ზოგად კონცეფციას.

2 ნაბიჯი- პრეზენტაცია

- შესრულებული აქტივობების ტიპიდან გამომდინარე პრეზენტაცია რამდენიმე ეტაპს მოიცავს: მოსწავლეები წარადგენენ ესსეს შესაბამისი ვიზუალური მასალის თანხლებით. ხელოვნების კონკრეტულ ნამუშევარზე მსჯელობისას ასახელებენ ეპოქას და მის ძირითად მახასიათებლებს, ავტორს და მის ინდივიდუალურ ხელწერას, პროტესტის გამოსახატად შერჩეულ სახვით ელემენტებს და ხერხებს და საუბრობენ, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ნაწარმოების ავტორის არჩევანი.
- მომდევნო ეტაპი თავად მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრების პრეზენტაციაა. პრეზენტაცია შეიძლება გამოფენის სახით მოეწყოს საკლასო სივრცეში, ან, იმ შემთხვევაში თუ მთლიანად დასკვნითი აქტივობა იმართება ღია სივრცეში, მაგალითად, მოსწავლეების მიერ გაფორმებულ სკოლის ეზოში ან სკვერში, შეიძლება ჩატარდეს კომპიუტერისა და პროექტორის მეშვეობით ელექტრონულად. ასეთ შემთხვევაში წინასწარ იგეგმება, რომ პრეზენტაციისთვის საჭიროა ეკრანი, კომპიუტერი, პროექტორი, დენის წყარო.
- პრეზენტაციის დასკვნითი ეტაპი გარემოს საკუთარი ხელით შეცვლის პროექტს უკავშირდება. თუ პროექტი სრულდება გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში, პრეზენტაციის ორგანიზება ღია სივრცეში, უშუალოდ მოსწავლეების მიერ გაფორმებულ გარემოში დამატებით შესაძლებლობებს აძლევს მათ. ასე

მაგალითად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცხოველთა მიმართ სისასტიკის/ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ნამუშევრების პრეზენტაციას საკუთარი შინაური ცხოველების უმცროსკლასელებისთვის გაცნობა შეიძლება დაერთოს, რაც კიდევ უფრო გაუღვივებს პატარებს ცხოველების მიმართ სიმპათიას. გარდაქმნილი გარემოს შეფასების შესაძლებლობა მიეცემა თითოეულ დამსწრეს: მშობლებს, პედაგოგებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. მოსწავლეები აღწერენ პროექტის განხორციელების ეტაპებს, ყვებიან როგორ მოხდა გარემოს დიზაინის იდეის განვითარება, როგორ შეირჩა მასალა და პროექტის საკუთარი ხელით შესრულებამ რა სახის გამოცდილება შესძინა მათ.

V ეტაპი - განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება:

1. ნაბიჯი – პროექტის დასკვნით ეტაპზე, მონაწილეები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისაუბრებენ თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტის განხორციელებისას, რა დამოკიდებულება აქვთ განხორციელებული პროექტის მიმართ.

პროექტი 6.

ესსე თემაზე „ხელოვნების ნაწარმოები და ავტორის პოზიცია“

ესეს შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

სამიზნე ცნებები:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ელემენტები:

ხაზი, ფორმა, ფერი,

პრინციპები: კომპოზიციური აგების პრინციპები, სასურათე არეზე ელემენტების განაწილება, მთავარის გამოყოფა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, ხედვის წერტილი და რაკურსი, კადრირება, წონასწორობა, სტატიკა-დინამიკა, კონსტრუქცია, რიტმი, განათება.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:

არქიტექტურა- გარემოს (ინტერიერის და ექსტერიერის) დიზაინი,ლანდშაფტის დიზაინი,ლენდარტი.

სახვითი ხელოვნება-ქანდაკება/ობიექტი, ფერწერა, გრაფიკა,

აუდიოვიზუალური ხელოვნება- ფოტოგრაფია, გრაფიკული დიზაინი და კომპიუტერული გრაფიკა, ვიდეოარტი.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

სხვადასხვაეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილისხელოვნებისსახასიათონიშნები / მხატვრულიმახასიათებლები: ძველი და თანამედროვე მსოფლიო და ქართული ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება;

დავალების პირობა:

იმსჯელეთ ხელოვნების როლსა და ფუნქციაზე სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან და კონრეტულ ადამიანთან მიმართებით, რათა ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის მეშვეობით გამოიკვეთოს იმ გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების/პრინციპების ანალიზი, რომელტა გამოყენებით შესაძლებელია ავტორის პოზიციის გამოხატვა რომელიმე ისტორიულ

ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით. მოიყვანეთ მაგალითები მსოფლიო ხელოვნების ნამუშევრების სახით, გააანალიზეთ ისინი და მიეცით თქვენი ინტერპრეტაცია. კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე დაწერეთ ესსე და ჩამოაყალიბეთ ავტორის/ხელოვანის მიერ გამოთქმული პოზიცია ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის შესახებ.			
კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**დარგები და ჟანრები**	**ხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/მიმდი-ნარეობის/სტილის ხელოვნების სახასი-ათო ნიშნები/მხატ-ვრული მახასიათებ-ლები:**
სოლო 5 **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედარების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებთან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვა	მოსწავლეს სწორად ესმის დავალების პირობის არსი, ესეში მკაფიოდ გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის გააზრება. მოსწავლე აცნობიერებს, რომ ხელოვნება პროტესტის გამოხატვის, საკუთარი დამოკიდებულებისა თუ მოსაზრების გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა, რადგან ხელოვნების ნაწარმოების „სამეტყველო ენა“ უნივერსალურია,რომლის გამოყენებით შესაძლებელია შესაძლებელია ავტორის პოზიციის გამოხატვა რომელიმე ისტორიულ ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით. ესსეში მკაფიოდ არის გამოხატული ავტორის გარკვეული პოზიცია,მისი თანადგომა ან პროტესტის გრძნობა კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით. მოსწავლე საუბრობს შერჩეულ ნამუშევარში, ავტორის მიერ გამოყენებულ სახვით გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე, გამოყენებულ მასალასა და ტექნიკაზე, ეპოქის,კულტურისა თუ მიმდინარეობის მხატვრულ მახასიათებლებზე, მათი დახმარებით გამოხატულ დამოკიდებულებასა და პოზიციაზე, რომელსაც ხელოვანი ნაწარმოების მეშვეობით აფიქსირებს. მოსწავლის მოსაზრებები გამყა-რებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით - ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია. მოსწავლე თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ნაშრომში ვლინდება		

და ახალი იდეებისა თუ მოსაზრებების/თეორიების წამოყენება	მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება და მის მიერ ცნებების სიღრმისეული გააზრება.		
სოლო4 **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებისა და შედეგებს,აკეთებს დასკვნებს	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი.ესსეში ძირითადად, მკაფიოდ არის გამოხატული ავტორის გარკვეული პოზიცია. მოსწავლე საუბრობს შერჩეულ ნამუშევარში, ავტორის მიერ გამოყენებულ სახვით გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე, მათი საშუალებით გადმოცემულ დამოკიდებულებასა და პოზიციაზე, რომელსაც ხელოვანი კონკრეტული ნაწარმოების მეშვეობით აფიქსირებს.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი.ესსეში ძირითადად, მკაფიოდ არის გამოხატული ავტორის გარკვეული პოზიცია. მოსწავლე საუბრობს შერჩეულ ნამუშევარში, გამოყენებული მასალისა და ტექნიკის შესახებ, რისი საშუალებითაც ავტორი თავის დამოკიდებულებასა და პოზიციაზე აქცენტირებს.	მოსწავლის მიერ შეს- რულებულ ესსეში, დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგე- ბული და მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ესსეში ძირითადად, მკაფიოდ არის გამოხატული ავტორის გარკვეული პოზიცია. მოსწავლე ხაზს უსვამს, შერჩეულ ნამუშევარში, ეპოქის, კულტურისა თუ მიმდი- ნარეობის მხატვრულ მახასიათებლებს, დამოკიდებულებასა და პოზიციას, რომელსაც ხელოვანი კონკრეტუ- ლი ნაწარმოების მეშვეობით აფიქსი- რებს.

სოლო3 მულტისტრუქტურული დონე მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა, მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, არარსტრუქტურიზებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხთან/თემასთან დაკავშირებით	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით ნამუშევარში გამოყენებული საშუალებებისა და ხერხების შესახებ,რომელთა საშუალებით ავტორი თავის დამოკიდებულებასა და პოზიციას აფიქსირებს. მის მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით ნამუშევარში გამოყენებული მასალისა და ტექნიკის შესახებ, რომელთა საშუალებით ავტორი თავის დამოკიდებულებასა და პოზიციას აფიქსირებს. მის მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა ძირითადად ადეკვა-ტურადაა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალის-წინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი მსჯელობით ნამუშევარში გამოყე-ნებული ეპოქის, კულ-ტურისა თუ მიმდინა-რეობის მხატვრულ მახასიათებლების შესახებ, რომელთა საშუალებით ავტორი თავის დამოკიდებულე-ბასა და პოზიციაზე აქცენტირებს. მის მოსაზრებებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევ-რული სახე.
სოლო 2 უნი-სტრუქტუ-რული დონე	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში,

დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით.	ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი არასტრუქტურიზებული მსჯელობით საშუალებებისა და ხერხების შესახებ,რომელთა საშუალებით ავტორი თავის დამოკიდებულებასა და პოზიციას აფიქსირებს. მისი მოსაზრებები ბუნდოვანია.	ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მოსწავლე ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი არასტრუქტურიზებული მსჯელობით გამოყენებული მასალისა და ტექნიკის შესახებ,რომელთა საშუალებით ავტორი თავის დამოკიდებულებასა და პოზიციას აფიქსირებს.მის მოსაზრებები ბუნდოვანია.	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვა-ტურადაა გაგებული. მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემო-იფარგლება საკვანძო სიტყვებზე მარტივი და ლოგიკური რეაგირე-ბით. მოსწავლე ესსეში ბუნდოვნად მსჯელობს ნამუშევარში გამოყე-ნებული ეპოქის, კულ-ტურისა თუ მიმდი-ნარეობის მხატვრულ მახასიათებლების შესახებ, რომელთა საშუალებით ავტორი თავის დამოკიდებუ-ლებასა და პოზიციაზე აქცენტირებს.
სოლო 1 **პრე-სტრუქტურული დონე** დავალების პირობა მოსწავლის მიერ	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

არაადეკვატურადაა გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არ ცოდნა.	

პროექტი 6.

„ხელოვნების ნაწარმოები და ავტორის პოზიცია“

შექმნილი ნამუშევრის შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

სამიზნე ცნებები:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ელემენტები:

ხაზი, ფორმა, ფერი,

პრინციპები:კომპოზიციური აგების პრინციპები, სასურათე არეზე ელემენტების განაწილება, მთავარის გამოყოფა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიცია, პროპორცია და მასშტაბი, ხედვის წერტილი და რაკურსი, კადრირება, წონასწორობა, სტატიკა-დინამიკა, კონსტრუქცია, რიტმი, განათება.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:

არქიტექტურა- გარემოს (ინტერიერის და ექსტერიერის) დიზაინი,ლანდშაფტის დიზაინი,ლენდარტი.

სახვითი ხელოვნება-ქანდაკება/ობიექტი, ფერწერა, გრაფიკა,

აუდიოვიზუალური ხელოვნება- ფოტოგრაფია, გრაფიკული დიზაინი და კომპიუტერული გრაფიკა, ვიდეოარტი.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

სხვადასხვაეპოქის / კულტურის / მიმდინარეობის / სტილისხელოვნებისსახასიათონიშნები / მხატვრულიმახასიათებლები:

ძველი და თანამედროვე მსოფლიო და ქართული ხელოვნება.

სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება, პროექტირება, ხატვა, ფერწერა, კოლაჟი, ინსტალაცია, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა, ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება;

დავალების პირობა:

იმსჯელეთ ხელოვნების როლსა და ფუნქციაზე სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან და კონრეტულ ადამიანთან მიმართებით,

რათა ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის მეშვეობით გამოიკვეთოს იმ გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების/პრინციპების ანალიზი, რომელტა გამოყენებით შესაძლებელია ავტორის პოზიციის გამოხატვა რომელიმე ისტორიულ ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით. მოიყვანეთ მაგალითები მსოფლიო ხელოვნების ნამუშევრების სახით, გააანალიზეთ ისინი და მიეცით თქვენი ინტერპრეტაცია. კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე დაწერეთ ესსე და ჩამოაყალიბეთ ავტორის/ხელოვანის მიერ გამოთქმული პოზიცია ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის შესახებ.			
კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება	**სახვითი საშუალებები და ხერხები:**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**ხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/მიმდი-ნარეობის/სტილის ხელოვნების სახასი-ათო ნიშნები/მხატ-ვრული მახასიათებ-ლები:**
სოლო 5 **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხი/ თემა, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და შედა-რების საშუალებას აძლევს სხვა მაგალითებთან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეუძლია საკითხის/თემის განსხვა-ვებული პერსპექტივიდან	მოსწავლეს სწორად ესმის დავალების პირობის არსი, შექმნილ ნამუშევარში, მოსწავლეს გააზრებული აქვს საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკა. მოსწავლე მიზანმიმართულად , გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან გამომსახველობითი საშუალებებს, ხერხებს, მასალის, ტექნიკას, თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასიათებლებს საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციის გამოსახატად. ნამუშევარში შემოქმედებითადაა გამოყენებული ელემენტები - ხაზი, ფორმა, ფერი და მის მრავაფეროვანი პრინციპები -კომპოზიცია, სტატიკა, დინამიკა, წონასწორობა, სიმეტრია, ასიმეტრია, ნებისმიერი ტექნიკა თუ ხელოვნების ნებისმიერი დარგი და ამ კომპონენტების გამოყენებით, მოსწავლე ცდილობს მაქსიმალურად ნათლად გამოხატოს აზრი.ნამუშევარში ვლინდება მოსწავლის ორგინალური ხედვა.			

განხილვა და ახალი იდეებისა თუ მოსაზრებ-ების/თეორიების წამოყენება			
სოლო4 **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი. ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებსა თუ ასპექტებს შორის. თეორიიის/თეორიების გამოყენებით აანალიზებს მიზეზებისა და შედეგებს,აკეთებს დასკვნებს	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე, გააზრებულად, შემოქმედებითად და მიზანმიმართულად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს. ყურადღება გამახვილებულია გამომსახველობითი საშუალებების ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმიმართებაზე ძირითადი იდეის, ჩანაფიქრის გადმოსაცემად	მოსწავლეს ესმის დავალების არსი. დავალების პირობის შესაბამისად, ნამუშევრში, საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახა-ტად, ყურადღება გამახვილებუ-ლია ტექნიკისა და მასალის მახასიათებლებზე და მათ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთმიმართებაზე.	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე საკუთარი შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდე-ბულების გამოსახატად, ძირითადად გააზრე-ბულად იყენებს თანა-მედროვე ხელოვნების მხატვრულ მახასი-ათებლებს.
სოლო3 **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლემ ძირითადად გაიგო დავალების პირობა,	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე უსისტემოდ იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს იდეის,ჩანაფიქრის გადმოსაცემად	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ნამუშევარში უსისტემოდ იყენებს ტექნიკასა და მასალას ჩანაფიქრისა თუ იდეის	მოსწავლეს ესმის დავალების პირობის არსი. დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე საკუთარი

მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, არარსტრუქტურიზებული ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხთან/თემასთან დაკავშირებით		გადმოსაცემად	შემოქმედებითი მიზნებისათვის და საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდე-ბულების გამოსახატად, უსისტემოდ იყენებს თანამედროვე ხელოვ-ნების მხატვრულ მახასიათებლებს.
სოლო 2 **უნი-სტრუქტურული დონე** დავალების პირობა ნაწი-ლობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება. მას არასტრუქტურირებუ-ლი წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან/ თემასთან დაკავშირებით.	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავლე ნამუშევარში გაუცნობიერებლად, უსისტემოდ იყენებს რამდენიმე სახვით საშუალებას.	დავალების პირობის შესაბამი-სად, მოსწავლე ნამუშევარში უსისტემოდ იყენებს განსა-ზღვრულ/შეზღუდულ ტექნიკასა და მასალას	დავალების პირობის შესაბამისად, მოსწავ-ლე ძირითადად უსის-ტემოდ, ნაწილობრივ იყენებს თანამედროვე ხელოვნების მხატვ-რულ მახასიათებლებს.
სოლო 1 **პრე-სტრუქტურული დონე** დავალების პირობა მოსწავლის მიერ არაადეკვატურადაა	მოსწავლის მიერ შესრულებულ ესსეში, დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული		

გაგებული. გამოვლინდა საკითხთან/თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელევანტური ინფორმაციის არ ცოდნა.	

7. საგანმანათლებლო რესურსები - რეკომენდებული ლიტერატურა:

- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (XVIII საუკუნიდან დღემდე), თბ., 2018;
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), თბ., 2018;
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (XIV-XV საუკუნეების ევროპა), თბ., 2019
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია (დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება), თბ., 2020
- ე. გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, თბ., 2012
- ტელეგაკვეთილები:

  https://1tv.ge/user/ninokhundadze/

  https://1tv.ge/user/anakldiashvili/

  - სტატიები ხელოვანების შესახებ და მათი ნამუშევრები:

    https://arthive.com/artists

  - სხვადასხვა პერიოდის მხატვრების ნამუშევრების ციფრული გალერეა:

    https://www. wga. hu/index1. html

  - მასალა ხელოვნების შესახებ ეპოქების მიხედვით:

    https://www. khanacademy. org/humanities/art-history

  - ვიზუალური ხელოვნების ენციკლოპედია

    http://www. visual-arts-cork.com/index. htm

8. შეფასება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სასწავლო თემების ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების სისტემა ეყრდნობა შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: სანდოობას; ვალიდურობას; ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ამ პრინციპების მისაღწევად გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი/შემაჯამებელი შეფასების ტიპები, ინსტრუმენტები, კონკრეტული და გაზომვადი **შეფასების კრიტერიუმები**. მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც ანალიტიკური, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ყურადღების გამახვილება მოსწავლის პროგრესზე და არა ნამუშევრის ხარისხზე. შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, სისტემატურად და ხელს უწყობს მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ შეფასება თანაბარ პირობებში უნდა აყენებდეს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს. ხელოვნების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სხვადასხვა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული: შემოქმედებითი პრაქტიკული საქმიანობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალფეროვანი ტექნიკისა და მასალის გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარება, წერითი და ზეპირი აქტივობები, არგუმენტირებული მსჯელობა, პროექტში მონაწილეობა, გამოფენის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, მასალის მოგროვება და სისტემატიზება, კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება.

განმსაზღვრელი შეფასებით დგინდება მოსწავლის ცოდნის ხარისხი და მოსწავლის მიღწევების დონე ანუ სწავლის შედეგი, რომელიც აისახება ქულებში. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას, მოსწავლის პოტენციის განვითარებასა და მის წინსვლას ანუ ამ შემთხვევაში ფასდება სწავლის პროცესის დინამიკა. განმავითარებელი შეფასების ფორმები და საშუალებებია: მასწავლებლის კომენტარი, თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებლის რეკომენდაცია.

შეფასების ტიპები და მათი გამოყენება დროის მიხედვით		
	განმსაზღვრელი	**განმავითარებელი**
მიმდინარე	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ნიშანი იწერება.	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯობესოს შედეგები.
შემაჯამე-ბელი	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანი.	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასება, კომენტარი, რუბრიკით შეფასება და სხვ.

შეფასების კომპონენტები

1. პრაქტიკული სამუშაო, რომელიც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- სახვითი და გამოყენებითი ელემენტების და პრინციპების, ტექნიკის და მასალის ფლობა;
- შემოქმედებითი მიდგომა, ორიგინალური გადაწყვეტილების მიღება;
- ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალა/აღჭურვილობა, სისტემურობა);
- ჯგუფური მუშაობის უნარი, თანამშრომლობა.

2. ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი/განხილვა, რაც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- განხილვაში აქტიური მონაწილეობა;
- აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

3. საკუთარი და სხვების ნამუშევრების წარდგენა, რაც ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათქმელის ნათლად გადმოცემა; კონტაქტი აუდიტორიასთან;
- თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
- კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა.

9. ინტეგრაცია და ცოდნის ტრანსფერი

მთელ მსოფლიოში განათლების სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინტეგრირებული სწავლებისას მოსწავლეები უკეთ ახერხებენ ერთ საგანში მიღებული ცოდნისა თუ გამომუშავებული უნარების მეორე საგანში გადატანას, ანუ ცოდნის ტრანსფერს. ინტეგრაცია სასწავლო პროცესში სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენის ფორმირების, მოვლენების და პროცესების არსებითი ურთიერთკავშირის გაგების ხელშემწყობია. სასწავლო პროცესში ინტეგრაცია სხვადასხვა საგანში შესასწავლი თემების, საკითხების ერთმანეთთან ორგანულ დაკავშირებას გულისხმობს, მოსწავლეები სწავლობენ, იკვლევენ თემის ფარგლებში აქტუალურ საკითხებს, დისციპლინებს აკავშირებენ ერთმანეთთან, რაც ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებასა და ტრანსფერს. ინტეგრირებულ პროექტსა თუ გაკვეთილზე, მოსწავლეს აქვს ღრმა და მრავალფეროვანი ცოდნის მიღების საშუალება, სხვადასხვა საგნიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენების და მოვლენების სრულიად ახლებურად გააზრების გზით. ინტეგრირებული პროექტი/გაკვეთილი იძლევა ცოდნის სინთეზის შესაძლებლობას, გვეხმარება, ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეს ერთი სფეროდან მეორეში ცოდნის გადატანის უნარი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების და განზოგადების უნარის განვითარებას.

„სკოლას არ შეუძლია ასწავლოს მოსწავლეს ყველაფერი, რაც მან უნდა იცოდეს, მაგრამ მას შეუძლია აღჭურვოს მოსწავლე ტრანსფერის (ცოდნის გადატანის) უნარით - გამოიყენოს ის, რაც ისწავლა იმისთვის, რომ გადაჭრას ახალი პრობლემები წარმატებით ან ისწავლოს სწრაფად ახალ სიტუაციაში. “ (R. Mayer & Wittrock, 1996, გვ 49).

ინტეგრაციაზე - ყველა საგნისა და გამოცდილების გაერთიანებაზე, საუბარი 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. მასწავლებლები ათწლეულების განმავლობაში იკვლევდნენ თუ რა არის ინტეგრირებული პროექტი თუ გაკვეთილი, ეს არის კავშირების დამყარება დისციპლინებს გასწვრივ თუ დისციპლინების შერწყმა. მასწავლებელთა პირადი გამოცდილების საფუძველზე, განისაზღვრა ინტეგრაციის სამი მიდგომა: მულტიდისციპლინური, ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური:

1. მულტიდისციპლინური მიდგომა საგნების თემატურ გაერთიანებას გულისხმობს. დისციპლინები შეიძლება გაერთიანდეს როგორც თემის, ისე უნარებისა და დამოკიდებულებების გარშემოც. სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში, თუმცა თითოეული გაკვეთილი ქმნის ერთგვარ ჯაჭვს, ანუ ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს შერჩეული თემის ფარგლებში:

2. ინტერდისციპლინურ მოდელში ინტერდისციპლინარული სწავლება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს და მოსწავლეებს დაამყარონ კავშირები სხვადასხვა დისციპლინასთან იქ მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული

უნარების გამოყენებით, შეძლონ თემისა და სამყაროს დანახვა სხვადასხვა განსხვავებული კუთხით. ასევე მნიშვნელოვანია საგანთშორისი და შიდა საგნობრივი კავშირების რეალიზების თეორიული ასპექტები, რომლებიც დაეხმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში. ინტერდისციპლინურ მიდგომაში საგნების როლი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ინტეგრაციის ცენტრი არის არა მხოლოდ თემა, არამედ ინტერდისციპლინური უნარების განვითარებაზე და სხვადასხვა კონცეფციის მრავალმხრივ გააზრებასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, მუსიკის მასწავლებელი მოსწავლეებს საკუთარი ხელით შეაქმნევინოს საკრავები, რის შედეგადაც იგი გამოიყენებს ხელოვნების მიმართულებისთვის დამახასიათებელ უნარებს, მათემატიკასთან დაკავშირებული გაზომვისა და სიმეტრიის საკითხების ცოდნას, ბუნებრივი და/ან ხელოვნური რესურსის სწორად შერჩევას (ბუნებისმეტყველება) და ამ გზით დაამყარებს კავშირს სხვა საგნებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებთან.

3. **ტრანსდიციპლინური მოდელი** კი მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით იგება და პასუხობს საძიებო კითხვებს. ტრანსდისციპლინური მოდელი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, - სხვადასხვა დისციპლინაში მიღებული ინფორმაციების ორგანიზება მოახდინონ, მათ შორის მნიშვნელოვანი კავშირების დამყარება შეძლონ, საკითხის მრავალი კუთხით დანახვა - ერთსა და იმავე საკითხს/მოვლენას შეხედონ სხვადასხვა მხრიდან, გამოიმუშავონ ტრანსფერული და სინთეზური უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, ინფორმაციების გააზრებაში, დამახსოვრებასა და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებაში.

ინტეგრირებული პროექტების დაგეგმვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე:

1. დადგინდეს ინტეგრირებული პროექტის დაგეგმვის საჭიროება;
2. ინტეგრირებული პროექტის ეფექტიანად წარმართვისათვის, აუცილებელია განსახილველი და შესასწავლი ცნებების, თეორიებისა თუ კონცეფციების სწორად განსაზღვრა;
3. ეფექტურ ინტეგრირებულ სასწავლო პროექტში ჩართულ საგნებს შორის უნდა განისაზღვროს კავშირები, საერთო მიზნები, ამოცანები და აქტივობები — ნაბიჯები;
4. ინტეგრირებული პროექტების წარმართვის პროცესში, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა თანამშრომლობა და ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები იყვნენ, თავად მოიძიონ, გამოიკვლიონ, დაახარისხონ, გააანალიზონ ინფორმაცია, მოახდინონ პრობლემების იდენტიფიკაცია, შეიმუშაონ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზები. მოსწავლის აქტიური ჩართულობა, დამოუკიდებლად მუშაობა და თანაკლასელებთან თანამშრომლობა ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, იქიდან გამომდინარე, რომ ინტეგრაცია აფართოებს

შესასწავლი მასალის თემატიკას, იწვევს მოვლენების უფრო ღრმა ანალიზისა და განზოგადების აუცილებლობას.
5. ინტეგრირებული პროექტი არ გულისხმობს ორი ან მეტი საგნის სასწავლო მასალის მექანიკურ გაერთიანებას. აქ უბრალოდ ახალ ცოდნას კი არ უნდა იღებდეს მოსწავლე, არამედ უკვე არსებული ცოდნის ახალ სიტუაციებში გამოყენების შესაძლებლობაც უნდა ეძლეოდეს. ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში, მან უნდა შეძლოს სამყაროს წარმოდგენა ერთ მთლიანობად, რომელშიც ყველა ელემენტი ურთი ერთდაკავშირებულია.
6. მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ინტეგრირებული პროექტის ეფექტიანად ჩატარების ალბათობა საკმაოდ მცირეა.

ინტეგრირებული პროექტების დაგეგმვისას, მასწავლებლებმა უნდა განსაზღვრონ თუ როგორ ინტეგრაციაზე იმუშავებენ მოსწავლეები სასწავლო ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში. ინტეგრირებული პროექტის დაგეგმვისას, მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ:

ინტეგრაციის საფეხურები:

პრობლემური ინტეგრაცია - მოსწავლეებმა პრობლემა უნდა გადაჭრან სხვადასხვა საგნის შესაძლებლობების გამოყენებით (ეს უფრო მეტად უკავშირდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდელს);

კონცეპტუალური ინტეგრაცია - სასწავლო დისციპლინები/საგნები განიხილავენ ცნებებს, თეორიებს, მოსაზრებებს, კონცეფციებს სასწავლო დისციპლინების სპეციფიკური მეთოდისა და საშუალების გამოყენებით;

თეორიული ინტეგრაცია - სხვადასხვა დისციპლინაში განხილული ცნებების, თეორიებისა თუ კონცეფციების შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენება, (ინტეგრაციის უმაღლესი ხარისხი) ვინაიდან ჩართულია აზროვნების სხვადასხვა დონე და მოსწავლე ახდენს მიღებული ცოდნის სინთეზს.

თემატური ინტეგრაცია - ერთი თემა განხილულია ორი, სამი ან მეტი სასწავლო დისციპლინის/საგნის მიერ საილუსტრაციო-აღწერითი ხასიათის;

10. პროექტის შეფასება და თვითშეფასება

ერთი პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება შესაძლოა რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმები, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარი. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია შეფასების მექანიზმი და პერიოდულობა, როგორ წარმოუდგენიათ პროექტის მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგი. შიდა მონიტორინგის დროს პროექტის განმხორციელებლები აფასებენ, რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტის მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება; ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველი შედეგის მიღებას. გარე მონიტორების მხრიდან შუალედური შეფასებისათვის პროექტში ჩართულმა პირებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება აგრეთვე შეუწყობს ხელს პროექტის წარმატებით განხორციელებას. პროექტის საბოლოო შეფასება კი საშუალებას აძლევს პროექტის განმხორციელებლებს, დაინახონ მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ეს მომდევნო პროექტზე მუშაობისას გაითვალისწინონ. პროექტის მიმდინარეობა შეიძლება დაიყოს შემდეგ ფაზებად: 1. ინიციატივა – ინიციატივა ჩნდება, იდეები პროექტის გაკვეთილისთვის ნაპოვნია; 2. დასაწყისი – პროექტი დაიწყო და დაიგეგმა; 3. განხორციელება – პროექტი ხორციელდება; 4. პრეზენტაცია – პროექტის შედეგების წარდგენა; 5. შეფასება (რეფლექსია).

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე

თუ კლასში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (სსსმ – იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები), მასწავლებელი უნდა ეცადოს, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე მასწავლებელმა არ უნდა მოაქციოს ყურადღების ცენტრში და არ გამოხატოს ზედმეტი ყურადღება თუ თანაგრძნობა მის მიმართ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობა კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა თუ სხვა საგნების გაკვეთილებზე. მასწავლებელმა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა და შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათ განვითარებასა თუ მიღწევების გაუმჯობესებას. მიუხედავად მისი განსხვავებული შესაძლებლობებისა, მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რისი გაკეთება მოეთხოვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე. საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მივცეთ, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ან კომბინირებული ადაპტირებული ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვა თვალსაჩინო საშუალებებიც. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ, ერთი მხრივ, მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არამართებულად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს, რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის არაეფექტურ დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიებისა და არაეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა: რა შეუძლია მას და რა არ შეუძლია. შეფასებაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ბავშვისათვის შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ყოველი სსსმ მოსწავლისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, დეტალურად უნდა განისაზღვროს: ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში; ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში; გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა; დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტი; ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო /განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც; ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

12. თანასწორობა

სახელმძღვანელო ორიენტირებულია, მოსწავლეებს განუვითაროს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც განაპირობებს საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხმარება მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში, ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრებასა და შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემის გამოხატვას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები ეხმარება მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს უსაფრთხოდ ცხოვრებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

13. ბულინგი

ძალადობა, ბულინგი, ჩაგვრა — აქტუალური პრობლემაა მთელ მსოფლიოში. კვლევების თანახმად, ბულინგის შემთხვევა ხშირია საქართველოშიც. ბულინგი, შესაძლებელია, გამოვლენილი იყოს როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ვერბალური და ფიზიკური სახით. მნიშვნელოვანია — მეყსეული რეაგირება ბულინგის გამოვლენის ნებისმიერ ფორმაზე — როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეთა და სკოლის საზოგადოების მხრიდან. აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელშიც განსაკუთრებული როლი ხელოვნებას – როგორც სასწავლო დისციპლინას – ენიჭება. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხება ძალადობის, ჩაგვრის პრობლემას და აჩვენებს, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია. სხვადასხვა ეპოქის ხელოვანები მრავალფეროვანი მხატვრული საშუალებებით გამოხატავენ პროტესტს ძალადობის, ჩაგვრის წინააღმდეგ. ერთ-ერთ გაკვეთილზე სახელმძღვანელო მოსწავლეებს თავაზობს კიდეც ბულინგის თემაზე პლაკატის შექმნას.

14. შეფასების რუბრიკები

ნახატის/კოლაჟის/აპლიკაციის შეფასების სქემა

შეფასება	**1-2**	**3-5**	**6-8**	**9-10**
ჩანაფიქრის შესაბამისობა შერჩეულ გამომსახველობით საშუალებებთან	მოსწავლე ვერ ფლობს შესაბამის სახვით- გამომ-სახველობით საშუალე-ბებს, შესაბამისად, ვერ იყენებს მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ნაწილობრივ ფლობს გარკვეულ სახვით-გამომსახველო-ბით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდე-ბულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ძირითადად ფლობს სახვით გამომ-სახველობით საშუალე-ბებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახატავად შემოქმე-დებითად იყენებს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალასა თუ ტექნიკას.
ორგანიზებულობა/ ეტაპების დაგეგმვა	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები არ არის დაგეგმილი, არ არის მომზადებული საჭირო აღჭურვილობა.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები ნაწილობრივაა დაგეგმილი, მომზადებულია საჭირო აღჭურვილობის ნაწილი.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები ძირითადად დაგეგმილია, მომზადებულია სა-ჭირო აღჭურვილობის დიდი ნაწილი.	მოსწავლე ყოველთვის ორგანიზებულია, გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებს, ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოს და ამზადებს საჭირო აღჭურვილობას.
დროის ლიმიტი	მოსწავლე ვერ ანაწილებს დროს და არ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე არათანაბ-რად ანაწილებს დროს სამუშაოს გარკვეული ეტაპის შესასრულებ-ლად, ზოგჯერ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე ნაწილობრივ ანაწილებს დროს სამუშაოს სხვადასხვა ეტაპის შესასრულებ-ლად, ძირითადად იცავს დროის ლიმიტს.	სამუშაოს ყველა ეტაპის შესასრულებლად დრო ეფექტურადაა გამოყენე-ბული, განაწილებული და დაცულია დროის ლიმიტი.

აღწერა-ანალიზის შეფასების სქემა

ხელოვნების ნაწარმოების აღწერის სქემა
აღწერა უნდა პასუხობდეს კითხვას: რას ხედავთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში?

- ნამუშევრის სათაური და ავტორის ვინაობა;
- ხელოვნების რომელ დარგს ან ჟანრს განეკუთვნება ეს ნამუშევარი?
- რა მასალითაა ის შესრულებული?
- როგორია ნამუშევრის ფორმატი (მაგალითად, რა ფორმისაა სასურათე არე, რა ზომის არის ნამუშევარი)?
- რა შინაარსს ასახავს ნამუშევარი? ან რა არის მისი ფუნქცია?
- აღწერეთ ყველა გამოსახულება (ან ფიგურა), რომლებსაც ხედავთ;
- ხელოვნების რომელი ელემენტები (მაგალითად, ხაზი, ფერი, ფორმა და ა. შ.) და პრინციპებია გამოყენებული ნამუშევარში?

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სქემა
ანალიზი უნდა პასუხობდეს კითხვას: როგორია ხელოვნების ეს ნაწარმოები?

- როგორ/რა პრინციპით არის აგებული ნამუშევრის კომპოზიცია? გაწონასწორებულია თუ არა ის, სიმეტრიულია თუ არა, მეორდება თუ არა ელემენტები? რა წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს?
- შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი გამოსახულება? რა ხერხით არის გამოყოფილი მთავარი გამოსახულება (მაგალითად, ზომა, მდებარეობა, ფერი)?
- როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში? აღწერე და დაახასიათე, რა ტიპის ხაზებია (სწორი, ირიბი, ტეხილი, მრუდე, ტალღოვანი და სხვ.), რომელი ფერებია (ცივი, თბილი, კონტრასტული, ჟღერადი, ბაცი, მუქი) გამოყენებული, როგორაა დამუშავებული ფორმა (მოცულობითია თუ სიბრტყოვანი), არის თუ არა ნამუშევარში სივრცე;
- რეალისტურია თუ პირობითი გამოსახულება/გამოსახულებები?
- რა ემოციას და განწყობილებას აღძრავს ნამუშევარი?
- რა არის ხელოვნების ამ ნაწარმოების მთავარი აზრი?

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის სქემა (დ. სტაინეკერის მიხედვით)

1. ცოდნა: აღწერე ნამუშევარი — რას/ვის ხედავ?
2. გაგება: შენი აზრით, რას ეხება ნამუშევარი? (შინაარსი)
3. გამოყენება: რომ შეგეძლოს, რა შეკითხვას დაუსვამდი ავტორს ამ სურათთან დაკავშირებით?
4. ანალიზი: შენი აზრით, რისი თქმა სურდა ავტორს ამ სურათით?
5. სინთეზი: რა საშუალებებით, რა ხერხებით შეძლებდი შენ ამ თემაზე ნამუშევრის შექმნას?
6. შეფასება: რას ფიქრობ სურათის შესახებ, უნდა ნახონ ადამიანებმა, რატომ?

ნამუშევრის აღწერა-ანალიზის სქემა (კ. რონალდსის მიხედვით)

1. აღწერე — ვის ხედავ სურათზე? რა საგნებს/ გამოსახულებებს ხედავ სურათზე? კიდევ რას ხედავ? რომელ სიტყვებს გამოიყენებდი ამ სურათზე საუბრისას? როგორ აღუწერდი სურათს იმ ადამიანს, რომელსაც ის არ უნახავს? როგორ აღუწერდი აქ გამოყენებულ ხაზებს? ფორმებს? ფერებს? როგორ აღწერდი ფიგურებს და გარემოს სურათზე?
2. დააკავშირე — რა საგნები/გამოსახულებები შეგიძლია იცნო ამ სურათზე? რომელი საგნები/გამოსახულებებია შენთვის უცნობი? რით განსხვავდება ეს სურათი რეალური ცხოვრებისგან? რა გაინტერესებს ყველაზე მეტად ამ სურათთან დაკავშირებით?
3. გააანალიზე — რომელი საგნები/გამოსახულებები გეჩვენება უფრო ახლოს? უფრო შორს? რა შეგიძლია თქვა ამ სურათის ფერებზე? რომელი ფერი აქვს ყველაზე მეტად გამოყენებული მხატვარს? რა შეგიძლია თქვა სურათზე გამოსახული ადამიანების/საგნების შესახებ? შენი აზრით, როგორ შექმნა მხატვარმა ეს ნამუშევარი? რა შეკითხვებს დაუსვამდი ამ ნამუშევრის ავტორს, აქ რომ იყოს? ამ სურათის რომელი ფრაგმენტი მიგაჩნია უფრო მნიშვნელოვნად?
4. ახსენი — რომ წარმოიდგინო, რომ სურათი ხმას უშვებს, როგორ ხმას გამოუშვებდა იგი? წარმოიდგინე, რომ სურათში მოხვდი, რას გრძნობ? შენი აზრით, როგორი იქნებოდა იმ დროს/გარემოში რომ გეცხოვრა, როგორც ამ სურათზეა ასახული?
5. შეაფასე — შენი აზრით რა არის მნიშვნელოვანი სურათში? როგორ გგონია, ეს ამ მხატვრის საუკეთესო ნამუშევარია? რატომ გგონია ასე? შენი აზრით, რატომ უნდა მოვიდნენ ადამიანები მის სანახავად?

აღწერა-ანალიზის შეფასების რუბრიკები

შეფასების რუბრიკები				
	1-2	**3-4**	**5-8**	**9-10**
მოსწავლე სურათის დეტალური აღწერისას, აანალიზებს სურათის მხატვრულ-გამომსახვ-ელობით ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გადმოცემულია სურათის ძირითადი იდეა, საუბრობს კონტექსტუ-ალურ თავისებურებებზე	მოსწავლე არასრულად აღწერს სურათს, არ ასახელებს მხატვრულ ხერხს.	მოსწავლე აღწერს სურათს ზოგადად და ასახელებს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს, რომელთა საშუალე-ბითაც გამოხატავს ავტორი სურათის იდეას.	მოსწავლე აღწერს სურათს, აანალიზებს მხატვრულ ხერხების, რომელთა საშუალე-ბითაც გამოხატავს ავტორი სურათის იდეას.	მოსწავლე დეტალუ-რად აღწერს სურათს, საუბრობს კონტექსტუ-ალურ თავისებურე-ბებზე, აანალიზებს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალე-ბითაც გამოხატავს ავტორი სურათის იდეას.
მოსწავლეს საკითხი სრულყოფილად აქვს გააზრებული, — მსჯელობს დამაჯე-რებლად, არგუმენტი-რებულად, აყალიბებს განზოგადებულ დასკვნებს	მოსწავლეს ვერ მოჰყავს დამაჯე-რებელი არგუმენტები მსჯელობისას და თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე ნაწილობ-რივ იაზრებს საკითხს, ვერ მოჰყავს დამაჯე-რებელი არგუმენტები მსჯელობისას და თანმიმდევრულად ვერ აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე ძირითადად იაზრებს საკითხს, მსჯელობისას მოყვა-ნილი არგუმენტები ძირითადად დამა-ჯერებელია და უმეტეს-წილად თანმიმდევ-რულად აყალიბებს დასკვნებს.	მოსწავლე სრულყოფი-ლად იაზრებს საკითხს, მსჯელობისას მოყვა-ნილი არგუმენტები დამაჯერებელია, დასკვნები თანმიმდევ-რულად არის ჩამო-ყალიბებული.

ესეს შეფასების რუბრიკები				
	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
მოსწავლის მიერ დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, იცნობს საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკას	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული და ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხის ზერელე ცოდნა.	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული და ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის ცოდნა.	დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადა გაგებული, ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და ესეში მკაფიოდ გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის სიღრმისეული ცოდნა.
მოსწავლე ესეში ამჟღავნებს ანალიზის, არგუმენტირებულად მსჯელობის უნარს. აყალიბებს განზოგადებულ დასკვნებს	მსჯელობა ძირითადად არათანმიმდევრული და არადამაჯერებელია, არ არის გამყარებული არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის ბმები/გადასვლები ძირითადად ალოგიკურია.	მოსწავლის მსჯელობა და ანალიზი ნაწილობრივ თანმიმდევრული და დამაჯერებელია, ზოგ შემთხვევაში გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის შეინიშნება ლოგიკური ბმები/გადასვლები.	მოსწავლე ძირითადად ამჟღავნებს ანალიზის უნარს, მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები ძირითადად დამაჯერებელია და უმეტესწილად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ესეს ნაწილებს შორის ძირითადად ლოგიკური ბმებია/გადასვლებია.	მოსწავლეს მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას, აანალიზებს და თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/ გადასვლებია.
მოსწავლე ესეში ავლენს დამოუკიდებელ, არაშაბლონურ აზროვნებას, ცნებები გააზრებული აქვს	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს არ აქვს გააზრებული ცნებები.	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლე იაზრებს ზოგიერთ ცნებას.	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს ცნებების უმეტესობა გააზრებული აქვს.	ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება, ცნებების გააზრება.

ესეს შეფასების რუბრიკები				
	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
მოსწავლის მიერ დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, იცნობს საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკას	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული და ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხის ზერელე ცოდნა.	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული და ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის ცოდნა.	დავალების პირობა ძირითადად ადეკვატურადა გაგებული, ესეში გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და ესეში მკაფიოდ გამოვლინდა საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის სიღრმისეული ცოდნა.
მოსწავლე ესეში ამჟღავნებს ანალიზის, არგუმენტირებულად მსჯელობის უნარს. აყალიბებს განზოგადებულ დასკვნებს	მსჯელობა ძირითადად არათანმიმდევრული და არადამაჯერებელია, არ არის გამყარებული არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის ბმები/გადასვლები ძირითადად ალოგიკურია.	მოსწავლის მსჯელობა და ანალიზი ნაწილობრივ თანმიმდევრული და დამაჯერებელია, ზოგ შემთხვევაში გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის შეინიშნება ლოგიკური ბმები/გადასვლები.	მოსწავლე ძირითადად ამჟღავნებს ანალიზის უნარს, მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები ძირითადად დამაჯერებელია და უმეტესწილად თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. ესეს ნაწილებს შორის ძირითადად ლოგიკური ბმებია/გადასვლებია.	მოსწავლეს მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები მსჯელობისას, აანალიზებს და თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს. მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით და შესაბამისი მაგალითებით. ესეს ნაწილებს შორის ლოგიკური ბმებია/გადასვლებია.
მოსწავლე ესეში ავლენს დამოუკიდებელ, არაშაბლონურ აზროვნებას, ცნებები გააზრებული აქვს	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს არ აქვს გააზრებული ცნებები.	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლე იაზრებს ზოგიერთ ცნებას.	ნაშრომში ვლინდება, რომ მოსწავლეს ცნებების უმეტესობა გააზრებული აქვს.	ნაშრომში ვლინდება მოსწავლის დამოუკიდებელი, არაშაბლონური აზროვნება, ცნებების გააზრება.

ესეს შეფასების ფორმა

0	ნაშრომი არ პასუხობს სტანდარტს.
1-2	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არ არის დამაჯერებელია, არგუმენტები უმეტესად არამყარია და არ არის მოყვანილი შესაბამისი მაგალითები. ტერმინები თითქმის არაა გამოყენებული.
3-4	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა ნაკლებად დამაჯერებელია, არგუმენტები უმეტესად არამყარია და იშვიათადაა მოყვანილი შესაბამისი მაგალითები. ტერმინები იშვიათადაა გამოყენებული ადეკვატურად.
5-6	დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა უმეტესწილად დამაჯერებელია, არგუმენტები ნაწილობრივ მყარია და სამაგალითოდ მხოლოდ ზოგჯერაა მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. ტერმინები ხშირად ადეკვატურადაა გამოყენებული.
7-8	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლე ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, მსჯელობა უმეტესწილად დამაჯერებელია, არგუმენტები ხშირად მყარია და სამაგალითოდ მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. ტერმინები ხშირად ადეკვატურადაა გამოყენებული.
9-10	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, მოსწავლე ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, მსჯელობა დამაჯერებელია, არგუმენტები მყარი და სამაგალითოდ მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. ტერმინები გამოყენებულია სწორად, ადევატურად.

დისკუსიის შეფასების სქემა

შეფასება	**წარმატებული**	**საშუალო**	**დაბალი**
ორგანიზებულობა /ჩართულობა/ კორექტულობა	მოსწავლე აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში და ზედმიწევნით იცავს დროის ლიმიტს, აცლის სხვებს საუბარს და აქვს სხვისი აზრის მოსმენის კულტურა; საუბრობს მშვიდად.	მოსწავლე აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში და იცავს დროის ლიმიტს, უჭირს დააცადოს სხვებს საუბარი და ბოლომდე მოუსმინოს მათ. საუბრისას დროდადრო ხმას უწევს.	მოსწავლე დისკუსიაში მხოლოდ რამდენჯერმე ჩაერთო, არ იცავს დროის ლიმიტს, უჭირს დააცადოს სხვებს საუბარი და ბოლომდე მოუსმინოს მათ. საუბრისას ცდილობს საკუთარი მოსაზრება ხმამაღალი ტონით გაამყაროს.
მსჯელობა/ არგუმენტაცია	მსჯელობა თანმიმდევრულია და ლოგიკურია, არგუმენტები დამაჯერებელია და გამყარებულია მაგალითებით.	მსჯელობა ნაკლებად თანმიმდევრულია და ლოგიკურია, არგუმენტები ნაწილობრივ დამაჯერებელია და იშვიათადაა გამყარებული მაგალითებით.	მსჯელობა სუსტად თანმიმდევრულია და ხშირად არალოგიკურია, არგუმენტები იშვიათადაა დამაჯერებელი და არაა გამყარებული მაგალითებით.
მეტყველება/ კომუნიკაცია	მოსწავლე მკაფიოდ აყალიბებს აზრს, აქვს მდიდარი ლექსიკა, მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მსმენელთან.	მოსწავლე ხშირად აყალიბებს აზრს მკაფიოდ, მისი ლექსიკა დამაკმაყოფილებელია, კარგად ამყარებს კონტაქტს მსმენელთან.	მოსწავლე იშვიათად აყალიბებს აზრს მკაფიოდ, მისი ლექსიკა მწირია, კონტაქტი მსმენელთან სუსტია.

მოხსენება/რეფერატის შეფასების სქემა

შეფასება	**1-2**	**3-5**	**6-8**	**9-10**
ინფორმაციის წყაროების შერჩევა/ ინფორმაციების ორგანიზება	მოსწავლე ვერ ახერ-ხებს ინფორმაციის მოძიებას სანდო წყაროს გამოყენებით და ამ ინფორმაციის ორგანიზებას.	მოსწავლე ნაწილობ-რივ იყენებს და წარმოადგენს ზოგიერთ სანდო წყაროს. ინფორმაცია არათანმიმდევრულად არის ორგანიზებული.	მოსწავლე მოიძიებს შესაბამის ინფორ-მაციას და არჩევს სანდო წყაროებს. ნაწილობრივ ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას.	მოსწავლე მოიძიებს შესაბამის ინფორმაცი-ას და არჩევს მრავალ-ფეროვან სანდო წყა-როებს. კარგად ახერ-ხებს ინფორმაციის ორგანიზებას.
ინფორმაციის მოხსე-ნება/ რეფერატის მიზანთან შესაბამისო-ბა. საკვანძო საკი-თხებზე ფოკუსირება	მოძიებული ინფორმა-ცია არ შეესაბამება მოხსენება/რეფერატის მიზანს.	მოძიებული ინფორ-მაცია ნაწილობრივ შეესაბამება მოხსენე-ბა/რეფერატის მიზანს და არ არის ფოკუსირე-ბული საკვანძო საკი-თხებზე	მოძიებული ინფორმა-ცია ძირითადად შეესა-ბამება მოხსენება/ რეფერატის მიზანს და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე.	მოძიებული ინფორ-მაცია მოხსენება/ რეფერატის მიზნის რელევანტურია და ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე.
დასმული საკითხის/ პრობლემის ანალიზი	მოსწავლე არ/ვერ წარმოადგენს დასმული საკითხის/ პრობლემის ანალიზს.	მოსწავლე წარმოად-გენს დასმული საკი-თხის/პრობლემის არასრულყოფილ ანალიზს.	მოსწავლე ნაწილობ-რივ წარმოადგენს დასმული საკითხის/ პრობლემის ანალიზს.	მოსწავლე ამომწურა-ვად წარმოადგენს დასმული საკითხის/ პრობლემის დამაჯე-რებელ ანალიზს
დროის ლიმიტი	მოსწავლე არ იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამზადებლად დადგენილ ვადას.	მოსწავლე ნაწილობ-რივ იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამ-ზადებლად დადგენილ	მოსწავლე ძირითადად იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამზა-დებლად დადგენილ	მოსწავლე იცავს მოხსენება-რეფერატის მოსამზადებლად დადგენილ ვადას.

	მოსწავლე ვერ ეტევა მოხსენება-რეფერატის წარსადგენად გამოყოფილ დროში.	ვადას. იყენებს დროს მოხსენება-რეფერატის მხოლოდ გარკვეული ნაწილის წარსადგენად.	ვადას. იყენებს დროს მოხსენება-რეფერატის ძირითადი ნაწილის წარსადგენად.	რაციონალურად იყენებს დროს მოხსენება-რეფერატის წარსადგენად.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები

	1-2	3-5	6-8	9-10
პრაქტიკული ნამუშევ-რის, ესესა და სხვა ნამუშევრის წარდგენა ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით მიმდინარეობს.	მოსწავლე ვერ წარადგენს ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმ-დევრული ფორმით.	მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს ნაწილობ-რივ ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით.	მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს ძირითა-დად ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით.	მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით.
აუდიტორიასთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, არსებით საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მიმიკის, ჟესტიკულაციისა და ინტონაციის გამოყე-ნებით.	მოსწავლე ვერ ამყარებს აუდიტორიასთან ეფექტურ კომუნიკაციას.	მოსწავლე ნაწილობრივ ამყარებს აუდიტორიასთან კომუნიკაციას, იშვიათად იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	მოსწავლე ძირითადად ამყარებს აუდიტორი-ასთან ეფექტურ კომუნიკაციას, ზოგჯერ იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორ-მებს. ზოგიერთ საკი-თხზე ამახვილებს ყურადღებას.	მოსწავლე ამყარებს აუდიტორიასთან ეფექ-ტურ კომუნიკაციას, იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს. არსებით საკითხებზე ამახვი-ლებს ყურადღებას.
პრაქტიკული ნამუშევ-რის წარდგენისას, საუბრობს გამართუ-ლად, დამაჯერებ-ლად, იყენებს რელევანტურ	მოსწავლე არ საუბ-რობს გამართულად, დამაჯერებლად, არ იყენებს რელევანტურ ტერმინოლოგიას.	მოსწავლის საუბარი ზოგჯერ გამართული და დამაჯერებელია. ზოგ შემთხვევაში, იყენებს რელევანტურ	მოსწავლე ძირითადად საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, ხშირ შემთხვევაში, იყენებს რელევანტურ	საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, იყენებს შესაბამის რელევანტურ ტერმინოლოგიას

ტერმინოლოგიას.		ტერმინოლოგიას.	ტერმინოლოგიას.	პრაქტიკული ნამუშევრის, ესეს თუ სხვა ნამუშევრის წარდგენისას
პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებული ნიმუში/მასალა თემის/შინაარსის რელევანტურია, ფოკუსირება საკვანძო, ძირითად საკითხებზე ხდება.	პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებული ნიმუში/მასალა არ არის თემის/შინაარსის რელევანტური.	პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებული ზოგიერთი ნიმუში/მასალა თემის/შინაარსის რელევანტურია. მოსწავლე ვერ ახდენს ფოკუსირებას ძირითადად საკითხებზე.	მოსწავლის პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებული ნიმუში/მასალა ხშირ შემთხვევაში, თემის/შინაარსის რელევანტურია, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითადად საკვანძო საკითხებზე.	მოსწავლის პრეზენტაციაში წარდგენილი/გამოყენებული ნიმუში/მასალა თემის/შინაარსის რელევანტურია. მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე.

პოსტერის შეფასების რუბრიკები

	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
პოსტერში სახვითი საშუალებები და ხერხები ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისადაა შერჩეული და შემოქმედებითად გამოყენებული.	პოსტერში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები ძირითადად ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისად არ არის შერჩეული და შემოქმედებითად გამოყენებული.	პოსტერში, სახვითი საშუალებები და ხერხები, ნაწილობრივ ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისადაა შერჩეული და პოსტერის გარკვეულ ნაწილში, შემოქმედებითადაა გამოყენებული.	გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები ძირითადად ჩანაფიქრის, იდეის შესაბამისადაა შერჩეული და ძირითადად შემოქმედებითად გამოყენებული.	სახვითი საშუალებები და ხერხები ჩანაფიქრის შესაბამისადაა შერჩეული და შემოქმედებითად გამოყენებული, რაც პოსტერის იდეას კარგად წარმოაჩენს.
პოსტერში იდეა გადმოცემულია ლაკონიურად. შესაბამისი და სასურველი ეფექტის მისაღებად განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა.	პოსტერში იდეა ნაწილობრივ გადმოცემულია; ძირითადად, არ არის განსაზღვრული გამოსახულების, ნაფიქრის, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა.	პოსტერში იდეა ძირითადად გადმოცემულია; განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის ნაწილობრივ თანაფარდობა.	პოსტერში იდეა გადმოცემულია. განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა.	პოსტერში განსაზღვრულია გამოსახულების, ტექსტისა და სივრცის თანაფარდობა, რაც ხელს უწყობს სასურველი და შესაბამისი ეფექტის მიღებას, იდეის ნათლად და ლაკონიურად გადმოცემას.

პოსტერში იდეის წარმოსაჩენად, გამოყენებულია შესაბამისი მასალა და ტექნიკა	პოსტერში, იდეის წარმოსაჩენად, გამოყენებული არ არის შესაბამისი მასალა და ტექნიკა.	პოსტერში, იდეის წარმოსაჩენად, ნაწილობრივ გამოყენებულია შესაბამისი მასალა და ტექნიკა.	პოსტერში იდეის წარმოსაჩენად, ძირითადად, გამოყენებულია შესაბამისი მასალა და ტექნიკა.	პოსტერში, იდეის წარმოსაჩენად, გამოყენებულია შესაბამისი მასალა და ტექნიკა.
მასწავლებლის კომენტარი ---------- ----------				

ციფრული ნამუშევრის შეფასების რუბრიკები

	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
შერჩეული ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად არ არის ამოცანის ადეკვატური. ჩანაფიქრის შესაბამისად არ არის მიღწეული სასურველი ეფექტი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ნაწილობრივ ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად, ნაწილობრივ მიღწეულია სასურველი ეფექტი, გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად - ძირითადად მიღწეულია სასურველი ეფექტი, გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი, შექმნილია ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით.
მოსწავლე იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს იდეების, მოსაზრებების გაზიარებისა და შესრულებული ნამუშევრის წარდგენის მიზნით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად ვერ გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად ვერ წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ მოსაზრებები და შექმნილი ციფრული ნამუშევარი გააზიარა, წარადგინა ნაწილობრივ შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა ძირითადად შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მაკეტის შეფასების რუბრიკები

	1-2	**3-5**	**6-8**	**9-10**
კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების ესკიზი ითვალისწინებს ყველა დეტალურ მონაცემს (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა).	მაკეტის ესკიზი იძლევა ნაწილობრივ/ ბუნდოვან მონაცემებს და დეტალებს.	მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგიერთ მონაცემებსა და დეტალებს.	მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებსა და დეტალებს.	შესრულებული კონსტრუქციის, მაკეტის 3D ესკიზიში გათვალისწინებულია ყველა დეტალური მონაცემი (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა).
ჩანაფიქრის შესაბამისად, კონსტრუქცია/მაკეტი 3D გამოსახულება შემოქმედებითადაა შესრულებული.	კონსტრუქცია/ მაკეტი 3D გამოსახულებაში ძირითადად, არ ჩანს შემოქმედებითი მიდგომა.	კონსტრუქციის/ მაკეტის 3D გამოსახულების ზოგიერთი ნაწილი/დეტალი შემოქმედებითადაა შესრულებული.	კონსტრუქციის/ მაკეტის 3D გამოსახულების დიდი ნაწილი/ დეტალი შემოქმედებითადაა შესრულებული.	ჩანაფიქრის შესაბამისად, შესრულებული კონსტრუქციის/ მაკეტის 3D გამოსახულების ყველა დეტალი შექმნილია შემოქმედებითად.
ჩანაფიქრისა და ამოცანის შესაბამისად, შერჩეული და გამოყენებულია შესაბამისი მასალა და ტექნიკა. მაკეტი მყა-	მასალის ნაწილი შერჩეულია ჩანაფიქრისა და ამოცანის შესაბამისად. კონსტრუქციას/ მაკეტს აკლია აკურატულობა	მასალის დიდი ნაწილი შერჩეულია შესაბამისად. კონსტრუქციას/მაკეტს აკლია აკურატულობა და სიმყარე.	მასალაშერჩეულიაშესაბამისად. კონსტრუქცია/ მაკეტი უმეტესად აკურატული და მყარია.	კონსტრუქცია/მაკეტი 3D გამოსახულებისთვის, ყველა მასალა შერჩეულია ამოცანის შესაბამისად. ნამუშევარი აკურატულია.

რია და აკურატულა-დაა შესრულებული.	და სიმყარე.			მაკეტი მყარია.
კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნაში მიიღო აქტიური მონაწილეობა; სამუშაოს შესრულების ყველა ეტაპზე, დაიცვა ვადები და დროის ლიმიტი.	კონსტრუქციის/ მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ეტაპებზე, არ იყო ჩართული. ნაწილობრივ იცავდა ვადებს და დროის ლიმიტს.	კონსტრუქციის/ მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ზოგიერთ ეტაპზე იყო ჩართული. ნაწილობრივ იცავდა ვადებს და დროის ლიმიტს.	კონსტრუქციის/ მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ძირითად ეტაპებზე აქტიურად იყო ჩართული და ძირითადად დაიცვა ვადები და დროის ლიმიტი.	კონსტრუქციის/მაკეტის 3D გამოსახულების შექმნის ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და დაიცვა ვადები და დროის ლიმიტი.
მოსწავლე კონსტრუქციულად თანამშრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან კონსტრუქციის/მაკეტის შექმნასა თუ დასრულებული ნამუშევრის წარდგენაში.	მოსწავლე ძირითადად არ თანამშრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან ნამუშევრის შექმნასა და წარდგენაში.	ხშირშემთხვევაში, მოსწავლე არ თანამშრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან მაკეტის/ კონსტრუქციის შექმნასა და წარდგენაში.	მოსწავლეძირითადად თანამშრომლობდა საკუთარი ჯგუფის წევრებთან მაკეტის შექმნასა და წარდგენაში.	მოსწავლე კონსტრუქციულად თანამშრომლობდა კონსტრუქციის/ მაკეტის შექმნის ყველა ეტაპზე და წარდგენაში.

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	**კარგი**	**საშუალო**	**სუსტი**
თემატიკა. საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის – შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანსა და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა)			

ჯგუფური დისკუსიის შეფასების სქემა

	არასდროს	**იშვიათად**	**ზოგჯერ**	**ყოველთვის**
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობს, ჯგუფი მეგობრულადაა განწყობილი, მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ				
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრების დასაზუსტებლად და დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის				
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია, ჯგუფი კონსტრუქციული იყო, აკრიტიკებდა მოსაზრებას და არა პიროვნებას/ჯგუფის წევრებს				

მასწავლებლის რეფლექსია

როგორ/რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ახდენთ თვითშეფასებას?
თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური წერილობითი რეფლექსიის დროს პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: • რა იყო ჩემი, როგორც მასწავლებლის წარმატება? • რის საფუძველზე მივაღწიე ამას? • რა სირთულეს წავაწყდი? • რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა თემატური ერთეულის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის გეგმით განსაზღვრულ მიზნებს? • რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა მიღებულ შედეგებზე? • მოსწავლეთა მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები რისი თქმის საშუალებას მაძლევს? (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება ან მათ მიერ შესრულებული ტესტები, ესე) • რომელი სტრატეგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (თემატური ერთეულის ფარგლებში – თითოეული გაკვეთილის განმავლობაში) ცოდნის კონსტრუირება? • მისაღწევი მიზნების შესაბამისად, როგორ შეიცვალა თემატური ერთეულის ფარგლებში შემავალი გაკვეთილის/გაკვეთილების

გეგმები გაკვეთილის მსვლელობის პროცესში? რატომ? • მომავალში ამ თემატურ ერთეულში შემავალი გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლი? რატომ?

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

- მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი: ——————————————————————————

მოსწავლე: ——————————————————————————— (X კლასის მოსწავლე)

ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება	• შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს? • ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა? • ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი? • ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?	**კარგი**	**საშუალო**	**საჭიროებს გაუმჯობესებას**
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები/ მიგნებები	• რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია ნამუშევარი? • წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?			

დავალების შესრულება	• დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/პრობლემა? • თუ მოსწავლეს შესრულებული დავალება განსხვავებულად აქვს გადაწყვეტილი, ჰქონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?			
გულმოდგინება	• ნამუშევარი გულმოდგინედაა შესრულებული. ნამუშევრის სტილი გააზრებულია და ოსტატურადაა შესრულებული.			

ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვების სქემა

გუნდის ძლიერი მხარეები

გუნდის სუსტი მხარეები

დამატებითი კომენტარები

ჩართულობა, თანამშრომლობა

- ანალიტიკური შეფასების რუბრიკები

კრიტერიუმი	**არადამაკმაყოფილებელი** **1-2**	**დამაკმაყოფილებელი** **3-5**	**კარგი** **6-8**	**ძალიან კარგი** **9-10**
ჩართულობა	არ მონაწილეობს აქტივობებში ან მონაწილეობს იშვიათად	იშვიათად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი მხოლოდ ზოგიერთ აქტივობაში	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი აქტივობების უმრავლესობაში	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ყველა აქტივობაში
თანამშრომლობა	არ თანამშრომლობს ან ძალიან იშვიათად თანამ-შრომლობს წყვილში/ჯგუფ-ში მუშაობის დროს	იშვიათად თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს	ხშირად თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს	ყოველთვის თანამშრომლობს წყვილში/ჯგუფში მუშაობის დროს

- **ინფორმაციის მოძიების/კვლევის შეფასების რუბრიკა**

ინფორმაციების წყაროების შერჩევა	**მოძიებული ინფორმაციების კვლევის მიზანთან შესაბამისობა**	**ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება**	**მოძიებული ინფორმაციების ორგანიზება**	**რეგლამენტის დაცვა**

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი N 1

- ივსება მოსწავლის მიერ პრაქტიკული ნამუშევრის დასრულების შემდეგ

შეაფასე შენი ნამუშევარი	
1. შენი ნამუშევარი შენი იდეის შესაბამისია?	
2. რას ფიქრობ, რამდენად ორიგინალურია შენი ნამუშევარი?	
3. შენ მიერ გამოყენებული ხერხები, მასალა და ტექნიკა რამდენად დაგეხმარა ჩანაფიქრის გადმოცემაში?	

4. დარწმუნებული ხარ, რომ ნამუშევარი დასრულებულია?	
5. თავიდან რომ იწყებდე მუშაობას, შეცვლიდი რაიმეს? რას გააკეთებდი განსხვავებულად?	

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი N 2

- ივსება მოსწავლის მიერ პრაქტიკული ნამუშევრის დასრულებისას

შეაფასე შენი ნამუშევარი წინა ნამუშევრებთან შედარებით	
შენს წინა ნამუშევრებთან შედარებით, რამდენად ოსტატურად გაქვს გამოყენებული ტექნიკა და მასალა? (ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა ამ ნამუშევარში წინა ნამუშევრებთან შედარებით?)	
შენს წინა ნამუშევრებთან შედარებით, უფრო კარგად გაქვს წარმოჩენილი შენი ჩანაფიქრი, იდეა?	

რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია შენი ნამუშევარი?	
რამდენად გულმოდგინედ შეასრულე ნამუშევარი?	
შენი აზრით, რამდენად კარგად შეძელი შენ წინაშე დასმული ამოცანა/ პრობლემის გადაჭრა/შესრულება? (წინა ნამუშევრებთან შედარებით)	

დავალების ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ, სანამ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას დავიწყებ, ჯერ სამოქმედო გეგმას ვადგენ (თანმიმდევრულად რას რის შემდეგ გავაკეთებ)	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
მუშაობის დაწყებამდე ვქმნი მოსამზადებელ ჩანახატს	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
ვიცავ დროის ლიმიტს	**ყოველთვის** **ზოგჯერ**

	არასდროს
ვაწესრიგებ სამუშაო ადგილს	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**
ვინიშნავ რესურსების ნუსხას, რომელიც დამჭირდება შემდეგ გაკვეთილზე	**ყოველთვის** **ზოგჯერ** **არასდროს**

თვითშეფასების კითხვარი N3

- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი ივსება პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ

(აღნიშნეთ, რომელს შეესაბამება)

სახელი, გვარი _____

შემუშავებული შეფასების რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, თავად აღნიშნოს, თუ რამდენად კარგად აქვს შესრულებული კონკრეტული დავალება

დავალება 1.	**დავალება ძალიან კარგად შევასრულე**	**დავალება კარგად შევასრულე**	**ნაწილობრივ შევასრულე დავალება**	**მჭირდება დამატებითი მუშაობა**
დაასახელეთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები და დაასახელეთ მათი მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და მათი (ყველა) მახასიათებლები	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ნასწავლი) ჟანრები და დავასახელე მათი თითოეული მახასიათებელი	დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები	ვერ დავასახელე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

ISBN 978-9941-496-27-1

დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში